

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ნ.კვატაშიძე

კორპორაციული ანგარიშგება



თბილისი 2021

წინამდებარე ლექციების კურსი დაწერილია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, საგანში „კორპორაციული ანგარიშგება“.

ლექციების კურსში წარმოდგენილია სააქციო საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მომზადების ისეთი საკითხები, როგორცაა ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეფციები; ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება და აღიარება; საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვა; შვილობილი საწარმოები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება; მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები; ერთობლივი საქმიანობა; შემოსავალი ერთ აქციაზე. ყველა საკითხი განხილულია ფასს-ის შესაბამისად.

ნაშრომი წარმოადგენს მეორე გადამუშავებულ გამოცემას, განკუთვნილია თსუ მაგისტრანტებისათვის, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური ანგარიშგების საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

ნაშრომის გამოცემა რეკომენდირებულია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ (ოქმი # 1, 2019წ. 19 აპრილი).

რედაქტორი:

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის პროფესორი ლევან საბაური.

რეცენზენტი:

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე.

© ნ.კვატაშიძე

ISBN 657.1:338.74

UDC (უაკ) 657.15

კ-446

შინაარსი

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეფციები 5-44

1. პროფესიული განსჯის პრინციპი
2. რეალური ღირებულების კონცეფცია
3. გაუფასურების კონცეფცია
4. ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი
5. ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის იურიდიულ ფორმაზე უპირატესობის პრინციპები

თავი 2. ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა..... 45-142

1. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება
2. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა
 - 2.1. ფინანსური აქტივების აღრიცხვა
 - 2.2. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა
3. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და ჰეჯირება
4. რთული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა
5. ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო ზარალის (გაუფასურების) აღრიცხვა

თავი 3. საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვა143-205

1. საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაცია
2. მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაცია
3. შეძენის თარიღის განსაზღვრა
4. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილის აღიარება და შეფასება
5. გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობის აღიარება და შეფასება

თავი 4. შვილობილი საწარმოები და კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგება206-252

1. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2. კონტროლის კონცეფცია
3. კონსოლიდირებული ბალანსი
4. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

თავი 5. მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები253-278

1. მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვის პრინციპები
2. მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში
3. მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში

თავი 6. ერთობლივი საქმიანობა279-299

1. ერთობლივი საქმიანობის იდენტიფიცირება
2. ერთობლივი საწარმოს აღრიცხვა
3. ერთობლივი ოპერაციების აღრიცხვა

თავი 7. შემოსავალი ერთ აქციაზე300-319

1. საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე
2. აქციების ბონუსური ემისია და შემოსავალი ერთ აქციაზე
3. აქციების უფლებითი ემისია და შემოსავალი ერთ აქციაზე
4. გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

გამოყენებული ლიტერატურა320-321

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეფციები

1. პროფესიული განსჯის პრინციპი
2. რეალური ღირებულების კონცეფცია
3. გაუფასურების კონცეფცია
4. ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი
5. ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის იურიდიულ ფორმაზე უპირატესობის პრინციპები

ფინანსური ინფორმაცია არის ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. კონკურენტულ გარემოში ინფორმაციის მომხმარებლებს ესაჭიროებათ სრული და საიმედო ფინანსური ინფორმაცია. ფინანსური ინფორმაციის სანდოობის ხარისხი დამოკიდებულია მისი მომზადების საფუძვლებზე. ფასს-ით ფინანსური ინფორმაციის მომზადება ეფუძნება მრავალ პრინციპებს და კონცეფციებს, მათ შორისაა:

- პროფესიული განსჯის პრინციპი;
- რეალური ღირებულების კონცეფცია;
- გაუფასურების კონცეფცია;
- ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი;
- ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის იურიდიულ ფორმაზე უპირატესობის პრინციპი.

1. პროფესიული განსჯის პრინციპი

✓ რატომ არის საჭირო პროფესიული განსჯა

სამეურნეო მოვლენებისათვის დამახასიათებელია განუსაზღვრელობები და არასტანდარტული სიტუაციები, რომელთა შეფასებისა და აღრიცხვის წესები ვერ

იქნება გათვალისწინებული და აღწერილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა (ფასს-ი) და მის კომენტარებში, ვინაიდან შეუძლებელია ყველა იმ მოვლენის გათვალისწინება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი პრაქტიკაში. ასეთი სიტუაციებისათვის ფასს მოითხოვს პროფესიული განსჯის გამოყენებას. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებმა უნდა გაითვალისწინონ ის განუსაზღვრელი გარემოებები, რომლებიც ყოველთვის თან ახლავს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ სამეურნეო ოპერაციებსა და მოვლენებს. **განუსაზღვრელობა** ნიშნავს იმ სიტუაციას, როდესაც სათანადო ინფორმაციისა და ცოდნის შეზღუდულობის გამო, რთულია მოვლენების შედეგების პროგნოზირება. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით (შემდგომში - კონცეპტუალური საფუძვლები) განსაზღვრულია შემდეგი განუსაზღვრელობები¹:

- **არსებობის განუსაზღვრელობა** - გაურკვეველობა იმასთან დაკავშირებით, აქტივი ან ვალდებულება არსებობს თუ არა;
- **შეფასების განუსაზღვრელობა** - განუსაზღვრელობა, რომელიც იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როდესაც შეუძლებელია ფინანსურ ანგარიშგებში ასახული ფულადი თანხების პირდაპირ მოძიება და ამის ნაცვლად მათი ოდენობა უნდა შეფასდეს;
- **შედეგების განუსაზღვრელობა** - გაურკვეველობა, რომელიც დაკავშირებულია აქტივიდან მისაღები ან ვალდებულებასთან დაკავშირებით საწარმოდან გასასვლელი ეკონომიკური სარგებლის ოდენობასთან, ან ამგვარი ეკონომიკური სარგებლის მიღების ან გასვლის დროსთან.

მაგალითად, განუსაზღვრელობა შეიძლება იყოს დაკავშირებული მოთხოვნების ამოღებასთან, მანქანა-დანადგარების სასარგებლო მომსახურების ვადის პროგნოზთან, შესაძლო საგარანტიო პრეტენზიების თანხებთან და სხვა მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის/გასვლის მიმართ

¹ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. პ.2,19; 4,13-4,15; 5,12-5,14; 6,59-6,61. 2020.

განუსაზღვრელობის ზემოქმედების ხარისხის შეფასება ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებულ ხელმისაწვდომ ინფორმაციას. მაგალითად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმოს მოთხოვნები დაიფარება (თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), მართებულია ამოსაღები თანხების აქტივებად აღიარება. მაგრამ თუ ეს თანხები ძალიან დიდია, მაშინ მიჩნეულია, რომ მათი გარკვეული ნაწილი ვერ იქნება ამოღებული. შესაბამისად ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი შემცირება აღიარდება ხარჯად.

განუსაზღვრელი ვითარების არაკომპეტენტურად შეფასებით ან გაუთვალისწინებლობით არ უნდა მოხდეს აქტივებისა და მოგების გადაჭარბებული შეფასება, ან ხარჯებისა და ვალდებულებების შემცირება. ასევე დაუშვებელია აქტივების, მოგებისა და შემოსავლების განზრახ შემცირება, ან ხარჯებისა და ვალდებულებების გადიდება. თუ ეს მოხდება, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია აღარ იქნება სამართლიანად წარდგენილი და შესაბამისად, სასარგებლო ონფორმაციის მომხმარებლებისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად..

ამდენად, ფასს-ი ყველა განუსაზღვრელ და არასტანდარტულ სიტუაციებთან დაკავშირებით მოითხოვს ოპერაციების ასახვას პროფესიული განსჯისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპების საფუძველზე.

✓ რა არის პროფესიული განსჯა

პროფესიული განსჯის მიზანია სპეციალისტის მიერ მოვლენების განუსაზღვრელობისა და არასტანდარტულ პირობებში აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. ამ უკანასკნელისათვის სპეციალისტმა უნდა მოახდინოს განუსაზღვრელობის პირობებში სიტუაციების მოდელირება მრავალვარიანტული შედეგებით და არჩევანის გაკეთება ერთ-ერთის სასარგებლოდ, ყველა იმ ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებსაც შეუძლია გავლენა იქონიონ გადაწყვეტილებებზე. ამდენად, პროფესიული განსჯა არის სპეციალისტის მოსაზრება (შეფასება, დასკვნა) განუსაზღვრელობის და

არასტანდარტულ პირობებში აღრიცხვის ობიექტების აღიარებისა და შეფასების შესახებ.

ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც სპეციალურად მოცემული ოპერაციის, სხვა მოვლენის ან გარემოებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისა და გამოყენებისას, რომლის საფუძველზე მიიღება ინფორმაცია, რომელიც:

ა) შეესაბამება მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების საჭიროებას; და

ბ) საიმედოა იმ თვალსაზრისით, რომ ფინანსური ანგარიშგება:

(i) სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;

(ii) გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა ფორმას;

(iii) ნეიტრალურია, ე.ი. თავისუფალია სუბიექტური დამოკიდებულებისაგან;

(iv) არის წინდახედული; და

(v) არის დასრულებული ყველა არსებით ასპექტში.

პროფესიული განსჯა განსაზღვრავს ფინანსურ შედეგებს, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ობიექტურ და სამართლიან წარდგენას. ამიტომ პროფესიული მოსაზრება უნდა ეფუძნებოდეს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით განსაზღვრულ პრინციპებს, საერთაშორისო პრაქტიკას, რაც მოითხოვს მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას, გამოცდილებასა და ჩამოყალიბებული სამეურნეო პრაქტიკის ცოდნას.

✓ როდის გვჭირდება პროფესიული განსჯა

პროფესიული განსჯა გამოიყენება აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი და შემდგომი შეფასების დროს. მიჩნეულია, რომ მარეგულირებელი

წესებისა და ნორმატიული აქტების განუსაზღვრელობები ორი სახისაა: პირველი – შეზღუდული განუსაზღვრელობები, რომელიც მოიცავს განუსაზღვრელობის ჩარჩოებს/შეზღუდვებს და რომლის ფარგლებში შესაძლებელია მოცემული სიტუაციისათვის შემოთავაზებული გადაწყვეტილებების ვარიანტებიდან შერჩეული იქნეს ოპტიმალური; მეორე – შეუზღუდავი განუსაზღვრელობები, როდესაც არანაირი რეგულირება არ არსებობს, ან რეგულირება არ არის სრულყოფილი და პროფესიონალი დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებებს და იღებს პასუხისმგებლობას.

შეზღუდული ნორმატიული განუსაზღვრელობის პირობებში პროფესიული მსჯელობის საფუძველზე განისაზღვრება მრავალი საკითხი, მაგალითად:

- აღიარება – რესურსის მიერ ეკონომიკური სარგებლის მოტანის, საიმედოდ შეფასების და მიღების რწმუნების დადასტურება;
- ინფორმაციის არსებობა – საწარმოსათვის არსებობის ზღვარის განსაზღვრის პოლიტიკის შერჩევა;
- ძირითადი საშუალებები – არსებობის ზღვარის განსაზღვრა, კომპონენტური ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო ერთეულებად დაყოფა-აღიარება, მარაგებს მიკუთვნებადი ძირითადი საშუალებების დადგენა, გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდების შერჩევა-დასაბუთება, კაპიტალიზებადი და პერიოდის ხარჯების დადგენა;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – მასალების/საქონლის, წარმოების დანახარჯებისა და დაუმთავრებელი წარმოების აღრიცხვისა და შეფასების მეთოდების შერჩევა-დასაბუთება;
- არამატერიალური აქტივები – განუსაზღვრელობის დადასტურება;
- მოთხოვნები – უიმედობის კრიტერიუმების დადგენა, საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის საჭიროების უარყოფა-დადასტურება, რეზერვის ოდენობის განსაზღვრა;
- დისკონტირება – საპროცენტო განაკვეთის შერჩევა-დასაბუთება;

- პირობითი ვალდებულებები – აღიარების დადასტურება და შეფასება;
- ფინანსური ინსტრუმენტები - ბიზნეს-მოდელის განსაზღვრა, აღრიცხვის და გაუფასურების მოდელის შერჩევა;
- და სხვა.

პროფესიული განსჯის დროს აუცილებელია სხვა სამსახურების შესახებ (ტექნიკური, მარკეტინგის, იურიდიული) კონკრეტული ინფორმაციის ფლობა და შესაბამისი პროფილის სპეციალისტების ჩართულობა. მაგალითად, ისეთ საკითხებში, როგორცაა: ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, ფლობის სამართლებრივი ფორმა, კომპონენტებად დაყოფის შესაძლებლობა, უიმედო მოთხოვნების სია და საექსპო მოთხოვნების აღბათობა: სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების აღბათობა და სხვა.

2. რეალური ღირებულების კონცეფცია

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების შესაბამისად კორპორაციის ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ სამართლიანად უნდა იყოს წარდგენილი, რათა ინფორმაციის მომხმარებლებმა შეძლონ ადეკვატური დასკვნების გაკეთება. ამ უკანასკნელს კი განაპირობებს აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა მათი რეალური ღირებულებით შეფასების საფუძველზე. ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ შეიმუშავა ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასება“. სტანდარტი იძლევა რეალური ღირებულების განსაზღვრის ერთიან კონცეფციას, რომელიც მკაფიოდ და სისტემატიზებულად აყალიბებს რეალური ღირებულების განსაზღვრის პრინციპებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას რეალური ღირებულება გამოიყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელთა ასახვა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სავალდებულოა ან ნებადართულია ბალანსსა ან განმარტებით შენიშვნებში. კერძოდ, რეალური ღირებულების კონცეფციის გამოყენება

ნებადართულია შემდეგი ობიექტების თავდაპირველი აღიარებისა და შემდგომი შეფასებისათვის:

- არაფინანსური აქტივები (ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება, არამატერიალური აქტივები);
- ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები);
- საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები.

ფასს 13-ის „რეალური ღირებულების შეფასების“ თანახმად, **რეალური ღირებულება** არის ის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის **ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული** ოპერაციის დროს (3.9). ეს ნიშნავს იმას, რომ აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულება არის ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვისას, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას. საწარმო აქტივებს ყოველთვის არ ყიდის იმ ფასად, რა ფასიც გადაიხადა მათ შესაძენად. ანალოგიურად, საწარმო ვალდებულებებს ყოველთვის არ გადასცემს იმ ფასად, რა ფასიც მიიღო ამ ვალდებულებების აღებისთვის. ამდენად, რეალური ღირებულება არის „**გასვლის ფასი**“ (**exit price**) - აქტივების ფლობიდან „გასვლის“ ფასი. სხვაგვარად, ეს არის **აქტივების გაყიდვიდან მისაღები**, ან ვალდებულების დაფარვისათვის გადასახდელი ფასი.

ასევე, რეალური ღირებულება განისაზღვრება შეფასების თარიღისათვის როგორც ფასი, რომლითაც ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ ჩვეულებრივი ოპერაციით მიმდინარე საბაზრო პირობებში განახორციელონ აქტივის გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა (აქტივებისა ან ვალდებულებების მფლობელთა პოზიციიდან).

რეალური ღირებულების განმარტება ხაზგასმულია, რომ რეალური ღირებულება არის შეფასება, რომელიც **ეფუძნება ბაზრის მონაწილეთა მოსაზრებებს** და არა საწარმოს მოსაზრებებს და შესაბამისად, ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს მასზე. რეალური ღირებულების განმარტების მთავარი მახასიათებლებია:

1) რეალური ღირებულება არის აქტივის **გაყიდვის და არა შეძენის ფასი**. ეს ფასები ზოგჯერ განსხვავებულია, ძირითადად ეს ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს;

2) ეს არის **საბაზრო კოტირება**. რეალური ღირებულების შეფასების დროს ამოსავალია **ბაზრის მონაწილეთა წარმოდგენა** და უნდა გამოირიცხოს საწარმოს ყოველგვარი უნიკალურობა, რაც დაკავშირებულია კონკრეტულ პირობებთან, რომელშიც იმყოფება გამყიდველი საწარმო;

3) **ბაზრის მონაწილენი** არიან დამოუკიდებლობები და კარგად ინფორმირებულები, აქვთ სურვილი განახორციელონ ოპერაცია, აქვთ წვდომა ბაზარზე;

4) მოსალოდნელი გაყიდვის ოპერაცია უნდა იყოს „ჩვეულებრივი“ და არა იძულებითი;

5) რეალური ღირებულება უნდა იყოს მიზნული **შეფასების თარიღთან**.

ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დასადგენად საკმარისია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ მათი ღირებულება არის **დაკვირვებადი**. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დასადგენად შეუძლებელია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ არ არის **დაკვირვებადი**. სტანდარტი რეკომენდაციას იძლევა, რომ რეალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდებად გამოყენებულ იქნეს შეფასების ის მეთოდები და ტექნიკა, რომელიც ყველაზე მეტად არის შესაფერისი კონკრეტული ვითარებისათვის და რომლისთვისაც არსებობს საკმარისი ინფორმაცია. იგი იძლევა საშუალებას მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული დაკვირვებადი მონაცემები და მინიმალურად არადაკვირვებადი ინფორმაცია.

✓ შეფასების იერარქია

სტანდარდი არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, განსაზღვრისას გამოყენებული ამოსავალი საინფორმაციო ბაზის მიხედვით, აჯგუფებს სამ დონედ/იერარქიად:

1. დაკვირვებადი კოტირებული მონაცემები - აქტიური ბაზრის კოტირების არაკორექტირებული მონაცემები, რომელიც შეფასების მომენტისათვის კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების იდენტურია;
2. დაკვირვებადი არაკოტირებული მონაცემები - პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი მონაცემები, რომელიც განსხვავდება პირველი დონის აქტიური ბაზრის კოტირების მონაცემებისაგან;
3. არადაკვირვებადი მონაცემები.

აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქია

იერარქიის დონე	აქტივის და ვალდებულების შესადარისობა	აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის ამოსავალი მონაცემები	მაგალითი
1-ლი დონე	იდენტური	დაკვირვებადი კოტირებული მონაცემები აქტიური ბაზრის კოტირებული ფასები (არაკორექტირებული), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისათვის	უცხოური ვალუტა, კოტირებული აქციები და ობლიგაციები
მე-2 დონე	მსგავსი	დაკვირვებადი არაკოტირებული მონაცემები პირდაპირ ან არაპირდაპირ (ირიბად) დაკვირვებადი მონაცემები, რომელიც განსხვავდება 1-ლი დონის აქტიური ბაზრის კოტირების მონაცემებისაგან	ქონება
მე-3 დონე	არამსგავსი	არადაკვირვებადი მონაცემები რეალური ღირებულების შეფასების მიზანი ამ შემთხვევაში იგივე რჩება - განისაზღვროს გასვლის	ინსტრუმენტები, რომელიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;

		ფასი შეფასების თარიღისთვის, ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელიც განკარგავს აქტივს, ან გააჩნია ვალდებულება.	მსგავსი აქტივების შერჩევა.
--	--	--	----------------------------

რეალური ღირებულების განსაზღვრისას გარკვეული სირთულეები წარმოიქმნება როდესაც ინფორმაცია არ არის დაკვირვებადი, ანუ მე-3 დონეზე, აგრეთვე, როდესაც საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი, ანუ მე-2 დონეზე.

ფასს მოითხოვს, რომ მე-2 და მე-3 დონის აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებების განსაზღვრისას არ იყოს გამოყენებული მარტივი, ფორმალური მიდგომები. მაგალითად, თუ აქტივები არ არის კოტირებადი, ან მონაცემები არ არის დაკვირვებადი, გამარტივებისათვის თვითღირებულებას აიგივებენ რეალურ ღირებულებასთან, ყოველგვარი განსჯის, დასაბუთებული გათვლებისა და მეთოდიკის გამოყენების გარეშე. ფასს 13 ასაბუთებს, რომ აქტივებისა და ვალდებულებების არადაკვირვებადი მონაცემების პირობებშიც ყოველთვის შეიძლება დადგინდეს მათი რეალური ღირებულება, რომელიც უდრის „გასვლის ფასს“, ანუ ფასს, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყიდოს და ვალდებულება დაიფაროს კონკრეტულ ვითარებაში. ამიტომ, არადაკვირვებადი მონაცემები, რომელიც გამოიყენება აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების დასადგენად, უნდა ითვალისწინებდეს დაშვებებს, რომელსაც გამოიყენებდნენ ბაზრის მონაწილენი ამ აქტივებისა და ვალდებულებების ფასის დადგენისას, რისკების დაშვებების ჩათვლით.

რეალური ღირებულებით შესაფასებლად უნდა განისაზღვროს:

1. შესაფასებელი კონკრეტული აქტივები და ვალდებულებები (განსაზღვრული სააღრიცხვო ერთეულის შესაბამისად);
2. არაფინანსური აქტივებისათვის საუკეთესო გამოყენება ;
3. ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი და გასვლის ფასი;
4. შეფასების მეთოდები.

განვიხილოთ აღნიშნული მოთხოვნები.

1. შესაფასებელი კონკრეტული აქტივები და ვალდებულებები

აქტივებისა და ვალდებულებების მახასიათებლები გაითვალისწინება იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის მონაწილენი გამოიყენებენ ამ მახასიათებლებს აქტივების ან ვალდებულებების ფასის განსაზღვრისას შეფასების თარიღისათვის. მაგალითად, აქტივების მდგომარეობა და ადგილმდებარეობა; შეზღუდვები აქტივების გაყიდვის ან გამოყენების მიმართ. შესაფასებელი აქტივები და ვალდებულებები შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდეგი სახით: ცალკეული აქტივებისა ან ვალდებულებების; აქტივების ჯგუფის; ვალდებულებების ჯგუფის; აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სახით. აქტივებისა და ვალდებულებების საადრიცხვო ერთეული განისაზღვრება შესაბამისი მარეგულირებელი სტანდარტებით.

2. არაფინანსური აქტივების საუკეთესო გამოყენება

არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინება ბაზრის მონაწილეთა ფულადი ნაკადების გენერირების უნარი აქტივების საუკეთესო და ეფექტიანი გამოყენებით ან მისი გაყიდვით ბაზრის მონაწილეზე, რომლებიც საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებენ ამ აქტივებს. აქტივების საუკეთესო და უფრო ეფექტიანი გამოყენება ნიშნავს ბაზრის მონაწილის მიერ არაფინანსური აქტივების იმგვარი გამოყენება, რაც **მაქსიმალურად გაზრდიდა აქტივის, ან აქტივებისა და ვალდებულებების იმ ჯგუფის (მაგალითად, საწარმოს), ღირებულებას, სადაც გამოყენებული იქნებოდა მოცემული აქტივი.**

ასეთი აქტივების რეალური ღირებულების დასადგენად, დაშვებით, რომ ისინი საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენება, გაანგარიშებული უნდა იქნეს **მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (expected cash flow)** - შესაძლო (სამუალო შეწონილი) მისაღები ფულადი ნაკადების ალბათობა.

არაფინანსური აქტივების საუკეთესო და ეფექტიანი გამოყენების დაშვებისას გაითვალისწინება აქტივების ისეთი გამოყენება, რომელიც არის:

- ფიზიკურად შესაძლებელი (physically possible);
- იურიდიულად დასაშვები (legally permissible);
- ფინანსურად გამართლებული (financially feasible) .

აქტივების საუკეთესო და ეფექტიანი გამოყენება განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა პოზიციიდან, თუნდაც გათვალისწინებული იყოს ამ აქტივების სხვა გამოყენება.

განვიხილოთ მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება და შეფასების წინაპირობის მაგალითი.

მაგალითი 1. აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება?

საწარმო იძენს მიწის ნაკვეთს საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით. ამჟამად მიწის ნაკვეთი დამუშავებულია სამრეწველო მიზნებისთვის გამოსაყენებლად, როგორც ქარხნის ტერიტორია. მიწის ნაკვეთის ახლანდელი გამოყენება მიიჩნევა მის მაქსიმალურ და ყველაზე ეფექტიან გამოყენებად, თუ ბაზარი ან სხვა ფაქტორები არ გამოავლენს მის გამოყენებას განსხვავებულად.

მახლობლად მდებარე სხვა ნაკვეთები ახლახან დაამუშავეს საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოსაყენებლად, როგორც მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სამშენებლო ნაკვეთი. საწარმო ადგენს, რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც ამჟამად გამოიყენება, როგორც ქარხნის ტერიტორია, შეიძლება დამუშავდეს საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოსაყენებლად (ე.ი. მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ასაშენებლად), რადგან ბაზრის მონაწილეები მიწის ნაკვეთის ფასის დადგენისას გაითვალისწინებენ ამ მიწის ნაკვეთის დამუშავების

² ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასება“ მე-4 საილუსტრაციო მაგალითი (სმ 7 - სმ 8).

შესაძლებლობას საცხოვრებელი მიზნებისთვის.

მიწის ნაკვეთის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება უნდა განისაზღვროს შემდეგი ორი ღირებულების შედარებით:

ა) მიწის ნაკვეთის ღირებულება, როგორც ის ამჟამად დამუშავებულია სამრეწველო მიზნებისთვის გამოსაყენებლად (ე.ი. მიწის ნაკვეთი უნდა გამოიყენონ სხვა აქტივებთან ერთად, როგორცაა ქარხანა, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად);

ბ) მიწის ნაკვეთის, როგორც თავისუფალი ფართობის ღირებულება საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოსაყენებლად, ქარხნის დემონტაჟისა და სხვა დანახარჯების (მათ შორის, განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, შეძლებს თუ არა საწარმო აქტივის გარდაქმნას ალტერნატიული გამოყენებისთვის) გათვალისწინებით, რომლის გაწევა აუცილებელია მიწის ნაკვეთის თავისუფალ ფართობად გარდასაქმნელად (ე.ი. იმგვარად გარდასაქმნელად, რომ მიწის ნაკვეთი ბაზრის მონაწილეებმა ცალკე გამოიყენონ).

მიწის ნაკვეთის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება საწარმომ უნდა განსაზღვროს ამ ორი ღირებულებიდან უდიდესის საფუძველზე. უძრავი ქონების შეფასების შემთხვევაში, მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების დასადგენად შესაძლებელია ისეთი ფაქტორების გათვალისწინებაც, რომლებიც დაკავშირებულია ქარხნის საქმიანობასთან, მათ შორის მის აქტივებთან და ვალდებულებებთან.

3. ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი

რეალური ღირებულებით შეფასებისას კეთდება დაშვება, რომ აქტივების გაყიდვა ან ვალდებულებების გადაცემა ხდება ძირითად ბაზარზე. ხოლო თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი, მაშინ – ყველაზე ხელსაყრელ/მომგებიან ბაზარზე. ძირითადი ბაზარი (the principal market) არის ბაზარი, სადაც ყველაზე დიდი მოცულობისა და დონის საქმიანობა ხორციელდება მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით.

ყველაზე ხელსაყრელი/მომგებიანია ბაზარი (most advantageous market), რომელიც საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად გაიზარდოს ის თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან მაქსიმალურად შემცირდეს თანხა, რომელიც გადასახდელი იქნებოდა აქტივის გადაცემისას, საოპერაციო დანახარჯებისა და სატრანსპორტო დანახარჯების გათვალისწინების შემდეგ. საოპერაციო ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც გამოწვეულია ამ მოცემული აქტივის ან ვალდებულების გაყიდვის ოპერაციებით, სხვა შემთხვევაში ეს ხარჯები არ იქნებოდა გაწეული.

განვიხილოთ მაგალითი, სადაც განხილული იქნება 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემების გამოყენება ისეთი აქტივის რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომელიც იყიდება სხვადასხვა აქტიურ ბაზარზე, სხვადასხვა ფასით.

მაგალითი 2. ძირითადი და ხელსაყრელი ბაზარი³

საწარმოს აქვს აქტივები, რომელიც იყიდება ორ განსხვავებულ ბაზარზე მსგავსი მოცულობისა და აქტივობის დონის, მაგრამ განსხვავებული ფასებით. საწარმო ორივე ბაზარზე ახორციელებს ოპერაციებს და შეფასების თარიღისათვის აქვს წვდომა ორივე ბაზრის აქტივების ფასებზე (ფე):

მაჩვენებლები	ბაზარი T	ბაზარი N
ფასი	100	80
სატრანსპორტო ხარჯები	(20)	(10)
	80	70
საოპერაციო დანახარჯები	(10)	(5)
	70	65

განვსაზღვროთ რეალური ღირებულება პირობით, რომ:

- ა) ბაზარი T არის ძირითადი;
- ბ) აქტივზე არ არსებობს ძირითადი ბაზარი.

³ ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასება“ მე-6 მაგალითის მიხედვით.

ფასს 13 კრძალავს რეალური ღირებულების კორექტირებას გარიგების დანახარჯებით, მაგრამ მოითხოვს, რომ ეს დანახარჯები გათვალისწინებულ იქნეს ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის დადგენისას.

ა) ბაზარი T არის ძირითადი ბაზარი:

რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტივზე ხელმისაწვდომი ფასებით, შემცირებული სატრანსპორტო ხარჯებით - 80 ფე. გარიგების დანახარჯები არ გაითვალისწინება.

ბ) ძირითადი ბაზრის არარსებობა:

ვინაიდან აქტივზე არ არსებობს ძირითადი ბაზარი, რეალური ღირებულება განისაზღვრება ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის ფასებით, სადაც ხდება ღირებულების მაქსიმიზაცია სატრანსპორტო და გარიგების დანახარჯების შემდეგ. საწარმოს შემოსულობების წმინდა მაქსიმიზაცია 65 ფე, მაგრამ რეალური ღირებულების განსაზღვრისას გარიგების დანახარჯები არ გაითვალისწინება. მოცემული აქტივის რეალური ღირებულება 70 ფე.

✓ ბაზრის მონაწილენი

ბაზრის მონაწილენი არიან ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის გამყიდველები და მყიდველები. ბაზრის მონაწილეთა განსაზღვრისას კეთდება დაშვება, რომ ისინი:

- მოქმედებენ საკუთარი ინტერესებისათვის და არიან ურთიერთდამოკიდებულნი;
- აქვთ სათანადო წარმოდგენა და კარგად არიან ინფორმირებულნი აქტივების, ვალდებულებებისა და ოპერაციების შესახებ, მაქსიმალურად იყენებენ ხელმისაწვდომ ინფორმაციას;
- შეუძლიათ განახორციელონ გარიგება;

- აქვთ სურვილი განახორციელონ გარიგება, არიან მოტივირებულნი და არ არიან ვალდებული ან იძულებული განახორციელონ ოპერაცია, ანუ გამოიყენონ ლიკვიდაციის (იძულებითი გაყიდვა) გასაყიდი ფასი.

4. შეფასების მეთოდები

ზოგიერთი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების დასადგენად საკმარისია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ არის დაკვირვებადი. ზოგიერთი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების დასადგენად შეუძლებელია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ არ არის დაკვირვებადი.

სტანდარტი რეკომენდაციას იძლევა, რომ რეალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდებად გამოყენებულ იქნეს შეფასების ის მეთოდები და ტექნიკა, რომელიც ყველაზე მეტად არის შესაფერისი კონკრეტული ვითარებისათვის და რომლისთვის არსებობს საკმარისი ინფორმაცია, რომელიც იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს დაკვირვებადი მონაცემები და მინიმალურად არადაკვირვებადი ინფორმაცია.

როდესაც აქტივისა ან ვალდებულების ფასი არ არის ბაზარზე დაკვირვებადი, რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს შეფასების სხვა მეთოდებით (დანახარჯ-მეთოდი, შემოსავალ-მეთოდი) და მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საწყისი დაკვირვებადი მონაცემები და მინიმუმამდე დაყვანილი არადაკვირვებადი.

შეფასების მეთოდების გამოყენების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომლითაც დარეგულირდება აქტივების გაყიდვისა და ვალდებულებების გადაცემის ოპერაციები ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისათვის ბაზრის მოცემულ პირობებში. რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის ფასს-ით გამოიყენება შეფასების შემდეგი მეთოდები:

- **საბაზრო მეთოდი** (market approach) – იყენებს ფასებს და სხვა შესაბამის ინფორმაციას, რომელიც წარმოიქმნა ბაზარზე იდენტური (ანალოგიური) ან შესადარისი

აქტივებთან, ვალდებულებებთან, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფებთან განხორციელებული გარიგებებით;

- **დანახარჯ-მეთოდი** (cost approach) – ადგენს თანხებს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა მიმდინარე ეტაპზე მოხდეს მოქმედი აქტივის ჩანაცვლება;
- **შემოსავალ-მეთოდი** (income approach) – ახდენს მომავალი ფულადი სახსრების გადაანგარიშებას ერთ ფულად ნაკადად (ფულადი სახსრების, შემოსავლებისა და ხარჯების წმინდა დისკონტირებული ღირებულება).

საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრება (თუ არ არის კოტირებადი) ბაზრის იმ მონაწილეთა თვალსაზრისით, რომლებიც ფლობენ იდენტურ ინსტრუმენტებს აქტივების სახით. ვალდებულებების რეალური ღირებულების დადგენისას გაითვალისწინება ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი, ანუ საწარმოს საკრედიტო რისკი.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასება ერთიანი რეალური ღირებულების კონცეფციის საფუძველზე (როდესაც ეს არის სავალდებულო ან ნებადართული) უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფინანსური ინფორმაციის შესადარისობის ხარისხის ამაღლებას, არამედ ინფორმაციის მომხმარებლებს მისცემს რეალისტური დასკვნებისა და პროგნოზების გაკეთების საშუალებას.

მაგალითი 3. შეფასების რამდენიმე მეთოდის გამოყენება.⁴

საწარმო იძენს მანქანა-დანადგარს საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით. მანქანა-დანადგარს დაიტოვებენ და გამოიყენებენ საწარმოს საქმიანობაში. შეძენილმა საწარმომ მანქანა-დანადგარი თავდაპირველად შეიძინა გარე მომწოდებლისგან და, საწარმოთა გაერთიანებამდე, შეძენილმა საწარმომ მანქანა-დანადგარი გარდაქმნა თავის საქმიანობაში გამოსაყენებლად, თუმცა მისი გარდაქმნა ძვირი არ დაჯდა. მყიდველი საწარმო ადგენს,

⁴ ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასება“ მე-4 საილუსტრაციო მაგალითი (სმ 10 - სმ 14).

რომ ეს აქტივი ბაზრის მონაწილეებს მაქსიმალურ ღირებულებას მისცემს იმ შემთხვევაში, თუ მას გამოიყენებენ სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად (დამონტაჟებული, ან რაიმე სხვა გზით მოყვანილი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში). არ არსებობს მტკიცებულებები იმისა, რომ ამ მანქანა-დანადგარის მიმდინარე გამოყენება არ არის მისი **მაქსიმალური და**

ყველაზე ეფექტიანი გამოყენება. ამგვარად, მანქანა-დანადგარის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება არის მისი მიმდინარე გამოყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად.

საწარმო ადგენს, რომ არსებობს საკმარისი მონაცემები **დანახარჯების მეთოდის** გამოსაყენებლად და ვინაიდან მანქანა-დანადგარის დანიშნულებისამებრ გარდაქმნა ძვირი არ დაჯდა, შესაძლებელია საბაზრო მიდგომის გამოყენებაც. **შემოსავლების მიდგომის გამოყენება შეუძლებელია**, რადგან მანქანა-დანადგარს არ გააჩნია განცალკევებით იდენტიფიცირებადი შემოსავლების ნაკადი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მომავალი ფულადი ნაკადების საიმედო შეფასებების განსაზღვრა. ამასთან, არ არსებობს ინფორმაცია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი იჯარის განაკვეთების შესახებ ანალოგიურად გამოყენებული მანქანა-დანადგარისთვის, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა შემოსავლების ნაკადის პროგნოზის (ე.ი. მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის საიჯარო გადასახდელების) გამოსათვლელად. საწარმო რეალური ღირებულების შესაფასებლად **საბაზრო და დანახარჯების მიდგომებს შემდეგნაირად გამოიყენებს:**

ა) **საბაზრო მიდგომის დროს** გამოიყენება ანალოგიური მანქანა-დანადგარების კოტირებული ფასები, რომლებიც **გაკორექტირდება** მოცემულ მანქანა-დანადგარსა (გადაკეთებულ მდგომარეობაში) და ანალოგიურ მანქანა-დანადგარებს შორის განსხვავებების გათვალისწინებით. შეფასება ასახავს ფასს, რომლის მიღებაც შესაძლებელია მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მის მიმდინარე მდგომარეობაში (გამოყენებული), ახლანდელ ადგილსამყოფელზე (დამონტაჟებული და მოყვანილი დანიშნულებისამებრ

გამოსაყენებელ მდგომარეობაში). ამ მიდგომით განსაზღვრული რეალური ღირებულება მერყეობს 40,000ფე-დან 48,000ფე-მდე დიაპაზონში;

ბ) **დანახარჯების მიდგომის დროს** შეფასდება თანხა, რომელიც მიმდინარე მომენტში საჭირო იქნებოდა შესადარისი სარგებლიანობის მქონე შემცვლელი (გადაკეთებულ მდგომარეობაში) მანქანა-დანადგარის შესაქმნელად. შეფასებაში გაითვალისწინება მანქანა-დანადგარის მდგომარეობა და ის გარემო, რომელშიც ის ფუნქციონირებს, მათ შორის მისი ფიზიკური ცვეთა (ე.ი. **ფიზიკური დაზიანება**), ტექნოლოგიური გაუმჯობესება (ე.ი. **ფუნქციური მოძველება**), მანქანა-დანადგარის მდგომარეობასთან დაკავშირებული გარე პირობები, როგორცაა ანალოგიურ მანქანა-დანადგარებზე ბაზრის მოთხოვნის დაცემა (ე.ი. **ეკონომიკური მოძველება**) და დამონტაჟების დანახარჯები. ამ მიდგომით განსაზღვრული რეალური ღირებულება მერყეობს 40,000ფე-დან 52,000ფე-მდე დიაპაზონში.

საწარმო ადგენს, რომ საბაზრო მიდგომით განსაზღვრული დიაპაზონის უდიდესი ბოლო მნიშვნელობა არის რეალური ღირებულების ყველაზე რეპრეზენტაციული მაჩვენებელი და, მაშასადამე, საწარმომ მეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს საბაზრო მიდგომის შედეგებს. ამგვარი გამოთვლა ეყრდნობა **შედარებით სუბიექტურ ამოსავალ მონაცემებს**, რომლებიც ითვალისწინებს მოცემულ მანქანა-დანადგარსა (გადაკეთებულ მდგომარეობაში) და ანალოგიურ მანქანა-დანადგარებს შორის შესადარისობის ხარისხს. კერძოდ:

ა) საბაზრო მიდგომაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები (ანალოგიური მანქანა-დანადგარების კოტირებული ფასები) საჭიროებს ცოტა და ნაკლებად სუბიექტურ კორექტირებას, ვიდრე დანახარჯების მიდგომაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები;

ბ) საბაზრო მიდგომით განსაზღვრული დიაპაზონი ნაწილობრივ ემთხვევა, თუმცა უფრო ვიწროა, ვიდრე დანახარჯების მიდგომის მეშვეობით განსაზღვრული დიაპაზონი;

გ) ამ შემთხვევაში რეალური ღირებულების დიაპაზონის ფარგლებში არ არსებობს აუხსნელი განსხვავებები (მოცემულ მანქანა-დანადგარსა და ანალოგიურ მანქანა-დანადგარებს შორის).

შესაბამისად, საწარმო დაადგენს, რომ მანქანა-დანადგარის რეალური ღირებულება არის 48,000 ფე.

3. გაუფასურების კონცეფცია

აქტივების საბალანსო ღირებულება უნდა ასახავდეს მათგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს. დროთა განმავლობაში შესაძლებელია გაუარესდეს აქტივების „ხარისხი“ და შედეგად შემცირდეს მისაღები ეკონომიკური სარგებელი. ამისი მიზეზია აქტივების ფიზიკური დაზიანება, მორალური მოძველება, საბაზრო ფასების დაცემა, საპროცენტო განაკვეთების ზრდა და სხვა.

ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ თანახმად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა განსაზღვროს, **არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ**. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია ჩაატაროს ტესტირება აქტივების გაუფასურებაზე. ასევე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გაუფასურებაზე, საწარმო ვალდებულია **გაუფასურებაზე ყოველწლიურად შეამოწმოს**:

- ა) განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები;
- ბ) არამატერიალური აქტივი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი გამოსაყენებლად (ჯერ გამოუყენებადია);
- ბ) საწარმოთა გაერთიანების დროს წარმოქმნილი გუდვილი.


გაუფასურების ტესტირების სიხშირე და მიზეზები **წარმოდგენილია** სქემის სახით.

გაუფასურების კონცეფციით აქტივები გაუფასურებულია, თუ საწარმო ვერ ამოიღებს აქტივების საბალანსო ღირებულებას მათი გამოყენებით ან გაყიდვით. ამ კონცეფციით ხდება სიფრთხილის და წინდახედულების პრინციპის (principle of prudence and caution) რეალიზება: აქტივები და შემოსავლები არ უნდა იქნეს გადაჭარბებულად, ხოლო ხარჯები და ვალდებულებები – შემცირებულად შეფასებული. ამისათვის აქტივები უნდა შემოწმდეს გაუფასურებაზე.

აქტივების გაუფასურების აღიარების ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ აქტივების საბალანსო ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ტესტირების მიზანია იმის დაზუსტება, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. თანხა, რომელითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას არის **გაუფასურების ზარალი**. **ანაზღაურებადი ღირებულება** არის უდიდესი აქტივის წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. აქტივის **გამოყენების ღირებულება** არის აქტივიდან ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება. ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული არის აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომლის უწყვეტად გამოყენების შედეგად ხდება ფულადი ნაკადების მიღება. ანაზღაურებადი ღირებულება გვიჩვენებს, თუ რა უფრო მომგებიანია საწარმოსათვის – აქტივის გამოყენება თუ გაყიდვა

ბასს 36 გამოიყენება შემდეგი კატეგორიის აქტივებისათვის: ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, გუდვილი, ფინანსური ლიზინგი, ფინანსური აქტივები – ინვესტიციები შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. ამდენად, სტანდარტი გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა აქტივის გაუფასურების ბუღალტრული აღრიცხვისას, გარდა:

- ა) მარაგის (იხ. ბასს 2 – „მარაგები“);
- ბ) სახელშეკრულებო აქტივებისა და ასევე აქტივებისა, რომლებიც წარმოიქმნება იმ ხელშეკრულებების მოპოვებასთან ან შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯებიდან, რომლებიც აღიარდება ფასს 15-ის - „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ - შესაბამისად;
- გ) გადავადებული საგადასახადო აქტივების (იხ. ბასს 12 – „მოგებიდან გადასახადები“);



- დ) დაქირავებულ პირთა დახმარებების შედეგად მიღებული აქტივების (იხ. ბასს 19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“);
- ე) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც განეკუთვნება ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მოქმედების სფეროს;
- ვ) რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების (იხ. ბასს 40 – „საინვესტიციო ქონება“);
- ზ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იმ ბიოლოგიური აქტივების, რომლებიც განეკუთვნება ბასს 41-ის - „სოფლის მეურნეობა“ - მოქმედების სფეროს და შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით;
- თ) გადავადებული შეძენის დანახარჯებისა და არამატერიალური აქტივების, რომლებიც წარმოიქმნება, ფასს 4-ის - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - მოქმედების ფარგლებში, სადაზღვევო ხელშეკრულებებში მზღვეველის სახელშეკრულებო უფლებებიდან; და
- ი) ფასს 5 – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - მიხედვით, გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივებისა (ან გამსვლელი ჯგუფებისა).

წინამდებარე სტანდარტი არ ეხება მარაგს, სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგად მიღებულ აქტივებს, გადავადებულ საგადასახადო აქტივებს, დაქირავებულ პირთა დახმარებების შედეგად მიღებულ აქტივებს ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივებს (ან აქტივებს, რომლებიც შეტანილია გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში), რადგან ამჟამად არსებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ეხება ზემოთ ჩამოთვლილ აქტივებს, შეიცავს მათი აღიარებისა და შეფასების სპეციფიკურ მოთხოვნებს.

ეს სტანდარტი ეხება **ფინანსურ აქტივებს**, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც:

- ა) შვილობილი საწარმოები, ფასს 10-ში - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ - მოცემული განმარტების შესაბამისად;
 - ბ) მეკავშირე საწარმოები, ბასს 28-ში - „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ - მოცემული განმარტების შესაბამისად; და
 - გ) ერთობლივი საწარმოები, ფასს 11-ში - „ერთობლივი საქმიანობა“ - მოცემული განმარტების შესაბამისად.
- სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის იხილეთ ფასს 9.

4. ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ფინანსური ინფორმაციის საიმედოობის ხარისხის ასამაღლებლად ფასს-ი მოითხოვს ფინანსური ინფორმაციის წარდგენას ფულის დროითი ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ფულის დროითი ღირებულების თეორია ეფუძნება დაშვებას, რომ ფულმა უნდა გამოიმუშავოს შემოსავალი (პროცენტი) და ამიტომ ფულის ღირებულება დღეს უფრო მაღალია, ვიდრე მომავალში მისაღები ფულის იგივე რაოდენობა. სხვაგვარად, დღევანდელი ფული უფრო ფასეულია, ვიდრე მომავალი, ვინაიდან „მომავალი“ ფულის მიღებამდე „დღევანდელი“ ფული დაიწყებს შემოსავლების გამომუშავებას.

ფულის დროითი ღირებულება ასახავს ფულის ღირებულების ცვლილებას დროის თვალსაზრისით და ამიტომ ფინანსურ გარიგებებში გაითვალისწინება ფულის დროითი ღირებულების ფაქტორი. ამისათვის დროის სხვადასხვა პერიოდების ფულადი ნაკადები შესაბამისი კორექტირებებით გადაიყვანება ერთ რომელიმე პერიოდში: მომავალში ან დღევანდელში. კერძოდ, დისკონტირების კოეფიციენტების გამოყენებით გადინებული (ინვესტირებული) და შემოდინებული ფულადი ნაკადები (ინვესტიციიდან მიღებული შემოსავლის) გადაყვანა ერთ პერიოდში.

ფასს-ებში მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (ფასს 9), საიჯარო აქტივების (ფასს 16), გადავადებული გადახდების (ბასს 12) შეფასებას

დღევანდელი და არა ნომინალური ღირებულებით. დისკონტირება უნდა მოხდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური ინსტრუმენტი (ბასს 32 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“) არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს **წილობრივი ინსტრუმენტი** არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.

ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი კატეგორიაა **სესხები და მოთხოვნები**. ეს არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ამ ტიპის ფინანსური ინსტრუმენტები, როგორც წესი, წარმოიქმნება საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს. ასეთი ინსტრუმენტები თავდაპირველად უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“-ის თანახმად ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო ამონაგები (მოთხოვნები, საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი ინვესტიციები, გრძელვადიანი სესხები) საწყისი შეფასების შემდგომ, საწარმომ უნდა შეაფასოს ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელად, ასევე საპროცენტო ამონაგების ან საპროცენტო ხარჯების მიკუთვნებისა და აღიარებისთვის მოგებაში ან ზარალში შესაბამისი პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო ამონაგების ან საპროცენტო ხარჯების მიკუთვნებისა და აღიარებისთვის უნდა მოხდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** (*effective rate*) არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში,

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს საწარმომ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის (როგორცაა, მაგალითად წინასწარ გადახდის, ვადის გაგრძელების, გამოხმობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მსგავსი შესაძლებლობები) გათვალისწინებით

დისკონტირების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი ნომინალური ღირებულებისაგან. ფულის დროითი ღირებულების თეორიის თანახმად სხვადასხვა დროს ერთი და იგივე გაცემულ (მიღებულ) თანხას განსხვავებული ღირებულება აქვს ორი მიზეზის გამო: 1) თანხების ამოღებასთან დაკავშირებული რისკები; 2) ალტერნატიული ინვესტიციების შესაძლებლობა.

მაგალითად, თუ საწარმომ შეიძინა აქტივები ჩვეულებრივი ფასებით, მაგრამ მიიღო შეთანხმება თანხების გადახდის მნიშვნელოვანი გადავადების შესახებ, მაშინ მან ჩვეულებრივ ფასებზე დაბალი ფასით შეიძინა აქტივები. ხოლო თუ მოახდინა აქტივების რეალიზაცია გადახდის მნიშვნელოვანი გადავადებით, მაშინ რეალიზაცია განხორციელდა დაბალი ფასებით. ფას-ის თანახმად ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უნდა აისახოს არა ნომინალური ღირებულებით, არამედ დღევანდელი ღირებულებით, ხოლო მათ შორის სხვაობა გავლენას ახდენს ფინანსურ შედეგებზე.

დისკონტირება გავლენას ახდენს აღრიცხვის ობიექტის საბალანსო ღირებულებაზე და შესაბამისად ცვლის საწარმოს ფინანსურ შედეგს. კერძოდ, **აწონასწორებს აქტივების (ვალდებულებების) საბალანსო ღირებულებას და მომავალში გადასახდელ (მისაღებ) ფულად ნაკადებს.** მისი გამოყენებით გაიანგარიშება აქტივების (ვალდებულებების)

საბალანსო ღირებულება მომავალში გადასახდელი (მისაღები) ფულადი ნაკადების მიხედვით.

ბანკის მიერ დეკლარირებული (ნომინალური) საპროცენტო განაკვეთი განსხვავდება მსესხებლის მიერ ფაქტობრივად გადასახდელი ძირითადი და საპროცენტო თანხისაგან და ითვალისწინებს დამატებით თანხების გადახდას. ეს არის სესხის დამტკიცებისა და მომსახურების სხვადასხვა საკომისიო თანხები: სესხის მიღების; საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოების; გირავნობით გადაცემული ქონების შეფასების; სახელმწიფო რეგისტრაციის; დაზღვევის; სესხის გაცემის და სხვა.

ამდენად, მსესხებელი რეალურად იხდის ნომინალურ განაკვეთზე მეტს და საჭირო ხდება რეალური საპროცენტო განაკვეთის დადგენა, ანუ წლიური საპროცენტო განაკვეთის ყველა გადასახადების გათვალისწინებით. ასეთი რეალური საპროცენტო განაკვეთია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

სესხით სარგებლობისათვის ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ხდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული შეფასებული ფულადი ნაკადების დისკონტირება მოცემული ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, გამოთვლისას გაითვალისწინება გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო და მოსაკრებელი, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები და ყველა საკომისიო ან ფასდაკლება.

სხვაგვარად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ასახავს კრედიტის სრულ ღირებულებას, ვინაიდან ნომინალური საპროცენტო განაკვეთის გარდა გაანგარიშებაში ჩართულია კრედიტის გაფორმებისა და მომსახურების ხარჯები. ამ განაკვეთის გამოყენებით შესაძლებელია რეალური შემოსავლების (გამსესხებლისათვის) და ხარჯების (მსესხებლისათვის) დაანგარიშება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელ ან მისაღებ ფულადი ნაკადების ზუსტს დისკონტირებას, ამიტომ მნიშვნელოვანია განაკვეთის შერჩევა. განაკვეთი განსხვავებულია სხვადასხვა საწარმოებში და სხვადასხვა ოპერაციებისათვის და დამოკიდებულია დისკონტირების ობიექტზე და

მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე. საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი, ანალოგიური კრედიტუნარიანობის საბაზრო განაკვეთია – საბაზრო განაკვეთი დაკორექტირებული ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის დამახასიათებელი რისკებით. ასე, დებიტორული დავალიანების დისკონტირების განაკვეთი შეესაბამება იმ საპროცენტო განაკვეთს, რომლითაც მოცემულ კონტრაგენტს შეეძლო ანალოგიური პირობებით სესხის მიღება. კრედიტორული დავალიანების დისკონტირების განაკვეთი შეესაბამება იმ განაკვეთს, რომლითაც მსესხებელი ანალოგიური პირობით მიიღებდა სესხს.

როგორც უკვე აღინიშნა, ისეთი ფინანსური აქტივები, რომელიც ფლობილია საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, მოთხოვნები და ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეფასდეს **გარიგების დღეს არსებული რეალური ღირებულებით**, ხოლო შემდგომში – **ამორტიზებადი ღირებულებით**. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებადი ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და მინუს (უშუალოდ ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი ან ამოუღებლობის ნებისმიერი დანაკარგები. სხვაგვარად, სხვაობა **ფინანსური ინსტრუმენტის** თავდაპირველად აღიარებულ (დისკონტირებულ) ღირებულებასა და ფაქტობრივად გადასახდელ (მისაღებ) თანხას შორის ამორტიზირდება სასესხო პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ოპერაციების იურიდიულ ფორმაზე ეკონომიკური შინაარსის უპირატესობის პრინციპის დაცვას. ფინანსური მაჩვენებლების შეფასება ფულის დროითი ღირებულების გავლენის

გათვალისწინებით ამაღლებს ფინანსური ანგარიშგების შესადარისობას და შესაძლებლობებს იძლევა საინვესტიციო და მმართველობითი ანალიზისათვის.

5. ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის იურიდიულ ფორმაზე უპირატესობის პრინციპი

მხოლოდ სამართლიან ინფორმაციას შეიძლება ენდოს მომხმარებელი, რადგან ის სრულად და სამართლიანად ასახავს რეალურ ვითარებას. მაგრამ, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის გარკვეული ნაწილი დაკავშირებულია არასამართლიანი წარდგენის რისკთან. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია შესაფასებელი ოპერაციებისა და მოვლენების განსაზღვრის თანდაყოლილი სირთულით და, მეორეს მხრივ, დაკავშირებულია შეფასებისა და წარდგენის მეთოდოლოგიის შემუშავებასა და გამოყენებასთან.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის ერთ-ერთი პრინციპია ეკონომიკური შინაარსის ფორმაზე იურიდიულ აღმატებულობის პრინციპი. ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენად გათვალისწინებული ინფორმაცია სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ აუცილებელია აისახოს შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის, და არა მხოლოდ მათი სამართლებრივი ფორმის შესაბამისად. სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ეკონომიკური შინაარსი ყოველთვის არ შეესაბამება მის სამართლებრივ ფორმას. ამასთან, ხშირად ოპერაციები თავისი შინაარსით არის რთული, ნათლად არ ჩანს გარიგების ჭეშმარიტი შინაარსი და, აქედან გამომდინარე, ძნელია ოპერაციების კომერციული შედეგების დადგენა. მაგალითად, ერთმა საწარმომ გადასცა მეორეს აქტივი საკუთრების უფლებით. მაგრამ, ხელშეკრულების თანახმად, პირველი საწარმო განაგრძობს ამ აქტივის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებლის ნაწილის მიღებას. ასეთ პირობებში აქტივის გაყიდვის ოპერაციის აღრიცხვა მისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით არ იქნება მისი ნამდვილი შინაარსის შესაბამისი.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სამართლიანი წარდგენა შესაძლებელია თუ ოპერაცია აისახება ეკონომიკური შინაარსით და არა სამართლებრივ (იურიდიული) ფორმით. როდესაც ოპერაცია აისახება მხოლოდ იურიდიული ფორმის და არა შინაარსის მიხედვით, შესაძლებელია ბალანსში ვერ აისახოს ყველა აქტივები და ვალდებულებები. ზოგიერთ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობას აწყობს ფინანსური ანგარიშგების დამახინჯება, რადგან შესაძლებელია მიღებული სესხის ასახვა ე.წ. „ბალანსგარეშე დაფინანსების სქემით“ და არა ვალდებულებების სახით ბალანსში; მოახდინოს მოგების გაუმჯობესება, ანუ „შელამაზება“, ან კიდევ როგორც უწოდებენ „მოსწორება“. ნასესხი კაპიტალის „დამალვა“ იძლევა ეკონომიკური მაჩვენებლების „გაუმჯობესების“ საშუალებას: დაბალია ლევერეჯი, მაღალია ლიკვიდურობა, შემოსავალი ერთ აქციაზე და კაპიტალის უკუგების მაჩვენებლები, რასაც, საბოლოოდ, მიყვავართ ფინანსური მდგომარეობის არასწორ ინტერპრეტაციებამდე.

როდესაც ოპერაციის შინაარსი განსხვავებულია ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმისაგან, უნდა დადგინდეს ის ნიშნები, რითაც განისაზღვრება ოპერაციის შინაარსი და შემდეგ მოხდეს მათი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. სამეურნეო ოპერაციის შინაარსის განსაზღვრა ნიშნავს დავადგინოთ, მომხდარი ოპერაცია თავისი შინაარსით არის გაყიდვა, დაფინანსება (სესხის აღება), კაპიტალის წილის შექმნა, ფინანსური იჯარა, დებიტორული დავალიანების ფაქტორინგი თუ სხვა.

ბასს 1-ში - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, მითითებულია, რომ ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების კეთილსინდისიერად ასახვას, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. იგულისხმება, რომ ფასს-ის გამოყენებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, საჭიროების

შემთხვევაში, დამატებით განმარტებებთან ერთად, აკმაყოფილებს სამართლიანი წარდგენის კრიტერიუმებს.

საწარმომ, რომლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების შესაბამისად, ნათლად და უპირობოდ უნდა განაცხადოს ამის შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებას არ უნდა უწოდოს ფასს-ის შესაბამისი, თუ იგი არ შეესაბამება ფასს-ის ყველა მოთხოვნას.

სათანადო ფასს-თან შესაბამისობით, ფაქტობრივად, ნებისმიერ შემთხვევაში მიიღწევა ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენა. სამართლიანი წარდგენა ასევე მოითხოვს, რომ საწარმომ:

- ა) შეარჩიოს და გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკა ბასს 8-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – შესაბამისად;
- ბ) ინფორმაცია იმდაგვარად წარადგინოს (მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ), რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის შესაბამისობა, საიმედოობა, შესადარისობა და აღქმადობა; და
- გ) უზრუნველყოს დამატებითი განმარტებითი ინფორმაციის მიწოდება, როდესაც ფასს სტანდარტების კონკრეტული მოთხოვნები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მომხმარებელმა აღიქვას ცალკეული ოპერაციისა თუ მოვლენის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე.

ფასს 15 - „ამონაგები მოხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ , მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების აღრიცხვისათვის მოითხოვს მათი პირობების გაანალიზებას, რათა დადგინდეს მათი რეალური ეკონომიკური შინაარსი და შესაბამისად, იდენტიფიცირდეს ამონაგების აღიარების კრიტერიუმი. ერთ-ერთი კრიტერიუმია ხელშეკრულების კომერციული შინაარსი. **ხელშეკრულების კომერციული შინაარსი** ნიშნავს, რომ მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება საწარმოს სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკი.

ამონაგების აღიარების ერთ-ერთი კრიტერიუმია მომხმარებლისათვის აქტივზე კონტროლის გადაცემა. საწარმომ მაშინ უნდა აღიაროს ამონაგები, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო **შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას** დაპირებული საქონლის ან მომსახურების (მაგალითად, აქტივის) მომხმარებლისთვის გადაცემით. აქტივი გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს. ტერმინი **აქტივის კონტროლი** გულისხმობს **მისი პირდაპირი გამოყენების და მისგან პრაქტიკულად მთელი დარჩენილი სარგებლის მიღების უნარს**. კონტროლი მოიცავს იმის შესაძლებლობასაც, რომ სხვა საწარმოებს ხელი შეუშალოს აქტივის გამოყენებასა და მისგან სარგებლის მიღებაში. აქტივის სარგებელი პოტენციური ფულადი ნაკადებია (ფულადი სახსრების შემოსვლის, ან ფულადი სახსრების გასვლის შემცირების სახით), რაც საწარმომ შეიძლება მიიღოს პირდაპირ ან არაპირდაპირ, მრავალი გზით.

როდესაც საწარმო აფასებს, მომხმარებელმა მოიპოვა თუ არა აქტივზე კონტროლი, მან უნდა გაითვალისწინოს აქტივის უკუშესყიდვის ყველა შეთანხმება. ზოგიერთი სასაქონლო ოპერაციის იურიდიული ფორმა განსხვავებულია მისი შინაარსისაგან, რომელთა თანახმად აქტივი იურიდიულად ასახულია როგორც გაყიდული, ან, პირიქით, როგორც დროებით გადაცემული, მაშინ როდესაც შინაარსობრივად ეს ასე არ არის. ასევე, წარმოიქმნება გარკვეული იურიდიული და კომერციული გაუგებრობა, როდესაც ხდება საქონლის მიწოდება სხვადასხვა პირობით: გაყიდვისა და უკუშესყიდვის პირობით. მაგალითად, ფორვარდით, ქოლ და ფუთ ოფციონით), კონსიგნაციით დილერებსა და დისტრიბუტორებზე, საბაზროზე მაღალ ან დაბალ ფასებში, გარკვეული პირობების შესრულებით. გარიგების ყველა ასეთი პირობის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს გარიგების ჭეშმარიტი ეკონომიკური შინაარსი.

საწარმოში, რომელიც ვაჭრობს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობით, გაყიდვა შეიძლება მოხდეს უკუშესყიდვის შეთანხმებით. გაყიდვისა და უკუშესყიდვის შეთანხმების მიხედვით ერთი მხარე აქტივს ჰყიდის ისეთი პირობით, რომელიც გამყიდველს აძლევს უკუშესყიდვის უფლებას რომელიმე მომავალი თარიღისათვის

წინასწარგანსაზღვრული ფასით. უკუშესყიდვის შეთანხმებას შეიძლება მრავალი ფორმა ჰქონდეს, მაგალითად, უპირობო ვალდებულება ორივე მხარისათვის, ქოლ ოფციონი ან ფუთ ოფციონი. უკუშესყიდვის (ოფციონის) ფასი ცვალებადია და დამოკიდებულია საწყის ფასსა, აქტივის ფლობის პერიოდის ხანგრძლივობასა, საბაზრო ფასის ცვლილებასა და სხვა ფაქტორებზე.

უკუშესყიდვის შეთანხმება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად საწარმო ყიდის აქტივს და, ამასთან (იმავე ხელშეკრულების ან სხვა ხელშეკრულების ფარგლებში), იძლევა აქტივის უკუშესყიდვის პირობას, ან იძენს ამ აქტივის უკუშესყიდვის უფლებას (ოფციონი). როგორც წესი, უკუშესყიდვის შეთანხმებებს ერთ-ერთი შემდეგი ფორმა აქვს:

- ა) **ფორვარდი - საწარმოს ვალდებულება**, განახორციელოს აქტივის უკუშესყიდვა;
- ბ) **ქოლ-ოფციონი - საწარმოს უფლება**, განახორციელოს აქტივის უკუშესყიდვა; და
- გ) **ფუთ-ოფციონი - საწარმოს ვალდებულება**, განახორციელოს აქტივის უკუშესყიდვა მომხმარებლის მოთხოვნით.

გაყიდვისა და უკუშესყიდვის შეთანხმებების ასახვისათვის მთავარია იმის დადგენა ოფციონი რეალურია თუ არა. თუ აშკარაა ოფციონის განხორციელება, მაშინ თავისი არსით ეს ოპერაცია არის კრედიტორისათვის სესხის დაბრუნება. სესხის უკუშესყიდვის ფასი დაფარავს თავდაპირველი „გაყიდვიდან ამონაგებს“ და მყიდველს მისცემს უკუგებას გამყიდველზე გასესხებული სახსრებიდან. ამდენად, რეალური ოფციონი არის დაფინანსების ოპერაცია და ასეც უნდა აისახოს. როდესაც პრაქტიკულად ნათელია ან მაღალია იმის ალბათობა, რომ ოფციონი არ განხორციელდება, ანუ საქმე გვაქვს არარეალურ ოფციონთან, ასეთი ოფციონი არ უნდა განიხილებოდეს შინაარსის შესაფასებლად.

მაგალითი 4. უზრუნველყოფილი სესხი.

საწარმომ მიჰყიდა შენობა ბანკს 800 ათას ლარად, რომლის საბაზრო ღირებულება 1,300 ათასი ლარია. საწარმოს აქვს ფუთ-ოფციონი (ვალდებულება) – სამი წლის შემდეგ უკან შეისყიდოს შენობა, ოფციონის ფასია: გაყიდვის

თავდაპირველი ფასი პლიუს ყოველწლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 13%-ის ოდენობით, ხოლო ოფციონის ვადაზე ადრე განხორციელების შემთხვევაში – ჯარიმა შენობის შეძენის ფასის 1%-ის ოდენობით.

გარიგების პირობებიდან გამომდინარე, აშკარაა რომ ოფციონი განხორციელდება და შინაარსით ეს არის შენობით უზრუნველყოფილი სესხი და ასეც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღიარების კრიტერიუმები გამოიყენება ცალკე, თითოეული ოპერაციის მიმართ. ხოლო, ზოგჯერ აუცილებელია მათი ცალ-ცალკე გამოყენება ერთი და იმავე ოპერაციის დამოუკიდებელი კომპონენტების მიმართ, რათა **დადგინდეს ოპერაციის რეალური ბუნება**. მაგალითად, თუ საქონლის სარეალიზაციო ფასში შედის შემდგომი მომსახურების ზუსტად განსაზღვრული თანხა, ეს უკანასკნელი ცალკე გამოიყოფა და მისი შემოსავლების სახით აღიარება მოხდება აღნიშნული მომსახურების შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში. შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ აღიარების კრიტერიუმების გამოყენება საჭირო იყოს ერთდროულად ორი ან მეტი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოპერაციის მიმართ, **თუ შეუძლებელია ამ ოპერაციებიდან მიღებული კომერციული შედეგების გამოცალკევება**. მაგალითად, შესაძლოა საწარმომ გაყიდოს საქონელი, მაგრამ გარიგება ასევე ითვალისწინებდეს ამავე საქონლის დაბრუნების უფლებას გარკვეული პერიოდის შემდეგ. ცხადია, ასეთი გარიგებით ანუ-ლირდება ოპერაციის რეალური შედეგი და ამიტომ, ეს ორი ოპერაცია ერთად უნდა იქნეს განხილული. მაგალითად, საქონელის/მომსახურების გაყიდვა ბონუსით, აძლევს მყიდველებს უფლებას შემდგომი შესყიდვების დროს ქულები გაცვალონ საქონელზე/მომსახურებაზე, რომელსაც მიიღებენ უფასოდ ან ფასდაკლებით, პროგრამის პირობების შესაბამისად. მყიდველი ერთდროულად ყიდულობს ორ პოზიციას – საქონელს/მომსახურებას და მომავალ შენაძენზე ფასდაკლების უფლებას. ამდენად, ბონუსური/საპრიზო ქულები არის კომერციული ოპერაციის ცალკე იდენტიფიცირებადი ელემენტი. ფასს 15 მოითხოვს მყიდველებისაგან მიღებული

ანაზღაურების დაყოფას ორ კომპონენტად – საქონლის/მომსახურების თანხად და ბონუსურ ერთეულებად. პირველი კომპონენტი უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის ამონაგებად, ხოლო მეორე გადავადებულ ვალდებულებად, რომლის ამონაგებად აღიარება უნდა გადავადდეს იმ დრომდე, ვიდრე კომპანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

მაგალითი 5. საქონლის გაყიდვა და ბონუსური ქულების დაგროვება

ჰიპერმარკეტის კლიენტებს ლოიალობის პროგრამის მიხედვით ყოველ შენაძენზე ერიცხებათ ქულების სათანადო რაოდენობა, რაც მათ აძლევთ დაგროვილი ქულების ფარგლებში უფასოდ საქონლის მიღების უფლებას. ქულების მოქმედების ვადაა დარიცხვიდან სამი წლის განმავლობაში.

ჰიპერმარკეტის მიმდინარე თვის ნავაჭრია 570,000 ლარი, რაზედაც დარიცხულია 30,000 ლარის ბონუსური ქულები.

ჰიპერმარკეტს კლიენტების ლოიალობის პროგრამით საქონლის რეალიზაციის დროს წარმოექმნება მომავალში ბონუსური ქულებით საქონლის უფასოდ მიწოდების ვალდებულება. საქონლის რეალიზაციით მიღებული თანხა უნდა განაწილდეს ორ კომპონენტად - მიმდინარე პერიოდის ამონაგებად და გადავადებულ ვალდებულებად შემდეგი ოდენობით:

შესასრულებელი ვალდებულება	განცალკევებით გასაყიდი ფასი		გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე (ლარი)
	ლარი	%	
საქონლის მიწოდება	570,000	95	541,500 (570,000*95%)
საკონტრაქტო ვალდებულება (ბონუსური ქულები)	<u>30,000</u>	<u>5</u>	28,500 (570,000*5%)
	600,000	100	100,000

ამდენად, მიმდინარე თვის ამონაგები რეალიზაციიდან შეადგენს 541,500 ლარს, ხოლო შესასრულებელი საკონტრაქტო ვალდებულება - 28,500 ლარს.

შესაძლებელია მარაგების ფლობის რისკები და სარგებლი მყიდველს გადაეცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკუთრების უფლების გადაცემამდე. ასეთი ოპერაციების ასახვისათვის კვლავ განმსაზღვრელია მათი კომერციული და არა იურიდიული შინაარსი – აქტივები აღიარდება მაშინ, როდესაც გადაცემულია მათი კონტროლის უფლება - ფლობის რისკები და სარგებელი.

ამდენად, მთავარია იმის გარკვევა – ვისზეა გადაცემული რეალური ფლობის უფლება და შესაბამისად, ეკონომიკური სარგებელი და მასთან დაკავშირებული რისკები. როდესაც ოპერაციის შედეგად სამეურნეო ერთეულს გადაეცემა ყველა მნიშვნელოვანი უფლება აქტივთან დაკავშირებულ სარგებელსა და ამ სარგებლისათვის დამახასიათებელ რისკებზე, უნდა მოხდეს აქტივისა და ვალდებულების აღიარება.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად **აქტივი** არის ეკონომიკური რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად. **ეკონომიკური რესურსი** არის უფლება, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი. ხოლო, **ეკონომიკური სარგებელი** არის უფლება, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი⁵.

საწარმო იმ შემთხვევაში **აკონტროლებს** ეკონომიკურ რესურსს, თუ მას უკვე გააჩნია მიმდინარე (ძალაში შესული) შესაძლებლობა, განსაზღვროს ეკონომიკური რესურსის გამოყენების წესი და მიიღოს ეკონომიკური სარგებელი, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ ეკონომიკური რესურსიდან. კონტროლი მოიცავს მიმდინარე (ძალაში შესულ) შესაძლებლობასაც, ხელი შეუშალოს სხვა მხარეებს ეკონომიკური რესურსის გამოყენების წესის განსაზღვრასა და იმ ეკონომიკური სარგებლის მიღებაში, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ ეკონომიკური რესურსიდან. ეს იმას გულისხმობს, რომ თუ რომელიმე

⁵ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. პ.4.4-4.5. 2020.

ერთი მხარე აკონტროლებს ეკონომიკურ რესურსს, ვერც ერთი სხვა მხარე ვერ გააკონტროლებს ამ რესურსს⁶.

ამდენად, **კონტროლი** არის აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოპოვებისა და სხვებისათვის ამ სარგებლის შეზღუდვის უნარი.

მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოდის სხვადასხვა გზით. მაგალითად:

- ა) შეიძლება აქტივის გამოყენება ცალკე ან სხვა აქტივებთან ერთად, საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევის პროცესში;
- ბ) შეიძლება აქტივის გაცვლა სხვა აქტივზე;
- გ) შეიძლება აქტივის გამოყენება ვალდებულების დასაფარავად;
- დ) შეიძლება აქტივის განაწილება საწარმოს მესაკუთრეთა შორის.

ამდენად, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივი უნდა აღიარდეს, როდესაც:

- არის ეკონომიკური რესურსი;
- საწარმო აკონტროლებს მას წარსული მოვლენების შედეგად;
- ამ აქტივების გამოყენებით შესაძლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

ფაქტობრივად მოპოვებული ეკონომიკური სარგებელი ყოველთვის არ შეესაბამება მოსალოდნელს და ამდენად, სარგებლის მოპოვების უნარი ექვემდებარება რისკებს. **რისკი** არის მოსალოდნელი შემოსავლების შემცირების ან გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოქმნის შესაძლებლობა (ალბათობა). რისკის წარმოქმნის მიზეზებია ეკონომიკური მოვლენების განუსაზღვრელობა, რაც ვლინდება შემოსავლების შემცირებაში, ქონებისა და ფულადი სახსრების დაკარგვაში. საწარმოს კონტროლს არ ექვემდებარება ისეთი რისკ-ფაქტორები, როგორცაა: საბანკო საპროცენტო განაკვეთი, ბაზარზე საქონლის მოთხოვნა, ფასებისა და უცხოური

⁶ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. პ.4.20. 2020.

ვალუტის კურსის ცვლილება, კონკურენტული გარემო, ეკონომიკის სტაბილურობა და სხვა.

ვალდებულება არის საწარმოს ეკონომიკური რესურსების გადაცემის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად⁷. როდესაც საწარმოს არ შეუძლია თავიდან აიცილოს რესურსების გასვლა, მას წარმოექმნება მოვალეობა, რომელიც საიმედოდ უნდა იყოს შეფასებული. ამდენად, ვალდებულება, აღიარდება თუ:

- არსებობს მიმდინარე მოვალეობა;
- წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად;
- ითვალისწინებს ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კონსიგნაციის⁸ შეთანხმებები (ფასს 15, დანართი 877-78)


როდესაც საწარმო სხვა მხარეს (მაგალითად, დილერს ან დისტრიბუტორს) აწვდის პროდუქციას საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვის მიზნით, საწარმომ უნდა შეაფასოს, აღნიშნულმა სხვა მხარემ მოიპოვა თუ არა პროდუქციაზე კონტროლი დროის მოცემულ მომენტში. სხვა მხარისთვის მიწოდებულ პროდუქციას შეიძლება კონსიგნაციის შეთანხმებით ფლობდეს ეს მხარე, თუ მას არ მოუპოვებია კონტროლი მოცემულ პროდუქციაზე. შესაბამისად, საწარმომ სხვა მხარისთვის პროდუქციის მიწოდებისას არ უნდა აღიაროს ამონაგები, თუ აღნიშნული მხარე პროდუქტს კონსიგნაციის შეთანხმების ფარგლებში ფლობს.

კონსიგნაციის შეთანხმების არსებობის ინდიკატორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება შემდეგი ნიშნები:

⁷ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. 3.4.2. 2020.

⁸ consignatio - წერილობითი მტკიცებულება, დოკუმენტი. საქონლის საკომისიო გაყიდვის ფორმა, რომლის დროსაც კონსიგნატი საქონელს გადასცემს კონსიგნატორს, რათა მან თავისი საწყობიდან მოახდინოს რეალიზაცია. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

- ა) საწარმო პროდუქტს აკონტროლებს მანამ, სანამ არ მოხდება გარკვეული მოვლენა, როგორცაა, მაგალითად, პროდუქციის მიყიდვა დილერის მომხმარებლისთვის, ან კონკრეტული პერიოდის გასვლამდე;
- ბ) საწარმოს შეუძლია პროდუქტის დაბრუნების ან პროდუქტის მესამე მხარისთვის (როგორცაა, მაგალითად სხვა დილერი) გადაცემის მოთხოვნა; და
- გ) დილერს არ გააჩნია პროდუქციისთვის გადახდის უპირობო ვალდებულება (თუმცა, მას შეიძლება მოეთხოვებოდეს გარკვეული ოდენობის დეპოზიტის გადახდა).



მაგალითი 6. საქონლის გაყიდვა კონსიგნაციის პირობით

პარფიუმერიით მოვაჭრე საწარმომ თავის დილერს თებერვალში კონსიგნაციის წესით გადასცა თვითღირებულებით შეფასებული 120,000 ლარის საქონელი. ხელშეკრულების თანახმად, დილერი საქონელს ყიდის საწარმოს სახელით, მას უფლება არ აქვს შეცვალოს სარეალიზაციო ფასები, საქონლის ღირებულებას იხდის რეალიზაციის შემდეგ. არ არსებობს არანაირი ვალდებულება დილერის მიერ არარეალიზებული საქონლის შესყიდვის შესახებ. დილერის საკომისიო შეადგენს გაყიდვების 5%-ს. დილერმა აღნიშნული საქონლის ნაწილი თებერვალში გაყიდა 23,500 ლარად.

ხელშეკრულების პირობებიდან ირკვევა, რომ საქონელზე საკუთრების უფლება და ფლობის რისკი არის გამყიდველზე და არა დილერზე, რომელიც არანაირ რისკს

არ ეწევა. საწარმომ ამონაგები უნდა აღიაროს თებერვალში 23,500 ლარის ოდენობით, საიდანაც 5% არის დილერის საკომისიო ანაზღაურება. რაც არის მისთვის კომერციული ხარჯი.

ამდენად, სამეურნეო ოპერაციის ასახვა მისი ეკონომიკური შინაარსით ნიშნავს გარიგების შედეგების სწორ (რეალურ) კლასიფიცირებას, მისი გავლენის დადგენას აქტივებსა და ვალდებულებებზე და მათ ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საიმედოობას.

რთული ფინანსური ინსტრუმენტები

ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის შინაარსი შეიძლება განსხვავდებოდეს მისი სამართლებრივი ფორმისაგან. ფინანსური ინსტრუმენტი სამართლებრივი ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ფინანსური ვალდებულება, მაგრამ იძლეოდეს კაპიტალში კომენტირების უფლებას – დროის გარკვეულ პერიოდში მოახდინოს თავისი ინსტრუმენტის გადაცვლა ემიტენტის ჩვეულებრივ აქციებში. ან, პირიქით, შეიძლება იყოს წილობრივი ინსტრუმენტი, მაგრამ იძლეოდეს დროის გარკვეულ პერიოდში გამოსყიდვის უფლებას, ან იყოს შესასრულებლად სავალდებულო.


ვიდრე ემიტენტი მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ელემენტად კლასიფიკაციას, ხელშეკრულება უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული. კერძოდ, ემიტენტმა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის დროს, მხედველობაში უნდა მიიღოს მათი შინაარსი და არა სამართლებრივი ფორმა. ჩვეულებრივ, ფინანსური ინსტრუმენტის შინაარსი და სამართლებრივი ფორმა ერთმანეთს შეესაბამება, თუმცა ყოველთვის არა. მაგალითად, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი იღებს წილობრივი ინსტრუმენტის სამართლებრივ ფორმას, მაგრამ შინაარსით ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო სხვები შეიძლება აერთიანებდეს როგორც წილობრივი ინსტრუმენტების, ასევე ფინანსური ვალდებულებების თვისებებს.

თავი 2. ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა


1. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება
2. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა
 - 2.1. ფინანსური აქტივების აღრიცხვა
 - 2.2. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა
3. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და ჰეჯირება
4. რთული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა
5. ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო ზარალის (გაუფასურების) აღრიცხვა

1. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება

ბასს 32 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენის“ თანახმად ფინანსური ინსტრუმენტები არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს



ფინანსური ინსტრუმენტების სწორი გააზრებისათვის გამოიყენება მათი კიდეც ერთი კლასიფიკაცია - განასხვავებენ პირველად და წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.




წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დამახასიათებელია შემდეგი:



- **ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივებია ნებისმიერი აქტივი, როგორცაა: ფულადი სახსრები; სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი; საწარმოს სახელშეკრულებო უფლება; ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. **წილობრივი ინსტრუმენტი** არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.



საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში **ადიარებს ფინანსურ აქტივს** ან **ფინანსურ ვალდებულებას**, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ხდება ორი ტესტის საფუძველზე:

- ფინანსური აქტივების მართვის „ბიზნესმოდელის“ ტესტი; და
- სახელშეკრულებო „ფულადი ნაკადების მახასიათებლების“ ტესტი.

საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელის ტესტის მიზანია გამოარკვიოს მენეჯმენტის საბოლოო ხედვა და მოლოდინი ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით – ფლობა ვადის ამოწურვამდე, რათა მიღებული იქნეს საკონტრაქტო ფულადი ნაკადები, თუ საწარმო გეგმავს მის გაყიდვას ვადის ამოწურვამდე და რეალური ღირებულების ცვლილებებით შემოსავლების მიღებას, ან კიდევ რაიმე

სხვას. მაგალითად, შესაძლებელია კომპანიის მიზანი იყოს აქტივების ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად და გაყიდვაც, იმის შესაბამისად, თუ რა მდგომარეობა ჩამოყალიბდება ბაზარზე ან თავად კომპანიაში.

კლასიფიკაციის ამ კრიტერიუმის თანახმად, საწარმომ უნდა მოახდინოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელირება, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური აქტივების მიმართ უნდა შემუშავდეს სტრატეგია (მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების დროს გამოყენებული შეხედულებების, მოსაზრებებისა და მსჯელობების გათვალისწინებით) და მოხდეს მისი ფორმალიზება.

ფულადი ნაკადების „ხასიათის“ ტესტის (ე.წ. SPPI)⁹ მიზანია დაადგინოს კონტრაქტით გათვალისწინებულია თუ არა გარკვეულ ვადებში სესხის **მხოლოდ ძირითადი და საპროცენტო თანხის მიღება**; კეთდება თუ არა დაშვება, რომ ბიზნესმოდელი ორიენტირებულია აქტივების შენარჩუნებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელის საფუძველზე ინდივიდუალურად მიიღება გადაწყვეტილება მათი კლასიფიკაციის შესახებ – დგინდება რომელი ბიზნესმოდელის ნაწილია ფინანსური აქტივი. მაგალითად, ფინანსური აქტივი შეიძლება იყოს:

- „საკონტრაქტო ფულადი ნაკადების“ ბიზნესმოდელის ნაწილი (გაცემული სესხები, ობლიგაციები, თამასუქები, დებიტორული დავალიანება), რომელიც იმართება საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- „მოკლევადიანი ლიკვიდურობის მართვის“ მოდელის ნაწილი (ფულადი ეკვივალენტები – ობლიგაციები);
- „სარეზერვო ინვესტიციის“ მოდელის ნაწილი, რომელიც იმართება კომპანიის სტრატეგიის ფარგლებში გრძელვადიანი სტაბილურობის, გადახდისუნარიანობისა

⁹ SPPI (Solely Payments of Principal and Interest) - მხოლოდ ძირითადი და საპროცენტო თანხა

და მაღალი მოგების მიღწევამდე (მაგალითად, აქციების ფლობა განუსაზღვრელი ვადით, რომელიც გაიყიდება ყველაზე ხელსაყრელ დროს – მაღალი მოგების მიღების შემთხვევაში).

ფინანსური აქტივების ბუნების დეტალური შესწავლა და ბიზნესმოდელის თავისებურებების გააზრება უმთავრესია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის დროს. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება მათი აღიარების დროს და რეკლასიფიკაცია ნებადართულია მხოლოდ საწარმოს ბიზნესმოდელის შეცვლის შემთხვევაში.

ტესტირებების შედეგად ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება **3 კატეგორიად**, რომლის თანახმად აქტივები ფლობილია:

- მხოლოდ საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად და/ან გასაყიდად;
- ყველა სხვა დანარჩენი, რომელიც არ მიეკუთვნა წინა კატეგორიებს (მ.შ. ვაჭრობისათვის).

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საფუძვლად ედება მათ შეფასებას. ფინანსური აქტივი შეფასდება **ამორტიზებული ღირებულებით**, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების **ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით**; და


ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს **მხოლოდ ძირი თანხისა** და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს **რეალური ღირებულებით**, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითანხისა და ძირითანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ იგი შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.




ამდენად, აქტივები, რომელიც ფლობილია მხოლოდ ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით; ფულადი ნაკადების მიღების ან გაყიდვის მიზნით ფლობილი აქტივები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ცვლილებების ასახვით, ხოლო ყველა დანარჩენი აქტივები - რეალური ღირებულებით მოგებაში და ზარალში ცვლილებების ასახვით.

✓ **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის:

ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან მისთვის პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან

ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.



საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწოდოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ვაჭრობისათვის ფლობილების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს¹⁰, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა. ამგვარი ვალდებულებების შეფასება ხდება იმის მიხედვით, თუ როგორაა შეფასებული გადაცემული აქტივი - ან ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით;

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულების ემიტენტმა (თუ არ გამოიყენება ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ან (ბ) პუნქტი) ისე როგორც ფინანსური ვალდებულებების, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ხელშეკრულება შემდგომში უნდა შეაფასოს შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით:


- განსაზღვრული ზარალის რეზერვის თანხა; და
- თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებას გამოკლებული ფასს 15-ის პრინციპების შესაბამისად აღიარებული შემოსავლის მთლიანი ოდენობა, როდესაც შესაფერისია.

დ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებისა. ამგვარი ვალდებულება შემდგომში უნდა შეაფასოს შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრული რეზერვის თანხა; და
- თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებას გამოკლებული აღიარებული შემოსავლის მთლიანი ოდენობა.

ე) მყიდველი საწარმოს პირობითი კომპენსაციისა, რომელიც დაკავშირებულია ფასს 3-ის მოქმედების სფეროში მყოფ საწარმოთა გაერთიანებასთან. ამგვარი პირობითი კომპენსაცია შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

¹⁰ მაგალითად, ფაქტორისთვის რეგრესიით გადაცემული დებიტორული დავალიანება.



რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შესაძლებელია იმ ფინანსური ვალდებულებების შეფასება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

- ა) აკმაყოფილებს სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ვალდებულების განმარტებას;
- ბ) თავდაპირველი აღიარებისას, საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭროდ გამიზნულად ჩაითვლება ის ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, რომელიც:

- ა) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ უახლოეს ვადებში გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით;
- ბ) თავდაპირველი აღიარებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან

გ) წარმოებული ინსტრუმენტია (ისეთი წარმოებული ინსტრუმენტების გარდა, რომელიც არის ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება, ან საწარმოს მიერ არის კლასიფიცირებული და ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტია).

- **წილობრივი ინსტრუმენტები**

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითებია არადაბრუნებადი ჩვეულებრივი აქციები, გარკვეული დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტი, გარკვეული ინსტრუმენტი, რომელიც საწარმოს ვალდებულებას აკისრებს, მეორე მხარეს გადასცეს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში, გარკვეული ტიპის პრივილეგირებული აქციები და ვარანტები ან ოფციონები ემიტენტი საწარმოს ფიქსირებული ოდენობის არადაბრუნებადი ჩვეულებრივი აქციების ხელმოწერაზე ან შექმნაზე ფიქსირებული ოდენობის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის სანაცვლოდ. საწარმოს ვალდებულება ფიქსირებული რაოდენობის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებაზე ან შექმნაზე, ფიქსირებული ოდენობის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის სანაცვლოდ წარმოადგენს საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს. თუმცა, თუ ასეთი ხელშეკრულება ითვალისწინებს საწარმოს ვალდებულებას ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემაზე, რომელიც არ არის ხელშეკრულება, რომელიც წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება, იგი ამავე დროს წარმოშობს გამოსყიდვის თანხის დღევანდელი ღირებულების ოდენობის ვალდებულებას. არადაბრუნებადი ჩვეულებრივი აქციების ემიტენტი ოფიციალურად ახორციელებს განაწილებას და იურიდიულად ხდება ვალდებული, აქციონერთა წინაშე ამგვარად რომ მოიქცეს. ეს შეიძლება მოხდეს დივიდენდების გამოცხადების შემდეგ, ან, როცა მიმდინარეობს საწარმოს ლიკვიდაცია და ვალდებულებების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ნებისმიერი აქტივი ნაწილდება აქციონერებზე.

საწარმოს მიერ ქოლ-ოფციონის ან სხვა ანალოგიური ხელშეკრულების შექმნა, რომელიც მას თავისი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის გამოსყიდვის უფლებას აძლევს, ფიქსირებული ოდენობის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის სანაცვლოდ, არ წარმოადგენს საწარმოს ფინანსურ აქტივს. ამის ნაცვლად, ასეთი ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ნებისმიერი კომპენსაცია აკლდება საწარმოს საკუთარ კაპიტალს.

- **ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტის ემიტენტმა ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი შემადგენელი ნაწილების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ფინანსური ვალდებულების, ფინანსური აქტივის ან წილობრივი ინსტრუმენტის სახით, ხელშეკრულების შინაარსისა და ფინანსური ვალდებულების, ფინანსური აქტივისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

როდესაც ემიტენტი ადგენს, ესა თუ ის ფინანსური ინსტრუმენტი წილობრივი ინსტრუმენტია თუ ფინანსური ვალდებულება, ფინანსური ინსტრუმენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი, როდესაც სრულდება ორივე ქვემოთ მოცემული პირობა:

ა) ფინანსური ინსტრუმენტი არ შეიცავს საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულებას:

(i) სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან

(ii) პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები;

ბ) თუ ინსტრუმენტი დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

2. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა


საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, დამატებული ან გამოკლებული გარიგების ის დანახარჯები (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

გარიგების დანახარჯებია წმინდა დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვასთან, ემისიასთან, ან გასვლასთან. წმინდა დანახარჯები ისეთი დანახარჯებია, რომლებიც არ წარმოიქმნებოდა, თუ საწარმო არ შეიძენდა, არ გამოუშვებდა, ან არ გაყიდდა ფინანსურ ინსტრუმენტს.

გარიგების დანახარჯების აღრიცხვა დამოკიდებულია აქტივისა და ვალდებულების შეფასებაზე. როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით, გარიგების დანახარჯები ჩაირთვება აქტივის თავდაპირველ ღირებულებაში, ზრდის აქტივს და ამცირებს ვალდებულებას. როდესაც ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია რეალური ღირებულებით, გარიგების დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯად, მაგალითად კრედიტის გაცემის საკომისიო.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები, პლუს ან მინუს ზემოაღნიშნულ თავდაპირველ თანხასა და დაფარვის ვადის დადგომისას გადასახდელ თანხას შორის სხვაობის დაგროვილი ამორტიზაციის ოდენობა, რომელიც

გამოთვლილია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კორექტირებულია ზარალის რეზერვის გათვალისწინებით.



ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელად გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეს მეთოდი გამოიყენება საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების განისაზღვრისა და აღიარებისთვის მოგებაში ან ზარალში შესაბამისი პერიოდის განმავლობაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ისეთი განაკვეთია, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს საწარმომ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო

პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი; გაანგარიშებაში მხედველობაში უნდა მიიღოს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი ან მიღებული ყველა სახის საზღაური და ერთეული, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯები და ყველა სხვა პრემია და ფასდათმობა.

2.1. ფინანსური აქტივების აღრიცხვა

საწარმომ ფინანსური აქტივი საწყისი აღიარების შემდგომ უნდა შეაფასოს:


- ა) ამორტიზებული ღირებულებით;
- ბ) რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; ან
- გ) რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისაგან მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც:

- ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვის პროცესში (საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა);
- წყდება ფინანსური აქტივის აღიარება;
- ფინანსური აქტივის გაუფასურების შემთხვევაში;
- ფინანსური აქტივის მოდიფიკაციის შემთხვევაში.

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილებების ასახვა დამოკიდებულია მათი აღრიცხვის მეთოდზე. თუ ინსტრუმენტი შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში და ზარალში ასახვით, მისი ღირებულების ცვლილებაც აისახება მოგებაში და ზარალში. ხოლო, თუ ინსტრუმენტი შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მისი ღირებულების ცვლილებაც აისახება სხვა სრულ შემოსავალში. ამავდროულად, ეს ცვლილება გროვდება და აისახება გადაფასების რეზერვის სახელწოდებით კაპიტალის

განაყოფში, ვინაიდან „სხვა სრული შემოსავალი“ თავად არის კაპიტალის ნაწილი. ფასს 9-ით გადაფასების რეზერვის რეკლასიფიკაცია აკრძალულია, ანუ გადატანა მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში ის გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში და კვლავ რჩება კაპიტალში.



✓ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა ნიშნავს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შეძენის ღირებულებასა და დაფარვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვას „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“ (მთელი პერიოდის განმავლობაში – შეძენის თარიღიდან დაფარვის ვადამდე). ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვას საფუძვლად უდევს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება, არის ღირებულება, რომელიც გაანგარიშებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ანუ განაკვეთით, რომელიც ასახავს აქტივისაგან მისაღებ რეალურ შემოსავალს.

აქტივის ამორტიზებული ღირებულება =
 აქტივის მიმდინარე ღირებულება + ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი - გადახდები (ფულადი ნაკადები) ნომინალური საპროცენტო განაკვეთით დარიცხული ძირითადი თანხის და პროცენტის

სხვაობა ეფექტური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთით დარიცხულ თანხას შორის ეწოდება „დაგროვილი ამორტიზაცია“, ის აისახება და გროვდება ფინანსური აქტივის თვითღირებულებაში და მას

$AmCost = PV - \sum CF + AcumAm$

სადაც:

AmCost (Amortised cost) — ამორტიზებული ღირებულება პერიოდის ბოლოს;

PV (Present Value) — მიმდინარე ღირებულება ;

CF (Cash flows) - ფულადი ნაკადები;

AcumAm (Accumulated amortization) — დაგროვილი ამორტიზაცია

განვიხილოთ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივის მაგალითი.

მაგალითი 1. ფინანსური აქტივის (სასესხო ინსტრუმენტის) შეფასება ამორტიზებული ღირებულებით.

საწარმომ მიმდინარე წლის დასაწყისში გასცა სესხი 200,000 ლარი სამი წლით 12%-იანი განაკვეთით. პროცენტი დაიფარება ყოველი წლის ბოლოს, ხოლო ძირითადი თანხა დაიფარება სასესხო ხელშეკრულების ამოწურვისას. სესხის გაფორმების, საკომისიო და შემფასებელთა ანაზღაურებამ შეადგინა 10,000 ლარი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 14,1594 %.

შევაფასოთ წლების მიხედვით ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით.

ცხრილში სათანადო გათვლებით წარმოდგენილია წლების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები: მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით აღიარებული საპროცენტო შემოსავალი (სვ.3), ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახული მიღებული თანხები (სვ.4), ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება (სვ.6).

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება წლების მიხედვით

წ-ლი	ამორტიზებული ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო შემოსავალი			ამორტიზებული ღირებულება წლის ბოლოს (2+3-4) ან 2+5
		აღიარებული [ესგ 0,141594]	მათ შორის		
			მიღებული ფულადი სახსრები სვ.2*12%	ამორტიზაციის თანხა (3-4)	
1	2	3	4	5	6
1	190,000	26,903	24,000	2,903	192,903
2	192,903	27,304	24,000	3,314	196,217
3	<u>196,217</u>	<u>27,783</u>	<u>24,000</u>	<u>3,783</u>	200,000
		82,000	72,000	10,000	

ოპერაციების ასახვა ანგარიშებზე:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებზე	2310		190,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	190,000
	სესხის გაცემა			
	მისაღები პროცენტები	1820		24,000
	მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებზე	2310		2,903
	საპროცენტო შემოსავალი		8110	26,903
	მისაღები პროცენტის აღიარება და აქტივის ამორტიზება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		24,000
	მისაღები პროცენტები		1820	24,000
	პროცენტის მიღება			
2	მისაღები პროცენტები	1820		24,000
	მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებზე	2310		3,314
	საპროცენტო შემოსავალი		8110	27,304
	მისაღები პროცენტის აღიარება და სესხის ამორტიზება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		24,000
	მისარები პროცენტები		1820	24,000
	პროცენტის მიღება			
3	მისაღები პროცენტები	1820		24,000
	მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებზე	2310		3,783
	საპროცენტო შემოსავალი		8110	27,783
	მისაღები პროცენტის აღიარება და სესხის ამორტიზება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		227,783
	მისაღები პროცენტი		8110	27,783
	მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებზე		2310	200,000
	ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა (სესხის დაფარვა)			

ყველა სასესხო ინსტრუმენტი ვერ იქნება შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამის მაგალითია კონვერტირებადი ობლიგაციები, ვინაიდან მისაღები ფულადი ნაკადები მოიცავს პროცენტებს, რომელიც განისაზღვრება

არა მხოლოდ დროითი ფაქტორით, არამედ საკრედიტო რისკებითაც ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთით გაცემული კრედიტები.

✓ **ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით, „სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში“ ასახვით**

ფასს 9-ში განმარტებულია, რომ ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ისეთ ფინანსური აქტივთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, გარდა გაუფასურების შემოსულობების ან ზარალისა და სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებული შემოსულობების ან ზარალისა მანამ, სანამ არ შეწყდება ფინანსური აქტივის აღიარება, ან არ განხორციელდება მისი რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის მომენტში, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება.

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებებით (ნებისმიერი სხვაობა წინა საბალანსო ღირებულებასა და მიმდინარე ანგარიშგებითი პერიოდის

რეალურ ღირებულებას შორის) წარმოიქმნება რეალიზებული და არარეალიზებული მოგება ან ზარალი, რომელიც მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როდესაც ის წარმოიქმნა. რეალიზებული მოგება-ზარალი წარმოიქმნება ფინანსური აქტივის რეალიზაციის (გაყიდვის, დაფარვის) ოპერაციით და აისახება მიმდინარე პერიოდის „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“. არარეალიზებული მოგება-ზარალი არის ისეთი წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებების შედეგი, რომელიც აისახება „სხვა სრულ შემოსავალში“ იქამდე, ვიდრე არ მოხდება მასთან დაკავშირებული წილობრივი ინსტრუმენტის რეალიზაცია.

მაგალითი 2. ფინანსური აქტივის (სასესხო ინსტრუმენტის) შეფასება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (მოგება-ზარალში რეკლასიფიკაციით)

2020 წლის იანვარში სს „გურია“-მ შეიძინა სს „იმერეთი“-ს 1,000 ცალი 1,000 ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები 900 ლარად. ობლიგაციის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 10%, ხოლო ეფექტური - 12%. ობლიგაციები დაიფარება ნომინალური ღირებულებით 2022 წლის 31 დეკემბერს. კომპანიის მენეჯმენტი ვარაუდობს აქტივებისაგან საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გაყიდვას ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად.

2020 წლის 31 დეკემბერს ობლიგაციების რეალური ღირებულება იყო 910 ლარი. 2021 წლის 15 იანვარს კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება ობლიგაციების გაყიდვის შესახებ, ერთი ობლიგაცია გაყიდა 911 ლარად.

წარმოვადგინოთ ამონარიდი 2020 და 2021 წლის ფინანსური ანგარიშგებიდან და ავსახოთ გაყიდვიდან მიღებული შედეგი.

კომპანიის ბეხნეს-მოდელის მიზნებიდან გამომდინარე, ობლიგაციების შემდგომი შეფასება უნდა მოხდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

სათანადო გათვლების შემდეგ ფინანსური ანგარიშგება ასე გამოიყურება:

2020 წელი 31 დეკემბერი	განგარიშგება	ლარი
მოგება-ზარალის ანგარიშგება	საპროცენტო შემოსავალი [900 * 12% = 108]	108
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	მიღებული ფულადი სახსრები [1,000 * 10% = 100]	100
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	აქტივის რეალური ღირებულება [900+108-100]	908
სხვა სრული შემოსავალი	გადაფასების ნამეტი [910-908]	2
2021 წელი 31 დეკემბერი		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	ამონაგების აქტივის გაყიდვიდან	911
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ფინანსური აქტივი	-
სხვა სრული შემოსავალი	გადაფასების ნამეტის რეკლასიფიკაცია მოგება- ზარალში [2-2 = 0]	-
მოგება-ზარალის ანგარიშგება	მოგება აქტივის რეალიზაციიდან [911-910 = 1]	1
	გადაფასების ნამეტის რეკლასიფიკაცია მოგება- ზარალში	2

ოპერაციები აისახება შემდეგი კატარეგებით (გამარტივების მიზნით აისახება ერთ ობლიგაციასთან დაკავშირებული ოპერაციები):

წელი	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
2020წ. 01.01	მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე	2310		900
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	900
	ობლიგაციის შექმნა			
2020წ. 31.12	მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე	2130		108
	საპროცენტო შემოსავალი		8110	108
	საპროცენტო შემოსავალი			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		100

	მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე		2310	100
	ფულადი სახსრების მიღება			
	მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე	2310		2
	ინვესტიციების გადაფასების რეზერვები		5430	2
	ობლიგაციების აფასება რეალურ ღირებულებამდე (910-908)			
2021წ.	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		911
15.01	მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე		2310	910
	არასაოპერაციო მოგება		8130	1
	ობლიგაციების გაყიდვა			
	ინვესტიციების გადაფასების რეზერვები (სხვა სრული შმოსავლის ანგარიშგება)	5430		2
	არასაოპერაციო მოგება (მოგება-ზარალის ანგარიშგება)		8130	2
	რეკლასიფიკაცია - გადაფასების რეზერვის გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე			

✓ **ფაქტორინგული ოპერაციების აღიარება და შეფასება**

საწარმოები ეძებენ დებიტორებისაგან თანხების დროულად ამოღების გზებს. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ეფექტური ხერხია ფაქტორინგი¹¹. ფაქტორინგი არის სავაჭრო-საშუამავლო და საკრედიტო მომსახურებათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- კლიენტის საქონლის/მომსახურების მიწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნების გაყიდვა/შემენა - ფინანსური შუამავლის მიერ კლიენტის ანგარიშ-ფაქტურების შემენა ანაზღაურების სხვადასხვა პირობებით;

- კლიენტის დაკრედიტება – მოთხოვნებით უზრუნველყოფილი (მოთხოვნების უფლების გადაცემით);

- მომსახურება – კლიენტის დებიტორული დავალიანების აღრიცხვის წარმოება, დებიტორული დავალიანების ინკასირება, საინფორმაციო-ანალიტიკური და

¹¹ ფაქტორინგი – ლათ. facere - მოქმედება. ფაქტორი – ინგლ. factor - სავაჭრო აგენტი, შუამავალი, წარმომადგენელი – ბანკის ან ფაქტორი საწარმო.

შემგროვებლის (კოლექტორები (collector) - დებიტორული დავალიანების ამოღების მომსახურება;

- გადაუხდელობის რისკის დაზღვევა.

ფაქტორინგული მომსახურების მიზანია დებიტორული დავალიანების დროული დაფარვა, გადახდების დაგვიანებით დანაკარგების შემცირება, საექვო მოთხოვნების წარმოქმნის შემცირება, საწარმოს ლიკვიდურობის გაზრდა.


ფაქტორინგის ძირითადი მომხმარებლები¹² არიან მწარმოებლები და ბითუმად გამყიდველები, რომლებიც:

- რეგულარულად ახდენენ საქონლის მიწოდებას/მომსახურების გაწევას გადავადებული გადახდით ანგარიშსწორების ფორმით;
- არჩეული აქვთ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა;
- განიცდიან საბრუნავი საშუალებების ნაკლებობას;
- მუშაობენ მაღალი კონკურენციის მქონე ბაზრებზე;
- ცდილობენ უზრუნველყონ გაყიდვების მოცულობის ზრდა.

ფაქტორინგულ ოპერაციებში სამი მონაწილეა: ფინანსური აგენტი – **ფაქტორი** - ბანკი, სპეციალიზირებული კომპანია, **გამყიდველი** - საქონლისა და მომსახურების გამყიდველი, **დებიტორი** – მოვალე. გამყიდველი ფულადი სახსრების მოზიდვას ახდენს ოპერატიულად – საქონლის/მომსახურების მიწოდებისთანავე, რითაც ზრდის გაყიდვების მოცულობას, ახალი მყიდველების მოზიდვას და ბაზარზე პოზიციის გამყარებას. მყიდველს უნარჩუნდება ვალდებულების გადავადების შესაძლებლობა, რითაც ახდენს შესყიდვების ზრდას და თანხების ეფექტურად გამოყენებას.

ფაქტორის სარგებელია შუამავლობის საკომისიო და დაფინანსებიდან საპროცენტო შემოსავალი.

¹² <http://ge.vtb.ge/corporate/documentary/factoring/>



ფაქტორინგული ოპერაციები უზრუნველყოფს ბიზნესის შეუფერხებლად წარმართვას, გაყიდვებისა და მოთხოვნების ეფექტურ მართვას, ოპერაციების მონაწილეების მიერ სარგებელის მიღებას: საქონლის გამყიდველი ვადაზე ადრე ღებულობს ფულად სახსრებს; დებიტორი იძენს საქონელს ღირებულების გადახდის გადავადების პირობით; ფაქტორი ღებულობს საკომისიო შემოსავალს.

✓ მოთხოვნებზე უფლებების გადაცემა

ფაქტორინგული კრედიტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამყიდველი – პირველი კრედიტორი, გადასცემს ფაქტორს – მეორე კრედიტორს, ფულად მოთხოვნებზე უფლებებს. მოთხოვნები შეიძლება იყოს ვადადამდგარი, რომელთა

გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა. ფაქტორი (ახალი კრედიტორი) მოიპოვებს უფლებას მოვალეებს მოსთხოვოს ვალდებულებების შესრულება.

ფაქტორინგული ოპერაციების აღრიცხვა ეფუძნება გარიგების ეკონომიკური შინაარსის იურიდიულ ფორმაზე უპირატესობის პრინციპს. ამისათვის უნდა გაანალიზდეს გარიგების პირობების ეკონომიკური შინაარსი, დადგინდეს რომელი მხარე ეწევა დებიტორული დავალიანების ამოღების რისკს და რომელი მხარე იღებს სარგებელს. დებიტორული დავალიანების ამოღების რისკია – თანხების დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ამოღება, სარგებელი – წინასწარ (ვადაზე ადრე) თანხის მიღება. ამ საკითხის გადაწყვეტის კრიტერიუმია ის, თუ რომელი მხარე იღებს თავის თავზე უიმედო ვალებზე პასუხისმგებლობას. ასევე უნდა შეფასდეს, თუ ინარჩუნებს თუ არა საწარმო კონტროლს დებიტორულ დავალიანებაზე.

პირობების მიხედვით ცნობილია სამი ტიპის ფაქტორინგული შეთანხმებები:

1. ფაქტორინგი რეგრესის გარეშე¹³ (factoring without recourse) - ფაქტორი მთლიანად ყიდულობს დებიტორულ დავალიანებას უკან დაბრუნების უფლების გარეშე. უიმედო დებიტორული დავალიანების რისკი ფაქტორზეა;
2. ფაქტორი რეგრესიით (factoring with recourse) - ფაქტორს აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების დაბრუნების უფლება. უიმედო დებიტორული დავალიანების რისკი საწარმოზეა;
3. ფაქტორინგი შეზღუდული რეგრესიით ან ფაქტორინგი გარანტიით (factoring with limited recourse) - საწარმოს გარანტირებულად არ ეკისრება ზარალის განსაზღვრული თანხა, ხოლო ფაქტორს აქვს დებიტორული დავალიანების დაბრუნების უფლება ამ გარანტიის ფარგლებში.

¹³ რეგრესია (ლათ. regressus) – დაბრუნება, მოძრაობა უკან უარესისკენ.

რეგრესია (ეკონომიკაში) – მესამე მხარისათვის პრეტენზიის წარდგენის უფლება (ინტერნეტ-ენციკლოპედია Wikipedia).

ფაქტორინგული ოპერაციების შეფასების მეთოდის დასადგენად, რეალური ღირებულებით თუ ამორტიზებული ღირებულებით, საჭიროა დადგინდეს ფაქტორინგული კონტრაქტები, რომლითაც:

- ხდება მოთხოვნების გადაცემა, მაგრამ არ წყდება მათი აღიარება და შეირჩეს პოლიტიკა, თუ რამდენად უნდა იქნენ ისინი გათვალისწინებული ბიზნესმოდელის განსაზღვრისას (ფაქტორინგი რეგრესიით);
- წყდება მოთხოვნების აღიარება, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება ბიზნესმოდელის განსაზღვრისას (ფაქტორინგი რეგრესიის გარეშე).

ფაქტორინგი რეგრესიით

როდესაც დებიტორული დავალიანება გადაცემულია ფაქტორზე „რეგრესიის უფლების“ პირობით, ეს ნიშნავს, რომ ფაქტორი უყენებს გამყიდველს პრეტენზიას ვალების ამოღებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, გამყიდველი გაიღებს უიმედო ვალების რისკს. ასეთ შემთხვევაში დაფინანსების ხარჯის სიდიდე დამოკიდებულია დებიტორული დავალიანების ამოღების შემდგომ მოვლენებზე, და, როგორც წესი, გადაცემული დებიტორული დავალიანება დაფინანსების ტოლია. ასეთ გარიგებაში გამყიდველი ეწევა უიმედო ვალების ამოღების რისკს და ღებულობს სარგებელს, ე.ი. ეს ოპერაცია თავისი შინაარსით არის „დაფინანსება“. ეს ნიშნავს იმას, რომ დებიტორული დავალიანება კვლავ უნდა აისახოს გამყიდველის ბალანსში, ხოლო ფაქტორისაგან მიღებული ფულადი სახსრები, როგორც ვალდებულება. ფაქტორისაგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე დებიტორული დავალიანების დაფარვის შესახებ, გამყიდველი ამცირებს თავის ვალდებულებას ფაქტორის წინაშე. თუ დებიტორი დათქმულ ვადაში არ დაფარავს თავის ვალდებულებას, კრედიტი უბრუნდება ფაქტორს შესაბამისი საკომისიო ანაზღაურებით, ხოლო დებიტორული დავალიანება ტრანსფორმირდება საპრეტენზიო მოთხოვნად, ზოგიერთ შემთხვევაში კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უიმედო მოთხოვნად.

მაგალითი 3. ფაქტორინგი რეგრესიის უფლებით

სავაჭრო კომპანია 200,000 ლარის დებიტორულ დავალიანებას ყიდის ნომინალური ღირებულების 80%-ით. ფაქტორს აქვს უიმედო (3 თვეში ამოუღებადი) დებიტორული დავალიანების დაბრუნების უფლება.

მიმდინარე წელს კლიენტებმა ფაქტორს გადაუხადეს 10,000 ლარი.

ავსახოთ ფაქტორინგული ოპერაცია.

სავაჭრო კომპანია, ფაქტორისათვის გადაცემული დებიტორული დავალიანებასთან დაკავშირებით, ინარჩუნებს გარკვეულ რისკებს, ვინაიდან კლიენტების საკრედიტო რისკი არ არის გადაცემული ფაქტორზე - მას აქვს დებიტორული დავალიანების დაბრუნების უფლება, თუ ის გახდება უიმედო.

შედეგად, კომპანია ინარჩუნებს დებიტორულ დავალიანებას, ვინაიდან არ კმაყოფილდება ფასს 9-ით განსაზღვრულ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს.

- ფაქტორისაგან მიღებული ფული აღიარდება ვალდებულებად:

დებეტი - ფულადი სახსრები 160,000

დებეტი - საპროცენტო ხარჯი 40,000

კრედიტი - ვალდებულება თანხების დაბრუნებაზე 200,000

- კლიენტების მიერ ფაქტორისათვის გადახდილი ფულადი სახსრები:

დებეტი - ვალდებულება თანხების დაბრუნებაზე 10,000

კრედიტი - დებიტორული დავალიანება 10,000

✓ ფაქტორინგი რეგრესიის გარეშე – მოთხოვნების გაყიდვა დისკონტით

როდესაც დებიტორული დავალიანება იყიდება „რეგრესიის“ უფლების გარეშე, ეს ნიშნავს, რომ „ფაქტორი“ ვერ წარუდგენს „გამყიდველს“ ვერანაირ პრეტენზიას თანხების ამოღებასთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად თუ როგორ განვითარდება

შემდგომი მოვლენები. სხვაგვარად, გამყიდველი პასუხს არ აგებს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე. მას მოეთხოვება პასუხი აგოს გაცემული მოთხოვნების ქმედითუნარიანობაზე, სხვაგვარად პირველი კრედიტორის პასუხისმგებლობა ახალი კრედიტორის წინაშე შემოიფარგლება გადაცემული მოთხოვნების ნამდვილობით.

ასეთ შემთხვევაში ფაქტორი გაიღებს უიმედო ვალების ხარჯებს. გამყიდველს კი აქვს პრაქტიკულად ფიქსირებული დაფინანსების ხარჯები, რომელიც თავიდანვე არის განსაზღვრული და არ არის გათვალისწინებული მათი არანაირი ცვლილება. ასეთ შემთხვევაში რისკი გადასულია ფაქტორზე და შესაბამისად, ასეთი გარიგება არის „ნამდვილი გაყიდვა“, ვინაიდან ფაქტორს გადაეცემა დებიტორული

დავალიანების მოთხოვნის უფლება, რისკი და სარგებელი. ამიტომ გამყიდველი ჩამოწერს ბალანსიდან დებიტორულ დავალიანებას.

დებიტორული დავალიანების გაყიდვა ხდება დისკონტით, ანგარიშ-ფაქტურის ნომინალური ღირებულების 70-90%-ის დაუყოვნებელი გადახდით.

მაგალითი 4. ფაქტორინგი რეგრესიის გარეშე

სავარო კომპანია 200,000 ლარი დებიტორულ დავალიანებას ყიდის ნომინალური ღირებულების 80%-ით. ფაქტორს არ აქვს დებიტორული დავალიანების დაბრუნების უფლება.

ავსახოთ ფაქტორინგული ოპერაცია.

სავარო კომპანია დებიტორული დავალიანებისთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს გადასცემს ფაქტორს. ამდედა, ფასს 9-ის მოთხოვნის შესაბამისად საწარმო წყვეტს აქტივის აღიარებას, რაც უნდა აისახოს გატარებით (ლარი):

დებეტი - ფული	160,000
დებეტი - საპროცენტო ხარჯი	40,000
კრედიტი - დებიტორული დავალიანება	200,00

საპროცენტო ხარჯი უნდა გადანაწილდეს დაფინანსების მთელ პერიოდზე.

✓ **წილობრივი ინსტრუმენტების აღრიცხვა**

საწარმო, ბიზნესმოდელის საფუძველზე, თავად იღებს გადაწყვეტილებას წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვის მეთოდის შერჩევის შესახებ – მოგებაში და ზარალიში, თუ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წილობრივი ინსტრუმენტები ფასდება **რეალური ღირებულებით** მოგებაში და ზარალში ასახვით, განსაკუთრებულ შემთხვევაში დასაშვებია სხვა სრული შემოსავალში ასახვა. არჩევანი, რომელიც შემდგომში არ ექვემდებარება შეცვლას, შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერი წილობრივი ინსტრუმენტისათვის, გარდა გასაყიდად განკუთვნილისა. გასაყიდად განკუთვნილი წილობრივი ინსტრუმენტი ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებიში და ზარალში ასახვით.

ვინაიდან, პრაქტიკულად ყველა კოტირებადი და არაკოტირებადი წილობრივი ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით, საჭირო ხდება სათანადო ინფორმაციის მოპოვება. კოტირებადი ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება მოიპოვება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ხოლო არაკოტირებადი ფასიანი ქაღალდების რეალურ ღირებულებას კომპანია თავად განსაზღვრავს ფინანსური მოდელირების გზით, რომელშიც გამოყენებული იქნება მისი პირადი ეკონომიკური დაშვებები (თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრიდან არ არსებობს ანალოგიური ხასიათის ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა).

საწარმო, ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, თავად იღებს გადაწყვეტილებას წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვის მეთოდის შერჩევის შესახებ – „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“, თუ „სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში“ ასახვით.

მაგალითი 5. წილობრივი ინსტრუმენტები შეფასებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავლში ასახვით

2020 წლის 1 დეკემბერს საწარმომ გააფორმა კონტრაქტი სს „მერიდიანთან“ 1,000 ცალი აქციის შეძენაზე, ერთი ცალი აქციის ფასი განისაზღვრა 10 ლარით. კონტრაქტის პირობების თანახმად აქციების შეძენა ატარებს სავალდებულო ხასიათს და ღირებულება შეადგენს 10,000 ლარს. აქციების ანგარიშსწორების (შესრულების) თარიღია 2021 წლის 1 თებერვალი. ერთი აქციის საბაზრო ფასია:

2020 წლის 1 დეკემბერს _ 10 ლარი;

2020 წლის 31 დეკემბერს _ 12 ლარი;

2021 წლის 1 თებერვალს _ 15 ლარი.

საწარმოს მენეჯმენტით კონტრაქტი არის „სარეზერვო ინვესტიციის“ მოდელის ნაწილი.

ავსახოთ ფინანსური აქტივი გარიგების თარიღით.

საწარმომ დადო ხელშეკრულება სხვა საწარმოს აქციების შეძენაზე (რომლის შესრულება სავალდებულოა) ფიქსირებული ფასით, კონტრაქტის ღირებულება განისაზღვრა 10,000 ლარით (1,000 ცალი * 10 ლარი). აქციები კოტირებადია, ცნობილია მათი საბაზრო ფასი, რაც იძლევა მათი საიმედოდ შეფასების საშუალებას 31 დეკემბრის მდგომარეობით: აქციების საბაზრო ფასი გაიზარდა 2 ლარით, რამაც გამოიწვია ფინანსურ აქტივზე მოთხოვნის ღირებულების ზრდა 2,000 ლარით (1,000 ცალი * 2 ლარი), რაც ადეკვატურად აისახა გადაფასების რეზერვზე; კონტრაქტის განხორციელების დღეს აქციების ფასი კვლავ გაიზარდა, ამჯერად 3 ლარით, რამაც გაზარდა მოთხოვნა ფინანსურ აქტივებზე და გადაფასების რეზერვი 3,000 ლარით (1,000 ცალი * 3 ლარი). საბოლოოდ, ანგარიშსწორების (განაღების) დღისათვის

15,000 ლარად შეფასებულ ფინანსურ აქტივებში საწარმომ გადაიხადა 10,000 ლარი. ამ კონტრაქტით საწარმომ მიიღო 5,000 ლარის მოგება, რაც აისახა სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (და არა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში).

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებებით:

წელი	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
2020წ. 01.12	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		10,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	10,000
	ფინანსური აქტივის აღიარება			
2020წ. 31.12	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		2,000
	მოგება ინვესტიციების აფესაბიდან		5430	2,000
	ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილებით მოგების აღიარება სხვა სრული შემოსავალი			
2021წ. 01.02	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		10,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	10,000
	ვალდებულების დაფარვა			
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		3,000
	მოგება ინვესტიციების აფესაბიდან		5430	3,000
	ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილებით მოგების აღიარება სხვა სრული შემოსავალში			
	მოგება ინვესტიციების აფესაბიდან	5430		5,000
	გაუნაწილებელი მოგება		5310	5,000
	ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილებებით სხვა სრულ შემოსავალში დაგროვილი მოგების გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე			

გასაყიდად კლასიფიცირებული წილობრივი ინსტრუმენტების (რომელთა გაყიდვა ნავარაუდევია 12 თვეში და შესაბამისად კლასიფიცირებულია მოკლევადიან აქტივად) რეალური ღირებულების ცვლილებებით წარმოქმნილი მოგება-ზარალი აისახება „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“.

მაგალითი 6. წილობრივი ინსტრუმენტები შეფასებული რეალური ღირებულებით, მოგებაში და ზარალში ასახვით.

2020 წლის 1 დეკემბერს საწარმომ გააფორმა კონტრაქტი სს „მერიდიანთან“ 1,000 ცალი აქციის შეძენაზე, ერთი ცალი აქციის ფასი განისაზღვრა 10 ლარით. კონტრაქტის პირობების თანახმად აქციების შეძენა ატარებს სავალდებულო ხასიათს და ღირებულება შეადგენს 10,000 ლარს. აქციების ანგარიშსწორების (შესრულების) თარიღია 2019 წლის 1 თებერვალი. ერთი აქციის საბაზრო ფასია:

2020 წლის 1 დეკემბერს _ 10 ლარი;

2020 წლის 31 დეკემბერს _ 12 ლარი;

2021 წლის 1 თებერვალს _ 15 ლარი.

საწარმოს მენეჯმენტით კონტრაქტი არის „მოკლევადიანი ლიკვიდურობის მართვის“ მოდელის ნაწილი.

ავსახოთ ფინანსური აქტივი გარიგების თარიღით.

საწარმოს ბიზნეს-მოდელით აქტივების ფლობის მიზანია ვაჭრობა – მოკლე ვადაში გაყიდვა. შესაბამისად, რეალური ღირებულების ცვლილებები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციების ასახვა გარიგების თარიღით:

წელი	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
2020წ. 01.12	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		10,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	10,000
	ინვესტიციის აღიარება			
2020წ. 31.12	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		2,000
	არასაოპერაციო მოგება		8130	2,000
	ინვესტიციის აფასება			

2021წ. 01.02	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		10,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	10,000
	ვალდებულების დაფარვა			
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		3,000
	არასაოპერაციო მოგება		8130	3,000
	ინვესტიციის აფასება			

2.2. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა

ყველა ვალდებულება თავდაპირველად, აღიარების დროს ფასდება რეალური ღირებულებით – გარიგების ღირებულებით, იმ საკომპენსაციო თანხით, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. შემდგომში ვალდებულების შეფასება გრძელდება იგივე რეალური ღირებულებით, ასეთია მაგალითად, სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. ხოლო, ფინანსური ვალდებულებები, გარკვეული გამონაკლისის გარდა, აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, მაგალითად, თამასუქები, ობლიგაციები, გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები. საქმე ის არის, რომ ამ ვალდებულების თავდაპირველი შეფასების ღირებულება განსხვავდება დაფარვის (განაღების) ღირებულებისაგან, ამიტომ პრობლემას წარმოადგენს ამ სხვაობის აღრიცხვა. **სხვაობა თავდაპირველ და განაღების მომენტისათვის არსებულ ღირებულებას შორის წარმოადგენს ამორტიზებად თანხას.** ვალდებულება უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით. **ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება** არის ღირებულება, რომლითაც თავდაპირველად აღიარებული იყო ვალდებულება მინუს გადახდილი ძირითადი და საპროცენტო თანხა, პლიუს დაგროვილი ამორტიზაცია (სხვაობა თავდაპირველ და განაღების მომენტისათვის არსებულ ღირებულებას შორის).



განვიხილოთ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება.

მაგალითი 7. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება

საწარმომ ბანკიდან აიღო სესხი 200,000 ლარი სამი წლით 12%-იანი განაკვეთით. პროცენტი გადაიხდება ყოველი წლის ბოლოს, ხოლო ძირითადი თანხა – სასესხო ხელშეკრულების ამოწურვისას. სესხის გაფორმების, საკომისიო და შემფასებელთა ანაზღაურებამ შეადგინა 20,000 ლარი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 16,4882%.

შევაფასოთ წლების მიხედვით ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით.

ცხრილში სათანადო გათვლებით წარმოდგენილია წლების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები: მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით აღიარებული საპროცენტო ხარჯი (სვ.3), ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახული გადახილი თანხები (სვ.4), ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (სვ.6).

სესხის ამორტიზებული ღირებულება წლების მიხედვით:

წელი	ამორტიზებული ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო ხარჯი			ამორტიზებული ღირებულება (2+5)
		აღიარებული	მათ შორის		
			ესგ 0,164882	გადასახდელი 12%	
1	2	3	4	5	6
1	180,000	29,679	24,000	5,679	185,679
2	185,679	30,615	24,000	6,615	192,294
3	192,294	<u>31,706</u>	<u>24,000</u>	<u>7,706</u>	200,000
		92,000	72,000	20,000	

ოპერაციების ასახვა ანგარიშგებზე:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი	
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		180,000	
	გრძელვადიანი სესხი		4140	180,000	
	სესხის აღება				
	საპროცენტო ხარჯი	8210		29,679	
	გადასახდელი პროცენტი		3410	24,000	
	გრძელვადიანი სესხი		4140	5,679	
	გადასახდელი პროცენტის აღიარება და სესხის ამორტიზება				
	გადასახდელი პროცენტი	3410		24,000	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	24,000	
	პროცენტის გადახდა				
2	საპროცენტო ხარჯი	8210		30,615	

	გადასახდელი პროცენტი		3410	24,000
	გრძელვადიანი სესხი		4140	6,615
	გადასახდელი პროცენტის აღიარება და სესხის ამორტიზება			
	გადასახდელი პროცენტი	3410		24,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	24,000
	პროცენტის გადახდა			
3	საპროცენტო ხარჯი	8210		31,706
	გადასახდელი პროცენტი		3410	24,000
	გრძელვადიანი სესხი		4140	7,706
	გადასახდელი პროცენტის აღიარება და სესხის ამორტიზება			
	გრძელვადიანი სესხი	4140		200,000
	გადასახდელი პროცენტი	3410		24,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	224,000
	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების დაფარვა			

✓ რეალური ღირებულებით შეფასებული ვალდებულება

არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია ვალდებულების კლასიფიცირება როგორც შეფასებულის რეალური ღირებულებით, მოგებაში და ზარალში ასახვით (შემდგომი რეკლასიფიკაციის უფლების გარეშე). ერთ-ერთი არის შემთხვევა, როდესაც კომბინირებული კონტრაქტი შეიცავს ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტს, რომელთა გამიჯვნა აკრძალულია ან არ ახდენს გავლენას ფულადი ნაკადების მოდიფიცირებაზე. მიჩნეულია, რომ ამ სიტუაციაში, არაფინანსური ორგანიზაციები სავარაუდოდ ჩართული წარმოებულ¹⁴ ინსტრუმენტების შეფასებისათვის გამოიყენებენ მხოლოდ რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვის მეთოდს (მაგალითად, კონვერტირებადი ობლიგაციები), რომ არ მოხდეს მათი გამიჯვნა აღრიცხვაში. მაგალითად, კომპანიამ გამოსცა კონვერტირებადი ობლიგაციები

¹⁴ ჩართული წარმოებულ ინსტრუმენტი არის კომბინირებული (ჰიბრიდული) ხელშეკრულების კომპონენტი, რომელიც ასევე შეიცავს არაწარმოებულ ძირითად ხელშეკრულებას (ფასს 9, პ. 4.3.1)

და შეაფასა, რომ იგი შეიცავს ვალის ძირითად თანხას და ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტს. ნაცვლად იმისა, რომ ცალკე აღრიცხოს ძირითადი თანხა ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო ჩართული წარმოებულ ინსტრუმენტი რეალური ღირებულებით, კომპანიას ურჩევნია მთლიანად ობლიგაციები შეაფასოს რეალური ღირებულებით, მოგებაში და ზარალში ასახვით.

საწარმომ მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს ისეთ ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, შემდეგი წესების დაცვით:

ა) ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ნაწილი, რომელიც მიეკუთვნება აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას, უნდა აისახოს სხვა სრულ შემოსავალში; და

ბ) ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების დანარჩენი ნაწილი უნდა აისახოს მოგებაში ან ზარალში.

ნებისმიერი სხვაობა სესხის რეალურ და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში

მაგალითი 8. საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემა¹⁵

1 იანვარს კომპანიამ გასცა 20,000 ფე სესხი თავის თანამშრომლებზე 1%-იანი განაკვეთით 3 წლით. სესხი დაიფარება სამჯერადი გადახდებით წლის ბოლო 6,800 ფე-ის ოდენობით. ანალოგიური სესხის საბაზრო განაკვეთია 5%.

როგორ უნდა შეფასდეს სესხი თავდაპირველად და შემდგომ?

¹⁵ <https://fin-accounting.ru/articles/2018/ifrs-accounting-employee-loans>

ეს რომ ყოფილიყო ჩვეულებრივი სესხი, მისი თავდაპირველი რეალური ღირებულება იქნებოდა 20,000 ფე. ამ შემთხვევაში სესხის რეალური ღირებულება არის ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რამაც შეადგინა 18,518 ფე.


ამდენად, სესხის ნომინალური თანხა , ანუ მომუშავეებზე გაცემული ფაქტიური ფულადი სახსრები, არის 20,000 ფე, ხოლო მისი რეალური ღირებულება - 18,518 ფე. მათ შორის სხვაობა 1,482 ფე მიეკუთვნება მოგება-ზარალს - აღიარდება ხარჯად მომუშავეების მიერ გაწეული მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

✓ უპროცენტო სესხი

უპროცენტო სესხის თანხა უნდა დაიყოს ორ ელემენტად: ფინანსურ ელემენტად, ანუ საბაზრო პირობით გაცემულ ელემენტად (ზოგჯერ „ნარჩენ ელემენტად“ წოდებული) და არაფინანსურ (სესხის საბაზროზე დაბალ) ელემენტად.

სესხის ფინანსური ელემენტის აღრიცხვა რეგულირდება ფასს 9-ით, ხოლო არაფინანსური ელემენტის აღრიცხვა არ რეგულირდება რომელიმე კონკრეტული სტანდარტით. ასეთი შემთხვევაში ხელმძღვანელობენ კონცეპტუალური საფუძვლებით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების კრიტერიუმებით, კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების პირობების დეტალური შესწავლით და განსჯის პრინციპით. ზოგადად სასესხო პირობებიდან გამომდინარე, მიჩნეულია სესხის არაფინანსური ელემენტი სესხის გამცემისთვის აკმაყოფილებს ინვესტიციების, ხოლო მიმღებისთვის - კაპიტალის განმარტებებს¹⁶.

¹⁶ Grant Thornton. IFRS Viewpoint . Related party loans at below-market interest rates. 2018. p.5.



მაგალითი 9. უპროცენტო სესხი

K კომპანიამ გასცა 1 მლნ. ლარის უპროცენტო სესხი თავის M შვილობილ კომპანიაზე, საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთია 20%. სესხს არ აქვს კომერციული შინაარსი. თანხა მიიღება მე-4 წლის ბოლოს.

სესხის აღრიცხვისათვის უნდა დადგინდეს ფინანსური (საბაზრო) და არაფინანსური (არასაბაზრო) ელემენტები.

სესხის ფინანსური ელემენტია მისი დღევანდელი ღირებულება:

$$PV(4, 20\%) 1,000,000 * 0.48253 = 482,253 \text{ ლარი.}$$

სხვაობა სესხის დღევანდელ ღირებულებასა და ფაქტიურ თანხას შორის არის არაფინანსური ელემენტი: $1,000,000 - 482,253 = 517,747$ ლარი.

სესხის ფინანსური ელემენტი ამორტიზირდება სასესხო პერიოდში:

ვალდებულება/მოთხოვნა			
წელი	წლის დასაწყისში	პროცენტი 0.2	წლის ბოლოს
1	482,253	96,451	578,704
2	578,704	115,741	694,444
3	694,444	138,889	83,333
4	83,333	166,667	1,000,000
	1,000,000	517,747	

მშობელი კომპანია:

დებეტი - მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	482,253
დებეტი - ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	517,747
კრედიტი - ფულადი სახსრები	1,000,000

შვილობილი კომპანია:

დებეტი - ფულადი სახრები	1,000,000
კრედიტი - სასესხო ვალდებულება	482,253
კრედიტი - კაპიტალი	517,747

ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ **საკრედიტო რისკს** განსაზღვრავს შემდეგნაირად: „რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს“. სხვაგვარად, საკრედიტო რისკი არის იმის რისკი, რომ ემიტენტი ვერ შეძლებს ამ კონკრეტული ვალდებულების შესრულებას. ეს აუცილებლად ემიტენტის გადახდისუნარიანობასთან არ არის დაკავშირებული. მაგალითად, თუ საწარმო უშვებს უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას, რომლებიც სხვა მხრივ იდენტურია, აღნიშნული ორი ვალდებულების საკრედიტო რისკი განსხვავებული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი და იმავე საწარმოს მიერ არის გამოშვებული. უზრუნველყოფილი ვალდებულების საკრედიტო რისკი ნაკლები იქნება

არაუზრუნველყოფილი ვალდებულების საკრედიტო რისკზე. უზრუნველყოფილი ვალდებულების საკრედიტო რისკი შესაძლოა ნულთან ახლოს იყოს.

მაგალითი 10. ფინანსური ვალდებულება შეფასებული რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

საწარმოს აქვს 100 ათასი ლარის ვალდებულება შეფასებული რეალური ღირებულებით, მოგებაში და ზარალში ასახვით. მიმდინარე წელს ამ ვალდებულების რეალური ღირებულება შემცირდა 20 ათასი ლარით, საიდანაც 5 ათასი ლარი დაკავშირებულია საწარმოს საკუთარ საკრედიტო რისკთან (საკრედიტო ხარისხის შემცირებასთან).

ავსახოთ ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილება.

ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილება, გარდა საკრედიტო რისკით გამოწვეულისა, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში - 15 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში - 5 ათასი ლარის ოდენობით, რაც იასახება გატარებით:

დებეტი - ვალდებულებები	20,000
კრედიტი - სხვა სრული შემოსავალი	5,000
კრედიტი - მოგება-ზარალი	15,000

ასეთი საბუღალტრო გატარებით იქმნება გაურკვევლობა, ვინაიდან ვალდებულების ჩამოწერა ვერანაირად ვერ იქნება მოგება და შემოსავალი. ამ სიტუაციას სტანდარტი უწოდებს „სააღრიცხვო შეუსაბამობას“, რომელიც შემდგომში სათანადოდ კორექტირდება.

3. ჰეჯირება და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

✓ ჰეჯირება

აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება და ფულადი ნაკადები ბიზნეს-პროცესების, მაკროეკონომიკური და სხვადასხვა მოვლენების შედეგად განიცდიან რისკს.


რისკი არის აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებებისა და ფულადი ნაკადების არახელსაყრელი ცვლილება.

ჰეჯირება ნიშნავს რისკის დაზღვევას.

რისკის თავიდან აცილება ან შემცირება შესაძლებელია ჰეჯირებით. ჰეჯირება ნიშნავს რისკის დაზღვევას. ის რაც უნდა იყოს დაზღვეული რისკებისაგან არის ჰეჯირების მუხლი. ეს ისეთი მუხლებია, რომელიც საწარმოს უქმნის რეალური ღირებულების ცვლილების ან სამომავლო ფულადი ნაკადების რისკს. ფასს 9-ით ჰეჯირებული მუხლი არის აქტივი, ვალდებულება, მყარი დაპირება (ვალდებულება), მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება, ან ნეტო ინვესტიციები უცხოურ ქვედანაყოფში, რომლებიც (ა) საწარმოს უქმნის რეალური ღირებულების ცვლილების ან სამომავლო ფულადი ნაკადების რისკს და (ბ) საწარმოს მიერ კლასიფიცირდება, როგორც ჰეჯირებული მუხლი. სხვაგვარად, ეს არის საწარმოს მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივები და ვალდებულებები, არ აღიარებული მაღალი ალბათობით მოსალოდნელი გარიგებები და ოპერაციები, ინვესტიციები უცხოურ ქვედანაყოფში.

რისკის დაზღვევა ხდება ფინანსური ინსტრუმენტებით. ჰეჯირების ინსტრუმენტი არის საწარმოს მიერ განსაზღვრული წარმოებული ინსტრუმენტი, ან განსაზღვრული არაწარმოებული ფინანსური აქტივი ან არაწარმოებული ფინანსური ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულება ან ფულადი ნაკადები, სავარაუდოდ, გადაფარავს ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებებს.

ჰეჯირების ეფექტურობა არის ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილების ხარისხი, რომელიც მიეკუთვნება ჰეჯირებულ რისკს და რომლის გადაფარვაც (კომპენსირებაც) ხდება ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებით. სხვაგვარად, ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებამ უნდა უზრუნველყოს ჰეჯირებული მუხლების არახელსაყრელი ცვლილებების გადაფარვა (კომპენსაცია).




არსებობს სამი ტიპის ჰეჯირების ურთიერთობა:

ა) რეალური ღირებულების ჰეჯირება: აღიარებული აქტივისა და ვალდებულების, ან აღიარებული მყარი დაპირების (ვალდებულების), ან ასეთი აქტივის, ვალდებულების ან მყარი დაპირების (ვალდებულების) გარკვეული ნაწილის რეალური ღირებულების მოსალოდნელი ცვლილებების ჰეჯირება, რომელიც გამოწვეულია კონკრეტული რისკით და შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე;

ბ) ფულადი ნაკადების ჰეჯირება: ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ცვალებადობის ჰეჯირება, რაც (1) გამოწვეულია აღიარებულ აქტივთან ან ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკით (როგორცაა ცვალებადგანაკვეთიან სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველა ან ზოგიერთი სამომავლო საპროცენტო გადასახდელი) და (2) რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე;

გ) უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციების (როგორც განმარტებულია ბასს 21-ში) ჰეჯირება.



ჰეჯირების აღრიცხვის მიზანია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების საშუალებით მართული რისკის ზემოქმედების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა, რაც გავლენას ახდენს მოგება-ზარალზე ან სხვა სრულ შემოსავალზე. სხვაგვარად, ჰეჯირების

აღრიცხვა არის ტექნიკა, რომელიც ცვლის ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული აქტივიდან/ვალდებულებიდან წარმოშობილი მოგება-ზარალის აღიარების საფუძველს, ისე რომ მათი აღიარება განხორციელდეს ერთსა და იმავე სააღრიცხვო პერიოდში. ეს არის კონცეფცია, რომლის მეშვეობითაც მცირდება ან აღმოიფხვრება არასტაბილურობა სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა, როდესაც ჰეჯირებული აქტივი და ჰეჯირების ინსტრუმენტი ცალ-ცალკე აღირიცხებოდა ფასს-ის მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს როგორც პირველად ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად მოთხოვნებსა და ვალდებულებებს და წილობრივ ფასიან ქაღალდებს, ასევე წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებსაც. წარმოებული (derivative) არის ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა კონტრაქტი, რომლის ღირებულება იცვლება რაიმე განსაზღვრული ცვლადის ცვლილების შესაბამისად (საპროცენტო განაკვეთის, ფასიანი ქაღალდის კურსის, საქონლის ფასის, უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსის, ფასებისა და განაკვეთების ინდექსის, საკრედიტო რეიტინგისა და საკრედიტო ინდექსის ან სხვა ცვლადის) და მისი განაღდება (შესრულება) ხდება მომავალი თარიღით.


წარმოებული ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა კონტრაქტია, რომლის ღირებულება და პირობები ეფუძნება საბაზო აქტივის პარამეტრებს. საბაზო აქტივი არის ნებისმიერი ფინანსური ან მატერიალური აქტივი, რომელიც არის ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. როგორც წესი, წარმოებული ინსტრუმენტების მიზანია არა საბაზო აქტივის ფიზიკური შექმნა, არამედ ფასებისა და ვალუტის და სხვა ცვლადის ცვლილებების რისკის შემცირება დროში ან სპეკულაციური მოგების მიღება საბაზო აქტივის ღირებულების ცვლილებით. რისკის შემცირება (დაზღვევა) ხდება წინასწარდადებული გარიგებით მომავალში საბაზო აქტივის შექმნა-გაყიდვაზე შეთანხმებული ფასით, რაოდენობით და ვადებში. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების თავისებურება ისიც არის, რომ არ არის საჭირო დაუყოვნებლივ საწარმოს ფინანსების განყენება (თავდაპირველი დანახარჯები) და ამავე დროს მას აქვს

სახელშეკრულებო მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების შექმნაზე მისთვის ხელშეკრულების დადების დღეს ხელსაყრელი პირობებით და ვადებში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავისი შინაარსით არის ორი დანიშნულების: ვაჭრობისათვის და ჰეჯირებისათვის. საქმე ის არის, რომ ბაზარზე ყოველთვის არსებობს რისკი – კონიუნქტურის, ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთისა და კონტრაგენტების ბაზარზე მდგომარეობის ცვლილებების გაუარესების. ამიტომ საწარმოები ახდენენ ჰეჯირებას – რისკების შემცირებას, თავის დაზღვევას დანაკარგებისაგან. რისკებისაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა წარმოებული ინსტრუმენტების გამოყენება, ე.წ. „ჰეჯირების ინსტრუმენტების“.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები ისეთ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოქმნის, რომლებსაც მოჰყვება ერთი მხარის მიერ მეორეზე ერთი ან ერთზე მეტი ფინანსური რისკის გადაცემა, რომელიც დამახასიათებელია ძირითადი პირველადი ფინანსური ინსტრუმენტისათვის. თავდაპირველად, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები ერთ მხარეს აძლევს სახელშეკრულებო უფლებას, მეორე მხარეს გაუცვალოს ფინანსური აქტივები პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით, ან მეორე მხარესთან ფინანსური აქტივების გაცვლის ვალდებულებას, მისთვის პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით. ზოგიერთი ინსტრუმენტი მოიცავს გაცვლის უფლებასაც და ვალდებულებასაც. რადგან გაცვლის პირობები თავიდანვე განისაზღვრება წარმოებული ინსტრუმენტებისათვის, ფინანსურ ბაზრებზე ფასების ცვლილებებთან დაკავშირებით. ეს პირობები შეიძლება ხელსაყრელი ან არახელსაყრელი გახდეს.

წარმოებული ინსტრუმენტის ღირებულება იცვლება საბაზო აქტივის ღირებულების ცვლილებების შესაბამისად. მათ, უმეტეს შემთხვევაში, გააჩნია პირობითი სიდიდე, რომელიც წარმოადგენს ვალუტის რაოდენობას, აქციათა რიცხვს, მოცულობისა და წონის ერთეულების რაოდენობას და კონტრაქტით განსაზღვრულ სხვა ერთეულებს. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მაგალითია ფიუჩერსული და ფორვარდული კონტრაქტები, ოფციონები.



ჰეჯირების ინსტრუმენტები (კონტრაქტი) აღიარდება ისე, როგორც ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტი - მაშინ, როდესაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. სპეკულაციური ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით. თუ სახელშეკრულებო პერიოდში ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად ინსტრუმენტი იქნა აქტივი - აღიარდება შემოსავალი მოგება-ზარალში, თუ იქცა ვალდებულებად - აღიარდება ზარალი მოგება-ზარალში.

ჰეჯირების ტიპები ობიექტებისა და რისკების შესაბამისად⁹

ჰეჯირების ობიექტი	ჰეჯირების რისკი	ჰეჯირების ტიპი
აქტივები და ვალდებულებები ფიქსირებული განაკვეთით	საპროცენტო განაკვეთის ცვლილება; რეალური ღირებულების ცვლილება; კონტრაქტის შეწყვეტის ოფციონები	რეალური ღირებულების ჰეჯირება
	უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება, საკრედიტო რისკი	რეალური ღირებულების ჰეჯირება ან ფულადი ნაკადების ჰეჯირება
აუღიარებელი მყარი ვალდებულებები	საპროცენტო განაკვეთის ცვლილება; რეალური ღირებულების ცვლილება; საკრედიტო რისკი	რეალური ღირებულების ჰეჯირება
	უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება,	რეალური ღირებულების ჰეჯირება ან ფულადი ნაკადების ჰეჯირება
აქტივები და ვალდებულებები ცვალებადი განაკვეთით	რეალური ღირებულების ცვლილება, კონტრაქტის შეწყვეტის ოფციონები	რეალური ღირებულების ჰეჯირება
	საპროცენტო განაკვეთის ცვლილება; რეალური ღირებულების ცვლილება; საკრედიტო რისკი	ფულადი ნაკადების ჰეჯირება (ძირითად შემთხვევებში)
მაღალალბათობიანი პროგნოზირებადი ოპერაციები	საპროცენტო განაკვეთის ცვლილება; რეალური ღირებულების ცვლილება; უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება; საკრედიტო რისკი	ფულადი ნაკადების ჰეჯირება

⁹ <https://fin-accounting.ru/articles/2020/ifrs-9-hedging-relationships>

ჰეჯირების ინსტრუმენტების შეფასება ხდება ისე, როგორც ჰეჯირების მუხლებს:

- რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით;
- რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით;
- ამორტიზებული ღირებულებით, ცვლილებების კაპიტალში ასახვით (გადაფასების რეზერვში).

ჰეჯირება	რისკი	აღრიცხვა	
რეალური ღირებულების	რეალური ღირებულების ცვლილება	ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდება მოგება-ზარალში, ხოლო ჰეჯირების ობიექტის - საბალანსო ღირებულებაში (ინსტრუმენტის მოგება გადაფარავს მუხლის ზარალს)	
ფულადი ნაკადების	ფულადი ნაკადების ცვლილება	ჰეჯირების ინსტრუმენტის და მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (კაპიტალში)	არაეფექტური ნაწილი აღიარდება მოგება-ზარალში
უცხოურ ქვედანაყოფში წმინდა ინვესტიციების	უცხოური ვალუტის გადანგარიშების რისკი	ჰეჯირების ინსტრუმენტების დადებითი ან უარყოფითი საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (კაპიტალში)	

ჰეჯირების ინსტრუმენტებად ხშირად გამოიყენება ფიჩერსული და ფორვარდული კონტრაქტები.

✓ ფიუჩერსული კონტრაქტები

ფიუჩერსული კონტრაქტები (**Futures contract**) არის სტანდარტული საბირჟო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მომავალში საბირჟო აქტივის შეძენის/გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების დღეს დაფიქსირებულ ფასად. ამდენად, ფიუჩერსული კონტრაქტი არის საბირჟო ფასიანი ქაღალდი, რომელიც ხელშეკრულების ორივე მხარისათვის არის ვალდებულება, რომლის ღირებულება ცნობილია. კონტრაქტი სტანდარტულია საბაზისო აქტივით, მიწოდების პირობებით, შესრულების ფასით, შესათანხმებელი პრემიის თანხით. ამ კონტრაქტის ძირითადი მიზანია საკურსო სხვაობებზე თამაში ან სხვაობების ჰეჯირება – დაზღვევა ბაზრის არასასურველი კონიუნქტურის ცვლილებებისაგან. ჩვეულებრივ, იგი ასრულებს ფასიანი ქაღალდის როლს, გამოიყენება როგორც სპეკულაციური ფასიანი ქაღალდი ფასების გაუთვალისწინებელი ცვლილებებისაგან თავის დაზღვევის მიზნით. ფიუჩერსული კონტრაქტის ყიდვა-გაყიდვა აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს ბირჟის საანგარიშსწორებო პალატაში.

კონტრაქტის დადების დროს არ არის საჭირო აქტივის ღირებულების ანაზღაურება, მაგრამ კონტრაქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში ზარალის თავიდან ასაცილებლად, ინვესტორი ვალდებულია ბირჟაზე შეიტანოს დეპოზიტი, ე.წ. დეპოზიტური მარჟა.

✓ ფორვარდული კონტრაქტები

ფორვარდული კონტრაქტი არის შეთანხმება კონტრაგენტებს შორის მომავალში საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტის მიწოდებაზე შეთანხმებული ფასით. ფორვარდულ კონტრაქტებს აქვთ წარმოებულის ყველა მახასიათებელი:

- არის კონტრაქტი;
- მომავალში საბაზო აქტივის ყიდვა/გაყიდვაზე;
- დღეს განსაზღვრული ფასით.

ფორვარდული კონტრაქტი ფიუჩერსული კონტრაქტის მსგავსია, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფიუჩერსული კონტრაქტები არის საბაზრო ფასიანი ქაღალდი, მათ აქვთ სტანდარტული პირობები და მათი ყიდვა-გაყიდვა ხდება ფინანსურ

ბირჟებზე. ფორვარდული კონტრაქტის პირობები გარიგებაში მონაწილე მხარეების მოთხოვნების მიხედვით დგება და მათი ყიდვა-გაყიდვა არ ხდება ბირჟაზე.

✓ **ფასს 9. ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა ბაზრის სტანდარტული პირობებით**

ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად. როდესაც საწარმო ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეთოდს იყენებს აქტივისთვის, რომელიც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასდება, აქტივი თავდაპირველად აღიარდება გარიგების თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით.

თუ საწარმო ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეთოდით, მან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ აქტივებთან დაკავშირებით არ უნდა აღიაროს ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების არანაირი ცვლილება, რომელიც წარმოიქმნება გარიგების თარიღიდან ანგარიშსწორების თარიღამდე პერიოდში. თუმცა, რეალური ღირებულებით შეფასებულ აქტივებთან დაკავშირებით, რეალური ღირებულების ცვლილება უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, ან სხვა სრულ შემოსავალში, გარემოებების და მიხედვით, 5.7.1 პუნქტის შესაბამისად. გაუფასურების მოთხოვნების გამოყენების მიზნებისთვის გარიგების თარიღი საწარმომ უნდა მიიჩნიოს აქტივის თავდაპირველი აღიარების თარიღად

✓ **რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვა**

ნაბიჯი 1. საანგარიშგებო თარიღისათვის ჰეჯირების ობიექტისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრა;

ნაბიჯი 2. ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილების ასახვა მოგება-ზარალში;

ნაბიჯი 3. ჰეჯირებიდან წარმოქმნილი მოგება-ზარალის ასახვა ჰეჯირების ობიექტის საბალანსო ღირებულებაში

მაგალითი 11. რეალური ღირებულების ჰეჯირება ფორვარდული კონტრაქტით

2020 წლის 1 დეკემბერს კომპანიამ დადო ფორვარდული კონტრაქტი სხვა კომპანიასთან მისი 1,000 ცალი აქციის შეძენაზე, ერთი ცალი აქციის ფასი განისაზღვრა 10 ლარით. კონტრაქტის ღირებულებაა 10,000 ლარი. კონტრაქტის ანგარიშსწორების (შესრულების) თარიღია 2021 წლის 1 თებერვალი.

ანგარიშსწორება მოხდება ფულადი თანხით. კონტრაქტი დადებულია სპეკულაციური მიზნებით. ერთი აქციის საბაზრო ფასი (ლარი):

თარიღი	სცენარი	
	A	B
2020 წლის 1 დეკემბერს	10	10
2020 წლის 31 დეკემბერს	12	8
2021 წლის 1 თებერვალს	15	13

ავსახოთ ფორვარდული კონტრაქტის შესრულება.

- ჰეჯირების ობიექტი (მუხლი) - აქციები;
- ჰეჯირების ინსტრუმენტი - ფორვარდული კონტრაქტი;
- რისკი - რეალური ღირებულების ცვლილება.

სცენარი A

ფორვარდული კონტრაქტის შეფასება

კონტრაქტის რეალური ღირებულება	ლარი
2020 წლის 1 დეკემბერი	0
2020 წლის 31 დეკემბერი: [(1,000 ც. * 12 ლარი) – 10,000]	2,000
2021 წლის 1 თებერვალი: [(1,000 ც. * 15 ლარი) – 10,000]	5,000

სათანადო საჟურნალო გატარებები:

თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
--------	--------------------	--------	---------	------

2020 წ. 1 დეკემ- ბერი	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)	1390		0
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	0
	კონტრაქტის დადების დღეს მისი ღირებულება ნულია (მოხდა მხოლოდ აქტივის დაფიქსირება)			
2020 წ. 31 დეკემ- ბერი	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)	1390		2,000
	არასაოპერაციო მოგება		8130	2,000
	კონტრაქტის რეალური ღირებულების ზრდით აღიარდა მოგება			
2021 წ. 1 თებერვალი	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		5,000
	არასაოპერაციო მოგება		8130	3,000
	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)		1390	2,000
	კონტრაქტის შესრულება			

კონტრაქტის შესრულების პერიოდში საბაზო აქტივის რეალური ღირებულების ცვლილება კომპანიისათვის იყო ხელსაყრელი, ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდება აქტივად, მიღებული მოგება და ფულადი სახსრები შეადგენს 5,000 ლარს.

ჰეჯირების ეფექტი 100% - ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების არახელსაყრელი ცვლილების რისკის შემცირება მოხდა ჰეჯირებით.

სცენარი B

ფორვარდული კონტრაქტის შეფასება

კონტრაქტის რეალური ღირებულება	ლარი
2018 წლის 1 დეკემბერი	0
2018 წლის 31 დეკემბერი: [(1,000 ც. * 8 ლარი) – 10,000]	-2,000
2019 წლის 1 თებერვალი: [(1,000 ც. * 13 ლარი) – 10,000]	3,000

სათანადო საჭურნალო გატარებები:

თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
2018 წ. 1 დეკემ- ბერი	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)	1390		0
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	0
	კონტრაქტის აღიარება ნულოვანი ღირებულებით (მოხდა მხოლოდ აქტივის დაფიქსირება)			
2018 წ. 31 დეკემ- ბერი	არასაოპერაციო ზარალი	8220		2,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	2,000
	საბაზო აქტივის რეალური ღირებულების შემცირებით წარმოიქმნა ფინანსური ვალდებულება			
2019 წ. 1 თებერვალი	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		2,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		3,000
	არასაოპერაციო მოგება		8130	5,000
	საბაზო აქტივის რეალური ღირებულების ზრდის შედეგად წარმოიქმნა მოგება.			

კონტრაქტის შესრულების პერიოდში საბაზო აქტივის რეალური ღირებულების ცვლილება კომპანიისათვის თავიდან არ იყო ხელსაყრელი და წარმოექმნა ვალდებულება - კონტრაქტი ითვალისწინებდა ფინანსური აქტივის შეძენას 10 ლარად, მაშინ როდესაც მისი რეალური ღირებულება იყო 8 ლარი.

შემდგომში სიტუაცია შეიცვალა, ცვლილება გახდა ხელსაყრელი - კონტრაქტი ითვალისწინებდა ფინანსური აქტივის შეძენას 10 ლარად, მაშინ როდესაც მისი რეალური ღირებულება იყო 13 ლარი.

შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტი გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღიარებულ იქნა ვალდებულებად, ხოლო შემდგომში აქტივად. საბოლოო შედეგად მიღებული წმინდა მოგება და ფულადი სახსრები შეადგენს 3,000 ლარს.

ჰეჯირების ეფექტი 100% - ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების არახელსაყრელი ცვლილების რისკის შემცირება მოხდა ჰეჯირებით.

✓ ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა

ნაბიჯი 1. ფორვარდის აღიარება კონტრაქტის დადებისთანავე;

ნაბიჯი 2. ფორვარდის გადაფასება რეალური ღირებულებით, შედეგების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; არაეფექტური ნაწილი აღიარდება მოგება-ზარალში;

ნაბიჯი 3. ჰეჯირების მუხლის მოგება-ზარალში აღიარების დროს, ჰეჯირების პერიოდში დაგროვილი რეალური ღირებულების ცვლილებების გადატანა მოგება-ზარალში.

იმისადამიხედვით თუ როგორ იცვლება ჰეჯირების მუხლის რეალური ღირებულება, ის შეიძლება იყოს აქტივი, ან ვალდებულება, აქტივიდან იქცეს ვალდებულებად და პირიქით.

მაგალითი 12. ფულადი ნაკადების ჰეჯირება ფიუჩერსული კონტრაქტით

2021 წლის 1 მაისს სს „თამუნია“-მ დადო ფიუჩერსული კონტრაქტი \$200,000 შეძენაზე კურსით \$ 1=1.50 ლარი. კონტრაქტის შესრულების თარიღია – 2022 წლის 30 ივნისი, შესრულების ღირებულებაა 300,000 ლარი (\$200,000*1.50). კონტრაქტის დეპოზიტი შეადგენს 1,000 ლარს, რომელიც იქნება დაბრუნებული კონტრაქტის შესრულების დღეს. ანგარიშსწორება მოხდება ნეტო ფულადი თანხით.

2021 წლის 31 დეკემბერს ვალუტის საბაზრო კურსი იყო 1,60 ლარი, ხოლო კონტრაქტის შესრულების დღეს \$1 =1.45 ლარი. ვალუტა შეძენილია ნედლეულის იმპორტირებისათვის.

ავსახოთ ფიუჩერსული კონტრაქტის შესრულება.

- ჰეჯირების მუხლი - ფულადი ნაკადები;
- ჰეჯირების ინსტრუმენტი - ფიუჩერსული კონტრაქტი;
- რისკი - ფულადი ნაკადების.

ვალუტის კურსის ცვლილება კომპანიისათვის იყო ხელსაყრელი, ამ ოპერაციით სს „თამუნია“-მ საკურსო სხვაობით მიიღო ნეტო ფულადი სახსრები \$12,500, რამაც ლარებში შეადგინა 20,000 ლარი ($\$12,500 * 1.60$).

ჰეჯირების ეფექტი 100% - ვალუტის რისკის შემცირება მოხდა ჰეჯირებით.

თარიღი	\$1 კურსი ლართან მიმართებაში	კონტრაქტის შესრულების ღირებულება (ლარი)
2021წ. 1 მაისი	1,50	$\$200,000 * \$1.50 = 300,000$ ლარი
2021წ. 31 დეკემბერი	1,60	$\$200,000 * \$1.60 = 320,000$ ლარი
		მოგება 20,000 ლარი
2022წ. 30 ივნისი	1.45	$\$200,000 * \$1.45 = 290,000$ ლარი
		ზარალი 30,000 ლარი

ოპერაციები საჟურნალო გატარებები:

თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
2021 წ. 1 მაისი	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)	1390		1,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	1,000
	დეპოზიტის გადახდა _ ფიუჩერული კონტრაქტის შექმნა			
2021წ. 31 დეკემბერი	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)	1390		20,000
	სხვა რეზერვები (ფიჩერული კონტრაქტის)		5490	20,000
	მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ზრდა (320,000-300,000)			
2022წ. 30 ივნისი	არასაოპერაციო ზარალი	8220		10,000
	სხვა რეზერვები (ფიჩერული კონტრაქტის)	5490		20,000

სხვა ვალდებულებები (ფიუჩერსული კონტრაქტით)		3190	30,000
ვალუტის კურსის არახელსაყრელი ცვლილებების შედეგად, აქტივი იქცა ვალდებულებად			
სხვა ვალდებულებები (ფიუჩერსული კონტრაქტით)	3190		30,000
სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)		1390	1,000
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	29,000
ვალდებულების შესრულება			

მაგალითი 13. მოსალოდნელი გარიგების ფულადი ნაკადების ჰეჯირება ფორვარდული კონტრაქტით

2021 წლის 30 სექტემბერს, როდესაც ერთი ტონა თხილის რეალური ღირებულება იყო 25,000 ლარი, კომპანიამ თხილის დამამზადებელ კომპანიასთან დადო თხილის შესყიდვაზე ფორვარდული კონტრაქტი. კონტრაქტი შესრულდება 2022 წლის 10 იანვარს. 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ტონა თხილის რეალური ღირებულება გახდა 27,000 ლარი. კომპანიამ მარტში სრულად გაყიდა თხილი 30,000 ლარად. კომპანიამ მოახდინა კონტრაქტის კლასიფიცირება ფულადი ნაკადების ჰეჯირებად.

ავსახოთ ფორვარდული კონტრაქტის შესრულების ოპერაციები.

ჰეჯირების მუხლი - საბაზო აქტივი - საქონელი;

ჰეჯირების ინსტრუმენტი - ფორვარდული კონტრაქტი;

რისკი - ფულადი ნაკადების ცვლილება


2021 წელს სექტემბერში ფორვარდულ კონტრაქტს არ აქვს ღირებულება.

ავსახოთ ოპერაციები საჟურნალო გატარებებით:

თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
2021 წ. 31 დეკემბერი	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)	1390		2,000
	ჰეჯირების რეზერვი (კაპიტალის ანგარიშგება)		5490	2,000
	აქტივის რეალური ღირებულების ზრდით გაიზარდა კონტრაქტის ღირებულება 2,000 ლარით			
2022 წ. 10 იანვარი	საქონელი	1610		27,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	25,000
	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (კონტრაქტი)		1390	2,000
	თხილის შექმნა, ფულადი ნაკადების ჰეჯირებით დაიზოგა 2,000 ლარი			
2022წ. მარტი	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		30,000
	შემოსავალი რეალიზაციიდან		6110	30,000
	თხილის რეალიზაცია			
	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7210		27,000
	საქონელი		1610	27,000
	გაყიდული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა			
	ჰეჯირების რეზერვი (სხვა სრული შემოსავალი, კაპიტალის ანგარიშგება)	5490		2,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება/ შემოსავალი რეალიზაციიდან		7210/ 6110	2,000	
რეკლასიფიკაცია: ჰეჯირების რეზერვის დახურვა ხარჯების/შემოსავლების შემცირებით, რაც ზრდის მოგებას				

ჰეჯირების ეფექტია 2,000 ლარის დაზოგვა, კომერციული საქმიანობის ეფექტია - 3,000 ლარის მოგება (30,000-27,000).

✓ ოფციონი (უფლება)



ოფციონი არის კონტრაქტი ორ მხარეს შორის, რომლითაც ერთი მხარე ყიდულობს, ხოლო მეორე მხარე ყიდის ფიქსირებულ ფასად, ოფციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში აქტივების გარკვეული კატეგორიის შეძენის უფლებას. ოფციონები არსებობს ორი სახის ფუტ-ოფციონი (Put) და კოლ-ოფციონი (Call). ეს სახეობები განსაზღვრავენ თუ რა უფლებას იღებს მყიდველი - საბაზო აქტივის გაყიდვის თუ ყიდვის. Put ოფციონი არის „ოფციონი გაყიდვაზე“ და ოფციონის მყიდველს (მფლობელს) აძლევს უფლებას გაყიდოს საბაზო აქტივი მომავალში, ხოლო Call ოფციონი არის „ოფციონი ყიდვაზე“ და აძლევს ოფციონის მყიდველს (მფლობელს) უფლებას მომავალში იყიდოს აქტივი. ოფციონის შეძენა შესაძლებელია ბირჟაზე და ბირჟის გარეთ – თავისუფალ მიმოქცევაში.

ოფციონები ძირითადად გამოიყენება ფასების არახელსაყრელი ცვლილებების რისკების შესამცირებლად. ინვესტორი იძენს ქოლ-ოფციონს მაშინ, როდესაც ელოდება აქტივის საბაზრო ფასის ზრდას, და ფუტ-ოფციონს – როდესაც ელოდება საბაზრო ფასის შემცირებას. ქოლ-ოფციონი აძლევს მის მყიდველს მომავალში აქტივის შეძენის მოთხოვნის უფლებას წინასწარ განსაზღვრული ფასით, რომელიც არ არის სავალდებულო შესასრულებლად. ოფციონის შესაძენად, ანუ მოთხოვნის უფლების მოსაპოვებლად, მყიდველი იხდის გარკვეულ თანხას, პრემიას, ანუ ოფციონის ფასს

(კონტრაქტის ღირებულებას). მყიდველის მიერ ოფციონის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრემია არ უბრუნდება მას, რჩება გამყიდველს. პრემია თავისი არსით არის მყიდველის მიერ ოფციონის შესრულების რისკის საფასური და მისი სიდიდე დამოკიდებულია ვადებზე. საბაზო აქტივზე მომავალში გადასახდელი თანხა არის ოფციონის შესრულების ფასი და მას უწოდებენ **სტრაიქ ფასს (strike price)**, ეს ის ფასია, რომელიც განისაზღვრება კონტრაქტის დადების დღეს. საბაზო აქტივის ფასს, რომელიც ჩამოყალიბდება ბაზარზე ოფციონის განხორციელების დღეს ეწოდება **სპოტ ფასი (spot price)**. შეიძლება კონტრაქტის საგანი იყოს უცხოური ვალუტის კურსი და გამოყენებულ იქნეს **სპოტ სავალუტო კურსი** – კურსი დაუყოვნებლივი მიწოდებისათვის.

ოფციონის მოქმედების ვადები განსაზღვრულია საბირჟო წესებით, მითითებულია კონტრაქტში და შეადგენს 3, 6 და 9 თვეს კონტრაქტის შედგენის დღიდან, ვადის გაგრძელება ბირჟაზე აკრძალულია. ოფციონის მოქმედების ვადა შეზღუდულია შესრულების ვადებით.

ოფციონი თავისი არსით ისეთი კონტრაქტია, რომელიც მფლობელისათვის არ არის სავალდებულო შესასრულებლად, აძლევს მას არჩევანის უფლებას. მისი შესრულება დამოკიდებულია მომავალში განვითარებულ მოვლენებზე. ოფციონის შესრულების დროს აქტივის საბაზრო ფასი შეიძლება იყოს განსხვავებული ოფციონის შესრულების ფასისაგან – იყოს უფრო მაღალი ან დაბალი. ოფციონის მფლობელი მიიღებს გადაწყვეტილებას – მოახდინოს თუ არა თავისი უფლებების რეალიზება, რაც დამოკიდებულია ოფციონის მოქმედების პერიოდის განმავლობაში საბაზო აქტივის კურსის/ფასების ცვლილებების მიმართულებაზე. ბირჟის კურსის მიმართულება ოფციონის მფლობელისა და გამყიდველების პროგნოზირებაზე ურთიერთსაპირისპიროდ მოქმედებს და ორივე ორიენტირებულია სარგებელის მიღებაზე.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რა არის ოფციონური გარიგების საბაზო აქტივი: პირველადი თუ მეორედი ინსტრუმენტი. მაგალითად, სასაქონლო ბაზარზე

ოფციონები დაფუძნებულია არა საქონელზე, არამედ ამ საქონლის ფიუჩერსულ კონტრაქტებზე. ასეთ შემთხვევაში, ფიუჩერსული კონტრაქტის საბაზო აქტივი არის საქონელი, ხოლო ფიუჩერსული ოფციონისათვის საბაზო აქტივი არის ფიუჩერსული კონტრაქტი. ამდენად, საბაზო აქტივი არის საქონელი, მ.შ. ოქრო და ძვირფასი მეტალები, ვალუტა, კრედიტი და სხვა. ამიტომ არსებობს სხვადასხვა სახის კონტრაქტები, რომელსაც აქვს ოფციონის ნიშნები – საფონდო, სავალუტო, საპროცენტო, ფიუჩერსული კონტრაქტები.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების განსხვავება პირველადი ინსტრუმენტებისაგან (მაგალითად, ფასიანი ქაღალდებისაგან) არის ის, რომ ისინი იძლევიან გარიგების შესრულების ან შეუსრულებლობის უფლებას, მაგრამ არ იძლევიან უფლებას გარანტირებულ შემოსავალზე. ამის მიუხედავად, ყველა შემოსავალი და დანაკარგი აისახება ბუღალტრულ აღრიცხვაში.

გარიგების მრავალი სტრატეგია და შესაბამისად, აღრიცხვის მრავალი ვარიანტი არსებობს. ამიტომ კონტრაქტის დადება არ აისახება ბუღალტრულად, აისახება მხოლოდ გადახდილი პრემია.

ოფციონის შეძენით საწარმო არ იძენს და არ ყიდის აქტივს, ის იძენს მხოლოდ უფლებას შეძენაზე ან გაყიდვაზე.

მაგალითი 14. ოფციონი აქციების შეძენაზე (ქოლ ოფციონი).

2022 წლის 5 იანვარს კომპანიამ შეიძინა ოფციონი 1,000 ცალი აქციის შეძენაზე, ერთი აქციის ფასია 25 ლარი. პრემიამ შეადგინა 1,000 ლარი. ოფციონის შესრულების ღირებულება შეადგენს 25,000 ლარს, შესრულების ვადაა – 2022 წლის 5 მაისი. აქტივი შეძენილია სპეკულაციური მიზნებისათვის – 12 თვეში გაყიდვის მიზნით. კომპანიას აქვს უფლება ნებისმიერ დროს შეასრულოს ან შეწყვიტოს კონტრაქტი.

ერთი აქციის საბაზრო ფასი (ლარი):

თარიღი	სცენარი	
	A	B
2022 წლის 5 იანვარი	25	25
2022 წლის 7 მარტი	30	20
2022 წლის 5 მაისი	35	17
	ფასების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება	ფასების შემცირების ტენდენცია შენარჩუნდება

ავსახოთ ოფციონის შესრულების ოპერაციები.

- ჰეჯირების მუხლი - აქციები;
- ჰეჯირების ინსტრუმენტი - ოფციონი;
- რისკი - რეალური ღირებულების ცვლილება.

სცენარი A

ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები უნდა აღირიცხოს მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით. ფინანსური აქტივის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება ოფციონისათვის გადახდილი პრემია 1,000 ლარი და მიეკუთვნება ფინანსურ შედეგებს. საბაზო აქტივზე ფასების მოსალოდნელი ზრდა არ ახდენს გავლენას ოფციონის შესრულებაზე და კომპანიას ყველა შემთხვევაში მოუტანს 5,000 ლარის მოგებას, რაც არის ჰეჯირების ეფექტი.

ავსახოთ ოპერაციები საჟურნალო გატარებებით:

თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
2022 წ. 5 ანვარი	მოგება-ზარალი (პრემიის ხარჯი)	7400		1,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	1,000
	პრემიის გადახდა			
2022წ. 7 მარტი	ინვესტიციები სხვა საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	1310		30,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	25,000

	არასაოპერაციო მოგება		8130	5,000
	ოფციონის შესრულება			

სცენარი B

საბაზო აქტივის ფასის არახელსაყრელი ცვლილების გამო კომპანიამ უნდა ისარგებლოს თავისი უფლებით და გამოვიდეს კონტრაქტის შესრულებიდან (შეწყვეტოს კონტრაქტი), **ოფციონის განულებით** კომპანიის ზარალი შემოიფარგლება გადახდილი პრემიით.

მაგალითი 15. ოფციონი აქტივის გაყიდვაზე (პუტ ოფციონი)

კომპანიამ 2021 წლის 1 დეკემბერს შეიძინა თხილის 10,000 ლარად გაყიდვის ოფციონი (უფლება). თხილის თვითღირებულებაა 8,000 ლარი. კონტრაქტის შესრულების თარიღია 2022 წლის 1 თებერვალი.

თხილის რეალური ღირებულება: 2021 წლის 31 დეკემბერს - 7,000 ლარი; 2022 წლის 1 თებერვალს - 6,000 ლარი. დიდი ვარაუდი არსებობს, რომ თხილის საბაზრო ფასის დაცემა გაგრძელდება.

ანგარიშსწორება მოხდება ფულით. კომპანიას აქვს უფლება შეწყვიტოს კონტრაქტი. **ოფციონი შესრულდა.**

ავსახოთ ოფციონის შესრულება.

- ჰეჯირების მუხლი - საქონელი;
- ჰეჯირების ინსტრუმენტი - ოფციონი;
- რისკი - ფულადი ნაკადები.

სათანადო საჭურნალო გატარებები:


თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
2021 წ. 1 დეკემ-	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (ოფციონი)	1390		0
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	0

ბერი	კონტრაქტის დადების დღეს მისი ღირებულება ნულია (მოხდა მხოლოდ აქტივის დაფიქსირება)			
2021 წ. 31 დეკემ- ბერი	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (ოფციონი)	1390		3,000
	არასაოპერაციო მოგება		8130	3,000
	გასაყიდი საბაზო აქტივის რეალური ღირებულების შემცირებამ გაზარდა ოფციონის რეალური ღირებულება (7,000-10,000)			
2022 წ. 1 თებერვალი	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		10,000
	შემოსავალი რეალიზაციიდან		6110	7,000
	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები (ოფციონი)		1390	3,000
	ამონაგების აღიარება და ოფციონის დახურვა			
	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7210		8,000
	საქონელი		1610	8,000
	რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა			

ჰეჯირების შედეგად კომპანიამ მიიღო 10,000 ლარის ფულადი სახსრები, წმინდა ფინანსური შედეგი - მოგება 2,000 ლარი (ჰეჯირების მოგებამ 3,000 ლარის ოდენობით გადაფარა საქონლის რეალიზაციით მიღებული 1,000 ლარის ზარალი).

4, რთული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა

ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის შინაარსი შეიძლება განსხვავდებოდეს მისი სამართლებრივი ფორმისაგან. ფინანსური ინსტრუმენტი სამართლებრივი ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ფინანსური ვალდებულება, მაგრამ იძლეოდეს კაპიტალში კომენტირების უფლებას - დროის გარკვეულ პერიოდში მოახდინოს თავისი ინსტრუმენტის გადაცვლა ემიტენტის ჩვეულებრივ აქციებში. ან, პირიქით, შეიძლება იყოს წილობრივი ინსტრუმენტი, მაგრამ იძლეოდეს დროის გარკვეულ პერიოდში გამოსყიდვის უფლებას, ან იყოს შესასრულებლად სავალდებულო.



ვიდრე ემიტენტი მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ელემენტად კლასიფიკაციას, ხელშეკრულება უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული. კერძოდ, ემიტენტმა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის დროს, მხედველობაში უნდა მიიღოს მათი შინაარსი და არა სამართლებრივი ფორმა. ჩვეულებრივ, ფინანსური ინსტრუმენტის შინაარსი და სამართლებრივი ფორმა ერთმანეთს შეესაბამება, თუმცა ყოველთვის არა. მაგალითად, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი იღებს წილობრივი ინსტრუმენტის სამართლებრივ ფორმას, მაგრამ შინაარსით ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო სხვები შეიძლება აერთიანებდეს როგორც წილობრივი ინსტრუმენტების, ასევე ფინანსური ვალდებულებების თვისებებს.

✓ პრივილეგირებული აქციები


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტის ემიტენტმა ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი შემადგენელი ნაწილების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ფინანსური ვალდებულების, ფინანსური აქტივის ან წილობრივი ინსტრუმენტის სახით, ხელშეკრულების შინაარსისა და ფინანსური ვალდებულების, ფინანსური აქტივისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

ასე, პრივილეგირებული აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს სხვადასხვა უფლებებით, პრივილეგირებული აქციების ვალდებულებად და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირების დროს, საწარმომ უნდა შეაფასოს აქციებთან დაკავშირებული განსაკუთრებული უფლებები იმის დასადგენად, თუ როგორ გამოვლინდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ძირითადი მახასიათებლები.

პრივილეგირებული აქციების შინაარს განსაზღვრავს **გამოშვების პირობები**. პირობები ძირითადად ეხება ხმის უფლებებს, **გამოსყიდვასა და დივიდენდების გაცემას**. როგორც წესი, პრივილეგიურ აქციებს არ აქვს ხმის უფლება და მათზე გაცივმა გარანტირებული ფიქსირებული დივიდენდები – პროცენტი ნომინალური ღირებულებიდან. მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილია სხვადასხვა პირობებით გამოშვებული პრივილეგირებული აქციები, რომელიც ითვალისწინებს აქციების დაბრუნების/გამოსყიდვისა და დივიდენდების გაცემის საკითხებს. აქციების დაბრუნების პირობები, აქციონერთა უფლებები წმინდა მოგების განაწილებაში (დივიდენდების განაწილებაში) და წმინდა აქტივებზე საწარმოს ლიკვიდაციის დროს განსაზღვრავს აქციის ბუნებას. ამდენად, **გამოშვების პირობებიდან გამომდინარე პრივილეგირებული აქციები შეიძლება იყოს ან წილობრივი ინსტრუმენტი (კაპიტალი), ან ფინანსური ვალდებულება**. ანალოგიურად, კონვერტირებად სასესხო ვალდებულებებში ჩართულია კონვერტაციის ოფციონი და შესაბამისად შეიცავს ორ კომპონენტს: ფინანსურ ვალდებულებას (სახელშეკრულებო შეთანხმებას ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდების შესახებ) და წილობრივ ინსტრუმენტს.

ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ მოითხოვს რთული ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიებად (კლასებად) კლასიფიცირებას ფინანსურ ვალდებულებად და წილობრივ ინსტრუმენტად და მათ აღიარებას ხელშეკრულების შინაარსისა და განმარტებების შესაბამისად. ამდენად, შინაარსისა და აღიარების კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ემისიიდან მიღებული შემოსავალი ორ ნაწილად

უნდა გაიყოს და ემიტენტის ბალანსში ცალ-ცალკე უნდა აისახოს: საკუთარი კაპიტალი (კონვერტაციის უფლებაზე მისაკუთვნიებული ნაწილი) და ვალდებულება.



ჯერ გამოითვლება ვალის ინსტრუმენტზე მისაკუთვნიებული თანხა, როგორც წმინდა ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, ხოლო შემდეგ – წილობრივ კომპონენტზე მისაკუთვნიებული თანხა, როგორც სხვაობა საემისიო შემოსავალსა და ვალის კომპონენტს შორის.

✓ წილობრივი ინსტრუმენტი

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას. აქციები კლასიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტად, როდესაც არ არსებობს სახელშეკრულებო ვალდებულები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური ქტივის გადაცემაზე.

როგორც უკვე აღინიშნა წინა პარაგრაფში, ინსტრუმენტი წილობრივი ინსტრუმენტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ორივე პირობა (ა) და (ბ) შესრულებულია:

- ა) ინსტრუმენტი არ შეიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებას¹⁷:

¹⁷ არ არის დაბრუნებადი. დაბრუნებადი ისეთი ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს, ემიტენტს უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა

- გადასცეს ფულადი თანხა ან სხვა ფინანსური ვალდებულება მეორე საწარმოს; ან

- გაუცვალოს ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება სხვა საწარმოს ემიტენტისათვის პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით.

ბ) ინსტრუმენტს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს უნარი, დაიფაროს ემიტენტის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით¹⁸ .

✓ ფინანსური ვალდებულებები

როდესაც ემიტენტს აქვს სახელშეკრულებო ვალდებულება, საკუთარი აქციები შეისყიდოს ნაღდი ფულით ან სხვა ფინანსური აქტივით (ანუ არის დაბრუნებადი), ეს არის ვალდებულება. მაგალითად: თუ პრივილეგირებული აქციები ითვალისწინებს ემიტენტის მიერ მათ სავალდებულო გამოსყიდვას ფიქსირებული ან განსაზღვრადი თანხით, რომელიმე ფიქსირებული ან განსაზღვრადი მომავალი თარიღისათვის, ასეთი ვალდებულება წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას; ან პრივილეგირებული აქცია, რომლის დაფარვას ითვალისწინებს გარკვეული თარიღისათვის მფლობელის არჩევანით, აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულების ცნებას, რადგან ემიტენტი ვალდებულია აქციის მფლობელს გადასცეს ფინანსური აქტივები.

ემიტენტის არჩევანის უფლება, გამოისყიდოს აქციები, არ აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულების ცნებას, რადგან ემიტენტს არა აქვს მიმდინარე ვალდებულება აქციების მფლობელთათვის ფინანსური აქტივების გადაცემის შესახებ. აქციების დაფარვა დამოკიდებულია მხოლოდ ემიტენტის გადაწყვეტილებაზე. მაგრამ ვალდებულება შეიძლება წარმოიქმნას, როდესაც ემიტენტი გამოიყენებს თავის არჩევანის უფ-

ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით, ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს ამა თუ იმ გაურკვეველი მოვლენის მოხდენისას მომავალში, ან ინსტრუმენტის მფლობელის სიკვდილის ან პენსიაში გასვლის დროს (ბასს 32, პ.11).

¹⁸ არის კონვერტირებადი.

ლებას, ჩვეულებრივ, აქციების გამოსყიდვის განზრახვის შესახებ აქციონერების ოფიციალური ინფორმირების საფუძველზე.

ამდენად, ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება **ფინანსურ ვალდებულებად**, თუ საწარმოს არა აქვს უპირობო უფლება, თავი აარიდოს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემას სახელშეკრულებო ვალდებულების დასაფარად და დაფარვისას გადასცემს:

- ფულად სახსრებს ან სხვა ფინანსურ აქტივს; ან
- საკუთარ აქციებს, რომელთა ღირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის ღირებულებას.

როგორც უკვე აღინიშნა, **ფინანსური ვალდებულება** არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის:

ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება:

- სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან
- პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან

ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

როდესაც პრივილეგირებული აქციები არ შეიძლება იქნეს გამოსყიდული ინვესტორის მოთხოვნით, მაშინ მათ კლასიფიკაციას კაპიტალად და ვალდებულებად განსაზღვრავს **უფლებები დივიდენდებზე**. ასე, როდესაც დივიდენდები არ არის კონტროლირებადი ემიტენტის მიერ, ანუ ემიტენტი ვალდებულია გადაიხადოს დივიდენდები გარკვეული პერიოდულობით, მაშინ ეს ნიშნავს სახელშეკრულებო ვალდებულებას და კლასიფიცირდება ემიტენტის ფინანსურ ანგარიშგრაში ფინანსურ ვალდებულებად.

✓ **გამონაკლისი: დაბრუნებადი აქციების კლასიფიცირება წილობრივ ინსტრუმენტად**

გამონაკლისის წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულების განმარტებას, მაგრამ კლასიფიცირდება **წილობრივ ინსტრუმენტად**, თუ მას ახასიათებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშანი:

ა) ინსტრუმენტი მფლობელს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული **წილის მიღების უფლებას ანიჭებს საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში**;

ბ) ეს ინსტრუმენტი ისეთ კლასს განეკუთვნება, რომელსაც ინსტრუმენტების ყველა **სხვა კლასთან შედარებით დაქვემდებარებული პოზიცია აქვს**. ასეთ კატეგორიას რომ მიეკუთვნოს, ინსტრუმენტს:

- არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა ლიკვიდაციის დროს საწარმოს აქტივებთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებთან შედარებით; და

- არ უნდა საჭიროებდეს სხვა ინსტრუმენტად კონვერტაციას, სანამ ინსტრუმენტების ისეთ კლასს მიეკუთვნება, რომელსაც დაქვემდებარებული¹⁹ პოზიცია უკავია ყველა სხვა ინსტრუმენტთან შედარებით.


გ) ინსტრუმენტების ყველა სხვა კლასთან შედარებით დაქვემდებარებული პოზიციის მქონე ინსტრუმენტების კლასში შემავალ ყველა ინსტრუმენტს იდენტური მახასიათებლები აქვს. მაგალითად, ყველა მათგანი დაბრუნებადი უნდა იყოს და უკან დაბრუნების ანუ გამოსყიდვის ფასის გამოსათვლელად გამოყენებული ფორმულა ან სხვა მეთოდი ერთი და იგივე უნდა იყოს ამ კლასში შემავალი ყველა ინსტრუმენტისთვის.

¹⁹ ინსტრუმენტს, ლიკვიდაციის შემთხვევაში, უპირატესი უფლება იმ შემთხვევაში გააჩნია, თუ ის მფლობელს უფლებას ანიჭებს **ფიქსირებული სიდიდის დივიდენდის მიღებაზე ლიკვიდაციის დროს**, საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციულ წილთან ერთად, როდესაც სხვა მასზე დაქვემდებარებული პოზიციის მქონე კლასის ინსტრუმენტებს (რომლებსაც საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე აქვთ უფლება) არა აქვთ ანალოგიური უფლება ლიკვიდაციის დროს. (ბასს 32, მგ14გ).

დ) გარდა იმისა, რომ ემიტენტს აკისრია სახელშეკრულებო ვალდებულება, გამოისყიდოს ეს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით, ეს ინსტრუმენტი არ მოიცავს სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებას – სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივი, ან პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები და არ არსებობს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით, როგორც განსაზღვრულია ფინანსური ვალდებულების განმარტების (ბ) პუნქტში.

თუ საწარმოს არ შეუძლია იმის განსაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, მან დაბრუნებად ინსტრუმენტს არ უნდა მიანიჭოს წილობრივი ინსტრუმენტის კლასიფიკაცია.

დაბრუნებადი აქციები, რომელიც გამონაკლისის სახით კაპიტალად არის კლასიფიცირებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც არ არის არამაკონტროლებელი წილები, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირდება როგორც ვალდებულებები, ანუ არ არის მთლიანი ჯგუფის ვალდებულება (ბასს 32, მგ29ა).



მაგალითი 16. წილობრივ ინსტრუმენტებში კონვერტირებადი ობლიგაციები

2020 წელს კომპანიამ მოახდინა 1,000 ფე ნომინალური ღირებულების 2,000 ცალი კონვერტირებადი ობლიგაციების ემისია. პროცენტი გადაიხდება ყოველი წლის ბოლოს ნომინალური 6%-იანი განაკვეთით. ემისიის თარიღისათვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი იყო 9%. ობლიგაციები დაიფარება 2022 წელის 31 დეკემბერს.

შევაფასოთ ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველი აღიარების დროს და პირველი წლის ბოლოს.

ეს არის უპირობო კონვერტაციის შემთხვევა. ამდენად, ხელშეკრულება მოიცავს ორ კომპონენტს.

სამი წლის შემდეგ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხის დღევანდელი ღირებულება:

$$2,000 \text{ ცალი} * 1,000 \text{ ფე (PV 3,9\%)} = 2,000,000 * 0.772 = 1,544,000 \text{ ფე}$$

პროცენტის მიმდინარე ღირებულება:

$$(PV 3,6\%) 2,000,000 \text{ ფე} * 6\% * 2.531 = 303,720$$

მაჩვენებლები	გაანგარიშება	ფე
ვალდებულების კომპონენტის მიმდინარე ღირებულება	1,544,000 + 303,720	1,847,720
კაპიტალის კომპონენტი	2,000,000 – 1,847,720	152,280
ვალდებულება 2018წ. 1 იანვრს		1,847,720
გადასახდელი პროცენტი	1,847,720 * 9%	166,295
გადახდილი ფულადი სახსრები	2,000,000 * 6%	120,000
ვალდებულება 2018წ. 31 დეკემბერს	1,847,720+166,295-120,000	1,894,015

მაგალითი 17. საკუთარ კაპიტალში კონვერტირებადი სასესხო ვალდებულება

საწარმომ გამოუშვა 500 ათასი ლარის სასესხო ვალდებულება საკუთარ კაპიტალში კონვერტაციის პირობით – ერთი აქციის კონვერტაციის ღირებულებაა 7 ლარი, ხოლო ნომინალური – 1 ლარი. სესხის ვადაა 3 წელი, საპროცენტო განაკვეთი 12%, რომელიც გადაიხდება ყოველწლიურად. ეფექტურ საპროცენტო განაკვეთად მიჩნეულია საბაზრო განაკვეთი – 15%.

გავაკეთოთ დაშვება, რომ კონვერტაცია უპირობოა, ანუ კონვერტაცია სავალდებულოა.

ავსახოთ ამ შინაარსის გარიგება ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს რთულ ფინანსურ ინსტრუმენტს, ამიტომ უნდა შეფასდეს მისი კომპონენტები: სასესხო ვალდებულება და ოფციონი საკუთარ კაპიტალში.

- გავიანგარიშოთ ბალანსის ელემენტები – ვალდებულების კომპონენტი (გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება) და კაპიტალის კომპონენტი

საწარმოს ყოველწლიურად სამი წლის განმავლობაში გადასახდელი აქვს პროცენტი 60,000 ლარი ($500,000 * 12\%$) და მესამე წლის ბოლოს დასაბრუნებელი აქვს

ძირითადი თანხა – 500,000 ლარი. გავიანგარიშოთ გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, დავადგინოთ წილობრივი ინსტრუმენტის ვალდებულების და კაპიტალის კომპონენტი:

ვალდებულების დღევანდელი ღირებულება (ლარი)

წელი	ფულადი სახსრები	დისკონტირების ფაქტორი (15%)	დისკონტირებული ღირებულება
1	60,000	0.8696	52,176
2	60,000	0.7561	45,366
3	560,000 (500,000+60,000)	0.6575	<u>368,200</u>
სულ			465,742

წილობრივი ინსტრუმენტის შეფასება

მაჩვენებლები	ლარი
ვალდებულება	500,000
ვალდებულების დღევანდელი ღირებულება	<u>(465,742)</u>
წილობრივი ინსტრუმენტი	34,258

ამდენად, საწარმოს სასესხო ვალდებულება ფასდება დისკონტირებული ღირებულებით – 465,742 ლარად, ხოლო კაპიტალის ელემენტი (წილობრივი ინსტრუმენტი) "ნარჩენი ღირებულებით" – 34,258 ლარად. ვინაიდან ხელშეკრულებით ერთი აქციის კონვერტაციის ღირებულებაა 7 ლარი, გამსესხებელს ეკუთვნის 4,894 ცალი აქცია (34,258 ლარი/7 ლარი).

✓ ბალანსის და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელემენტები

როგორც აღინიშნა, სასესხო ვალდებულება ბასს 39-ის თანახმად აისახება ბალანსში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზებული ღირებულებით. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ამსახველი საპროცენტო ხარჯი გამოითვლება არა ნომინალური განაკვეთით (12%), არამედ საბაზრო განაკვეთით (15%). ყოველწლიურად ბალანსში ამსახველი ვალდებულების სიდიდე და მოგებისა და

ზარალის ანგარიშგებაში ამსახველი საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია ცხრილში (ლარი):

წელი	ამორტიზებული ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო ხარჯი			ამორტიზებული ღირებულება ფულადი ნაკადებამდე (2+3)	ფულადი ნაკადები	ამორტიზებული ღირებულება წლის ბოლოს (6-7)
		ესგ (2*15%)	მათ შორის				
			გადასახდელი (12%)	ამორტიზაციის თანხა (3-4)			
1	2	3	4	5	6	7	8
1	465,742	69,861	60,000	9,861	535,603	(60,000)	475,603
2	475,603	71,341	60,000	11,341	546,944	(60,000)	486,944
3	486,994	<u>73,056</u>	<u>60,000</u>	<u>13,056</u>	560,000	<u>(560,000)</u>	0
სულ		214,258	180,000	34,258			

საპროცენტო ხარჯის აღიარება და სესხის ამორტიზება აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

წელი	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		500,000
	გრძელვადიანი სესხი		4140	465,742
	საკუთარ კაპიტალში კონვერტირებადი სასესხო ვალდებულება		5180	34,258
	საკუთარ კაპიტალში კონვერტირებადი სასესხო ვალდებულებების ემისია			
	საპროცენტო ხარჯი	8210		69,861
	გადასახდელი პროცენტი		3410	60,000
	გრძელვადიანი სესხი		4140	9,861
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და სესხის ამორტიზება			
	გადასახდელი პროცენტი	3410		60,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	60,000
პროცენტის გადახდა				
2	საპროცენტო ხარჯი	8210		71,341
	გადასახდელი პროცენტი		3410	60,000

	გრძელვადიანი სესხი		4140	11,341
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და სესხის ამორტიზება			
	გადასახდელი პროცენტი	3410		60,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	60,000
	პროცენტის გადახდა			
3	საპროცენტო ხარჯი	8210		73,056
	გადასახდელი პროცენტი		3410	60,000
	გრძელვადიანი სესხი		4140	13,056
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და სესხის ამორტიზება			
	გრძელვადიანი სესხი	4140		500,000
	გადასახდელი პროცენტი	3410		60,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	560,000
	მესამე წლის პროცენტისა და სესხის ძირითადი თანხის გადახდა			
	საკუთარ კაპიტალში კონვერტირებადი სასესხო ვალდებულება	5180		34,258
	ჩვეულებრივი აქციები		5110	4,894
	საემისიო კაპიტალი		5140	29,364
	სესხის კონვერტაცია საკუთარ კაპიტალში (4,894 ცალი * 7 ლარი)			

4. ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების აღრიცხვა

✓ გაუფასურებაზე ტესტირების მიზანი

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს აინტერესებთ რამდენად არსებობს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რისკი - რამდენად სავარაუდოა საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობით ზარალის წარმოქმნა. ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლებისათვის სამართლიანი ინფორმაციის წარსადგენად ფასს 9-ით მოითხოვება მათი ტესტირება გაუფასურებაზე. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება

ინდივიდუალურად შეფასდა თუ კოლექტიურად, რისთვისაც საწარმო ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

ფინანსური აქტივი მიიჩნევა (საკრედიტო რისკით) გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად დაკვირვებადი (ემპირიული) მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

ა) ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

ბ) სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორცაა, მაგალითად ძირი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა, ან გადახდის ვადაგადაცილება;

გ) როდესაც კრედიტორი, თავისი მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, მსესხებელს ისეთ დათმობებს სთავაზობს, რასაც სხვა შემთხვევაში არ გაითვალისწინებდა;

დ) მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრების პროცედურას, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;

ე) მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნელეების გამო; ან

ვ) ფინანსური აქტივის შეძენა ან შექმნა დიდი ფასდათმობით, რაც განცდილ საკრედიტო ზარალს ასახავს.

ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელი არ არის ერთი განცალკევებული მოვლენის იდენტიფიკაცია - პირიქით, ფინანსური აქტივის (საკრედიტო რისკით) გაუფასურება შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე მოვლენის ერთობლივი ზემოქმედებით.

გაუფასურება გამოიყენება შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ:

- სასესხო ინსტრუმენტები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით;
- სასესხო ინსტრუმენტები შეფასებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

- მოთხოვნები წარმოქმნილი სახელშეკრულებო აქტივებიდან (განეკუთვნება ფასს 15 მოქმედების სფეროს);

- საიჯარო მოთხოვნები (განეკუთვნება ფასს 16 მოქმედების სფეროს);

- სახელშეკრულებო ფინანსური გარანტიები, რომელიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

შემოწმებას გაუფასურებაზე არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და წილობრივი ინსტრუმენტები.

✓ საკრედიტო ზარალის ცნება

ფინანსური აქტივების გაუფასურება დაკავშირებულია მათ საკრედიტო რისკთან - რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს (ფასს 7, დანართი ა).

საკრედიტო (ფინანსური) ზარალი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოს მიერ მისაღებ ყველა სახელშეკრულებო ფულად ნაკადსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც საწარმო ვარაუდობს. სხვაგვარად, შესასწავლია ფინანსური ინსტრუმენტების

ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საკრედიტო ზარალი არის შემდეგ თანხებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება (ფასს 9, ბ5.5.29):

ა) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც ხელშეკრულების შესაბამისად არის გადასახდელი საწარმოსათვის; და

ბ) ფულადი ნაკადები, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის.

აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის საკრედიტო ზარალი არის შემდეგ თანხებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება (ფასს 9, პ.5.5.30):

ა) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც საწარმოსთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მფლობელი სესხს აითვისებს; და

ბ) ფულადი ნაკადები, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

✓ **გაუფასურების მოდელის მიზანი და არსი**

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასებას ფასს 9 მოითხოვს ე.წ. „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელით - ფინანსური აქტივების გაუფასურება აღიარდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდის ოდენობით - ე.წ. ECL (Expected Credit Loss - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ამ **მოდელის მიზანია** ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ანგარიშვალდებული საწარმოს ფულადი ნაკადების მოცულობის, ვადებისა და მომავალი განუსაზღვრელობების შესახებ. ამიტომ, ამ მოდელის მიხედვით კომპანიამ არ უნდა გადაავადოს საკრედიტო ზარალის აღიარება იმ დრომდე, ვიდრე არ იქნება გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. პირიქით, ეს მოდელი მოითხოვს საკრედიტო ზარალის აღიარებას ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე და ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მოსალოდნელი ზარალით განახლებას, რათა დროულად მიწოდებულ იქნეს დაინტერესებულ მხარეებისათვის შესაბამისი ინფორმაცია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი ითვალისწინებს შემდეგ მიდგომებს²⁰:

- **საერთო მიდგომის** თანახმად საწარმო ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აღიარებს გაუფასურების რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 12 თვის ან ინსტრუმენტის სიცოცხლო ვადის განმავლობაში, იმის მიხედვით თუ რამდენად არსებობს საკრედიტო რისკის ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს მიდგომა გამოიყენება კრედიტების უდიდესი ნაწილისა და სასესხო ფასიან ქაღალდებისათვის;
- **გამარტივებული მიდგომა** მოითხოვს ზარალის შეფასებითი რეზერვის აღიარებას ინსტრუმენტის სიცოცხლის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე მისი თავდაპირველი აღიარებიდან. ეს მიდგომა გამოიყენება

²⁰ Ernst&Young.https://assets.ey.com/content/dam/ey-sites/ey-com/ru_ru/topics/assurance/ifrs/ey-impairment-offinancial-instruments-under-ifrs9-rus.pdf

სავაჭრო და საიჯარო დებიტორული დავალიანებისა და საკონტრაქტო აქტივებისათვის;

- შეძენილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკით არის გაუფასურებული. მათთვის გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დაკორექტირებულია საკრედიტო რისკით.

თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებისათვის რეზერვი არ აღიარდება. ასეთი აქტივებისათვის მათი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ჩაირთვება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში. შედეგად მიიღება საკრედიტო რისკით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ის შემდგომში ამორტიზირდება. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველი აღიარების რეალურ ღირებულებაში უკვე აისახება ის საკრედიტო ზარალი, რომელიც მოსალოდნელია აქტივების არსებობის მანძილზე.

1. საკრედიტო ზარალის შეფასების ზოგადი მიდგომა (მოდელი)

ეს მიდგომა მოიცავს სამ სტადიას და გაუფასურების ზარალის აღიარება და შეფასება ხდება იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება განსახილველი ფინანსური აქტივი.

სტადია 1 -აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

აღრიცხვის თავისებურებები:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა;
- საპროცენტო შემოსავლის განსაზღვრა მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან²¹

(ანუ ზარალის რეზერვის გამოკლებამდე).

²¹ ამორტიზებული ღირებულება, გაუფასურების რეზერვის თანხით კორექტირებამდე

სტადია 2 - ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც დაბალი საკრედიტო რისკი გააჩნიათ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით

აღრიცხვის თავისებურებები:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე;
- საპროცენტო შემოსავლის განსაზღვრა მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან, ანუ ზარალის რეზერვის გამოკლებამდე.

სტადია 3 - ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც მაღალი საკრედიტო რისკი გააჩნიათ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით


აღრიცხვის თავისებურებები:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე;
- საპროცენტო შემოსავლის განსაზღვრა ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზებული ღირებულებიდან (ზარალის რეზერვის გამოკლების შემდეგ და არა მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საერთო (3 სტადიანი) მიდგომა²²

12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევების შედეგად. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად.

²² Deloitte. https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ua/Documents/webinar/30_11_17_webinar_IFRS_9.pdf



ამდენად, თავდაპირველად ფინანსური აქტივების აღიარებისთანავე იქმნება 12-თვიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი - მხოლოდ ნაწილი მოსალოდნელი ზარალის. შემდგომში, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზრდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ე.წ. საბოლოო ზარალი.

ამავდროულად, ფასს 9 აღიარებს, რომ ამ მოდელს ახლავს გარკვეული სირთულეები, მაგალითად როგორცაა შემდეგის განსაზღვრები:

- სტადია, რომელსაც მიეკითვება აქტივი;
- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა;
- 12- თვიანი ან მთლიანი სახელშეკრულებო პერიოდის მანძილზე ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი);

- ECL-ზე (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) მოქმედი საკრედიტო რისკის ფაქტორები.

ამ სირთულეების გათვალისწინებით, ფასს 9-ით ნებადართულია ზოგიერთი ფინანსური აქტივებისადმი ალტერნატიული მიდგომა - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა გამარტივებული მიდგომით.

2. საკრედიტო ზარალის შეფასების გამარტივებული მიდგომა (მოდელი)

გამარტივებული მიდგომის დროს არ არის საჭირო ფინანსური აქტივის კატეგორიის განსაზღვრა, რადგან გაუფასურების ზარალი განისაზღვრება როგორც ყველა ფინანსური ინსტრუმენტების ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) მთლიანი სახელშეკრულებო პერიოდის არსებობის მანძილზე.


✓ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება როგორც საკრედიტო ზარალის (დანაკარგების) საშუალო შეწონილი სიდიდე, სადაც წონებად გამოიყენება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკები. საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ისეთი მეთოდით უნდა შეაფასოს, რომელიც ასახავს:

ა) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;

ბ) ფულის დროით ღირებულებას; და

გ) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.




მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების შექმნისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის წესი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ აღიარდება ფინანსური აქტივი - ამორტიზებული ღირებულებით თუ რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავლში ასახვით.

თუ ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და ამცირებს ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რეზერვის შექმნა აისახება ხარჯების დებეტში (მოგება-ზარალი) და მოსალოდნელი ზარალის რეზერვის კრედიტში (ბალანსი). რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება აქტივების შემადგენლობაში უარყოფითი ნიშნით, რითაც ამცირებს ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას.


თუ ფინანსური აქტივი აღირიცხება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ასევე აღიარდება ხარჯად, მაგრამ „სხვა სრული შემოსავლის“ ანგარიშგების მეშვეობით აისახება კაპიტალში. რეზერვის შექმნა აისახება ხარჯების დებეტში (მოგება-ზარალი) და დაგროვილი გაუფასურების რეზერვის კრედიტში (კაპიტალი).



გარკვეული გამონაკლისების გარდა, საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, უნდა განსაზღვროს ზარალის რეზერვი ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

როდესაც საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზარდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ზარალის რეზერვი უნდა შეაფასოს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12- თვიანი საკრედიტო ზარალის.

აღსანიშნავია, რომ თუ როგორ უნდა აღიარდეს ფინანსური აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი, მაშინ როდესაც შექმნილია მათი გაუფასურების რეზერვები. 1-ლი და მე-2 სტადიას მიკუთვნებულ აქტივებიდან საპროცენტო თანხა აღიარდება რეზერვების გაუთვალისწინებლად, ხოლო მე-3 სტადიას მიკუთვნებული აქტივებიდან მისაღები საპროცენტო შემოსავალი - რეზერვების გათვალისწინებით²³.

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
საკრედიტო რისკის ზრდა 	არ არის საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა	საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა	გაუფასურებული
გაუფასურების აღიარება	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	
ფინანსური შემოსავალი	პროცენტი გაიანგარიშება ფინანსური აქტივიდან რეზერვების გაუთვალისწინებლად (gross basis)		პროცენტი გაიანგარიშება ფინანსური აქტივიდან რეზერვების გათვალისწინებით (net basis)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვა განვიხილოთ რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახული აქტივების მაგალითზე.


როგორც უკვე აღინიშნა, რეალური ღირებულებით აღრიცხული სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია იყენებს როგორც საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ასევე მათი

²³ <http://msfo-dipifr.ru/msfo-9-novyj-standart-po-uchetu-finansovyx-instrumentov-general-approach/>

შემდგომში გაყიდვის მიზნით. ამ ფინანსური აქტივთან დაკავშირებით აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ მომავალი ფულადი ნაკადების მიღების თარიღები ზუსტად იყოს განსაზღვრული.

ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღირებისთანავე აღიარდება მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიც (იგივე რეზერვი, კაპიტალის მუხლი). ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივების რეალური ღირებულების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებების განსაზღვრა. ორივე ცვლილება განიხილება ცალ-ცალკე მოვლენებად, შესაბამისად ცალ-ცალკე აღირიცხებიან, ვინაიდან .ამ ორი მუხლის ცვლილება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოვლენებია. ამდენად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ აღიარდა ორი მუხლი, რომლებიც შემდგომ პერიოდში აღირიცხებიან ერთმანეთისაგან განცალკევებულად. კერძოდ:

- 1) **ფინანსური აქტივები**, რომელიც ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილება აისახება **სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში**;
- 2) **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი**, რომელიც ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თავიდან ფასდება, მისი შეფასების ცვლილებებით კორექტირდება **კაპიტალის მუხლი** „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.“



მაგალითი. 18. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - რეალური ღირებულების ცვლილებები აისახება სხვა სრულ შემოსავლებში²⁴

2020 წლის 20 დეკემბერს საწარმომ შეიძინა სასესხო ინსტრუმენტები 1,000 ფე, რომელსაც აღრიცხავს რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (სსშ) ასახვით. ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთი 5% ხელშეკრულების მოქმედების 10 წლის განმავლობაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც 5%.

პირველადი აღიარების დროს, საწარმომ დაადგინა, რომ აქტივი არ არის გაუფასურებული:

დებეტი - ფინანსური აქტივი 1,000

²⁴ https://assets.ey.com/content/dam/ey-sites/ey-com/ru_ru/topics/assurance/ifrs/ey-impairment-offinancial-instruments-under-ifrs9-rus.pdf 3.81

კრედიტი - ფულადი სახსრები 1,000

31 დეკემბრისათვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შედეგად, აქტივის რეალური ღირებულება გახდა 950 ფე. საწარმომ დაასკვნა, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, რამაც შეადგინა 30 ფე.

დებეტი - გაუფასურების ზარალი (მ/ზ) 30

დებეტი - სსშ დაგროვილი ზარალი 20

კრედიტი - ფინანსური აქტივი 50

გამარტივებისათვის გამოტოვებულია საპროცენტი შემოსავლების აღიარება.

საანგარიშგებო თარიღისათვის სსშ-ში საერთო ზარალის სიდიდე შეადგენს 20 ფე. ეს თანხა შედგება რეალური ღირებულების საერთო ცვლილებებისაგან 50 ფე ოდენობით (1,000-950), საიდანაც მიმდინარე წელს ზარალად აღიარებულია 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი 30 ფე გაუფასურება.

2021წ. 1 იანვარს საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება აქტივის გაყიდვის შესახებ ამ დროისათვის არსებული რეალური ღირებულებით - 950 ფე-ად. უნდა შეწყდეს აქტივის და დაგროვილი გაუფასურების აღიარება.

დებეტი - ფულადი სახსრები 950

კრედიტი - ფინანსური აქტივი 950

და

დებეტი - მოგება-ზარალი 20

კრედიტი - სხვა სრული შემოსავლები 20

ამით წყდება აქტივის აღიარება და სსშ-ში დაგროვილი გაუფასურების ზარალი

გადაიტანება მოგება-ზარალში. ეს ნიშნავს იმას, რომ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არ იქმნება განცალკევებული შეფასებითი რეზერვი, ამის ნაცვლად, გაუფასურების მოგება-ზარალი აღირიცხება გადაფასების რეზერვის კორექტირების სახით სსშ-ში მოგება-ზარალში შესაბამისი ცვლილებებით. ან ზარალის (რომელიც შემდგომში გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში).

თეორიულად ეს ნიშნავს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აისახება ისე, თითქოს ის რეალიზებულია რეალური ღირებულების ცვლილებებით, მაშინ როდესაც წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივ რეალური ღირებულების ცვლილებები აღირიცხება როგორ რეალიზებული მხოლოდ მაშინ, როდესაც წყდება ფინანსური აქტივების აღიარება.

✓ საექვო მოთხოვნების დანაკარგების რეზერვი

კომპანიამ დებიტორული დავალიანების პორტფელის ფარგლებში უნდა შექმნას მოსალოდნელი დანაკარგების შეფასებითი რეზერვი „საექვო მოთხოვნების რეზერვის“ სახელწოდებით.

პრაქტიკაში ამ რეზერვის შეფასება შემდეგნაირად ხდებოდა:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მისაღები მოთხოვნების ანალიზი, დაჯგუფება და დახარისხება დაფარვის ვადების მიხედვით;
2. ზარალის გარკვეული კოეფიციენტების გამოყენება მოთხოვნების ცალკეული ჯგუფებისათვის (რაც უფრო მეტია ვადის გადაცილება, მით უფრო მაღალია კოეფიციენტი).

როგორც წესი რეზერვის შეფასება ხდებოდა მთლიანი (და არა ვადაგადაცილებული) დებიტორული დავალიანების 2%-ს ოდენობით, ვადის 30 დღით გადაცილების შემთხვევაში - 10% და ასე შემდეგ, ხოლო 360 დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში - 100%. ფასს 9 შეცვალა ეს მიდგომა და მოითხოვს სავაჭრო დებიტორული

დავალიანებისათვის ზარალის (დანაკარგების) რეზერვის განისაზღვრას ე.წ. ECL - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით.

ფასს 9-ის (პ.ბ5.5.35) მიერ შემოთავაზებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა „რეზერვების მატრიცის“ გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს:

1. ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ზარალის კოეფიციენტების განსაზღვრას;

2. ზარალის კოეფიციენტის კორექტირებას საპროგნოზო ინფორმაციით.

საწარმო საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს გამოიყენებს სავაჭრო მოთხოვნებისათვის 12-თვიანი ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. მაგალითად, რეზერვების მატრიცაში შეიძლება მითითებული იყოს რეზერვის ფიქსირებული განაკვეთები, იმისდა მიხედვით, რამდენი დღით არის სავაჭრო მოთხოვნა ვადაგადაცილებული (მაგალითად, 1%, თუ ვადაგადაცილებული არ არის; 2%, თუ 30 დღეზე ნაკლები ხნით არის ვადაგადაცილებული; 3%, თუ 30 დღეზე მეტი, მაგრამ 90 დღეზე ნაკლები ხნით არის ვადაგადაცილებული; 20 პროცენტი, თუ 90-180 დღით არის ვადაგადაცილებული და ა.შ.).

მომხმარებლების ბაზის მრავალფეროვნებაზე დაყრდნობით საწარმო აქტივებს დააჯგუფებს შესაფერის ჯგუფებად, თუ საკრედიტო ზარალის მიღების წარსული გამოცდილება ზარალის ხასიათის მნიშვნელოვან განსხვავებებს აჩვენებს მომხმარებელთა განსხვავებული სეგმენტებისთვის. მაგალითად, აქტივების დასაჯგუფებლად შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება: გეოგრაფიული რეგიონი, პროდუქტის ტიპი, მომხმარებლის რეიტინგი, უზრუნველყოფა ან სავაჭრო საკრედიტო რისკების დაზღვევა და მომხმარებლის ტიპი (მაგალითად, ბითუმად მოვაჭრე, ან საცალოდ მოვაჭრე).

სხვაგვარად, დაჯგუფება მოხდება იმ ნიშნების (ფაქტორების) გათვალისწინებით, რომელიც მოქმედებს დებიტორული დავალიანების დაფარვაზე. დაჯგუფებისას

მთავარია ის, რომ ერთ ჯგუფში შემავალ დებიტორებს ჰქონდეთ ზარალის ერთნაირი ან მსგავსი შაბლონი.

წარსულის მონაცემებით განსაზღვრული ზარალის კოეფიციენტები კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციით. **საპროგნოზო ინფორმაცია** არის ყველა ფაქტორი, რომელსაც შეუძლია მომავალში გავლენის მოხდენა საკრედიტო ზარალზე, მაგალითად, უმუშევრობის, ფასების და სხვა მაკროეკონომიკური პროგნოზები. ამისათვის უნდა იქნეს გამოყენებული **გონივრული და ღირებული ინფორმაცია** - ინფორმაცია, რომელიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, გონივრულ ფარგლებში, ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, მათ შორის ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პირობების პროგნოზების შესახებ. ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, მიიჩნევა, რომ **ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.**

მაგალითი 19. საექვო მოთხოვნების რეზერვი

კომპანია ახდენს დებიტორული დავალიანების გაუფასურების ზარალის დადგენას 2020 წლის 31 დეკემბრისათვის. კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის თანახმად, კლიენტებს დებიტორული დავალიანების დასაფარავად ეძლევათ 30 დღიანი პერიოდი (ანუ, არ არსებობს დაფინანსების კომპონენტი).

დებიტორული დავალიანების ერთ-ერთი ჯგუფის სტრუქტურა დაჯგუფებული ხანდაზმულობის მიხედვით 2020წ. 31 დეკემბრისათვის ასე გამოიყურება (ცხრილი 1):

ცხრილი 1 (ფე)

დაფარვის ვადა	დაუფარავი ნაშთი
ვადაარდამდგარი (0-30 დღე)	800
31-60 დღე	350
61-180 დღე	280

180-360 დღე	170
>360 დღე	100
სულ	1,700

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად იყენებს გამარტივებულ მოდელს. ამისათვის უნდა იქნეს გაანგარიშებული ისტორიული დეფოლტოს²⁵ განაკვეთი. რეპრეზენტატიული ისტორიული მონაცემების შეგროვების პერიოდად დადგინდა ერთი წელი - 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე. განვსაზღვროთ საექვო მოთხოვნების რეზერვი.

ანალიზის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს.

ეტაპი 1. დებიტორული დავალიანების ანალიზი დაფარვის ვადების მიხედვით

ამისათვის საჭიროა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ 2019 წელს რამდენ დღეში იფარებოდა დებიტორული დავალიანება მისი წარმოშობის (ინვოისის გამოწერის) დღიდან გადახდის დღემდე. ამ პერიოდში კომპანიამ განახორციელა 20,000 ფე კრედიტით გაყიდვები (ცხრილი 2):

ცხრილი 2 (ფე)

დაფარვის ვადა	დაფარვის თანხა	კუმულაციური ნაშთი	დაუფარავი ნაშთი
ვადა არ დამდგარი (0-30 დღე)	7,500	7,500	12,500 (20,000-7,500)
31-60 დღე	6,800	14,300	5,700 (12,500-6,800)
61-180 დღე	3,000	17,300	2,700 (5,700-3,000)
180-360 დღე	2,200	19,500	500 (2,700-2,200)

²⁵ დეფოლტი - ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობა

>360 დღე უიმედო	500 (ჩამოწერა)	500	500 (ჩამოწერა)
სულ	20,000	20,000	-

500 ფე 360 დღიანი ვადისათვის არის ფაქტიური დეფოლტური ვალდებულება.

ეტაპი 2. ზარალის ისტორიული კოეფიციენტის/დეფოლტის განაკვეთის გაანგარიშება

დეფოლტის ისტორიული განაკვეთის გაანგარიშება ზარალის თანხის (500) გაყოფით ყოველი დაფარვის ვადისათვის არსებულ დაუფარავ ნაშთზე (ცხრილი 3):

ცხრილი 3 (ფე)

დაფარვის ვადა	დაუფარავი თანხა	ზარალი	ზარალის კოეფიციენტი (%)
ვადა არ დამდგარი (0-30 დღე)	20,000	500	2,5
31-60 დღე	12 500	500	4
61-180 დღე	5 700	500	8,8
180-360 დღე	2 700	500	18,5
>360 დღე	500	500	100

რატომ იქნა გამოყენებული 500 ფე ზარალი დაფარვის ყველა ვადისათვის? ჩამოწერილი დეფოლტური დებიტორული დავალიანება (500) თანმიმდევრულად გადანიაცვლებოდა დროთა მიწაკვეთებს შორის (დაფარვის ვადებს შორის) მისი წარმოქმნის დღიდან ჩამოწერამდე (დეფოლტამდე). 500 ფე იყო „ვადა არ დამდგარი“ 20,000 ლარის შემადგენლობაში, ანუ მიეკუთვნება გაყიდვების ყველა პერიოდს, ამიტომ დროის ამ მონაკვეთის დეფოლტის განაკვეთი არის $500/20,000$ და ასე შესაბამისად დროის ყველა მონაკვეთისათვის.

ეტაპი 3. საპროგნოზო ინფორმაციის დამატება

სტატისტიკის სახელმწიფო ორგანოების მიერ ნავარაუდევია, რომ 2021 წელს უმუშევრობის დონე გაიზრდება 5%-დან 6%-მდე. კომპანიის საკრედიტო ზარალსა და უმუშევრობას შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება. კომპანიის მონაცემებით 1%-ით უმუშევრობის ზრდა იწვევს საკრედიტო ზარალის ზრდას 10%-ით. ამ მიზეზით ვარაუდობენ, რომ 500 ლარის ზარალი შეიძლება გაიზარდოს 10% და შეადგინოს 550 ლარი.

ამდენად, ზარალის/დეფოლტის კოეფიციენტები, დაკორექტირებული საპროგნოზო ინფორმაციით, შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 4):

ცხრილი 4 (ფე)

დაფარვის ვადა	დაუფარავი თანხა	ზარალი	ზარალის კოეფიციენტი (%)
ვადა არდამდგარი (0-30 დღე)	20,000	550	2,75
31-60 დღე	12 500	550	4,4
61-180 დღე	5 700	550	9,6
180-360 დღე	2 700	550	20,4

ეტაპი 4. ზარალის კოეფიციენტის გამოყენება მიმდინარე დებიტორული დავალიანების პორტფელისათვის

დაკორექტირებული ზარალის კოეფიციენტები გამოიყენება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ დებიტორული დავალიანების პორტფელისათვის (ცხრილი 5).

ცხრილი 5 (ფე)


დაფარვის ვადა	დაუფარავი ნაშთი	ზარალის კოეფიციენტი (%)	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
ვადარდამდგარი (0-30 დღე)	800	2,75	22

31-60 დღე	350	4,4	15,4
61-180 დღე	280	9,6	26,9
180-360 დღე	170	20,4	34,7
>360 დღე	100	100	100
სულ	1,700	-	199

ამდენად, გაუფასურების ახალი მოდელით:

აღიარდება მოსალოდნელი ზარალი და არა უკვე მომხდარი.
 ზარალი აღიარდება წინასწარ - ფინანსური აქტივების
 აღიარების თანავე

← ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება →



თავი 3. საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვა

1. საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაცია
2. მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაცია
3. შეძენის თარიღის განსაზღვრა
4. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილის აღიარება და შეფასება
5. გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობის აღიარება და შეფასება

1. საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაცია

➤ საწარმოთა გაერთიანების ცნება და იდენტიფიცირების კრიტერიუმები

საბაზრო ეკონომიკის განვითარებას ახლავს ბიზნესის სხვადასხვა ტიპის კომბინაციები – საწარმოთა გაერთიანებები. საწარმოთა გაერთიანებით ხდება ცალკეული სამეურნეო ერთეულის ან საწარმოს გაერთიანება ერთ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულად. საწარმოთა გაერთიანების მოტივაციაა გასაღების ახალი ბაზრის, ახალი სრულყოფილი ტექნოლოგიების, ახალი საკონკურენტო პროდუქციის მოძიება, დანახარჯების შემცირება და მოგების გაზრდა, კონკურენციის შემცირება. საწარმოთა გაერთიანებით იზრდება საწარმოს მასშტაბები და მისი კონკურენტუნარიანობა, შესაძლებელი ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდება და კაპიტალის მართვა. საზოგადოდ ითვლება, რომ გაერთიანების ძირითადი მიზანია სინერგია²⁶ – ერთობლივი საქმიანობიდან უპირატესობებისა და სარგებლიანობის მოპოვება.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა შემთხვევებში შესაძლებელია მოვლენების და ოპერაციების იდენტიფიცირება საწარმოთა გაერთიანებად, თუ რა კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს საწარმოთა გაერთიანების ასაღიარებლად. საწარმოთა გაერთიანების

²⁶ ბერძნ. *συνεργία* Synergos – (syn)ერთად; (ergos) მოქმედება – ჯამური ეფექტი. synergy (ინგლ.) – წარმატებული ერთობლივი ძალისხმევა, ერთობლივი საქმიანობა.


ცნება და იდენტიფიცირების კრიტერიუმები განსაზღვრულია ფასს 3-ის - „საწარმოთა გაერთიანება“ (IFRS 3 - Business Combinations).

ფასს 3-ის თანახმად, **საწარმოთა გაერთიანება არის** სამეურნეო ოპერაცია ან სხვა მოვლენა, რომლის დროსაც მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს ერთ ან მეტ საწარმოზე. (ფასს 3, დანართი ა; ბ5).

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად (ფასს 3,პ.4.20), საწარმო იმ შემთხვევაში აკონტროლებს ეკონომიკური რესურსს, თუ მას უკვე გააჩნია მიმდინარე (ძალაში შესული) შესაძლებლობა, განსაზღვროს ეკონომიკური რესურსის გამოყენების წესი და მიიღოს ეკონომიკური სარგებელი, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ ეკონომიკური რესურსიდან. კონტროლი მოიცავს მიმდინარე (ძალაში შესულ) შესაძლებლობასაც, ხელი შეუშალოს სხვა მხარეებს ეკონომიკური რესურსის გამოყენების წესის განსაზღვრასა და იმ ეკონომიკური სარგებლის მიღებაში, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ ეკონომიკური რესურსიდან. ეს იმას გულისხმობს, რომ თუ რომელიმე ერთი მხარე აკონტროლებს ეკონომიკურ რესურსს, ვერც ერთი სხვა მხარე ვერ გააკონტროლებს ამ რესურსს.

მყიდველი საწარმო არის სამეურნეო ერთეული. რომელიც კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე.

შეძენილი საწარმო არის საწარმო ან საწარმოები, რომელზეც მყიდველი საწარმო იღებს კონტროლს საწარმოთა გაერთიანების დროს. ამდენად, საწარმოთა გაერთიანების კრიტერიუმებია საწარმოს დაფუძნება და მყიდველი საწარმის მიერ კონტროლის უფლების მოპოვება .




თუ შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს საწარმოს, ასეთი სამეურნეო ოპერაციები ან სხვა მოვლენები არ მიეკუთვნება საწარმოთა გაერთიანებებს და აისახოს, როგორც აქტივის შეძენა.


➤ **საწარმოს იდენტიფიკაციის კრიტერიუმები**

საწარმოს განმარტების განსაზღვრა დიდ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესები საწარმოს შეძენის და აქტივების შეძენის, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს, ოპერაციებისათვის განსხვავებულია. ოპერაციები, რომელიც იდენტიფიცირებული იქნება „საწარმოს შეძენად“ რეგულირდება ფასს 3-ით „საწარმოთა გაერთიანება“.

უპირველესად, უნდა განისაზღვროს თუ რა არის საწარმო. 3-ის თანახმად საწარმო არის საქმიანობებისა და აქტივების ინტეგრირებული კომპლექსი, რომელთა განხორციელება და მართვა შესაძლებელია მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, საინვესტიციო შემოსავლის მისაღებად (როგორცაა დივიდენდები ან პროცენტები), ან სხვა სახის შემოსავლის მისაღებად ჩვეულებრივი საქმიანობიდან.



საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებიც გამოიყენება იმ რესურსებთან მიმართებაში, რომელთაც შეუძლიათ პროდუქციის შექმნაში მონაწილეობის მიღება. ფასს 3-ით საწარმო შედგება სამი ელემენტისაგან არსებითი პროცესები (დანართი ბ7).



საწარმოს ელემენტები:

ა) რესურსები (input): ნებისმიერი ეკონომიკური რესურსი, რომელიც ქმნის პროდუქციას, ან გააჩნია პროდუქციის შექმნაში მონაწილეობის მიღების უნარი, როდესაც მასზე

ჩატარდება ერთი ან მეტი პროცესი. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივები (მათ შორის, არამატერიალური აქტივები ან გრძელვადიანი აქტივების გამოყენების უფლებები), ინტელექტუალური საკუთრება, აუცილებელ მასალებზე ან უფლებებსა და შრომით რესურსებზე წვდომის მოპოვების შესაძლებლობა;

ბ) პროცესი: ნებისმიერი სისტემა, სტანდარტი, პროტოკოლი, კონვენცია ან წესი, რომელიც რესურსის ან რესურსების მიმართ გამოყენებისას, ქმნის პროდუქციას, ან გააჩნია პროდუქციის შექმნაში მონაწილეობის მიღების უნარი. მაგალითად: სტრატეგიული მართვის პროცესები, საოპერაციო პროცესები და რესურსების მართვის პროცესები. ეს პროცესები, როგორც წესი, დოკუმენტურად არის შედგენილი, მაგრამ ორგანიზებული შრომითი რესურსების ინტელექტუალურ პოტენციალსაც, რომლებსაც **გააჩნია აუცილებელი უნარ-ჩვევები და პრაქტიკული გამოცდილება** და იცავენ წესებსა და კონვენციებს, შეუძლიათ აუცილებელი პროცესების ამოქმედება, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება რესურსების მიმართ პროდუქციის შექმნის მიზნით (ბუღალტრული აღრიცხვის, სატრანსპორტო ზედდებულების/ანგარიშ-ფაქტურების გამოწერისა და გაცემის, შრომის ანაზღაურებისა და სხვა ადმინისტრაციული სისტემები, როგორც წესი, არ მიეკუთვნება პროდუქციის შესაქმნელად გამოყენებულ პროცესებს);

გ) პროდუქცია (output) : შედეგი, რომელიც მიიღება რესურსებისა და ამ რესურსების მიმართ ისეთი პროცესების გამოყენების შედეგად, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებას, საინვესტიციო შემოსავლის მიღებას (როგორცაა დივიდენდები ან პროცენტები) ან სხვა სახის შემოსავლის მიღებას ჩვეულებრივი საქმიანობიდან.

საწარმოებს, როგორც წესი, პროდუქცია გააჩნიათ, მაგრამ პროდუქციის არსებობა სავალდებულო არ არის იმისთვის, რომ საქმიანობებისა და აქტივების ინტეგრირებული კომპლექსი მიეკუთვნებოდეს საწარმოს კატეგორიას. საქმიანობებისა და აქტივების ინტეგრირებულ კომპლექსს ესაჭიროება ორი მთავარი ელემენტი: რესურსები და ამ რესურსების მიმართ გამოსაყენებელი პროცესები. აუცილებელი არ არის, რომ საწარმო

აერთიანებდეს ყველა იმ რესურსსა და პროცესს, რასაც გამყიდველი იყენებდა მისი ფუნქციონირებისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ საწარმოდ მიიჩნეოდეს საქმიანობებისა და აქტივების ინტეგრირებული კომპლექსი, იგი, როგორც მინიმუმი, უნდა მოიცავდეს რესურსებსა და რომელიმე არსებით პროცესს, რომლებიც ერთად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროდუქციის შექმნის შესაძლებლობას.

შეიძლება ითქვას რომ, აქტივებისა და საქმიანობების ინტეგრირებული ჯგუფი ფასს 3-ით მიჩნეულია საწარმოდ, თუ ინტეგრირებულ ჯგუფს პროდუქციის წარმოების უნარი შესწევს. ფასს 3 განსაზღვრავს თუ როდის არის შეძენილი პროცესები არსებითი თუ საქმიანობებისა და აქტივების შეძენილ კომპლექსს შექმნის თარიღისთვის არ გააჩნია პროდუქცია, შეძენილი პროცესი (ან პროცესების ჯგუფი) მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს მიჩნეული არსებითად, თუ:

ა) მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს შეძენილი რესურსის ან რესურსების დამუშავების ან პროდუქციად გარდაქმნის შესაძლებლობისთვის; და

ბ) შეძენილი რესურსები მოიცავს როგორც ორგანიზებულ შრომით რესურსებს, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი უნარ-ჩვევები, ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ამ პროცესის (ან პროცესების ჯგუფის) ასამოქმედებლად/განსახორციელებლად, ისე სხვა რესურსებს, რომელთა დამუშავებას ან პროდუქციად გარდაქმნას შეძლებდა ორგანიზებული შრომითი რესურსები. ამგვარი სხვა რესურსები შეიძლება იყოს:

- (i) ინტელექტუალური საკუთრება, რომლის გამოყენება შესაძლებელია საქონლის ან მომსახურების შესაქმნელად;
- (ii) სხვა ეკონომიკური რესურსები, რომლებიც შეიძლება დამუშავდეს პროდუქციის შექმნის მიზნით;
- (iii) აუცილებელ მასალებზე წვდომის უფლებები, ან უფლებები, რომლებიც მომავალში იძლევა პროდუქციის შექმნის შესაძლებლობას.

თუ საქმიანობებისა და აქტივების შეძენილ კომპლექსს შეძენის თარიღისთვის გააჩნია პროდუქცია, შეძენილი პროცესი (ან პროცესების ჯგუფი) მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს მიჩნეული არსებითად, თუ შეძენილი რესურსის ან რესურსების მიმართ მათი გამოყენების შემთხვევაში:

ა) მას (მათ) პრინციპული მნიშვნელობა ექნებოდა იმისათვის, რომ გაგრძელდეს პროდუქციის შექმნა და, ამასთან, შეძენილი რესურსები მოიცავს ორგანიზებულ შრომით რესურსებს, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი უნარ-ჩვევები, ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ამ პროცესის (ან პროცესების ჯგუფის) ასამოქმედებლად/განსახორციელებლად; ან

ბ) მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პროდუქციის შექმნის გაგრძელების შესაძლებლობას და:

(i) მიჩნეული იქნებოდა უნიკალურად ან იშვიათად; ან

(ii) შეუძლებელი იქნებოდა მისი (მათი) ჩანაცვლება მნიშვნელოვანი დანახარჯების, ძალისხმევების და პროდუქციის შექმნის გაგრძელების შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე.

ამდენად, იმისათვის, რომ ტრანზაქცია იდენტიფიცირდეს საწარმოთა გაერთიანებად, ერთ-ერთი პირობით ის უნდა მოიცავდეს არსებით პროცესს, რომელსაც გააჩნია პროდუქციის შექმნის უნარი. სტანდარტი იძლევა არსებითი პროცესის განსაზღვრის თვისებებს.

➤ რეალური ღირებულების კონცენტრაციის ტესტი „concentration test“

ბიზნესის (საწარმოთა გაერთიანების) იდენტიფიკაცია შესაძლებელია ე.წ. რეალური ღირებულების კონცენტრაციის ტესტირებით, რომელიც არ არის სავალდებულო, თუ ტესტი დაკმაყოფილდა, ეს იმის ნიშნავს, რომ ტრანზაქცია არ არის საწარმოთა გაერთიანება და ტესტირების გაგრძელების საჭიროება აღარ არსებობს. კერძოდ, იმის დასადგენად, რომ შეძენილი საქმიანობებისა და აქტივების კომპლექსი არ წარმოადგენს საწარმოს, ფასს 3-ით შემუშავებულია ე.წ. „რეალური ღირებულების


კონცენტრაციის“ ტესტი. ტესტის მიზანია იმის დადგენა რომ მყიდველი კომპანიის მიერ შეძენილი საქმიანობის და აქტივების კომპლექსი არის თუ არა საწარმო. იმ შემთხვევაში, თუ შეძენილი მთლიანი აქტივების რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში ან აქტივთა ჯგუფში, ეს შენაძენი არ წარმოადგენს საწარმოს. ამდენად, კონცენტრაციის ტესტს მოჰყვება შემდეგი შედეგები:

ა) თუ კონცენტრაციის ტესტი დაკმაყოფილებულია, საქმიანობებისა და აქტივების მოცემული კომპლექსი არ მიიჩნევა საწარმოდ და საჭირო არ არის შემდგომი ანალიზის ჩატარება;

ბ) თუ კონცენტრაციის ტესტი დაკმაყოფილებული არ არის, ან საწარმო გადაწყვეტს, რომ არ გამოიყენებს მოცემულ ტესტს, მაშინ მან უნდა ჩაატაროს შესაბამისი ანალიზი.

ქვემოთ წარმოდგენილია ბიზნესის (საწარმოთა გაერთიანების) იდენტიფიცირების ხე²⁶ კონცენტრაციის ტესტი იმ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ დაკმაყოფილებულია, თუ შეძენილი მთლიანი აქტივების პრაქტიკულად მთელი რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან მსგავსი იდენტიფიცირებადი აქტივების ჯგუფში.

²⁶ PWC. IFRS Bulletin, 30 June 2019.



ამდენად, იმისათვის რათა დადგინდეს, არის თუ არა შეძენილი საქმიანობისა და აქტივების კომპლექსი საწარმო, საჭიროა შემდეგი ანალიზი:

საწარმოს იდენტიფიკაციის ანალიზი²⁷

ნაბიჯები	იდენტიფიკაციის კრიტერიუმები	
ნაბიჯი 1	რეალური ღირებულების კონცენტრაციის ტესტი	აქვს საწარმოს კონცენტრაციის ტესტის ჩატარების სურვილი?
თუ კი, გადადის მე-2 ნაბიჯზე, თუ არა, გადადის მე-4 ნაბიჯზე		
ნაბიჯი 2	შემენილი აქტივების განხილვა	შემენილია ერთი აქტივი, თუ აქტივთა ჯგუფი?
თუ კი, გადადის მე-3 ნაბიჯზე, თუ არა, გადადის მე-4 ნაბიჯზე		
ნაბიჯი 3	განიხილება რომელ აქტივებშია კონცენტრირებული შემენილი მთლიანი აქტივების მთელი რეალური ღირებულება	შემენილი მთლიანი აქტივების პრაქტიკულად მთელი რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან მსგავსი იდენტიფიცირებადი აქტივების ჯგუფში?
თუ კი, კონცენტრაციის ტესტი გავლილია და გარიგება არ არის საწარმო , თუ არა, გადადის მე-4 ნაბიჯზე		
ნაბიჯი 4	განიხილება აქვთ თუ არა შედეგები შემენილ საქმიანობების კომპლექსს და აქტივებს	აქვთ შედეგები შემენილ საქმიანობების კომპლექსს და აქტივებს?
გადასვლა მე-5 ნაბიჯზე		
ნაბიჯი 5	განიხილება არის თუ არა შემენილი პროცესები არსებითი	<ul style="list-style-type: none"> • თუ არ არას შედეგი, როდის არის პროცესი არსებითი? • თუ არის შედეგი, როდის არის პროცესი არსებითი?
თუ კი, ტრანზაქცია არის საწარმო		

²⁷ Grant Thornton. Insights into IFRS 3. Definition of a Business (Amendments to IFRS 3). 2020.

მაგალითი 1. რეალური ღირებულების კონცენტრაციის ტესტი²⁸

კომპანია M 500 ფე-ად შეიძინა კომპანია D, რომელსაც ერთი წელია რაც შეწყვეტილი აქვს საქმიანობა და რომლის ბალანსი ასე გამოიყურება (ფე);

გრძელვადიანი აქტივები	ფე
შენობა	3.000
მოწყობილობა	1.200
გადავადებული საგადასახადო აქტივები	<u>150</u>
	4.350
მოკლევადიანი აქტივები	
მარაგი	250
ფულადი სახსრები	<u>100</u>
	350
სულ აქტივები	4,700
კაპიტალი	
აქციები	200
გაუნაწილებელი მოგება	<u>100</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	
ვალდებულებები	4,400
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,700

კომპანია D -ს ყველა თანამშრომელი იქნა დათხოვნილი.

დავადგინოთ იდენტიფიცირდება თუ არა გარიგება საწარმოთა გაერთიანებად რეალური ღირებულების კონცენტრაციის ტესტირებით.

ტესტირება (ფე)

²⁸ IFRS 3: A Business or an Asset? Silvia. https://www.ifrsbox.com/ifrs-3-a-business-or-an-asset/?utm_source=mailpoet&utm_medium=email&utm_campaign=ifrs-3-a-business-or-an-asset_104

მთლიანი შექმნილი აქტივების რეალური ღირებულება ²⁹ (ფე)			
ვარიანტი		ვარიანტი	
გადაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება	500	იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება (გარდა ფულადი სახსრებისა და საგადასახადო აქტივების: (3,000 + 1,200+250))	4,450
პლიუს აღებული ვალდებულებების რეალური ღირებულება	4,400	პლიუს გადაცემული კომპანსაციის რეალური ღირებულება	500
მინუს ფულადი სახსრები და საგადასახადო აქტივები	(250)	მინუს შექმნილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება (კაპიტალი)	(300)
	4,650		4,650

შექმნილია იდენტიფიცირებადი აქტივები 4,450 ფე (შენობა 3,000 ფე, მოწყობილობა 1,200 ფე, მარაგი 250 ფე) და არაიდენტიფიცირებადი აქტივები/გუდვილი 200 ფე (500 - 300), სულ 4,650 ფე, საიდანაც რეალური ღირებულება კონცენტრირებულია შენობასა და მოწყობილობებში (3,000+1,200). იმის მიუხედავად, რომ ისინი მიეკუთვნებიან სხვადასხვა კლასის ძირითად საშუალებებს, ფასს 3-ის მიზნებისათვის ორივე განიხილება, როგორც ერთი აქტივი, ვინაიდან ორივე აღნიშნული აქტივი არის მიმაგრებული და მათი გადაადგილება მნიშვნელოვანი ხარჯების გარეშე შეუძლებელია. ამდენად, რეალური ღირებულების კონცენტრაციის ტესტი შესრულებულია.

მაგარმ, თუ გავაკეთებთ დაშვებას, რომ ეს ასე არ არის, მაშინ კონცენტრაციის ტესტი არ კმაყოფილდება, რაც იმას ნიშნავს რომ რეალური ღირებულება არ არის კონცენტრირებული ერთ აქტივში, ან აქტივთა ჯგუფში. შესაბამისად უნდა გაგრძელდეს ანალიზი, რათა დადგინდეს ტრანზაქცია არის თუ არა საწარმო, რისთვისაც უნდა

²⁹ მთლიანი შექმნილი აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება ფასს 3-ს 878 პუნქტის შესაბამისად.

შეფასდეს რესურსები, პროცესები და შედეგები. აშკარაა, რომ საქმიანობის აქტივობა არ არის, ვინაიდან საწარმომ ერთი წელია, რაც შეწყვიტა საქმიანობა, შესაბამისად არ არის შედეგიც (პროდუქცია). ამიტომ უნდა გაანალიზდეს არის თუ არა არსებითი პროცესები. ვინაიდან საწარმომ შეწყვიტა საქმიანობა და ყველა თანამშრომელი იქნა დათხოვნილი, არ არსებობს არანაირი რესურსი, რომელთა განვითარება და პროდუქციად გარდაქმა არის შესაძლებელი. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ M კომპანიამ შეიძინა აქტივები და არა ბიზნესი.

მაგალითი 2. რადიოსადგურის შეძენა³⁰

სუბიექტი (პირი R) ყიდულობს რადიო მაუწყებლობის აქტივებს სხვა სუბიექტისაგან (პირი S). შეძენილი აქტივობების კომპლექსი მოიცავს სამაუწყებლო ლიცენზიას, სამაუწყებლო ტექნიკასა და სამაუწყებლო სტუდიას.

სუბიექტი S- მა აქტივების გაყიდვის თარიღამდე შეწყვიტა საქმიანობის და აქტივების კომპლექსის გამოყენება. ყველა თანამშრომელი იქნა დათხოვნილი.

არის ტრანზაქცია საწარმოს შეძენა?

ანალიზი

- სამაუწყებლო აპარატურა და სტუდია არ არის ერთი იდენტიფიცირებადი აქტივი, ვინაიდან აპარატურა არ არის დამაგრებული სტუდიაზე, შესაძლებელია მისი ცალკე გაყიდვა და ცნობილია მისი რეალური ღირებულება.

- ლიცენზია არის არამატერიალური აქტივი, ხოლო სტუდია და აპარატურა - მატერიალური აქტივებია, რომელიც მიეკუთვნება ძირითადი საშუალებების სხვადასხვა საკლასიფიკაციო ჯგუფებს.

- აქტივების ყოველი ცალკეული ჯგუფის რეალური ღირებულება ცნობილია და შესაბამისად შეძენილი მთლიანი აქტივების რეალური ღირებულება არ არის

³⁰ Grant Thornton. Insights into IFRS 3. Definition of a Business (Amendments to IFRS 3). 2020.

კონცენტრირებული ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან მსგავს (ანალოგიურ) იდენტიფიცირებად აქტივთა ჯგუფში.

შესაბამისად, ტესტი კონცენტრაციაზე არ არის დაკმაყოფილებული. ამდენად, საჭიროა შემდგომი ანალიზი - შედეგებისა და არსებითი პროცესების.

შეძენილი საქმიანობის კომპლექს არ აქვს შედეგი, ვინაიდან S-მა შეწყვიტა საქმიანობა. ამდენად საჭირო ხდება შეძენილი პროცესების არსებობის დადასტურება. ვინაიდან კომპლექსი არ მოიცავს ორგანიზებულ სამუშაო ძალას, არსებობის კრიტერიუმი ვერ კმაყოფილდება.

ყოველივე ზემოთგანხილულის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: შეძენილი კომპლექსი არ არის საწარმო (ბიზნესი).

მაგალითი 3. ბიოტექნოლოგიების კომპანიის შეძენა³¹

ფარმაცევტული კომპანია ბიოტექნოლოგიების კომპანიისაგან იძენს იურიდიულ პირს, რომელსაც: აქვს რამდენიმე დაუსრულებელი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო პროექტი (ყოველივე მათგანს აქვს არსებითი რეალური ღირებულება); ყავს ხელმძღვანელობა და მკვლევარები, რომლებსაც აქვთ საჭირო უნარები, ცოდნა და გამოცდილება კვლევისა და განვითარების განხორციელების მიზნით; და ასევე აქვს მატერიალური აქტივები (სათავო ოფისი, კვლევის ლაბორატორია და ლაბორატორიული აღჭურვილობა).

ბიოტექნოლოგიურ კომპანიას ჯერ არ აქვს სასაქონლო პროდუქცია და არ იღებს შემოსავალს.

არის თუ არა ტრანზაქცია საწარმოს შეძენა?

ანალიზი.

დიახ. ფარმაცევტული კომპანია მიდის დასკვნამდე, რომ ტრანზაქცია არის საწარმოთა გაერთიანება.

³¹ IFRS Bulletin Issue No. 13 2019. www.inform.pwc.com

კონცენტრაციის ტესტი არ გამოიყენება, რადგან შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება არ არის კონცენტრირებული ერთ აქტივში ან მსგავსი (ანალოგიური) იდენტიფიცირებად აქტივთა ჯგუფში.

საჭიროა ანალიზი სიტუაციისათვის, როდესაც არ არის შედეგი, იმის შესაფასებლად **შეძენილია თუ არა პროცესი და არის თუ არა პროცესი პრინციპულად არსებითი.**

ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ შეძენილია საწარმო (ბიზნესი), ვინაიდან ორგანიზებული სამუშაო ძალა არის **პრინციპულად არსებითი პროცესი**, რომელთა რესურსების ტრანსფორმაციის და შედეგების მიღების უნარი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

✓ კონტროლი

იმისათვის, რომ ტრანზაქცია იდენტიფიცირდეს საწარმოთა გაერთიანებად, გარდა საწარმოს შექმნისა, საჭიროა კონტროლის არსებობაც. **საწარმოთა გაერთიანება არის სამეურნეო ოპერაცია ან სხვა მოვლენა, რომლის დროსაც მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს ერთ ან მეტ საწარმოზე.** მყიდველი საწარმოს ანუ იმ სამეურნეო ერთეულის დასადგენად, რომელიც კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე, გამოყენებულ უნდა იქნეს ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“-ს სახელმძღვანელო მითითებები.

ფასს 10-ის თანახმად ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება **რისკებს**, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან **ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან**, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან **ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება** და ასევე ამ შემოსავალზე **ზემოქმედების შესაძლებლობა**, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი **უფლებამოსილების მეშვეობით.**


ამგვარად, ინვესტორი **მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს**, თუ ინვესტორს გააჩნია ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი (ფასს 10, 3.7):

ა) **უფლებამოსილება** ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით;

ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება; და

გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით .

თუ საწარმოთა გაერთიანება განხორციელდა, მაგრამ ფასს 10-ის მითითებების გამოყენებით ნათლად არ გამოჩნდა, რომელი გაერთიანებული სამეურნეო ერთეული წარმოადგენს მყიდველს, მაშინ ამის დასადგენად საწარმომ უნდა განიხილოს ფასს 10-ში აღწერილი ფაქტორები.



✓ ინვესტიციების გავლენის დონეები

ინვესტორი საწარმოს კაპიტალის წილის მოცულობა განსაზღვრავს მის გავლენის დონეს ინვესტიციის ობიექტზე. ფასს განსაზღვრავს ინვესტიციის ობიექტზე გავლენის სამ დონეს, რომელსაც ეფუძნება ინვესტიციების აღრიცხვი წესები.

ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოს კაპიტალის წილის შეძენით წარმოიქმნება სხვადასხვა ტიპის ურთიერთობები, რომელიც დამოკიდებულია შეძენილი წილის მოცულობასა და აქედან გამომდინარე, კონტროლის დონის უფლებაზე. ყოველივე ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს აღრიცხვის წესებზე, რაც რეგულირდება შესაბამისი ბასს-ებით და ფასს-ებით.

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სახელშეკრულებო შეთანხმებით, ინვესტორის კაპიტალის წილის გავლენის (კონტროლის) დონე პრაქტიკაში უტილიტარული მიდგომით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:


უტილიტარული მიდგომა				
წილი კაპიტალში და ინვესტორის გავლენის დონე				
	შვილობილი საწარმო	მეკავშირე საწარმო	ერთობლივი საწარმო და ერთობლივი ოპერაციები	სხვა ინვესტიციები
კაპიტალის წილი	50%-100%	20%-50%	თანაბარი	20%-მდე
იდენტიფიცირების კრიტერიუმი	კონტროლი	მნიშვნელოვანი გავლენა	ერთობლივი კონტროლი	ინვესტიციები ფინანსურ აქტივებში
აღრიცხვის მეთოდი	შემენის მეთოდი (სრული კონსოლიდაცია)	წილობრივი მეთოდი	დამოკიდებულია ტიპზე	დამოკიდებულია ტიპზე
მარეგულირებელი სტანდარტები	ფასს 3,10	ბასს 28	ფასს 11	ბასს 32, ფასს9

ამდენად, შეძენილი კაპიტალის წილი განსაზღვრავს მოპოვებულ კონტროლის დონეს. კონტროლის დონის მიხედვით განასხვავებენ შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებს. როდესაც შეძენილია კაპიტალის 50%-ზე მეტი, ერთი საწარმო

არის **მყიდველი**, მეორე **შეძენილი**. წარმოიქმნება მშობელი-შვილობილი საწარმოს ურთიერთობები, სადაც შემძენი საწარმო არის „მშობელი“ საწარმო, შეძენილი საწარმო კი არის „შვილობილი საწარმო“. **მშობელი საწარმო** ისეთი საწარმოა, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს. **შვილობილი საწარმო** არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს სხვა საწარმო. გაერთიანებაში, სადაც არის მშობელი-შვილობილი ურთიერთობები, შეძენილი საწარმო არ კარგავს თავის იურიდიულ დამოუკიდებლობას, ის რჩება დამოუკიდებელ იურიდიულ პირად აქციების გარკვეული პაკეტით შემძენ საწარმოსთან.

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას. **ერთობლივი საწარმო** არის ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლის უფლება საქმიანობაზე, აქვთ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე. **ერთობლივი საქმიანობა** ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე.³²

³² ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივი საწარმოებში“. პ. 3.



იმის მიხედვით, თუ რა წილი შეიძინა ინვესტორმა სხვა საწარმოს კაპიტალში, განისაზღვრება მისი კონტროლის დონე და აღრიცხვის წესები.

➤ საწარმოთა გაერთიანება ჩამოყალიბების შესაძლო გზები და ფორმები მყიდველმა საწარმომ შეძენილ საწარმოზე კონტროლი შეიძლება აიღოს სხვადასხვა გზით, მაგალითად:

- ა) ფულადი სახსრების, ფულის ეკვივალენტების ან სხვა აქტივების (მათ შორის, წმინდა აქტივების, რომლებიც აფუძნებს საწარმოს) გადაცემით;
- ბ) ვალდებულებების აღებით;
- გ) აქციების ემისიით;
- დ) ერთზე მეტი სახეობის კომპენსაციის გადაცემით; ან
- ე) კომპენსაციის გადაცემის გარეშე, მათ შორის, გაერთიანება მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოთა გაერთიანების გზები

ფულადი სახსრების, ფულის ეკვივალენტების ან სხვა აქტივების გადაცემით

ვალდებულებების აღებით

აქციების ემისიით

ერთზე მეტი სახეობის კომპენსაციის გადახდით

კომენსაციის გადაცემის გარეშე, მათ შორის გაერთიანება მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე

იურიდიული, საგადასახადო და სხვა მიზნებიდან გამომდინარე საწარმოთა გაერთიანება შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით, ფასს 3-ით ის მოიცავს ქვემოთ განხილულ მაგალითებს, მაგრამ არ შემოიფარგლება მარტო ამით:


- ერთი ან მეტი საწარმო ხდება მყიდველის შვილობილი საწარმო, ან ერთი ან მეტი საწარმოს წმინდა აქტივები იურიდიულად ერწყმება მყიდველ საწარმოს;
- ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეული გადასცემს თავის წმინდა აქტივებს, ან მისი მესაკუთრეები გადასცემენ თავიანთ სააქციო წილებს სხვა გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულს ან მის მესაკუთრეებს;
- ყველა გაერთიანებული სამეურნეო ერთეული გადასცემს თავის წმინდა აქტივებს, ან ამ სამეურნეო ერთეულების მესაკუთრეები გადასცემენ თავიანთ სააქციო წილებს ახლად ფორმირებულ სამეურნეო ერთეულს;
- ერთ-ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ყოფილი მესაკუთრეთა ჯგუფი იღებს კონტროლს გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულზე.

ზოგადად, ცნობილია საწარმოთა გაერთიანების შემდეგი ფორმები:

- **შეძენა (acquisition)**- ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოზე კონტროლის უფლების მოპოვებით. საწარმოები აგრძელებენ დამოუკიდებელ საქმიანობას და მათ შორის წარმოიქმნება მშობელი-შვილობილი საწარმოთა ურთიერთობები;

- **შთანთქმა (merger)** - ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოზე კონტროლის უფლების მოპოვებით. შედეგად შექმნილი საწარმო წყვეტს არსებობას;
- **გაერთიანება (consolidation)** - ორი ან მეტი საწარმოს გაერთიანებით, რომლის შედეგად წარმოიქმნება ახალი ეკონომიკური ერთეული. გაერთიანების მონაწილე-საწარმოები წყვეტენ იურიდიულ არსებობას და ახალი საწარმო იღებს ყველა გაერთიანებული საწარმოების აქტივებსა და ვალდებულებებზე კონტროლის უფლებას.

საწარმოთა გაერთიანების ფორმები



განვიხილოთ ტრანზაქციების აღრიცხვა, რომელიც იდენტიფიცირდება საწარმოდ.

მაგალითი 4. საწარმოთა გაერთიანება - შექმნილი საწარმო რჩება დამოუკიდებელი იურიდიულ პირად

A საწარმომ შეიძინა B საწარმოს აქციების 100%. B საწარმო დარჩა დამოუკიდებელი იურიდიულ პირად.

შემდეგი პირობების გათვალისწინებით ავსახოთ ტრანზაქცია ინვესტორ საწარმოში:

- ა) შექმნა განხორციელდა ფულადი კომპენსაციით – 500 ათას ლარად;
- ბ) შექმნა განხორციელდა 100 ათასი ცალი ჩვეულებრივი აქციების ემისიით. აქციების ნომინალური ღირებულება 1 ლარია, ხოლო საბაზრო – 5 ლარი.

გაერთიანების შედეგად დაფუძნდა ახალი ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეული „AB ჯგუფი“, ხოლო მის წევრებს შორის წარმოიქმნა მშობელი-შვილობილი საწარმოს ურთიერთობები.

ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
ა) საწარმოს კაპიტალის შექმნა ფულადი კომპენსაციით			
გრძელვადიანი ინვესტიციები	2410		500,000
საწარმოთა ფასიან ქაღალდებში			
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	500,000
ბ) საწარმოს კაპიტალის შექმნა აქციების ემისიით			
გრძელვადიანი ინვესტიციები	2410		500,000
საწარმოთა ფასიან ქაღალდებში			
ჩვეულებრივი აქციები		5110	100,000
საემისიო კაპიტალი		5140	400,000

გაცვლით მიღებული აქციები ფასდება გადაცემული აქციების რეალური ღირებულებით.

მაგალითი 5. საწარმოთა გაერთიანება აქციების გავლით

B საწარმოს გამოშვებული აქვს 500,000 აქცია. A საწარმომ შეიძინა B საწარმოს სააქციო კაპიტალის 80% აქციების გაცვლის გზით - B საწარმოს ყოველ 2 აქციაში გადაიხადა

თავისი ყოველი 3 აქცია. ორივე კომპანიის აქციების ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი, ხოლო რეალური ღირებულება ამ დროისათვის იყო: A საწარმოსი - 4 ლარი, B საწარმოსი - 3.50 ლარი.

მიღებული აქციები შფასდება:

$$(500,000 * 80\%) * 3/2 * 4 \text{ ლარი} = 2,400,000 \text{ ლარი.}$$

მაგალითი 6. საწარმოთა გაერთიანება - შთანთქმა, შეძენილი საწარმო წყვეტს იურიდიულ არსებობას

A საწარმომ 500 ათას ლარად შეიძინა B საწარმოს წმინდა აქტივები (ათასი ლარი): შენობები – 200 (რეალური ღირებულება – 300); მარაგი – 140 (რეალური ღირებულება – 120); მოთხოვნები – 100; ვალდებულებები – 150. B საწარმომ შეწყვიტა არსებობა და შეუერთდა A საწარმოს. ტრანზაქცია იდენტიფიცირებულია საწარმოთა გაერთიანებად. ავსახოთ საწარმოთა გაერთიანება.

A საწარმო თავის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს წმინდა აქტივების შეძენას – საწარმოს შთანთქმას შემდეგი გატარებით:

ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
შენობები	2130		300,000
საქონელი	1610		120,000
მოთხოვნები მიწოდებიდან	1410		100,000
გუდვილი	2540		130,000
ვალდებულებები მოწოდებიდან		3110	150,000
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	500,000

B საწარმოს აქტივები და ვალდებულებები ფასდება რეალური ღირებულებით და სხვაობა გადახდილ თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის აღიარდება გუდვილად.

მაგალითი 7. საწარმოთა გაერთიანება – კაპიტალის წილების გაერთიანება

A და B საწარმოებმა იურიდიულად შეწყვიტეს არსებობა და ერთობლივად წმინდა აქტივები გადაიტანეს ახალ დაფუძნებულ C საწარმოში. ბიზნესის კომბინაცია იდენტიფიცირებულია ბიზნესის გაერთიანებად, ხოლო A საწარმო – მყიდველად. წმინდა აქტივების რეალური ღირებულება (ათასი ლარი):

	A საწარმო	B საწარმო
აქტივები	5,200	3,000
ვალდებულებები	500	200

ავსახოთ საწარმოთა გაერთიანება.

მოხდა გაერთიანება კომპენსაციის გარეშე. A და B საწარმოს წმინდა აქტივები გადატანილია ახალ საწარმოში.

C საწარმოს მაჩვენებლები

	ათასი ლარი
აქტივები	8,200
ვალდებულებები	700
საკუთარი კაპიტალი	7,500

განვიხილოთ ბიზნესის კომბინაციების აღრიცხვა, რომელიც არ იდენტიფიცირდება საწარმოთა გაერთიანებად.

მაგალითი 8. სხვა საწარმოს აქტივების შეძენა არ იდენტიფიცირდება საწარმოთა გაერთიანებად

A საწარმომ 4 მილიონ ლარად შეიძინა B საწარმოსაგან აქტივები, რომელთა რეალური ღირებულებაა 3,000,000 ლარი: შენობა 2,200,000 ლარი, მანქანა-დანადგარები 800,000 ლარი. B საწარმო წყვეტს საქმიანობას და ხდება მისი იურიდიული ლიკვიდაცია.

ოპერაცია არ არის საწარმოთა გაერთიანება, არის სხვა საწარმოს აქტივების შეძენა და A საწარმომ შემდეგნაირად უნდა ასახოს ეს ოპერაცია:

ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
შენობები	2130		2,933,333
მანქანა-დანადგარები	2150		1,066,667
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	4,000,000


2. მიიღველი საწარმოს იდენტიფიკაცია

➤ შეძენის მეთოდი

საწარმოთა გაერთიანების ოპერაციები ფასს 3-ის მოთხოვნათა შესაბამისად აღრიცხული უნდა იქნეს **შეძენის მეთოდით (acquisition method)**³³, რაც იმას ნიშნავს, რომ შეძენის ოპერაცია უნდა აისახოს მიიღველ საწარმოსთან. შეძენის მეთოდის გამოყენება საჭიროებს: მიიღველი საწარმოს იდენტიფიკაციას; შეძენის თარიღის განსაზღვრას; შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის აღიარებასა და შეფასებას; გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვებიდან მიღებული შემოსულობის აღიარებასა და შეფასებას.

³³ ფასს-მა „შესყიდვის მეთოდი“ (Purchase method) შეცვალა ტერმინით „შეძენის მეთოდი“ (Acquisition method). შეძენის მეთოდი მოიცავს საწარმოების აღრიცხვის ორ მეთოდს: შეძენის მეთოდს (acquisition accounting) და შთანთქმის მეთოდს (merger accounting). ამდენად, შეძენის მეთოდი გამოიყენება როგორც საწარმოთა შესყიდვის, ასევე შთანთქმისა და შერწყმის შესაფასებლად. შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო სხვაობა საწარმოს შესყიდვის ფასსა და რეალურ ღირებულებას შორის აღიარდება გუდვილად. ეს მეთოდი აზუსტებს არამატერიალურ აქტივებს და ხდის ფინანსურ ანგარიშგებას უფრო ტრანსპარანტულს (გამჭვირვალეს) და რელევანტურს (შესაბამისს).

<http://www.differencebetween.net/business/difference-between-acquisition-method-and-purchase-method/>



➤ **მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაცია**

ბიზნესის გაერთიანებისას უნდა განისაზღვროს ვინ არის „მყიდველი“ (გარდა ერთობლივი საქმიანობისა) ყოველი საწარმოთა გაერთიანებისათვის ერთ-ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეული უნდა განისაზღვროს როგორც მყიდველი. ფასს 3 საწარმოთა გაერთიანებას განსაზღვრავს, როგორც სამეურნეო ოპერაციას ან სხვა მოვლენას, რომლის დროსაც მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს ერთ ან მეტ საწარმოზე.

მყიდველი საწარმო არის ის სამეურნეო ერთეული, რომელიც კონტროლს იღებს შექმნილ საწარმოზე.

საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც, ძირითადად, ჩამოყალიბდა ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების გადაცემით, ან ვალდებულებების წარმოშობით, მყიდველად, ჩვეულებრივ, ჩაითვლება ის სამეურნეო ერთეული, რომელიც გადასცემს ფულად სახსრებს ან სხვა აქტივებს, ან იღებს ვალდებულებებს.

ფასს 3-ით (ბ.16-18) სხვა ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია მყიდველი საწარმოს განსაზღვრისას, მოიცავს:

- მყიდველი, ჩვეულებრივ, არის გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის **სიდიდე** (გამოსახული, მაგალითად, აქტივებით, ამონაგებით ან მოგებით) **მნიშვნელოვნად უფრო დიდია**, ვიდრე სხვა გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ან ერთეულების;
- საწარმოთა გაერთიანებაში, რომელშიც ორზე მეტი სამეურნეო ერთეული შედის, მყიდველი საწარმოს დადგენისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, **რომელმა გაერთიანებულმა სამეურნეო ერთეულმა წამოიწყო გაერთიანება**, ასევე გაერთიანებული სამეურნეო ერთეულების შესაბამისი **სიდიდე**;
- საწარმოთა გაერთიანების შესაქმნელად ფორმირებული ახალი სამეურნეო ერთეული შეიძლება არ წარმოადგენდეს მყიდველს. თუ ახალი სამეურნეო ერთეული ფორმირებულია საწარმოთა გაერთიანების ასამოქმედებლად საჭირო სააქციო წილის გამოსაშვებად, ერთ-ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, **რომელიც საწარმოთა გაერთიანებამდე არსებობდა**, უნდა განისაზღვროს, როგორც მყიდველი.

საწარმოთა გაერთიანების პროცესში **მაკონტროლებელი მხარის განსაზღვრისას** გათვალისწინებული უნდა იყოს საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და გარემოება. როდესაც ბიზნესის კომბინაციისას შეუძლებელია მყიდველი საწარმოს დადგენა, აქციონერთა არცერთი ჯგუფი არ ხდება დომინანტი და ყველანი ფლობენ თანაბარ კონტროლს, არ გამოიყენება შესყიდვის მეთოდი.

მყიდველად, ჩვეულებრივ, ჩაითვლება ის სამეურნეო ერთეული, რომელიც კონტროლის სანაცვლოდ გადასცემს ფულად სახსრებს, ფულის ეკვივალენტებს ან სხვა აქტივებს, ან იღებს ვალდებულებას.

მაგალითი 9. ფულადი სახსრების გადამხდელი – მყიდველი საწარმო

A და B საწარმოები ერთიანდებიან ერთ სამეურნეო ერთეულად. A საწარმო B საწარმოს კაპიტალის 80%-ში იხდის 2 მილიონ ლარს.

ვინაიდან A საწარმო იხდის ფულს, ის არის მყიდველი საწარმო.

სამეურნეო ერთეული, რომლის სიდიდე (გამოსახული, მაგალითად, წმინდა აქტივებით, ამონაგებით ან მოგებით) მნიშვნელოვნად უფრო დიდია, ვიდრე სხვა გაერთიანებული სამეურნეო ერთეული ან ერთეულები, არის მყიდველი საწარმო.

მაგალითი 10. დიდი სამეურნეო ერთეული – მყიდველი საწარმო

A და B საწარმოები ერთიანდებიან ერთ სამეურნეო ერთეულად. A-ს წმინდა აქტივების რეალური ღირებულება 44 მილიონი ლარია, ხოლო B-ს – 10 მილიონი ლარი.

ვინაიდან A საწარმოს წმინდა აქტივების რეალური ღირებულება მეტია, ის არის მყიდველი საწარმო.

საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც, ძირითადად, სააქციო წილების გაცვლით ჩამოყალიბდა, ჩვეულებრივ მყიდველად ჩაითვლება სამეურნეო ერთეული, რომელიც გამოუშვებს თავის აქციებს.

მაგალითი 11. აქციების ემიტენტი – მყიდველი საწარმო

A საწარმო B საწარმოს კონტროლის უფლებისათვის ახდენს აქციების ემისიას – გადასცემს B საწარმოს მილიონ ცალ ჩვეულებრივ აქციას.

ვინაიდან A საწარმო ახდენს აქციების ემისიას, ის არის მყიდველი საწარმო.

დომინანტი მენეჯმენტში – გაერთიანების შედეგად გაერთიანებაში მონაწილე ერთ-ერთ საწარმოს მენეჯმენტს ენიჭება უპირატესობა მმართველობითი კადრების შერჩევაში.

მაგალითი 12. დომინანტი საწარმო – მყიდველი საწარმოა

A და B საწარმოები ერთიანდებიან ერთ სამეურნეო ერთეულად. A-ს წმინდა აქტივების რეალური ღირებულება 44 მილიონი ლარია, ხოლო B-ს – 50 მილიონი ლარი. გაერთიანების შედეგად A საწარმოს დირექტორები და მენეჯერები გახდნენ გაერთიანების მმართველები.

ვინაიდან მართვაზე კონტროლის უფლება გააჩნია A საწარმოს, ის არის მყიდველი საწარმო.

მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირებისას ისეთ საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც სააქციო წილების გაცვლით ჩამოყალიბდა, ასევე განხილულ უნდა იქნეს სხვა სათანადო ფაქტები და გარემოებები, მათ შორის:

ა) ხმის უფლების შეფარდებითი რაოდენობა გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში. საწარმოთა გაერთიანების შემდგომ - მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება ის გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის მესაკუთრეები, როგორც ჯგუფი, ინარჩუნებენ ან იღებენ ხმის უფლების უდიდეს ნაწილს გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში. იმის დასადგენად, მესაკუთრეთა რომელი ჯგუფი ინარჩუნებს ან იღებს ხმის უფლების უდიდეს ნაწილს, სამეურნეო ერთეულმა უნდა განიხილოს ხმის უფლების შესახებ არსებული ნებისმიერი განსაკუთრებული ან სპეციალური შეთანხმებები და ოფციონების, ვარანტებისა ან კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების არსებობა;

ბ) ხმის უფლების დიდი უმცირესობის წილის არსებობა გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში, თუ არც ერთ სხვა მესაკუთრეს ან მესაკუთრეთა ორგანიზებულ ჯგუფს არ გააჩნია ხმის უფლების მნიშვნელოვანი წილი - მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის ერთადერთ მესაკუთრეს ან მესაკუთრეთა ორგანიზებულ ჯგუფს გააჩნია ხმის უფლების დიდი უმცირესობის წილი გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში;

გ) გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის მმართველობითი ორგანოს შემადგენლობა - მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომლის მესაკუთრეებსაც აქვთ ჯგუფის მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობის არჩევის, დანიშვნის, ან მოხსნის უფლება;

დ) გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ზედა რგოლების მენეჯერთა (ხელმძღვანელთა) შემადგენლობა - მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება ის სამეურნეო ერთეული, რომლის ხელმძღვანელობაც დომინირებს ჯგუფის ხელმძღვანელობაში;

ე) სააქციო წილის გაცვლის პირობები - მყიდველი, ჩვეულებრივ, იქნება გაერთიანებული სამეურნეო ერთეული, რომელიც იხდის პრემიალურ (დამატებით) თანხას სხვა გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ან ერთეულების სააქციო წილების გაერთიანებამდელი რეალური ღირებულების ზემოთ.

✓ მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაცია კაპიტალის წილების გაცვლის შედეგად შექმნილ საწარმოთა გაერთიანებაში

ბასსს-მ აღნიშნა, რომ კონტროლის კონცეფცია კონცენტრირებულია ორ სამეურნეო ერთეულს შორის თანამშრომლობაზე, კერძოდ, გააჩნია თუ არა ერთ სამეურნეო ერთეულს მეორე სამეურნეო ერთეულის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვის ძალაუფლება, ამ საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით. ამიტომ, მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაციისათვის, გაერთიანების ფორმის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, გაერთიანების შედეგად რომელ გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულს გააჩნია მეორე სამეურნეო ერთეულის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვის ძალაუფლება, ამ საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით (ფასს 3, დს95).

3. შეძენის თარიღის განსაზღვრა

მყიდველმა საწარმომ უნდა დაადგინოს შეძენის თარიღი, რომელიც არის თარიღი, როდესაც ის კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე. თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე, საზოგადოდ, არის თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო იურიდიულად გადასცემს კომპენსაციას, იძენს შეძენილი საწარმოს აქტივებს და იღებს მის ვალდებულებებს, ანუ გარიგების დახურვის თარიღი. თუმცა, მყიდველმა საწარმომ შეიძლება კონტროლი ისეთი თარიღისთვის აიღოს, რომელიც წინ უსწრებს ან მოსდევს გარიგების დახურვის თარიღს. მაგალითად, შეძენის თარიღი წინ უსწრებს გარიგების დახურვის თარიღს, თუ წერილობითი შეთანხმებით დაშვებულია, რომ მყიდველმა საწარმომ შეძენილ საწარმოზე კონტროლი აიღოს გარიგების დახურვის თარიღამდე. შეძენის თარიღის დადგენისას მყიდველმა საწარმომ უნდა განიხილოს საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და გარემოება.

მაგალითი 13. ფაქტობრივად კონტროლის მიღების თარიღი – შეძენის თარიღია

A საწარმომ 1 მარტს მისცა თანხმობა B საწარმოს შეძენაზე, შეძენის ეტაპებია: 1 მარტი – აქციების 30%; 15 ივნისი – 30%; 20 სექტემბერი – 40%.

შეძენის თარიღია 15 ივნისი, რადგან ამ დღეს A საწარმომ ფაქტობრივად მიიღო კონტროლის უფლება – გახდა კაპიტალის 60%-ის მფლობელი.

მაგალითი 14. კონტროლის მიღების თარიღი უსწრებს ფულადი სახსრების გადაცემის თარიღს

A საწარმომ შეიძინა B საწარმოს აქციების 100%. ხელშეკრულებით შეძენის თარიღად დადგენილია 15 აპრილი. A საწარმოს ხელმძღვანელობამ 1 მაისს დანიშნა B საწარმოში დირექტორები, როდესაც ყიდვა-გაყიდვის ყველა პირობა იქნა შესრულებული. ფულადი სახსრები B საწარმოს გადაეცა 20 მაისს.

შეძენის თარიღია 1 მაისი, როდესაც A საწარმომ მიიღო B საწარმოს ფინანსური და ოპერაციული პოლიტიკის კონტროლის უფლება - დირექტორების დანიშვნის დღე. მყიდველის მიერ კონტროლის მიღების უფლების თარიღი უსწრებს ვალდებულების დაფარვის თარიღს.

4. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილის აღიარება და შეფასება

➤ აღიარება

შეძენის თარიღიდან დაწყებული, მყიდველმა საწარმომ გუდვილისაგან განცალკევებით უნდა აღიაროს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების აღიარება ხდება ჩამოყალიბებული აღიარების შემდეგი პირობების შესაბამისად:

- შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები შეძენის თარიღისათვის უნდა აკმაყოფილებდეს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემულ აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებებს, რათა შესაძლებელი იყოს მათი აღიარება შეძენის მეთოდის გამოყენებისას, როგორც მისი ნაწილის. მაგალითად, დანახარჯები, რომლის გაწევასაც მომავალში მყიდველი საწარმო ვარაუდობს, მაგრამ ვალდებული არ არის ასე მოიქცეს, რათა განახორციელოს თავისი გეგმა და შეწყვიტოს შეძენილი საწარმოს საქმიანობა ან შეძენილი საწარმოს მომუშავეთა დასაქმება, ან გადაადგილოს მისი პერსონალი, შეძენის თარიღისათვის არ წარმოადგენს ვალდებულებებს. ამიტომ, მყიდველი საწარმო ამ დანახარჯებს არ აღიარებს, როგორც შეძენის მეთოდის გამოყენების ნაწილს. პირიქით, მყიდველი საწარმო ამ დანახარჯებს აღიარებს გაერთიანების შემდგომი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა ფასს-ის შესაბამისად.

- გარდა ამისა, იმისათვის, რომ შეძენილმა იდენტიფიცირებადმა აქტივებმა და აღებულმა ვალდებულებებმა დააკმაყოფილოს აღიარების კრიტერიუმები, როგორც შეძენის მეთოდის შემადგენელმა ნაწილმა, ეს აქტივები და ვალდებულებები უნდა იყოს იმის ნაწილი, რაც მყიდველმა და შეძენილმა საწარმომ გაცვალეს საწარმოთა გაერთიანების გარიგების დროს და არა რომელიმე სხვა განცალკევებული სამეურნეო ოპერაციების შედეგი. მყიდველმა საწარმომ უნდა გამოიყენოს ფასს-ის მითითებები, რათა განსაზღვროს, რომელი შეძენილი აქტივები და აღებული ვალდებულებები წარმოადგენს შეძენილი საწარმოსთვის შესრულებული გაცვლის შემადგენელ ნაწილს და რომელი არის სხვა განცალკევებული სამეურნეო ოპერაციის შედეგი (თუ ასეთი არსებობს), რომელიც აისახება თავისი შინაარსისა და სათანადო ფასს-ის შესაბამისად.
- მყიდველი საწარმოს მიერ აღიარების პრინციპისა და პირობების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი ისეთი აქტივისა და ვალდებულების აღიარება, რომელიც შეძენილმა საწარმომ მანამდე არ აღიარა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც აქტივები და ვალდებულებები. მაგალითად, მყიდველი საწარმო აღიარებს შეძენილ იდენტიფიცირებად არამატერიალურ აქტივს, როგორცაა საფირმო ნიშანი, პატენტი ან კლიენტთან ურთიერთობა, რომელიც შეძენილმა საწარმომ არ აღიარა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც აქტივები, რადგან თვითონ შექმნა ისინი საწარმოში და შესაბამისი დანახარჯები ხარჯებს მიაკუთვნა.

აღიარების პირობას კავშირი არ აქვს საწარმოში შემოსული ან გასული ეკონომიკური სარგებლის საიმედოდ შეფასებასა და ალბათობასთან. ბასს-ის საბჭომ მიიჩნია, რომ დამატებით ამგვარი კრიტერიუმების დაწესება არ არის საჭირო, რადგან ნებისმიერი მუხლის აღიარების კრიტერიუმში თავის თავშივე უკვე გულისხმობს რომ მისი ღირებულება უნდა იყოს საიმედოდ შეფასებული, რაც თავის მხრივ, ასევე დაკავშირებულია ალბათობის ხარისხთან. ამგვარად, საწარმოთა გაერთიანებისას იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები უნდა აღიარდეს მათგან

საწარმოში შემოსული ან გასული ეკონომიკური სარგებლის ალბათობის ხარისხის მიუხედავად, თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განახლებული ფასს 3 მაინც მოითხოვს, რომ პირობითი ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმად კვლავ დარჩეს მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

➤ კლასიფიკაცია და შეფასება

შემენის თარიღისათვის მყიდველმა საწარმომ უნდა მოახდინოს შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების კლასიფიცირება, ან გარკვეული მიზნისთვის მათი უფლებამოსილების განსაზღვრა. მყიდველმა საწარმომ ეს კლასიფიკაცია ან უფლებამოსილება უნდა განსაზღვროს შემენის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო და ეკონომიკური პირობების, თავისი სამეურნეო ან სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა სათანადო პირობების საფუძველზე.

მყიდველმა საწარმომ შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით შემენის თარიღისთვის.

ზოგ შემთხვევაში, ფასს-ი განსხვავებულ აღრიცხვას ითვალისწინებს იმისდა მიხედვით, რა კლასიფიკაციას ანიჭებს ან რა მიზნისთვის განსაზღვრავს საწარმო ამა თუ იმ კონკრეტულ აქტივსა და ვალდებულებას. ფასს-ი მცირე გამონაკლისებს უშვებს აღიარებისა და შეფასების პრინციპებში:

- ა) საიჯარო და სადაზღვევო ხელშეკრულებების კლასიფიცირება მოითხოვება სახელშეკრულებო პირობებისა და ხელშეკრულების დასაწყისისთვის (ან როცა სახელშეკრულებო პირობები შეიცვალა) არსებული სხვა ფაქტორების საფუძველზე და არა შემენის თარიღისათვის არსებული ფაქტორების მიხედვით;
- ბ) საწარმოთა გაერთიანებისას აღებული ის პირობითი ვალდებულებები აღიარდება მხოლოდ, რომლებიც წარმოადგენს მიმდინარე მოვალეობას და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება;

- გ) ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების აღიარება და შეფასება მოითხოვება არა რეალური ღირებულებით, არამედ სხვა ფასს-ის შესაბამისად. ეს ეხება იმ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ხვდება ბასს 12-ის – „მოგებიდან გადასახადები“, ბასს 19-ის – „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“, ფასს 2-ის – "წილობრივი გადახდა" და ფასს 5-ის – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – მოქმედების არეში;
- დ) გამოსყიდული უფლების შეფასებისათვის სპეციალური მოთხოვნები არსებობს;
- ე) საგარანტიო აქტივები აღიარდება და შეფასდება იმ მუხლის შესაფერისი საფუძვლით, რომელიც ექვემდებარება ზარალის ანაზღაურებას, თუნდაც ეს შეფასება არ იყოს რეალური ღირებულება.

➤ არამატერიალური აქტივი

საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი არამატერიალური აქტივები ხშირად შესულია გუდვილის აღიარებულ თანხაში (ფასს 3, დს157). ამიტომ ფასს 3 მოითხოვს, რომ მყიდველმა საწარმომ გამოავლინოს და აღიაროს გუდვილისაგან განცალკევებულად საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არა-ფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. აქტივი არის **იდენტიფიცირებადი**, თუ იგი:

- ა) **განცალკევებადია**, ე.ი. შესაძლებელია მისი განცალკევება ან გამოყოფა სამეურნეო ერთეულისგან და გაყიდვა, გადაცემა, იჯარით გაცემა, მასზე ლიცენზიის გაცემა ან გაცვლა, ცალკე, ან შესაბამის ხელშეკრულებასთან, იდენტიფიცირებად აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად, იმის მიუხედავად, ამის გაკეთებას აპირებს თუ არა სამეურნეო ერთეული; ან
- ბ) **წარმოიქმნა სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან**, იმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა ამ უფლებების გადაცემა, ან საწარმოსგან ან სხვა უფლებებიდან თუ ვალდებულებებიდან მისი განცალკევება.

ამდენად, არამატერიალური აქტივი ითვლება იდენტიფიცირებად აქტივად, თუ იგი აკმაყოფილებს ან განცალკევების კრიტერიუმებს, ან სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს. არამატერიალური აქტივი, რომელიც სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, იდენტიფიცირებადად მიიჩნევა მაშინაც კი, თუ შეუძლებელია მისი გადაცემა ან გამოცალკევება შემენილი საწარმოდან, ან სხვა უფლებებიდან და ვალდებულებებიდან. მაგალითად, შემენილი საწარმო საოპერაციო იჯარით იღებს საწარმოო მოწყობილობას და საოპერაციო იჯარის პირობები მისაღებია საბაზრო პირობებთან შედარებით. იჯარის პირობები კრძალავს იჯარის გადაცემას (გაყიდვის ან ქვეიჯარის საშუალებით). თანხა, რის გამოც საიჯარო პირობები მისაღებად ითვლება იმავე ან მსგავსი მუხლების მიმდინარე საბაზრო გარიგებების პირობებთან შედარებით, არის არამატერიალური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს გუდვილისაგან განცალკევებით აღიარების სახელშეკრულებო-იურიდიულ კრიტერიუმებს, თუმცა მყიდველ საწარმოს არ შეუძლია მისი გაყიდვა ან საიჯარო ხელშეკრულების რაიმე გზით სხვაზე გადაცემა.

არამატერიალური აქტივი, რომელიც მყიდველ საწარმოს შეუძლია გაყიდოს, ლიცენზიით გასცეს, ან სხვაგვარად გაცვალოს ისეთ რამეში, რასაც ღირებულება აქვს, აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მყიდველი საწარმო არ აპირებს მის გაყიდვას, ლიცენზიით გადაცემას ან სხვაგვარად გაცვლას. შემენილი არამატერიალური აქტივი განცალკევების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, თუ არსებობს ამ ტიპის ან მსგავსი ტიპის აქტივის გაცვლის გარიგების ფაქტი, თუნდაც ასეთი გარიგებები ხშირი არ იყოს და იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა მასში მყიდველი საწარმო. მაგალითად, კლიენტთა და აბონენტთა სიებზე ხშირად გაიცემა ლიცენზია. შესაბამისად, ისინი აკმაყოფილებენ განცალკევების კრიტერიუმებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემენილი საწარმოს კლიენტთა სია განსხვავდება სხვა კლიენტთა სიისაგან, ის ფაქტი, რომ კლიენტთა სიის გადაცემა ხშირად ხდება ლიცენზიით, საზოგადოდ, იმას ნიშნავს, რომ შემენილი კლიენტთა სია აკმაყოფილებს

განცალკევების კრიტერიუმებს. თუმცა, საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი კლიენტთა სია არ დააკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს, თუ კონფიდენციალობის ან სხვა შეთანხმებები სამეურნეო ერთეულს უკრძალავს მისი კლიენტების შესახებ ინფორმაციის გაყიდვას, იჯარით გაცემას ან სხვაგვარად გაცვლას.

არამატერიალური აქტივი, რომელიც ინდივიდუალურად არ განცალკევდება შეძენილი საწარმოსაგან, ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულისაგან, აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს, თუ შეიძლება მისი განცალკევება შესაბამის ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად. მაგალითად, შეძენილი საწარმო ფლობს რეგისტრირებულ სავაჭრო მარკას და დოკუმენტირებულ, მაგრამ უპატენტო ტექნიკურ ცოდნას, რომელიც გამოიყენება ამ სავაჭრო მარკის პროდუქციის საწარმოებლად. სავაჭრო მარკაზე საკუთრების გადასაცემად, მესაკუთრემ ასევე უნდა გადასცეს ყველაფერი, რაც ახალ მესაკუთრეს დასჭირდება გარკვეული პროდუქტის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად, რომელიც არ განსხვავდება ყოფილი მესაკუთრის მიერ წარმოებული იმავე პროდუქტისა და მომსახურებისაგან. იმის გამო, რომ უპატენტო ტექნიკური ცოდნა უნდა განცალკევდეს შეძენილი საწარმოსაგან ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულისაგან და გაიყიდოს, თუ ეს სავაჭრო მარკა გაიყიდება, იგი აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს.

ბასს-ის საბჭომ გადაწყვიტა გაეუქმებინა შეფასების საიმედოობის კრიტერიუმი, როგორც აბსოლუტური კრიტერიუმი, რომელიც, მისი აზრით, ზედმეტია, რადგან შეფასების საიმედოობა აღიარების საერთო კრიტერიუმების ნაწილია, სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით (ფასს 3, დს125).

ამდენად, ფასს-ი აღარ მოითხოვს მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებლის საიმედოობის შეფასების ალბათობის მაღალ დონეს, არამატერიალურ აქტივის გუდვილისაგან განცალკევებულად ასაღიარებლად, საკმარისია აღიარების ერთ-ერთი კრიტერიუმის დაკმაყოფილება.

✓ პირობითი ვალდებულებები

ფასს 3 ითვალისწინებს, რომ მყიდველმა საწარმომ შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი ვალდებულებები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს, თუ მოსალოდნელია, რომ ვალდებულება გამოიწვევს საწარმოში ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ფასს 3 არ მოიცავს აღიარების ალბათობის კრიტერიუმს და ამიტომ მოითხოვს, რომ მყიდველმა საწარმომ აღიაროს იდენტიფიცირებადი აღებული ვალდებულებები, მიუხედავად ეკონომიკური სარგებლის გადინების შესაძლებლობის ხარისხისა.

ფასს-ი მოითხოვს, რომ აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად, გამოვლენილ და ასახულ იქნეს პირობითი ვალდებულებები. ბასს 37-ის მოთხოვნები არ გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი პირობითი ვალდებულებები უნდა აღიარდეს შეძენის თარიღისათვის. ამის მაგიერ, მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისათვის უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანებაში აღებული პირობითი ვალდებულება, თუ ეს არის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და მისი რეალური ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ამგვარად, ბასს 37-ის საპირისპიროდ, მყიდველი საწარმო შეძენის თარიღით აღიარებს საწარმოთა გაერთიანებაში აღებულ პირობით ვალდებულებას მაშინაც კი, თუნდაც მოსალოდნელი არ იყოს ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან ამ ვალდებულების დასაფარად. მაგალითად, თუ შეძენილი საწარმო არის სასამართლო დავის მონაწილე, არ არის საჭირო რეალური ვალდებულების წარმოქმნის ალბათობის შეფასება, ის უნდა იქნეს აღიარებული და ასახული როგორც პირობითი ვალდებულება – ის უკვე იქნა გათვალისწინებული აღნიშნული პირობითი ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრის დროს.

მყიდველი საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს შეძენილი საწარმოს რესტრუქტურირების ან მისი საქმიანობის შეწყვეტის ვალდებულებებს (რომლებიც

აღებულია საწარმოთა გაერთიანებაში), როდესაც ვალდებულებები შექმნის თარიღისთვის აკმაყოფილებს ვალდებულებების განმარტებას. რესტრუქტურისაციის ან შექმნილი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც ამ თარიღისათვის არ წარმოადგენს ვალდებულებებს, აღიარდება წარმოქმნისთანავე, როგორც გაერთიანების შემდგომი ოპერაციები ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ოპერაციები.

✓ შექმნილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი

როდესაც შექმნილია შვილობილი საწარმოს კაპიტალის 100%-ზე ნაკლები წილი, შვილობილი საწარმოს ღირებულება შედგება ორი ნაწილისაგან: იმ ნაწილისაგან, რომელიც ეკუთვნის მშობელ საწარმოს; და იმ ნაწილისაგან, რომელიც ეკუთვნის შვილობილ საწარმოს. შვილობილი საწარმოს წილი არ იძლევა კონტროლის უფლებას, რის გამოც მას უწოდებენ არამაკონტროლებელ წილს. **არამაკონტროლებელი წილი** არის წილი შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალში, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ.

ვინაიდან მშობელი საწარმო აკონტროლებს შვილობილ საწარმოს, კონსოლიდირებულ ბალანსში აისახება ჯგუფის (და არა მხოლოდ მშობელი საწარმოს) აქტივები და შესაბამისად, კაპიტალის და რეზერვების განყოფილებაში ცალკე მუხლის სახით აისახება არამაკონტროლებელის წილი, რათა გამოჩნდეს წმინდა აქტივების ის ნაწილი, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მაგრამ მას არ ეკუთვნის.

ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში უნდა **შეფასდეს რეალური ღირებულებით**, ან შექმნილი საწარმოს ინდეტიფიცირებად წმინდა აქტივებში არამაკონტროლებელი წილის **პროპორციული წილით**.

მაგალითად, თუ შექმნილია საწარმოს 80% და ანგარიშგების მომზადების დღეს შექმნილი (შვილობილი) საწარმოს წმინდა აქტივები შეადგენს 500,000 ლარს, არამაკონტროლებელი (20% მფლობელების) წილი იქნება: $500,000 * 20\% = 100,000$ ლარი.

5. გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული

შემოსულობის აღიარება და შეფასება

➤ გუდვილი

მყიდველმა საწარმომ, მას შემდეგ, რაც აღიარებს იდენტიფიცირებად აქტივებს, ვალდებულია და არამაკონტროლებელ წილებს, უნდა დაადგინოს გუდვილი. ფასს 3 მოითხოვს, რომ მყიდველმა საწარმომ გუდვილი აღიაროს ცალკე აქტივად. **გუდვილი** არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილ, სხვა აქტივებიდან წარმოქმნილ **მომავალ ეკონომიკურ სარგებელს**, რომლის ცალკე იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია. სხვაგვარად, გუდვილი წარმოადგენს ისეთი აქტივების ერთობლიობას, რომელთა ინდივიდუალურად იდენტიფიცირება და აქტივად აღიარება შეუძლებელია, მაგრამ საწარმოსთვის არის მომავალი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ვერ იქნება ბიზნესისაგან განცალკევებულად „გაყიდული“ ან „გაცვლილი“. გუდვილის თანხა მოიცავს ინტეგრაციის სარგებელს – ბიზნესში საკონკურენტო უპირატესობებს, რასაც შეუძლია დამატებითი შემოსავლებისა და ფულადი ნაკადების გენერირება. ასეთ არამატერიალურ ფაქტორებს მიეკუთვნება საწარმოს საფირმო სახელი, რეპუტაცია ბაზარზე, ტექნოლოგიური და მმართველობითი კულტურა, კავშირები კონტრაგენტებთან და სხვა. როგორცაა ხარჯების შემცირება, ოპერაციების მასშტაბების ზრდა, ბაზარზე გავლენისა და წილის ზრდა და სხვა.

გუდვილის ღირებულების განსაზღვრა პირდაპირი მეთოდით შეუძლებელია, იგი განისაზღვრება ნარჩენი სიდიდის საფუძველზე, კერძოდ, ფასს 3-ის თანხმად (პ.32), გუდვილი წარმოადგენს სხვაობას შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

1. ჯამური მაჩვენებელი შემდეგი სიდიდეების:
 - გადაცემული კომპენსაცია;
 - არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში; და

- ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში – შექმნილ საწარმოში მყიდველი საწარმოს ადრე კუთვნილი სააქციო წილის რეალური ღირებულება, შეფასებული შექმნის თარიღისთვის.

2. შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება შექმნის თარიღისათვის.

როდესაც შექმნის თარიღისათვის პირველი სიდიდის ჯამური მაჩვენებელი აღმატება შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება, საწარმოთა გაერთიანების პროცესში წარმოიქმნება გუდვილი.

ამდენად, გუდვილის გაანგარიშების დროს ფასს 3 მოითხოვს, რომ:

- მყიდველმა საწარმომ **რეალური ღირებულებით შეაფასოს გადაცემული კომპენსაცია**, რისი საშუალებითაც გამორიცხავს კომპენსაციის მეტისმეტად მაღალ შეფასებას, რაც განპირობებულია შეთავაზებული კომპენსაციის შეფასებაში დაშვებული შეცდომებით;
- მყიდველმა საწარმომ **შექმნილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები აღიაროს რეალური ღირებულებით და არა მათი საბალანსო ღირებულებით**, რაც თავისთავად გამორიცხავს პირველ კომპონენტს, რომლის დროსაც რეალური ღირებულების ნამეტი შექმნილი საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე შექმნის თარიღისთვის ჩართული იყო გუდვილის თანხაში;
- მყიდველმა საწარმომ **განცალკევებულად აღიაროს ყველა შექმნილი იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივი**, რათა არ მოხდეს მათი მიკუთვნება გუდვილად აღიარებულ თანხაზე. აღნიშნული მოთხოვნა თავისთავად შემაჯირებს მეორე კომპონენტის არსებობას, რომლის დროსაც გარკვეული წმინდა აქტივების რეალური ღირებულება, რომელიც შექმნილ საწარმოს ადრე არ ჰქონდა აღიარებული, ჩაირთვებოდა გუდვილის გაანგარიშებაში (ფასს 3 , დს313-370).

➤ გაერთიანების კომპენსაცია

გუდვილის შესაფასებლად პირველ რიგში უნდა შეფასდეს გაერთიანების კომპენსაცია. საწარმოთა გაერთიანების ღირებულების დასადგენად ცნობილი უნდა იყოს **გაცვლითი ოპერაციის თარიღი**, რომელიც არის თარიღი, როდესაც ცალკეული ინვესტიცია აღიარებულ იყო მყიდველის ფინანსურ ანგარიშგებაში. კერძოდ, გადაცემული კომპენსაციის ყველა ფორმა უნდა შეფასდეს ერთსა და იმავე დღეს – აქტივებისა და აღებული ვალდებულებები შეძენის დღეს.

✓ შეფასება

ფასს 3-ის თანახმად მყიდველმა საწარმომ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები უნდა შეაფასოს **რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისთვის**. საწარმოთა გაერთიანებაში **გადაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება** გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის.

კომპენსაციის შესაძლო ფორმები მოიცავს: ფულად სახსრებს, სხვა აქტივებს, მყიდველი საწარმოს ბიზნესს ან შვილობილ საწარმოს, პირობით კომპენსაციას, ჩვეულებრივ ან პრივილეგიურ წილობრივ ინსტრუმენტებს, ოფციონებს, ვარანტებს და წევრთა წილებს ერთობლივ სამეურნეო ერთეულებში.

კომპენსაცია, რომელსაც მყიდველი საწარმო გადასცემს შეძენილი საწარმოს სანაცვლოდ, შეიცავს აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც წარმოქმნილია პირობითი კომპენსაციის შეთანხმებით. მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული პირობითი კომპენსაციის **რეალური ღირებულება უნდა აღიაროს**, როგორც შეძენილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილი.

✓ შეფასების პერიოდი

თუ საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღრიცხვა დასრულებული არ არის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანებას აქვს ადგილი, მყიდველმა საწარმომ ამ მუხლებისათვის (რომელთა სააღრიცხვო მონაცემები დასრულებული არ არის) ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აჩვენოს **პირობითი თანხები**. შეფასების პერიოდის განმავლობაში, მყიდველმა საწარმომ **რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს შეძენის თარიღით აღიარებული პირობითი თანხები**, რათა ასახოს მიღებული ახალი ინფორმაცია იმ ფაქტებისა და ვითარების შესახებ, რომლებიც არსებობდა შეძენის თარიღისათვის და, თუ ცნობილი იქნებოდა **მაშინ, გავლენას იქონიებდა ამ თარიღისათვის აღიარებული თანხების შეფასებაზე**. შეფასების პერიოდის განმავლობაში, მყიდველმა საწარმომ ასევე უნდა აღიაროს **დამატებითი აქტივები და ვალდებულებები**, თუ მიღებულია ახალი ინფორმაცია შეძენის თარიღისათვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ, რომელიც თუ მაშინ იქნებოდა ცნობილი, განაპირობებდა ამ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას ამ თარიღისათვის. **შეფასების პერიოდი მთავრდება**, როგორც კი მყიდველი საწარმო იღებს იმ ინფორმაციას, რასაც ეძებდა შეძენის თარიღისათვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ, ან როცა გაიგებს, რომ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. თუმცა, შეფასების პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს შეძენის თარიღიდან ერთ წელს.

შეფასების პერიოდი არის შეძენის თარიღის შემდგომი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მყიდველ საწარმოს შეუძლია კორექტირება შეიტანოს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით აღიარებულ პირობით თანხებში. შეფასების პერიოდი მყიდველ საწარმოს აძლევს საკმაოდ დროს, რათა მან მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია, ფასს 3-ის მოთხოვნების შესაბამისად, შეძენის თარიღისათვის შემდეგი მუხლების დასადგენად და შესაფასებლად:

- ა) შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში;

- ბ) შეძენილი საწარმოსათვის გადაცემული კომპენსაცია (ან სხვა თანხა, რომელიც გამოყენებულია გუდვილის შეფასებისას);
- გ) ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში, სააქციო წილი შეძენილ საწარმოში, რომელიც მანამდე ეკუთვნოდა მყიდველ საწარმოს;
- და
- დ) ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული გუდვილი ან შემოსულობა.

მყიდველმა საწარმომ უნდა განიხილოს ყველა სათანადო ფაქტორი იმის დასადგენად, შეძენის თარიღის შემდეგ მიღებული ინფორმაცია გამოიწვევს თუ არა აღიარებული პირობითი თანხების კორექტირებას, ან ხომ არ გამომდინარეობს ეს ინფორმაცია შეძენის თარიღის შემდგომი პერიოდის მოვლენებიდან. შეძენის თარიღიდან მოკლე პერიოდში მიღებული ინფორმაცია უფრო გამოხატავს იმ ვითარებას, რომელიც შეძენის თარიღისთვის არსებობდა, ვიდრე შეძენის თარიღიდან რამდენიმე თვის შემდეგ მიღებული ინფორმაცია. მაგალითად, თუ არ დადგინდება რეალური ღირებულების ცვლილების გამოიწვევი მოვლენა, მაშინ აქტივის გაყიდვა მესამე მხარეზე შეძენის თარიღიდან მოკლე ვადაში ისეთ ფასად, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ თარიღისათვის გამოთვლილი მისი პირობითი რეალური ღირებულებისაგან, მოსალოდნელია, რომ შეცდომას აჩვენებს პირობით თანხაში.

მყიდველი საწარმო აღიარებს იდენტიფიცირებადი აქტივისათვის/ვალდებულებისათვის აღიარებული პირობითი თანხის ზრდას/შემცირებას, გუდვილის შემცირების/გაზრდის საშუალებით.

შეფასების პერიოდის განმავლობაში მყიდველმა საწარმომ პირობითი თანხების კორექტირება ისე უნდა აღიაროს, თითქოს საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვა შეძენის თარიღისათვის დასრულდა. შესაბამისად, მყიდველმა საწარმომ უნდა შეამოწმოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეასწოროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაცია, მათ შორის, შეიტანოს

ცვლილება ცვეთისა, ამორტიზაციისა ან შემოსავლების სხვა შედეგებში, რომლებიც აღიარებულია საწყისი აღრიცხვის დასრულებისას.

მაგალითი 15. პირობითი შეფასების კორექტირება

A საწარმომ შეიძინა B საწარმო 2016 წლის 31 აგვისტოს და აღიარა ის თავის ფინანსურ ანგარიშგებაში. A საწარმომ დაავალა დამოუკიდებელ შემფასებელს შეძენილი საწარმოს დანადგარების შეფასება. 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე შეფასება არ იქნდა დასრულებული, რის გამოც საწარმომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარა აქტივები წინასწარი შეფასებით: დანადგარები 180,000 ლარის ოდენობით, ხოლო გუდვილი - 370,000 ლარად. დანადგარების დარჩენილი მომსახურების ვადა შეძენის თარიღისათვის განისაზღვრა 7 წლით.

საწარმოს შეძენიდან რამდენიმე თვის შემდეგ საწარმომ მიიღო შემფასებელთა დასკვნა, რომლის მიხედვით დანადგარების რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის იყო 201,000 ლარი.

მიღებული ინფორმაცია მოახდენს გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაკეთდეს დანადგარების საწყისი ნაშთის კორექტირება. კერძოდ, უნდა გაიზარდოს აქტივის ღირებულება შეძენის თარიღისათვის არსებულ რეალურ ღირებულებამდე, ანუ 21,000 ლარით (201,000 - 180,000) და შემცირდეს 4 თვის ამორტიზაციით 1,000 ლარის ოდენობით, რომელიც დაერიცხება აფასებულ თანხას შეძენის თარიღიდან ($21,000/7წ. * 4/12$).

ამდენად, 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება კორექტირდება:

- აქტივის ღირებულება იზრდება 20,000 ლარით (21,000 - 1,000);
 - გუდვილის ღირებულება მცირდება 21,000 ლარით;
- მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ცვეთის ხარჯი 1,000 ლარი.

✓ პირობითი კომპენსაცია

შესაძლებელია მყიდველმა საწარმომ შეძენილ საწარმოს გადაუხადოს ე.წ. „პირობითი კომპენსაცია“, ანუ კომპენსაცია, რომელიც კორექტირდება მომავალში გარკვეული მოვლენების მოხდენის, ან გარკვეული პირობების შესრულების შესაბამისად. ფასს 3-ის თანახმად **პირობითი კომპენსაცია** (დანართი ა) ჩვეულებრივ აღნიშნავს მყიდველი საწარმოს ვალდებულებას, გადასცეს დამატებითი აქტივები ან სააქციო წილი შეძენილი საწარმოს ყოფილ მესაკუთრეებს, როგორც შეძენილ საწარმოზე კონტროლის აღებისთვის განხორციელებული გაცვლის ნაწილი, თუ **მომავალში გარკვეული მოვლენები მოხდება, ან გარკვეული პირობები შესრულდება**. ამასთან, პირობითმა კომპენსაციამ შეიძლება მყიდველ საწარმოს ადრე გაცემული კომპენსაციის უკან დაბრუნების უფლებაც მისცეს, თუ დათქმული პირობები შესრულდება.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთ შეთანხმებებს, ჩვეულებრივ, მყიდველები და გამყიდველები იმისთვის იყენებენ, რათა **შეთანხმებას მიაღწიონ მომავალი შედეგების გაურკვევლობებთან დაკავშირებული ეკონომიკური რისკების განაწილების გზით**. ამ გაურკვევლობების შესახებ მყიდველისა და გამყიდველის განსხვავებული თვალსაზრისები ხშირად გვარდება მათი შეთანხმებით, ისე გაინაწილონ რისკები, რომ სასურველი მომავალი შედეგები, ჩვეულებრივ, განაპირობებდეს დამატებით გადახდებს გამყიდველისათვის, ხოლო არასასურველი შედეგები კი – არანაირ ან შედარებით მცირე გადახდებს.

ფასს 3-ის თანახმად, მყიდველმა საწარმომ **შეძენის თარიღისათვის** რეალური ღირებულებით უნდა აღიაროს ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის თანხა, როგორც შეძენილი საწარმოსათვის **გადაცემული კომპენსაციის ნაწილი**. პირობითი კომპენსაციის რეალური ღირებულებით საწყისი აღიარება ემყარება **შეძენის დღეს არსებულ ფაქტებსა და გარემოებებს**. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი პირობითი კომპენსაციის რეალური ღირებულების შეფასება შეიძლება იყოს რთული, ფასს 3-ით მისი აღიარების შემდგომ პერიოდში გადადება ან საერთოდ იგნორირება, გამოიწვევს მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არასრულ და

არასამართლიან წარდგენას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის ნაკლებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად. მართალია, თანხები, რომელსაც მიიღველი საწარმო მომავალში გადაიხდის, პირობითია მომავალ მოვლენებზე დამოკიდებულების გამო, მაგრამ მათი შესრულების მოვალეობა, თუ კონკრეტული მომავალი მოვლენები მოხდება, არის უპირობო.

ფასს 3 მოითხოვს, რომ პირობითი კომპენსაციის რეალურ ღირებულებაში განხორციელებულმა საწყისი აღიარების შემდგომმა ცვლილებებმა გავლენა არ უნდა მოახდინოს შეძენის დღეს შეძენილი საწარმოსათვის გადაცემული აღიარებული კომპენსაციის რეალურ ღირებულებაზე. ამგვარი ცვლილებები დაკავშირებულია საწარმოთა გაერთიანების შემდგომ მოვლენებთან და ფაქტებთან და აქედან გამომდინარე, გავლენა არ უნდა იქონიოს შეძენის თარიღით აღიარებულ გუდვილზე.

პირობითი კომპენსაციის რეალურ ღირებულებაში მომხდარი ზოგიერთი ცვლილება, რომელსაც მიიღველი საწარმო აღიარებს შეძენის თარიღის შემდგომ, შეიძლება განპირობებული იყოს ამ თარიღის შემდეგ მიიღველი საწარმოს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოპოვებით შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ. ასეთი ცვლილებები წარმოადგენს შეფასების პერიოდის კორექტირებას ფასს 3-ის შესაბამისად.

მაგალითი 16. გაერთიანების პირობითი კომპენსაცია და შეძენის თარიღისათვის მოვლენა

მიმდინარე წლის დეკემბერში A საწარმომ შეიძინა B საწარმოს 90% 5 მილიონ ლარად. A საწარმოს მოუწევს 100 ათასი ლარის დამატებით გადახდა, თუ მიმდინარე წლის მოგება გადააჭარბებს წინა წლის მოგებას. გამყიდველი საწარმო დარწმუნებულია, რომ ამ მოვლენის მოხდენის ალბათობა ძალიან დიდია. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვადაა მომდევნო წლის მარტი.

ეს ფაქტი არის შეძენის თარიღისათვის დამატებითი ინფორმაცია, რაც მიეკუთვნება შეფასების პერიოდს. შეძენის თარიღისათვის მოსახდენი მოვლენის ალბათობა დიდია, და მყიდველმა შეძენის თარიღისათვის კორექტირების თანხა უნდა გაითვალისწინოს გაერთიანების ღირებულებაში.

მყიდველმა 100 ათასი ლარის დღევანდელი ღირებულება უნდა ჩართოს გაერთიანების ღირებულებაში და აღიაროს პირობით ვალდებულებად ბასს 37-ის შესაბამისად. თუ დავუშვებთ მაგალითად, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 18%-ია, მაშინ 100 ათასი ლარის დღევანდელი ღირებულება იქნება: $100,000 * \{1/1+0.18\} = 100,000 * 0.84746 = 84,746$ ლარს. ამდენად, პირობითი კომპენსაცია კი შეადგენს 5,084,746 ლარს. წლის ბოლოს მოხდება დისკონტის პოზიციის დახურვა 15,254 ლარის ოდენობით (100,000 - 84,746).

ეს ოპერაცია მყიდველ საწარმოსთან – A-თან ანგარიშებზე შემდეგნაირად აისახება:

ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		5,084,746
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	5,000,000
სხვა ანარიცხები		4390	84,746
გაერთიანების პირობითი კომპენსაცია			

მომდევნო ერთი წლის განმავლობაში განხორციელდება კომპენსაციის ღირებულების კორექტირება.

შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენებისაგან გამოწვეული ცვლილებები, როგორცაა: წმინდა შემოსავლის დაგეგმილი (საკონტროლო) მაჩვენებლის შესრულება, წინასწარ განსაზღვრული ფასის მიღწევა აქციაზე ან სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა პროექტში რაიმე მნიშვნელოვანი ეტაპის მიღწევა, არ წარმოადგენს შეფასების პერიოდის კორექტირებას. მყიდველმა საწარმომ პირობითი კომპენსაციის რეალურ ღირებულებაში მომხდარი

ცვლილებები, რომლებიც არ წარმოადგენს შეფასების პერიოდის კორექტირებას, უნდა ასახოს შემდეგნაირად:

ა) საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებული პირობითი კომპენსაცია ხელახლა არ უნდა შეფასდეს და მისი შემდგომი დაფარვა უნდა აისახოს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში;

ბ) სხვა პირობითი კომპენსაცია, რომელიც:

- წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და განეკუთვნება ფასს 9-ის მოქმედების სფეროს, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდეს მოგებაში ან ზარალში ფასს 9-ის შესაბამისად.
- არ განეკუთვნება ფასს 9-ის მოქმედების სფეროს, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

გაერთიანების კომპენსაცია აქციების ემისიით საჭიროებს საკუთარი კაპიტალის, და არა კომპენსაციის, კორექტირებას აქციების რეალური ღირებულების გათვალისწინებით.

მაგალითი 17. გაერთიანების პირობითი კომპენსაცია და შეძენის თარიღის შემდგომი მოვლენა

მიმდინარე წლის 1 თებერვალს A საწარმომ 5 მილიონ ლარად შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 85%. A საწარმო კომპენსაციის სახით გადასცემს ერთ მილიონ ცალ აქციას, რომლის ნომინალური ღირებულება ერთი ლარია, ხოლო საბაზრო ღირებულება აქციების ემისიის დროს შეადგენდა 5 ლარს. შეთანხმების თანახმად, თუ აქციების ღირებულება დაეცემა გაყიდვიდან 6 თვის განმავლობაში, A საწარმო კომპენსაციის სახით გამოუშვებს დამატებით აქციებს.

ივლისში აქციების ფასი დაეცა 4.80 ლარამდე.

ეს ფაქტი არის შექმნის თარიღის შემდგომი მოვლენა და არ წარმოადგენს შეფასების პერიოდის კორექტირებას. საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებული პირობითი კომპენსაცია ხელახლა არ უნდა შეფასდეს და მისი შემდგომი დაფარვა უნდა აისახოს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში.

მყიდველმა საწარმომ უნდა მოახდინოს კომპენსაციის კორექტირება აქციების დამატებითი ემისიის სახით. თითო აქციის საბაზრო ფასი შემცირდა 0.20 ლარით, ე.ი. დამატებითი კომპენსაციის თანხა შეადგენს 200,000 ლარს (1,000,000 ცალი * 0.20 ლარი = 200,000 ლარი), ანუ გამოსაშვებია 41,667 ცალი აქცია (200,000 ლარი/4.80ლარი = 41,667).

ეს ოპერაცია მყიდველ საწარმოსთან – A-თან ანგარიშებზე შემდეგნაირად აისახება:

თარიღი	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
თებერ- ვალი	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში (1,000,000 ცალი * 5 ლარი)	2410		5,000,000
	ჩვეულებრივი აქციები (1,000,000 ცალი * 1 ლარი)		5110	1,000,000
	საემისიო კაპიტალი		5140	4,000,000
	აქციების პირველი ემისია			
ივლისი	გაუნაწილებელი მოგება (41,667 ცალი * 4.80 ლარი)	5310		200,000
	ჩვეულებრივი აქციები (41,667 ცალი * 1 ლარი)		5110	41,667
	საემისიო კაპიტალი		5140	158,333
	აქციების დამატებითი ემისია - აქციების საბაზრო ღირებულების დაცემის კომპენსაცია.			

✓ შექმნასთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმოთა გაერთიანების დროს ადგილი აქვს საწარმოს შექმნასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. შექმნასთან დაკავშირებული დანახარჯები ისეთი

დანახარჯებია, რომელსაც მყიდველი საწარმო ეწევა საწარმოთა გაერთიანების განსახორციელებლად. ამ დანახარჯებში შედის საშუამავლო ორგანიზაციისთვის გადახდილი საკომისიო; საკონსულტაციო, იურიდიული, საბუღალტრო, საშემფასებლო და სხვა პროფესიული ან საკონსულტაციო მომსახურების საფასური; საერთო-ადმინისტრაციული დანახარჯები, მათ შორის, შიდა შესყიდვების დეპარტამენტის შენახვის ხარჯები; ასევე სავალო და წილობრივი ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციისა და ემისიის დანახარჯები. **მყიდველმა საწარმომ შექენასთან დაკავშირებული დანახარჯები უნდა ასახოს, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო დანახარჯები და მომსახურება, ერთი შემთხვევის გარდა – სავალო ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების ემისიის დანახარჯები უნდა აღიარდეს ბასს-32-ისა და ფასს 9-ის შესაბამისად.**

მაგალითი 18. საწარმოს შექენასთან დაკავშირებული დანახარჯები

4 აგვისტოს A საწარმომ შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 80%, რომელიც შეფასებულია 2 მილიონ ლარად. მომსახურებისათვის გადახდილია: შემფასებელთა და იურისტთა კონსულტაციებში – 4 ათასი ლარი; შესყიდვების განყოფილების თანამშრომელთა შრომის ანაზრაურებაში – 2 ათასი ლარი.

გაერთიანების ღირებულება შეადგენს 2 მილიონ ლარს, პროფესიული და შესყიდვების მომსახურების ხარჯები არ ჩაირთვება გაერთიანების ღირებულებაში, ის არის მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

ეს ოპერაცია ინვესტორთან – A საწარმოსათან ანგარიშებზე შემდეგნაირად აისახება:

ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		2,000,000
შრომის ანაზრაურების ხარჯები	7410		2,000

კონსულტაციის ხარჯები	7450		4,000
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	2,006,000
საწარმოს შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები			

✓ კომპენსაცია ფულადი სახსრებით და აქციების ემისიით

გაერთიანების კომპენსაცია შეიძლება მოხდეს ფულადი სახსრების გადაცემით და აქციების ემისიით, ასეთ შემთხვევაში კომპენსაცია ფასდება გადაცემული აქციების რეალური ღირებულებით.

მაგალითი 19. გაერთიანების კომპენსაციის განსაზღვრა მყიდველი კომპანიის აქციების რეალური ღირებულებით

A კომპანიამ შეიძინა B კომპანიის კაპიტალის 90%. შეთანხმების თანახმად, A კომპანია B კომპანიას უხდის 3 მილიონ ლარს და გადასცემს მას ერთ მილიონ ცალ ჩვეულებრივ აქციას (ახდენს ემისიას).

A კომპანიის აქციების ნომინალური ღირებულება 1 ლარია. გაცვლის დღეს – 7 თებერვალს, აქციების რეალური ღირებულება იყო 4 ლარი.

გაერთიანების კომპენსაცია 7 მილიონი ლარია: 3 მილიონი ლარი ფულის და 4 მილიონი (1,000,000 ცალი * 4 ლარი) ლარი აქციების სახით.

ეს ოპერაცია მყიდველ A კომპანიასთან ანგარიშებზე შემდეგნაირად აისახება:

ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		7,000,000
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	3,000,000
ჩვეულებრივი აქციები		5110	1,000,000
საემისიო კაპიტალი		5140	3,000,000
ინვესტიცია – საწარმოს შექმნა			

საწარმოთა გაერთიანებაში, სადაც მყიდველი და შეძენილი საწარმოები მხოლოდ სააქციო წილს ცვლიან, შეძენილი საწარმოს სააქციო წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის შეიძლება უფრო საიმედოდ შეფასებადი იყოს, ვიდრე მყიდველი საწარმოს სააქციო წილის. ამ შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ გუდვილის თანხა უნდა განსაზღვროს შეძენის თარიღისათვის შეფასებული შეძენილი საწარმოს სააქციო წილის რეალური ღირებულებით და არა კომპენსაციის სახით გადაცემული სააქციო წილის რეალური ღირებულებით.

✓ ეტაპობრივად განხორციელებული საწარმოთა გაერთიანება

მყიდველი საწარმო ზოგჯერ კონტროლს იღებს ისეთ საწარმოზე, სადაც იგი ფლობდა სააქციო წილს უშუალოდ შეძენის თარიღამდე. მაგალითად, 2019 წლის 31 დეკემბერს, A საწარმო ფლობს არამაკონტროლებელი სააქციო წილის 35%-ს B საწარმოში. ამავე თარიღისთვის A საწარმო იძენს დამატებით 40% სააქციო წილს B საწარმოში, რაც მას B საწარმოზე კონტროლის განხორციელების საშუალებას აძლევს. ფასს 3 ასეთ ოპერაციას ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებას უწოდებს, ზოგჯერ კი - საფეხურებრივ შეძენას.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში მყიდველმა საწარმომ მისი ადრინდელი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში უნდა გადააფასოს შეძენის თარიღისათვის გამოთვლილ რეალურ ღირებულებამდე და, საჭიროებისამებრ, მოგებაში ან ზარალში, ან სხვა სრულ შემოსავალში აღიაროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი, თუ ასეთი არსებობს. წინა საანგარიშგებო პერიოდებში მყიდველ საწარმოს შეიძლება სხვა სრულ შემოსავალში ჰქონდეს აღიარებული შეძენილ საწარმოში თავისი სააქციო წილის ღირებულების ცვლილებები. ასეთ შემთხვევაში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა იმავე საფუძვლით უნდა აღიარდეს, როგორც იმ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო, თუ მყიდველი საწარმო პირდაპირ გაასხვისებდა თავის ადრინდელ სააქციო წილს.

მაგალითი 20. გაერთიანების კომპენსაციის განსაზღვრა - ეტაპობრივად შეძენილი აქციები

A კომპანიამ შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 100% – 3,000,000 ცალი აქცია, რომლის ნომინალური ღირებულება 1 ლარია. აქციების შეძენა განხორციელდა ეტაპობრივად: 15 მარტს – 30%; 21 ივნისს – 30%, ამ დღეს საწარმომ მოპოვა კონტროლის უფლება შეძენილ საწარმოზე.

B კომპანიის აქციების რეალური ღირებულება იყო: 15 მარტს – 11 ლარი; 21 ივნისს – 15 ლარი.

A კომპანოს B საწარმოს შეიძინის თარიღია 21 ივნისი, როდესაც მან თავისი წილით მოიპოვა კონტროლის უფლება. ამ თარიღით ინვესტიცია უნდა აისახოს საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

გაერთიანების კომპენსაციის შეფასება:

21 ივნისი: $3,000,000 * 60% * 15$ ლარი = 27,000 ათასი ლარი

კონტროლოს მოპვებამდე შეძენილი წილის გადაფასება:

15 მარტი: $3,000,000 * 30% * 11$ ლარი = 9,900 ათასი ლარი

21 ივნისი: $3,000,000 * 30% * 15$ ლარი = 13,500 ათასი ლარი

+ 3,600 ათასი ლარი

ეს ოპერაცია ინვესტორთან – A კომპანიასთან ანგარიშგებზე შემდეგნაირად აისახება:

თარიღი	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
15 მარტი	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		9,900,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	9,900,000
	საწარმოს შეძენის კომპენსაცია			
21 ივნისი	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		17,100,000

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (საწარმოს შეძენის კომპენსაცია: 3,000,000 * 30% * 15 ლარი)		1210	13,500,000
ინვესტიციების გადაფასების რეზერვი (ინვესტიციის აფასება)		5440	3,600,000
საწარმოს შეძენა და ინვესტიციის აფასება. ჯამში ინვესტიცია შეფასდა 27,000,000 ლარად (9,900,000 + 17,100,000).			

✓ გადავადებული კომპენსაცია

შესაძლებელია მოხდეს კომპენსაციის ნაწილის გადავადება მომავალი თარიღისათვის. გადავადებული თანხა უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ანუ დღევანდელი ღირებულებით.

მაგალითი 21. გადავადებული კომპენსაცია

1 თებერვალს A საწარმომ შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 85%. A საწარმო კომპენსაციის სახით გადასცემს ერთ მილიონ ცალ საკუთარ აქციას, რომლის ნომინალური ღირებულება ერთი ლარია, ხოლო საბაზრო – 2 ლარი. ასევე სამი წლის შემდეგ გადაიხდის 4 მილიონ ლარს. ამ პერიოდში სესხის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%-ს.

ვინაიდან ხდება კომპენსაციის გადავადება, დაანგარიშებული უნდა იქნეს გადავადებული თანხის დღევანდელი ღირებულება ბასს 39-ის შესაბამისად.

კომპენსაციის ღირებულება იქნება	გაანგარიშება	ლარი
აქციების სახით:	$1,000,000 * 2 \text{ ლარი} =$	2,000,000
გადავადებული კომპენსაციის დღევანდელი ღირებულება	$PV (3,10\%) 4,000,000 =$ $4,000,000 * 0.7513 =$	3,005,200
სულ		5,005,200

გადახდის გადავადების გამო ყოველწლიურად უნდა მოხდეს საპროცენტო ხარჯის აღიარება და გრძელვადიანი სესხის ზრდა, მესამე წლის ბოლოს გრძელვადიანი სესხი გაუტოლდება გადასახდელ თანხას:(ლარი)

წელი	საპროცენტო ხარჯი	ვალდებულების ნაშთი წლის ბოლოსათვის
1	$3,005,200 * 10\% = 300,520$	$3,005,200 + 300,520 = 3,305,720$
2	$3,305,720 * 10\% = 330,572$	$3,305,720 + 330,572 = 3,636,292$
3	$3,636,292 * 10\% = 363,629$	$3,636,292 + 363,629 = 3,999,921$

სხვაობა $4,000,0000 - 3,999,921 = 79$ ლარი, არის ვალდებულების დაფარვის პრემია, ანუ მე-3 წლის ხარჯი შეადგენს $363,629 + 79 = 363,708$ ლარი.

ეს ოპერაცია A საწარმოსთან ანგარიშებზე შემდეგნაირად აისახება:

წელი	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		5,005,200
	ჩვეულებრივი აქციები (1,000,000 ცალი * 1 ლარი)		5110	1,000,000
	საემისიო კაპიტალი		5140	1,000,000
	გრძელვადიანი სესხი		4140	3,005,200
	ინვესტიცია შვილობილ საწარმოში			
1	საპროცენტო ხარჯი	8210		300,520
	გრძელვადიანი სესხი		4140	300,520
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და სასესხო ვალდებულების ამორტიზება			
2	საპროცენტო ხარჯი	8210		330,572
	გრძელვადიანი სესხი		4140	330,572
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და სასესხო ვალდებულების ამორტიზება			
3	საპროცენტო ხარჯები	8210		363,708
	გრძელვადიანი სესხი		4140	363,708
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და სასესხო ვალდებულების ამორტიზება			
4	გრძელვადიანი სესხი	4140		4,000,000

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210	4,000,000
სესხის დაფარვა		

✓ **საწარმოთა გაერთიანება კომპენსაციის გადაცემის გარეშე**

მყიდველი საწარმო შეძენილ საწარმოზე ზოგჯერ კონტროლს იღებს კომპენსაციის გადაცემის გარეშე. საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება ამ გაერთიანებების მიმართაც. ამგვარი სიტუაციების მაგალითებია:

- ა) შეძენილი საწარმო **გამოისყიდის** თავისი საკუთარი აქციების საკმარის რაოდენობას არსებული ინვესტორისათვის (მყიდველი საწარმოსთვის), რათა მან აიღოს კონტროლი;
- ბ) უმცირესობათა **ვეტოს უფლებას** უწყდება მოქმედება, რაც ადრე მყიდველ საწარმოს არ აძლევდა შეძენილი საწარმოს კონტროლის უფლებას, სადაც მყიდველ საწარმოს ხმათა უმრავლესობა გააჩნდა;
- გ) მყიდველი და შეძენილი საწარმოები თანხმდებიან, **მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე** გააერთიანონ თავიანთი საწარმოები. მყიდველი არანაირ კომპენსაციას არ გადასცემს შეძენილ საწარმოს კონტროლის აღების სანაცვლოდ და არც არანაირ სააქციო წილს არ ფლობს შეძენილ საწარმოში, არც შეძენის თარიღისათვის და არც მანამდე. მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე მიღწეული საწარმოთა გაერთიანება გულისხმობს, რომ ორი საწარმო გაერთიანდა შერწყმის შეთანხმებით, ან **ორმაგი** კოტირების მქონე კორპორაციის ფორმირების მიზნით.

მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე მიღწეულ საწარმოთა გაერთიანებაში მყიდველმა საწარმომ შეძენილი საწარმოს მესაკუთრეებს უნდა მიაკუთვნოს წინამდებარე ფასს-ის შესაბამისად აღიარებული, შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების თანხა. სხვა სიტყვებით, სააქციო წილი შეძენილ საწარმოში, რომელსაც ფლობენ მყიდველი საწარმოს გარდა სხვა მხარეები, იქნება არამაკონტროლებელი

წილი მყიდველი საწარმოს გაერთიანების შემდგომი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამის შედეგად შექმნილ საწარმოში ფლობილი ყველა სააქციო წილი არამაკონტროლებელ წილს მიეკუთვნება.

გუდვილის თანხის დასადგენად ისეთ საწარმოთა გაერთიანებაში, სადაც არანაირი კომპენსაციის გადაცემა არ მომხდარა, მყიდველმა საწარმომ შექმნის თარიღისათვის შეფასებული, გადაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულების მაგივრად უნდა გამოიყენოს შექმნილ საწარმოში მყიდველი საწარმოს წილის რეალური ღირებულება, რომელიც შეფასებულია შექმნის თარიღისათვის, შეფასების მეთოდების გამოყენებით.

✓ გაერთიანების შემდგომ გასაწევი ხარჯები

მომავალში გასაწევი ხარჯები, რომელიც მოსალოდნელია გაერთიანების შედეგად, მაგრამ არ არის სავალდებულო შექმნის თარიღისათვის, არაა მიღებული მყიდველის მიერ კონტროლის სანაცვლოდ და ამიტომ არ ჩაირთვება გაერთიანების ღირებულებაში.

მაგალითი 22. გაერთიანების შემდგომ გასაწევი ხარჯები

A საწარმომ შეიძინა B საწარმო 5 მილიონ ლარად. A საწარმო გეგმავს შექმნილი საწარმოს ადმინისტრაციული პერსონალის შემცირებას, თანამშრომელთა დათხოვნის კომპენსაცია სავარაუდოდ შეადგენს 200 ათას ლარს.

დათხოვნის კომპენსაცია არის მომავალი ხარჯი და არ ჩაირთვება გაერთიანების ღირებულებაში.

ეს ოპერაცია მყიდველ A საწარმოსთან ანგარიშებზე შემდეგნაირად აისახება:

ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		5,000,000
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	5,000,000

პირობითი ვალდებულებები არ არის მომავალი ზარალი. ისინი წარმოადგენენ ვალდებულებებს, რომელიც წარმოიქმნა წარსულში, ან ვალდებულებებს, რომლის დაფარვაში საწარმო არ არის დარწმუნებული.


ფინანსური ვალდებულებების დანახარჯები არ ჩაირთვება გაერთიანების ღირებულებაში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვალდებულებები გამოშვებულია გაერთიანების განსახორციელებლად.

✓ გუდვილი და არამაკონტროლებელი წილის შფასება

როგორც უკვე აღინიშნა, გუდვილის გასაანგარიშებლად უნდა დადგინდეს შემდეგი სიდიდეები:

- გადაცემული კომპენსაცია;
- არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში;
- შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება შექმნის თარიღისათვის.

ილუსტრაცია 8



მაგალითი 23. საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გუდვილი

A საწარმომ 6 მილიონ ლარად შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 100%. A-მ განახორციელა შექმნილი საწარმოს აქტივების იდენტიფიკაცია, რომლის რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 7 მილიონი ლარი, არამატერიულური აქტივების 500,000 ლარი,

ვალდებულებების – 1,5 მილიონი ლარი, ხოლო პირობითი ვალდებულებების კი – 500,000 ლარი.

განვსაზღვროთ გუდვილი.

	გუდვილი	(მილიონი ლარი)
გადაცემული კომპენსაცია		6,0
შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები	7,7	
აღებული ვალდებულებები	(2,0)	
შეძენილი წმინდა აქტივები		<u>(5,5)</u>
გუდვილი		0,5

გუდვლი არ ამორტიზირდება, მას ყოველწლიურად უტარდება ტესტირება გაუფასურებაზე.

როდესაც შეძენილია შვილობილი საწარმოს კაპიტალის 100%-ზე ნაკლები წილი, შვილობილი საწარმოს ღირებულება შედგება ორი ნაწილისაგან: იმ ნაწილისაგან, რომელიც ეკუთვნის მშობელი საწარმოს; და იმ ნაწილისაგან, რომელიც ეკუთვნის შვილობილ საწარმოს. შვილობილი საწარმოს წილი არ იძლევა კონტროლის უფლებას, რის გამოც მას უწოდებენ არამაკონტროლებელ წილს. **არამაკონტროლებელი წილი** არის შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ.

ვინაიდან მშობელი საწარმო აკონტროლებს შვილობილ საწარმოს, კონსოლიდირებულ ბალანსში აისახება ჯგუფის (და არა მხოლოდ მშობელის) აქტივები და შესაბამისად, კაპიტალის და რეზერვების განყოფილებაში ცალკე მუხლის სახით აისახება არამაკონტროლებელის წილი, რათა გამოჩნდეს წმინდა აქტივების ის ნაწილი, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მაგრამ მას არ ეკუთვნის.

ფასს 3-ით შესაძლებელია არამაკონტროლებელი წილის შეფასება შეძენის თარიღისათვის ორი ალტერნატიული მეთოდიდან ერთი-ერთით:

- რეალური ღირებულებით; ან,

- როგორც ძალაში შესული ინსტრუმენტების პროპორციული წილი შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებთან დაკავშირებით აღიარებულ თანხებში (მარტივად, წმინდა აქტივების წილის პროპორციულად).

როდესაც გუდვილი შეფასებულია არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულების საფუძველზე, მას გამარტივებისათვის უწოდებენ „სრულ გუდვილს“, ხოლო როდესაც შეფასებული წმინდა აქტივების წილის პროპორციულად - „პროპორციულ გუდვილს“.

მყიდველ საწარმოს შეუძლია არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის შეაფასოს ჩვეულებრივი აქციების აქტიური ბაზრის ფასების საფუძველზე. თუმცა, ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის და ასეთ შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების სხვა მეთოდებით.

შეძენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს წილის რეალური ღირებულება და არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეიძლება განსხვავდებოდეს, თუ გამოთვლის საფუძველად გამოიყენება ერთი აქციის რეალური ღირებულების მეთოდი. ძირითადი განსხვავება შეიძლება იყოს შეძენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს წილის ერთი აქციის რეალურ ღირებულებაში კონტროლის პრემიის გათვალისწინება, ან პირიქით, არამაკონტროლებელი წილის ერთი აქციის რეალურ ღირებულებაში კონტროლის არქონისათვის დისკონტის/ფასდაკლებას (რომელსაც სხვანაირად უმცირესობის დისკონტსაც უწოდებენ) გათვალისწინება, თუ ბაზრის მონაწილეები არამაკონტროლებელი წილის ფასის დადგენისას მხედველობაში მიიღებდნენ ამგვარ პრემიას, ან დისკონტს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება არ იყოს სწორი და შესაფერისი მყიდველი საწარმოს მიერ შეძენილი საწარმოს თითოეულ შეძენილ აქციაზე გადაცემული ანაზღაურების გამოყენება არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულების შესაფასებლად.

მაგალითი 24. გუდვილისა და არამაკონტროლებელი წილის შეფასება

A საწარმომ შეიძინა B საწარმოს აქციების 60%, რაშიც გადაიხადა 530 ათასი ლარი. შეძენის დღისათვის არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეფასდა 250 ათას ლარად. B საწარმოს წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის იყო 600 ათასი ლარი.

შევაფასოთ გუდვილი.

გუდვილის შეფასება (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	რეალური ღირებულებით
კომპენსაცია	530
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	<u>250</u>
მთლიანად ბიზნესის რეალური ღირებულება	780
შეძენილი წმინდა აქტივები	<u>(600)</u>
მთლიანად ბიზნესის გუდვილი	180

იშვიათად შესაძლებელია³⁴, რომ მიდევალმა საწარმომ განახორციელოს ხელსაყრელი შესყიდვა, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა ისეთ გაერთიანებას, რომელშიც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება შეძენის თარიღისათვის აღემატება კომპენსაციის თანხას. მიდევალმა საწარმომ მიღებული შემოსულობა უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში, შეძენის თარიღით.

ხელსაყრელი შესყიდვით მიღებული შემოსულობის აღიარებამდე, მიდევალმა საწარმომ ხელახლა უნდა განიხილოს, სწორად განსაზღვრა თუ არა ყველა შეძენილი

³⁴ მაგალითად, ხელსაყრელ შესყიდვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც წარმოადგენს იძულებით გაყიდვას, სადაც გამყიდველი იძულებით მოქმედებს.

აქტივი და ყველა აღებული ვალდებულება და უნდა აღიაროს ნებისმიერი დამატებითი აქტივი ან ვალდებულება, რომლებიც ამ შემოწმებისას გამოვლინდა. თუ ეს გადამეტება ისევ შენარჩუნებულია, მყიდველმა საწარმომ მიღებული შემოსულობა უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში, შეძენის თარიღით.

საწარმოთა გაერთიანებაში, რომელიც შეიქმნა კომპენსაციის გადაცემის გარეშე, მყიდველმა საწარმომ გუდვილის ან ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობის შესაფასებლად უნდა გამოიყენოს გადაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის და არა შეძენილ საწარმოში თავისი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღისთვის. მყიდველმა საწარმომ შეძენილ საწარმოში თავისი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის უნდა შეაფასოს მოცემული გარემოებების შესაფერისი შეფასების ერთი ან რამდენიმე მეთოდით, რომლისთვისაც საკმარისი მონაცემები არსებობს. თუ შეფასების ერთზე მეტ მეთოდს იყენებს, მყიდველმა საწარმომ უნდა შეაფასოს ამ მეთოდების შედეგები, განიხილოს გამოყენებული მონაცემების შესაბამისობა და საიმედოობა და რამდენად არის ხელმისაწვდომი ეს მონაცემები.

როდესაც ორი ერთობლივი სამეურნეო ერთეული ერთიანდება, შეძენილი საწარმოს რეალური ღირებულება შესაძლოა უფრო საიმედოდ იყოს შეფასებადი, ვიდრე მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული პარტნიორთა წილის რეალური ღირებულება (აქციების ემისიის შემთხვევაში). ასეთ სიტუაციაში ფასს-ი მოითხოვს, რომ მყიდველმა საწარმომ გუდვილის თანხა განსაზღვროს შეძენილი საწარმოს სააქციო წილის რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისთვის და არა მყიდველი საწარმოს მიერ კომპენსაციის სახით გადაცემული სააქციო წილის რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისთვის.

მაგალითი 25. ხელსაყრელი შესყიდვა (ფასს 3, სმ 46-47 მიხედვით)

A საწარმომ შეიძინა B საწარმოს 80%, რაშიც გადაიხადა 40 მილიონი ლარი. A საწარმოს მენეჯმენტმა შეძენის თარიღისათვის რეალური ღირებულებით შეაფასა იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები. იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება იყო 60 მილიონი ლარი, ხოლო ვალდებულებების - 10 მილიონი ლარი. საწარმომ მოიწვია დამოუკიდებელი შემფასებელი, რომელმაც არამაკონტროლებელი წილის (20%) რეალური ღირებულება შეაფასა 9 მილიონ ლარად.

გუდვილის გაანგარიშების კომპონენტები (მლნ.ლარი):

1. გადაცემული კომპესაცია და არამაკონტროლებელი წილი შეფასდა 49 მილიონ ლარად (40+9);
2. B საწარმოს წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულებაა 50 მილიონი ლარი (60-10);
3. ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა ერთი მილიონი ლარია (49-50).

თავი 4. შვილობილი საწარმოები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

1. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2. კონტროლის კონცეფცია
3. კონსოლიდირებული ბალანსი
4. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება


1. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საწარმოთა გაერთიანების მონაწილენი არიან ურთიერთდამოკიდებული მხარეები, რომელშიც ერთი არის მშობელი, ხოლო მეორე კი – შვილობილი. მშობელი საწარმო არის საწარმო, რომელიც აკონტროლებს ერთს ან რამდენიმე სხვა საწარმოს, ხოლო შვილობილი საწარმოა საწარმო, რომელსაც აკონტროლებს სხვა საწარმო. მშობელი საწარმო და მისი შვილობილი საწარმოები ერთად წარმოადგენენ საწარმოთა ჯგუფს.

ჯგუფის წევრები დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტები არიან. მაგრამ, კონტროლის დონე ერთ საწარმოს აძლევს უფლებას მართოს მეორე საწარმოს სამეურნეო საქმიანობა, თითქოს იგი პირველი საწარმოს ერთ-ერთი განყოფილება იყოს.

ხშირად ჯგუფის წევრები ერთმანეთში ახორციელებენ სხვადასხვა ოპერაციებს დაბალი ან მაღალი ფასებით, ახდენენ შემოსავლებისა და ხარჯების მანიპულირებას, რაც ამახინჯებს ცალკეული საწარმოების რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური შედეგების დონესა და დინამიკას. ამავდროულად, ასეთი ოპერაციები საბოლოოდ არ ცვლის ჯგუფის ფინანსურ შედეგსა და მდგომარეობას. ცალკეული საწარმოების ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა ასეთი ფაქტებისა თუ ოპერაციების აღმოჩენისა და აღმოფხვრის საშუალებას. უნდა მოხდეს ამ ფაქტების თავიდან აცილება და ობიექტური ინფორმაციის მომზადება. მხოლოდ მთლიანად ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის საქმიანობის შედეგების წარმოჩენის საუკეთესო საშუალება – ანგარიშგება, რომელშიც ჯგუფი იქნება წარდგენილი როგორც ერთი სამეურნეო

ერთეული. ასეთ ანგარიშგებას წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც არის საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარმოდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენით ინფორმაციის მომხარებელს ეძლევათ დასაბუთებული და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალება.





კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმგვარად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მშობელი და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, თითქოს ეს იყოს ერთი ანგარიშვალდებული საწარმო. ეს ინფორმაცია სასარგებლოა მშობელი საწარმოს არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორებისთვის იმისთვის, რომ შეაფასონ მშობელი საწარმოს პერსპექტივა მომავალი ნეტო ფულადი ნაკადების მიღების კუთხით. ამის მიზეზი ისაა, რომ მშობელ საწარმოში


შემოსული ნეტო ფულადი ნაკადები მოიცავს შვილობილი საწარმოებიდან მიღებულ განაწილებებს და ამ განაწილებების ოდენობა დამოკიდებულია შვილობილი საწარმოების მიერ მიღებულ ნეტო ფულად ნაკადებზე (კონცეპტუალური საფუძვლები, პ.3.15)

როგორც წესი, არაკონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისი არ არის მშობელი საწარმოს არსებული და პოტენციური ინვესტიორების, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორების საინფორმაციო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, როდესაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, არაკონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ გამოდგება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემცვლელად (კონცეპტუალური საფუძვლები, პ.3.18).

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მშობელი საწარმოს ყველა შვილობილ საწარმოს. ყველა მშობელმა საწარმომ უნდა წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. გამონაკლის წარმოადგენს:

- ა) მშობელი საწარმო, რომელიც თვითონ წარმოადგენს სხვა საწარმოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებაში მყოფ შვილობილ საწარმოს და მისი ყველა სხვა მესაკუთრე, ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მშობელი საწარმო არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამის წინააღმდეგი არ წასულან;
- ბ) მშობელი საწარმოს სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდის საჯარო ბაზარზე;
- გ) მშობელი საწარმო თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოებში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ინსტრუმენტის გამოშვების მიზნებისათვის; და
- დ) მისი საბოლოო მშობელი საწარმო, ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო ადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.





ბასს 27-ში „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ შემდეგნაირად განმარტავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას: **ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მშობელი საწარმოს მიერ (ე.ი. ინვესტორის მიერ, რომელსაც გააჩნია კონტროლი შვილობილ საწარმოზე), ან ინვესტორის მიერ, რომელსაც აქვს ერთობლივი კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე, სადაც ინვესტიციები აისახება თვითღირებულებით, ან ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - შესაბამისად.**

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ეს არის საწარმოების მიერ წარდგენილი ისეთი ანგარიშგება, რომელშიც კომპანიებს შეუძლიათ თავისი შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვისათვის აირჩიონ შემდეგი მეთოდები:

- თვითღირებულების, შემცირებული გაუფასურებით;
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით;

- ან, წილობრივი მეთოდით.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ი განიხილავს როგორც ფინანსური ანგარიშგების **მეორე კომპლექტს**, რომელიც დამატებით არის წარდგენილი ნებისმიერ შემდეგ ანგარიშგებასთან:

- ა) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, მომზადებული ერთ-ერთი მშობელი საწარმოს მიერ;
- ბ) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისაგან განთავისუფლებული მშობელი საწარმოს მიერ;
- გ) ისეთი სუბიექტის მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, რომელიც არ არის მშობელი საწარმო, მაგრამ არის ინვესტორი ასოცირებულ საწარმოში ან არის ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს სრულუფლებიანი მონაწილე.

ამდენად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ინვესტორის - მშობელი საწარმოს, მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს სრულუფლებიანი მონაწილის მიერ წარდგენილი ანგარიშგება. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების **დამატების სახით**, ან იმ ინვესტორის ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, რომელსაც არ აქვს ინვესტიცია შვილობილ საწარმოში, მაგრამ აქვს ინვესტიციები მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში. საწარმოს ფინანსური ანგარიშგება, რომელიც არ ფლობს შვილობილ საწარმოს, მეკავშირე საწარმოს ან ინვესტორის მონაწილეობას ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში, არ არის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

2. კონტროლის კონცეფცია

ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ ძირითადი მიზანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების **წარდგენის პრინციპების განსაზღვრა**. ფასს 10-ით საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართვის

ერთადერთი საფუძველი არის მხოლოდ კონტროლის არსებობა, ანუ კონტროლი არის კონსოლიდაციის საფუძველი.

აღნიშნულმა სტანდარტმა შემოიღო კონტროლის ერთიანი მოდელი ყველა კომპანიის მიმართ და განსაზღვრა კონტროლის აღიარების შემდეგი პრინციპები:


- როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კონტროლის აღიარების პრინციპები, რათა დადგინდეს ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის არსებობა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში ჩართვის აუცილებლობა;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სააღრიცხვო მოთხოვნები.

უპირველესად, ინვესტორმა უნდა დაადგინოს წარმოადგენს თუ არა ის მშობელი საწარმოს, რისთვისაც უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს. კონტროლი არის საწარმოს ფინანსური და ოპერაციული (სამეურნეო) პოლიტიკის განსაზღვრის შესაძლებლობა მისი საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

ამდენად, ინვესტორი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი:

- ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებაში;
- ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება;

გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენონ თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.



რელევანტური (არსებითი) საქმიანობა არის ინვესტირებული საწარმოების ისეთი საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე. არსებითი საქმიანობის მაგალითებია საოპერაციო პოლიტიკის განსაზღვრა, ინვესტიციასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღება, უფროსი მმართველი პერსონალის დანიშვნა, არსებითი ინვესტიციების მართვა.

მართვის უფლებამოსილება მოიცავს ხმის უფლებებს ან სახელშეკრულებო უფლებებს, პოტენციური ხმის უფლებებს, უფროსი მმართველი პერსონალის დანიშვნის უფლებას, მართვის ხელშეკრულების ჩარჩოებში გადაწყვეტილების მიღების უფლებას, მართვიდან განთავისუფლების უფლებას.

კონტროლის არსებობის დადასტურების მეორე კრიტერიუმია საინვესტიციო ობიექტებში მონაწილეობით **შემოსავლების მიღების უფლება და მასთან დაკავშირებული რისკები**. საინვესტიციო ობიექტებში მონაწილეობით ინვესტორი ექვემდებარება რისკებს, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო ობიექტებიდან მისაღებ ცვალებად შემოსავალთან, ან აქვს უფლება ასეთ შემოსავალზე, თუ ინვესტორის შემოსავალი ვარირებს ინვესტიციის ობიექტის საქმიანობის შედეგების

შესაბამისად. ფინანსური შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, მხოლოდ უარყოფითი, ან დადებითი და უარყოფითი.

უფლებამოსილებასა და შემოსავალს შორის არსებობს კავშირი. ინვესტორს აქვს კონტროლის უფლება საინვესტიციო ობიექტზე არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას საინვესტიციო ობიექტის არსებითი საქმიანობისადმი გააჩნია უფლებამოსილება და საინვესტიციო ობიექტში მონაწილეობით ექვემდებარება ცვალებადი შემოსავლის მიღების რისკებს, არამედ გააჩნია შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტორის შემოსავალზე გავლენის მოხდენის მიზნით.

3. კონსოლიდირებული ბალანსი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა დაფუძნებულია მშობელი და შვილობილი კომპანიების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის გაერთიანებაზე. თუმცა, კონსოლიდირება არ გულისხმობს პირდაპირ დაჯამებას ანალოგიური აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების. იგი მოიცავს მთელ რიგ სპეციალურ გაანგარიშებას და შეიძლება წარმოგვიდგეს მრავალი პროცედურების - კონსოლიდაციის ცხრილის (consolidation schedule) სახით.

კონსოლიდაციის დაწყებამდე წარდგენილი უნდა იქნეს მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ერთი და იგივე საანგარიშგებო თარიღით (მაქსიმალურად დასაშვები განსახვავებაა 3 თვე) და ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკით.

არსებობს კონსოლიდაციის სამი მეთოდი: სრული კონსოლიდაცია; პროპორციული კონსოლიდაცია; წილობრივი მეთოდი. მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია ხორციელდება სრული კონსოლიდაციის მეთოდით. **სრული კონსოლიდაციის დროს, აგრეგირებას ექვემდებარება შვილობილი საწარმოს ყველა აქტივი და ვალდებულება, ხოლო არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის**

ანგარიშგებაში (ბალანსში) აისახება კაპიტალის ნაწილში განცალკევებულად. ამ მეთოდის გამოყენების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიკურ ერთეულს. ამიტომ, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფასს 10, ბ86):

ა) გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები;

ბ) ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში - ხდება „ინვესტიციის“ მუხლის ელიმინირება;

გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური ოპერაციები - აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ან ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორცაა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები და გრძელვადიანი აქტივები). შიდაჯგუფური ზარალი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს, რაც უნდა აღიარდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მშობელი საწარმოს ბალანსში ასახული „შვილობილ საწარმოში დაბანდებული ინვესტიციების“ მუხლის ჩანაცვლება შვილობილი საწარმოს შესაბამისი წმინდა აქტივებით (აქტივებისა და ვალდებულებების გაერთიანება).

მაგალითი 1. აქტივებისა და ვალდებულებების გაერთიანება

A საწარმომ შეიძინა B საწარმო. ქვემოთ ცხრილში მოტანილია ბალანსი B საწარმოს შეძენის დღეს.

მოვამზადოთ კონსოლიდირებული ანგარიშგება.

საბალანსო მუხლები	A საწარმო	B საწარმო
გრძელვადიანი აქტივები	100	40
ინვესტიცია B-ში 100% წილით	30	–
მოკლევადიანი აქტივები	<u>20</u>	<u>10</u>
სულ აქტივები	150	50
ჩვეულებრივი აქციები	100	30
გაუნაწილებელი მოგება	40	–
ვალდებულებები	<u>10</u>	<u>20</u>
კაპიტალი და ვალდებულებები	150	50

კონსოლიდირებული ბალანსი (ათასი ლარი)

საბალანსო მუხლები	A საწარმო	B საწარმო	კონსოლიდირებული ბალანსი
გრძელვადიანი აქტივები	100	40	$100 + 40 = 140$
ინვესტიცია B-ში 100% წილით	30	–	0
მოკლევადიანი აქტივები	<u>20</u>	<u>10</u>	$20 + 10 = 30$
სულ აქტივები	150	50	170
ჩვეულებრივი აქციები	100	30	100
გაუნაწილებელი მოგება	40	–	40
ვალდებულებები	<u>10</u>	<u>20</u>	$10 + 20 = 30$
კაპიტალი და ვალდებულებები	150	50	30 170

კონსოლიდირებული ბალანსის ძირითადი მიზანია ჯგუფის (მშობელი და შვილობილი საწარმოების) ყველა აქტივისა და ვალდებულების კონსოლიდაცია, რომელიც მოითხოვს შემდეგი მაჩვენებლების განსაზღვრას:

ბალანსის კონსოლიდაციის ეტაპები

1	• ჯგუფის სტრუქტურა
2	• შექმნილი საწარმოს წმინდა აქტივები
3	• გუდვილი
4	• ჯგუფის დაგროვილი მოგება
5	• არამაკონტროლებელი წილი

1. ჯგუფის სტრუქტურის განსაზღვრა

ჯგუფის სტრუქტურა ასახავს ჯგუფში შემავალი საწარმოები რა წილებს ფლობენ. კერძოდ, განისაზღვრება მშობელი საწარმო რა წილს ფლობს შვილობილ საწარმოში. შემდგომში ამ წილების პროპორციულად ნაწილდება შვილობილი საწარმოს შექმნის შემდეგ მიღებული მოგება მშობელ საწარმოსა და შვილობილ საწარმოს შორის.

2. შექმნილი საწარმოს წმინდა აქტივები - კორექტირება რეალური ღირებულებით

კონსოლიდირებული ანგარიშგება მზადდება მისი შვილობილი საწარმოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. ამ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ვინაიდან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მზადდება ჯგუფის პოზიციიდან, ის უნდა ასახავდეს მათ ღირებულებას ჯგუფისათვის, ანუ მშობელი საწარმოსათვის და არა მათ თავდაპირველ ღირებულებას შვილობილი საწარმოსათვის. **ჯგუფის თვითღირებულება არის მათი რეალური ღირებულება შექმნის თარიღისათვის.** ამდენად, საჭირო ხდება შექმნილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულებით კორექტირება შექმნის და ანგარიშგების თარიღებისათვის, რაც არის გუდვილისა და არამაკონტროლებელი წილის სამართლიანი შეფასების საფუძველი.

მაგალითი 2. შეძენილი წმინდა აქტივების კორექტირება რეალური ღირებულებით

მიმდინარე წლის დასაწყისში A საწარმომ 5,500 ათას ლარად შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 100%. B საწარმოს კაპიტალი წლის ბოლოს ასე გამოიყურება (ათასი ლარი):

კაპიტალი	შეძენისას	წლის ბოლოს
ჩვეულებრივი აქციები	800	800
საემისიო კაპიტალი	1,200	1,200
გაუნაწილებელი მოგება	<u>3,400</u>	<u>4,000</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	5,400	6,000

შეძენის დღეს დადგინდა, რომ B საწარმოს მიწის ნაკვეთის რეალური ღირებულება 100 ათასი ლარით აღემატება მოს საბალანსო ღირებულებას.

შევაფასოთ შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება.

შეძენილი წმინდა აქტივების კორექტირება რეალური ღირებულებით

კაპიტალი	შეძენისას	წლის ბოლოს
ჩვეულებრივი აქციები	800	800
საემისიო კაპიტალი	1,200	1,200
გაუნაწილებელი მოგება	3,400	4,000
რეალური ღირებულებით კორექტირება - მიწა	<u>100</u>	<u>100</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	5,500	6,100

3. გუდვილის გაანგარიშება

გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი, სხვა აქტივებიდან წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ცალკე იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია.

შეძენის თარიღიდან დაწყებული, მყიდველმა საწარმომ გუდვილისგან განცალკევებით უნდა აღიაროს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი. შეძენის

თარიღისათვის მყიდველმა საწარმომ უნდა მოახდინოს შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების კლასიფიცირება, ან გარკვეული მიზნისთვის მათი უფლებამოსილების განსაზღვრა, რაც აუცილებელია შემდგომში სხვა სტანდარტების გამოსაყენებლად. მყიდველმა საწარმომ ეს კლასიფიკაცია ან უფლებამოსილება უნდა განსაზღვროს შექმნის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო პირობების, ეკონომიკური პირობების, თავისი სამეურნეო ან სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა სათანადო პირობების საფუძველზე. **მყიდველმა საწარმომ შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით შექმნის თარიღისთვის.**

მყიდველმა საწარმომ უნდა აღიაროს გუდვილი, შექმნის თარიღისთვის შეფასებული, როგორც (ა)-ს ნამეტი (ბ)-ზე:

ა) ჯამური მაჩვენებელი შემდეგი სიდიდეების:

(i) გადაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება, შეფასებული შექმნის თარიღით;

(ii) ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შექმნილ საწარმოში; და

(iii) ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში - შექმნილ საწარმოში მყიდველი საწარმოს ადრე კუთვნილი სააქციო წილის რეალური ღირებულება, შექმნის თარიღისთვის შეფასებული.

ბ) შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება შექმნის თარიღისათვის.

გუდვილი არის სხვაობა შექმნილი საწარმოს ღირებულებასა (გადაცემული კომპენსაციასა) და ამ საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული (გაერთიანებული) რეალური ღირებულებას შორის.

მაგალითი 3. გუდვილის შეფასება

მიმდინარე წლის დასაწყისში A საწარმომ 5,500 ათას ლარად შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 100%. B საწარმოს კაპიტალი წლის ბოლოს ასე გამოიყურება (ათასი ლარი):

კაპიტალი	შეძენისას	წლის ბოლოს
ჩვეულებრივი აქციები	800	800
საემისიო კაპიტალი	1,200	1,200
გაუნაწილებელი მოგება	<u>3,400</u>	<u>4,000</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	5,400	6,000

შევაფასოთ გუდვილი.

გუდვილი

მაჩვენებლები	ათასი ლარი
შეძენის კომპენსაცია	5,500
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	<u>0</u>
ჯამი	5,500
შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	<u>(5,400)</u>
გუდვილი	100

4. არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ.

თითოეული საწარმოთა გაერთიანებისთვის მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის უნდა შეაფასოს შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის კომპონენტები, რომლებიც არსებული (ძალაში შესული) საკუთრების წილებია და

მფლობელებს შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიღების უფლებას ანიჭებს მისი ლიკვიდაციის დროს:

ა) რეალური ღირებულებით; ან

ბ) როგორც ძალაში შესული ინსტრუმენტების პროპორციული წილი შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებთან დაკავშირებით აღიარებულ თანხებში.


არამაკონტროლებელი წილის ყველა სხვა კომპონენტი უნდა შეფასდეს მათი შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით, თუ სტანდარტებით მათი შეფასება არ მოითხოვება რაიმე სხვა საფუძვლით.

შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის შეფასება

სტანდარტი მყიდველ საწარმოს უფლებას აძლევს, შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი შეაფასოს შეძენის თარიღით განსაზღვრული რეალური ღირებულებით. ზოგჯერ მყიდველ საწარმოს საშუალება ექნება, არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის შეაფასოს ჩვეულებრივი აქციების (რომელსაც არ ფლობს მყიდველი საწარმო) აქტიური ბაზრის კოტირებული ფასის საფუძველზე. თუმცა, სხვა სიტუაციებში, ჩვეულებრივი აქციებისთვის აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი ხელმისაწვდომი არ იქნება. ასეთ შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების **სხვა მეთოდებით**.

შეძენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს წილის რეალური ღირებულება და არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეიძლება განსხვავდებოდეს, თუ გამოთვლის საფუძველად გამოიყენება ერთი აქციის რეალური ღირებულების მეთოდი. სავარაუდოდ, ძირითადი განსხვავება შეიძლება იყოს შეძენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს წილის ერთი აქციის რეალურ ღირებულებაში კონტროლის პრემიის გათვალისწინება, ან პირიქით, არამაკონტროლებელი წილის ერთი აქციის რეალურ ღირებულებაში კონტროლის არქონისათვის დისკონტის (რომელსაც სხვანაირად

არამაკონტროლებელი წილის დისკონტსაც უწოდებენ) გათვალისწინება, თუ ბაზრის მონაწილეები არამაკონტროლებელი წილის ფასის დადგენისას მხედველობაში მიიღებდნენ ამგვარ პრემიას, ან დისკონტს.



მაგალითი 4. გუდვილის და არამაკონტროლებელი წილის შეფასება

მიმდინარე წლის დასაწყისში A საწარმომ 5,500 ათას ლარად შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 90%. B საწარმოს კაპიტალი წლის ბოლოს ასე გამოიყურება (ათასი ლარი):

კაპიტალი	შეძენისას	წლის ბოლოს
ჩვეულებრივი აქციები	800	800
საემისიო კაპიტალი	1,200	1,200
გაუნაწილებელი მოგება	<u>3,400</u>	<u>4,000</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	5,400	6,000

არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის შეფასდა 600 ათას ლარად.

შევაფასოთ გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი.

გუდვილი

მაჩვენებლები	ათასი ლარი
შეძენის კომპენსაცია	5,500
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	<u>600</u>
ჯამი	6,100
შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	<u>(5,400)</u>
გუდვილი	700

არამაკონტროლებელი წილი

მაჩვენებლები	ათასი ლარი
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღით	600
არამაკონტროლებელი წილი შეძენის შემდგომ რეზერვებში $[(6,000 - 5,400) * 10\%]$	<u>60</u>
არამაკონტროლებელი წილი საანგარიშგებო თარიღისათვის	660

კონსოლიდაციის წესები:

1. გუდვილი გაიანგარიშება როგორც სხვაობა შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების შესაძენად გადახდილ თანხის და არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულების ჯამისა და შეძენილი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას შორის.
2. გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი ფასდება რეალური ღირებულებით.
3. გუდვილი არ ამორტიზირდება, მას ყოველწლიურად უტარდება ტესტირება გაუფასურებაზე.
4. კონსოლიდირებული ბალანსის საკუთარი კაპიტალის განაყოფში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა საკუთარი კაპიტალისგან განცალკევებით,


არამაკონტროლებელი წილი ცალკე მუხლის სახით აისახება, რათა გამოჩნდეს აქტივების ის ნაწილი, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მაგრამ მას არ ეკუთვნის.

5. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება და სხვა რეზერვები

განხილულ მაგალითებში გამარტივების მიზნით შვილობილ საწარმოს შეძენის თარიღისათვის არ ჰქონდა გაუნაწილებელი მოგება და არანაირი სხვა რეზერვები. პრაქტიკაში შვილობილ საწარმოს შეძენის თარიღისათვის აქვს ორივე.

შვილობილი საწარმოს შეძენის თარიღისათვის არსებულ გაუნაწილებელ მოგებას და რეზერვებს (მაგალითად, გადაფასების) ეწოდება „მოგება შეძენამდე“ და „რეზერვები შეძენამდე“. შეძენის თარიღისათვის ხდება მათი კაპიტალიზება, გუდვილის გამოთვლებში მათი გათვალისწინების გზით, ანუ მათი სიდიდე ღებულობს მონაწილეობას გუდვილის ღირებულების გაანგარიშებაში. მშობელი და შვილობილი საწარმოების მიერ ერთად შექმნილ მოგებას და რეზერვებს ეწოდება „შეძენის შემდგომი მოგება“ და „შეძენის შემდგომი რეზერვები“, რომელიც ეკუთვნის ჯგუფს მისი წილის პროპორციულად.

კონსოლიდაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია „შეძენამდე“ და „შეძენის შემდგომი“ გაუნაწილებელი მოგებისა და რეზერვების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. „შეძენამდე“ ნიშნავს შეძენის თარიღისათვის არსებულს, ხოლო „შეძენის შემდგომი“ ნიშნავს შვილობილი საწარმოს შეძენის შემდეგ ერთობლივად შექმნილს.



კონსოლიდაციის წესები:

1. შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან ჯგუფს ეკუთვნის მხოლოდ შეძენის შემდგომი მოგება.
2. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება არის მშობელი საწარმოს გაუნაწილებელი მოგებისა და შვილობილი საწარმოს შეძენის შემდგომი მოგების ჯამი, შემცირებული გუდვილის გაუფასურების ზარალით.

მაგალითი 5. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება

A საწარმომ 2 მლნ ლარად შეიძინა B საწარმოს აქციების 75%.

ცხრილში წარმოდგენილია ამ ორი საწარმოს მაჩვენებლები (ლარი):

საწარმო	ჩვეულებრივი აქციები		გაუნაწილებელი მოგება	
	შეძენის თარიღით	ანგარიშგების წარდგენის თარიღით	შეძენის თარიღით	ანგარიშგების წარდგენის თარიღით
საწარმო A	3,800,000	3,800,000	345,900	890,500
საწარმო B	2,300,000	2,300,000	145,000	456,700

გავიანგარიშოთ ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება.

ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება (ლარი)

ჯგუფი	გაუნაწილებელი მოგება ანგარიშგების წარდგენის დღეს
საწარმო A	890,500
საწარმო B $(456,700 - 145,000) * 75\%$	<u>233,775</u>
ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება	1,124,275

მაგალითი 6. გუდვილი, არამაკონტროლებელი წილი და ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება

A საწარმომ 2,5 მლნ ლარად შეიძინა B საწარმოს აქციების 75%. შეძენის დღეს არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეფასდა 100 ათას ლარად. ამ ორი საწარმოს მარკენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

A და B საწარმო (ლარი)

საწარმო	ჩვეულებრივი აქციები		გაუნაწილებელი მოგება	
	შეძენის თარიღით	ანგარიშგების წარდგენის თარიღით	შეძენის თარიღით	ანგარიშგების წარდგენის თარიღით
საწარმო A	3,800,000	3,800,000	345,900	890,500
საწარმო B	2,300,000	2,300,000	145,000	456,700

შევაფასოთ გუდვილი, არამაკონტროლებელი წილი და ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება ანგარიშგების წარდგენის თარიღით.

განგარიშება 1. ჯგუფის სტრუქტურა

მშობელი საწარმოს წილი - 75%

შვილობილი საწარმოს წილი - 25%.

განგარიშება 2. შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივები (ლარი)

წმინდა აქტივები	შეძენის თარიღისათვის	ანგარიშგების თარიღისათვის
აქციები	2,300,000	2,300,000
გაუნაწილებელი მოგება	<u>145,000</u>	<u>456,700</u>
შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	2,445,000	2,756,700

განგარიშება 3. გუდვილი (ლარი)

ინვესტიციის ღირებულება	2,500,000	
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	<u>100,000</u>	
ჯამი		2,600,000
შემენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება (გ.2)		<u>(2,445,000)</u>
გუდვილი		155

განგარიშება 4. არამაკონტროლებელი წილი

მაჩვენებლები	ლარი
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღით	100,000
არამაკონტროლებელი წილი შეძენის შემდგომ რეზერვებში $[(2,756,700 - 2,445,000) * 25\%]$	<u>77,925</u>
არამაკონტროლებელი წილი საანგარიშგებო თარიღისათვის	177,925

განგარიშება 5. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება (ლარი)

საწარმო A - გაუნაწილებელი მოგება	890,500
საწარმო B - შეძენის შემდგომი გაუნაწილებელი მოგება $(456,700 - 145,000) * 75\%$	<u>233,775</u>
ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება	1,124,275

მაგალითი 7. კონსოლიდირებული ბალანსი

წარმოდგენილია ორი საწარმოს ბალანსი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. შემენის თარიღისათვის შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 20 ათას ლარს; მისი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება შეესაბამებოდა საბალანსო ღირებულებას; გუდვილი არ გაუფასურებულა. მშობელი საწარმო ფლობს შვილობილი საწარმოს კაპიტალის 80%-ს. შემენის დღეს არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეადგენდა 10 ათას ლარს.

ბალანსი (მლნ. ლარი)

საბალანსო მუხლები	A საწარმო	B საწარმო
გრძელვადიანი აქტივები	120	60
ინვესტიცია B-ში 80% წილით	50	–
მოკლევადიანი აქტივები	<u>60</u>	<u>40</u>
სულ აქტივები	230	100
ჩვეულებრივი აქციები	100	30
გაუნაწილებელი მოგება	110	50
ვალდებულებები	<u>20</u>	<u>20</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	230	100

შევადგინოთ კონსოლიდირებული ბალანსი.

სათანადო გაანგარიშებების საფუძველზე კონსოლიდირებული ბალანსი წარმოდგენილია ასეთი სახით (იხ. გაანგარიშები):

კონსოლიდირებული ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი)

საბალანო მუხლები	A საწარმოს	B საწარმოს	კონსოლიდირებული ბალანსი
გრძელვადიანი აქტივები	120	60	120 + 60 = 180
ინვესტიცია B-ში 80% წილით	50	–	გუდვილი (გ.3) 10
მოკლევადიანი აქტივები	<u>60</u>	<u>40</u>	60 + 40 = <u>100</u>
სულ აქტივები	230	100	290
ჩვეულებრივი აქციები	100	30	100
გაუნაწილებელი მოგება	<u>110</u>	<u>50</u>	ჯ.გ.მ.(გ.5) <u>134</u>
კაპიტალი	<u>210</u>	<u>80</u>	234
			არამაკონტროლებელი წილი (გ.4) 16
ვალდებულებები	<u>20</u>	<u>20</u>	20 + 20 = <u>40</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	230	100	290

განგარიშება 1. ჯგუფის სტრუქტურა

მშობელი საწარმოს წილი - 80%

შვილობილი საწარმოს წილი - 20%.

განგარიშება 2. შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივები (ათასი ლარი)

წმინდა აქტივები	შემენის თარიღისათვის	ანგარიშგების თარიღისათვის
აქციები	30	30
გაუნაწილებელი მოგება	20	50
შეძენილი წმინდა აქტივები	50	80

განგარიშება 3. გუდვილი

მაჩვენებლები	ათასი ლარი	
ინვესტიციის ღირებულება	50	
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	<u>10</u>	

ჯამი:		60
შემენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება		(50)
გუდვილი		10

განგარიშება 4. არამაკონტროლებელი წილი

მაჩვენებლები	ათასი ლარი
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შემენის თარიღით	10
არამაკონტროლებელი წილი შემენის შემდგომ რეზერვებში $[(80 - 50) * 20\%]$	<u>6</u>
არამაკონტროლებელი წილი საანგარიშგებო თარიღისათვის	16

განგარიშება 5. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება

მაჩვენებლები	ათასი ლარი
საწარმო A - გაუნაწილებელი მოგება	110
საწარმო B - შემენის შემდგომი გაუნაწილებელი მოგება $(50 - 20) * 80\%$	<u>24</u>
ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება	134

➤ **შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირება**

კონსოლიდაციის პროცედურები, გამარტივების მიზნით, განხილული იყო დაშვებით, რომ არანაირი შიდაჯგუფური ურთიერთობები ჯგუფის წევრებს შორის არ არსებობს.

მაგრამ, ჯგუფის წევრებს შორის შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ოპერაციები, როგორცაა:


- საქონლის ან ძირითადი საშუალებების მიწოდება;

- მომსახურების გაწევა;
- დროებითი ფინანსური დახმარება;
- სესხის გაცემა;
- დივიდენდების გაცემა;
- მონაწილეობა ცენტრალურ ადმინისტრაციულ საქმიანობაში და სხვა.

კონსოლიდირებულ ბალანსში საწარმოთაშორისი ოპერაციებით წარმოქმნილი მუხლები ანულირდება (გამოირიცხება), რათა თავიდან იქნეს აცილებული ოპერაციების ორმაგად ასახვა. საჭირო ხდება გარკვეული კორექტირება, კერძოდ, უნდა განხორციელდეს შიდაჯგუფური მოგება/ზარალისა და შიდასაანგარიშსწორებო ოპერაციებით წარმოქმნილი მოთხოვნა-ვალდებულებების ანულირება (შიდაჯგუფური ანგარიშსწორებები აისახება, როგორც წესი, დებიტორ-კრედიტორების ანგარიშებზე, ან ე.წ. „მიმდინარე ანგარიშზე“).

✓ მარაგით შიდაჯგუფური ვაჭრობა და არარეალიზებული მოგება

ჯგუფი განიხილება როგორც ერთი სამეურნეო ერთეული და მის წევრებს შორის ერთმანეთთან სავაჭრო ურთიერთობებით არ შეიძლება წარმოიქმნას მოგება. საკუთარ თავთან ვაჭრობიდან მოგება არ მიიღება, ასეთი მოგება არის არარეალიზებული მოგება. მოგება (ფასნამატი) იქნება რეალიზებული მაშინ, როდესაც ეს ფასნამატი „გავა“ ჯგუფიდან. ამიტომ, როდესაც ჯგუფის ერთი წევრი ჯგუფის მეორე წევრს მიჰყიდის საქონელს და ამ საქონლის ნაწილი წლის ბოლოსათვის ჯერ კიდევ არის მარაგში, ასეთი მარაგი მოიცავს არარეალიზებულ მოგებას. კონსოლიდაციის დროს უნდა მოხდეს მისი ანულირება და მარაგის დაყვანა თვითღირებულებამდე.



ამდენად, შიდაჯგუფური ვაჭრობის შემთხვევაში, კონსოლიდაციის მიზნებისათვის, უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურა:

1. განისაზღვროს არარეალიზებული მარაგის ღირებულება, რომელიც შიდაჯგუფური ვაჭრობის შედეგია;
2. განისაზღვროს ამ მარაგის ღირებულებაში ჩართული არარეალიზებული მოგების სიდიდე;
3. ჩატარდეს კონსოლიდაციის კორექტირება: არარეალიზებული მოგების სიდიდით შემცირდეს გაუნაწილებელი მოგება და მარაგი, რითაც ანულირდება მოგება და მარაგი დაიყვანება თვითღირებულებამდე.

მაგრამ, კორექტირების წესი დამოკიდებულია იმაზე, ერთის მხრივ – თუ ვინ არის გამყიდველი, და მეორეს მხრივ, თუ გამყიდველი შვილობილი საწარმოა – რა წილს ფლობს მშობელი საწარმო შვილობილ საწარმოში.

როდესაც გამყიდველი მშობელი საწარმოა, მისი მოგება ჩართულია ჯგუფის ანგარიშგებაში და კორექტირებაც (შემცირება) გაუკეთდება მთლიან ჯგუფის მოგებას და მარაგს გატარებით:

ღებეტი – ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება

კრედიტი – ჯგუფის მარაგი

როდესაც გამყიდველი შვილობილი საწარმოა, არარეალიზებული მოგება ჩართულია შვილობილი საწარმოს ანგარიშგებაში, რომელიც ნაწილობრივ ეკუთვნის ჯგუფს. და ნაწილობრივ არამაკონტროლებელ წილს. ამიტომ გაკეთდება იგივე

კორექტირება, რაც იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი მშობელი საწარმოა, გატარებით:

დებეტი – შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება

კრედიტი – ჯგუფის მარაგი

ან,

დებეტი – ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება (ჯგუფის წილი, %)

დებეტი - არამაკონტროლებელი წილი (არამაკონტროლებელი წილი, %)

კრედიტი – ჯგუფის მარაგი

მაგალითი 8. კონსოლიდირებული მარაგი და გაუნაწილებელი მოგება

მშობელმა საწარმომ საქონელი მიჰყიდა შვილობილ საწარმოს, რომლის გასაყიდი ფასი 50,000 ლარია და რომელიც მოიცავს 20% ფასნამატს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ საქონლის 30% მარაგშია.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საბალანსო მონაცემები ასე გამოიყურება:

(ლარი)

მაჩვენებლები	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო
საქონელი	52,200	25,800
გაუნაწილებელი მოგება	245,900	77,300

შვილობილი საწარმოს მოგება შექენამდე შეადგენს 45,000 ლარს. მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს კაპიტალში შეადგენს 100%-ს.

შევაფასოთ საქონელი და გაუნაწილებელი მოგება კონსოლიდირებულ ბალანსში ასახვისათვის.

- არარეალიზებული მოგება: $(50,000 * 30%) * 20/120 = 2,500$ ლარი.
- შვილობილი საწარმოს შექენის შემდგომი მოგება:
 $77,300 - 45,000 = 32,300$ ლარი.

(ლარი)

მაჩვენებლები	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	კონსოლიდირებული ბალანსი
საქონელი	52,200	25,800	75,500 (52,200 + 25,800 - 2,500)
გაუნაწილებელი მოგება	245,900	77,300	275,700 (245,900 + 32,300 - 2,500)

მაგალითი 9. კონსოლიდირებული მარაგი და გაუნაწილებელი მოგება

შვილობილმა საწარმომ საქონელი მიჰყიდა მშობელ საწარმოს, რომლის გასაყიდი ფასია 50,000 ლარი და რომელიც მოიცავს 20% ფასნამატს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ საქონლის 30% მარაგშია.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაუნაწილებელი მოგება შეადგენს: მშობელი საწარმოსი – 245,900 ლარს; შვილობილი საწარმოსი – 77,300 ლარს.

მშობელი საწარმო ფლობს შვილობილი საწარმოს 80%. შვილობილი საწარმოს მოგება შეძენამდე შეადგენს 45,000 ლარს.

შევაფასოთ საქონელი და გაუნაწილებელი მოგება კონსოლიდირებულ ბალანსში ასახვისათვის.

- არარეალიზებული მოგება: $(50,000 * 30%) * 20/120 = 2,500$ ლარი.
- შვილობილი საწარმოს შეძენის შემდგომი მოგება:
 $(77,300 - 45,000) * 80% = 25,840$ ლარი.

(ლარი)

მაჩვენებლები	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	კონსოლიდირებული ბალანსი
საქონელი	52,200	25,800	75,500 (52,200 + 25,800 - 2,500)

ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება	245,900	77,300	269,740 $245,900 + 25,840 - (2,500 * 80\%)$
არამაკონტროლებელი წილი			$(77,300 * 20\%) - (2,500 * 20\%)$ $= 15,460 - 500 = 14,960$

✓ შიდაჯგუფური ანგარიშსწორების კორექტირება

შიდაჯგუფური ფულადი და სასაქონლო ანგარიშსწორების ოპერაციები აისახება დებიტორ-კრედიტორების ანგარიშებზე, ანუ ერთი საწარმოს მიმდინარე მოთხოვნების – „დებიტორული დავალიანების“ ანგარიშზე და მეორე საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების – „კრედიტორული დავალიანების“ ანგარიშზე. ეს თანხები მისაღებია და გადასახდელია ჯგუფის ფარგლებში და არა ჯგუფის გარეთ. ამიტომ კონსოლიდაციის დროს შიდაჯგუფური საანგარიშსწორებო ოპერაციებით წარმოქმნილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების საბალანსო მუხლები აბათილებენ ერთმანეთს გატარებით:

დებეტი – კრედიტორული დავალიანება

კრედიტი – დებიტორული დავალიანება

მაგრამ, შესაძლებელია რომ მათი ნაშთები არ შეესაბამებოდეს ერთმანეთს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ტრანზიტული ოპერაციები (ფულის გადარიცხვა ან საქონლის მიწოდება) ჯერ არ იქნა ასახული ერთ-ერთი მხარის მიერ. თუ საქონელი ან ფულადი სახსრები იმყოფება მშობელი და შვილობილ საწარმოებს შორის გზაში, კონსოლიდაციის მიზნებისათვის **მიმღების ბალანსში** უნდა გაკეთდეს მაკორექტირებელი გატარება:

- დებეტი – ფულადი სახსრები
- კრედიტი – დებიტორული დავალიანება
- დებეტი – მარაგი
- კრედიტი – კრედიტორული დავალიანება

✓ შვილობილი საწარმოს დივიდენდები და პროცენტები

ბასს 10 „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“-ს თანახმად, ბალანსის შედგენის შემდეგ გამოცხდებული დივიდენდები არ აისახება ვალდებულებად ბალანსში. ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადება მოხდა ბალანსის შედგენის თარიღამდე.

გადახდილი დივიდენდები არ ექვემდებარება არანაირ კორექტირებას, რადგან უკვე ასახულია მიმღები და გადამხდელი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. **დარიცხული (გადასახდელი) დივიდენდები** საჭიროებს კორექტირებას: გადამხდელი საწარმოს მიერ აღიარებული ვალდებულება და მიმღები საწარმოს მიერ აღიარებული მოთხოვნა კონსოლიდაციის დროს ექვემდებარება ანულირებას გატარებით:

დებეტი – გადასახდელი დივიდენდები

კრედიტი – მისაღები დივიდენდები

დარიცხული (გადასახდელი) პროცენტი მიმღებ საწარმოში აღიარდება მოთხოვნად, გადამხდელ საწარმოში – ვალდებულებად, კონსოლიდაციის დროს მოხდება მათი ანულირება, ვალდებულების ანგარიშზე დარჩენილი სხვაობა არის გარეშე მხარეზე გადასახდელი მოკლევადიანი ვალდებულება.

მაგალითი 10. კონსოლიდირებული ბალანსი

მიმდინარე წლის დასაწყისში A საწარმომ შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 90%. საწარმოთა ბალანსი წლის ბოლოს (ათასი ლარი):

აქტივები	A	B
გრძელვადიანი აქტივები	14,800	5,000
მოკლევადიანი აქტივები	5,200	2,000
ინვესტიცია B-ში	<u>5,500</u>	
სულ აქტივები	25,500	7,000
კაპიტალი		
ჩვეულებრივი აქციები	4,000	800
საემისიო კაპიტალი	7,000	1,200
გაუნაწილებელი მოგება	<u>10,500</u>	<u>4,000</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	21,500	6,000
ვალდებულებები	4,000	1,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	25,500	7,000

დამატებითი ინფორმაცია:

1. B საწარმოს აქტივების რეალური ღირებულების დადგენისას აღმოჩნდა, რომ ჩარხების რეალური ღირებულება 40 ათასი ლარით აღემატება საბალანსო ღირებულებას. გადაწყვიტეს, რომ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოეხდინათ ჩარხების აფასების ასახვა, რომელთა გამოყენების ვადა განისაზღვრა 8 წლით.
2. მშობელმა საწარმომ შვილობილ საწარმოზე გაყიდა 65,000 ლარის საქონელი 30%-იანი ფასნამატით. ამ საქონლის მეხუთედი ნაწილი გაუყიდავი დარჩა მარაგში.
3. B საწარმოს გაუნაწილებელი მოგება შეძენის დროს შეადგენდა 3,400 ათას ლარს.
4. არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეფასდა 600 ათას ლარად.
5. წლის ბოლოს დადგინდა გუდვილის გაუფასურება 200 ათასი ლარის ოდენობით. გაუფასურება მიეკუთვნა საოპერაციო ხარჯებს.

მოვამზადოთ კონსოლიდირებული ბალანსი.

კონსოლიდირებული ბალანსის მოსამზადებლად საჭიროა სათანადო გაანგარიშებების გაკეთება.

განგარიშება 1. ჯგუფის სტრუქტურა

A საწარმო – 90%

B საწარმო – 10%

განგარიშება 2. შემენილი წმინდა აქტივები (ათასი ლარი):

კაპიტალი	შემენისას	წლის ბოლოს
ჩვეულებრივი აქციები	800	800
საემისიო კაპიტალი	1,200	1,200
გაუნაწილებელი მოგება	3,400	4,000
ჩარხების რეალური ღირებულებით კორექტირება	40	40
ჩარხების წლიური ცვეთა (40/8წ.)	–	(5)
წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	5,440	6,035

შემენილი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება კორექტირდება რეალური ღირებულებით. კერძოდ, აფასების ნამეტით უნდა გაიზარდოს ჩარხის საბალანსო ღირებულება, ხოლო ცვეთის თანხით შემცირდეს ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება.

ჩარხის საბალანსო ღირებულების კორექტირება:

დებეტი - ჯგუფის გრძელვადიანი აქტივი 40

კრედიტი - რეალური ღირებულება 40

ცვეთის თანხით:

დებეტი - კგუფის გაუნაწილებელი მოგება 5

კრედიტი - ჯგუფის გრძელვადიანი აქტივი 5

ჩარხის წლიური ცვეთის თანხით უნდა შემცირდეს კონსოლიდირებული გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაზრდილი იქნა აფასებული ღირებულებით – 40 ათასი ლარით. შედეგად კონსოლიდირებულ ბალანსში გრძელვადიანი აქტივები გაიზრდება 35 ათასი ლარით (40 - 5).

განგარიშება 3. გუდვილი

მაჩვენებლები	ათასი ლარი	
ინვესტიციის ღირებულება	5,500	
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	<u>600</u>	
ჯამი:		6,100
შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება:		<u>(5,440)</u>
გუდვილი		660
გუდვილის გაუფასურება		<u>(200)</u>
გუდვილი საანგარიშგებო თარიღისათვის		460

გუდვილის გაუფასურება აისახება გატარებით:

დებეტი - ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება (200 * 90%) 180

დებეტი - არამაკონტროლებელი წილი (200 * 10%) 20

კრედიტი - გუდვილი 200

კონსოლიდირებულ ბალანსში გუდვილი ფასდება გაუფასურების ზარალით შემცირებული თანხით - 460 ათას ლარად.

განგარიშება 4. არამაკონტროლებელი წილი

მაჩვენებლები	ათასი ლარი
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღით	600
არამაკონტროლებელი წილი შეძენის შემდგომ რეზერვებში $[(6,035 - 5,440) * 10\%]$	<u>59,5</u>
გუდვილის გაუფასურება (200 * 10%)	<u>(20)</u>
არამაკონტროლებელი წილი საანგარიშგებო თარიღისათვის	639,5

განგარიშება 5. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება (ათასი ლარი):

გაუნაწილებელი მოგების განგარიშება მოითხოვს შიდაჯგუფური ვაჭრობით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგების გაბათილებას. არარეალიზებული მოგება მარაგში შეადგენს 3 ათას ლარს $\{(65 * 1/5) * 30/130 = 3\}$. ამ თანხით უნდა შემცირდეს მშობელი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება და კონსოლიდირებული მარაგი.

დებეტი – ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება 3,000

კრედიტი – ჯგუფის მარაგი 3,000

ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება (ათასი ლარი)

მშობელი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება (10,500 - 3)	10,497
B საწარმოს შეძენის შემდგომი გაუნაწილებელი მოგება $\{(6,035 - 5,440) * 90\%$	535,5
გუდვილის გაუფასურება (200 * 90%)	<u>(180)</u>
ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება	10,852,5

კონსოლიდირებული ბალანსი წლის ბოლოსათვის (ათასი ლარი)

აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები (14,800 + 5,000 + 35)	19,835
მოკლევადიანი აქტივები (5,200 + 2,000 - 3)	7,197
გუდვილი (გ.3)	<u>460</u>
სულ აქტივები	27,492
კაპიტალი	
ჩვეულებრივი აქციები	4,000
საემისიო კაპიტალი	7,000
გაუნაწილებელი მოგება (გ.5)	<u>10,852,5</u>
	21,852,5
არამაკონტროლებელი წილი (გ.4)	<u>639,5</u>
სულ კაპიტალი	22,492
ვალდებულებები	

ვალდებულებები (4,000 + 1,000)	5,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	27,492

კონსოლიდაციის წესები:

1. შიდაჯგუფური ვაჭრობისას გამყიდველის დადგენა და არარეალიზებული მოგების განსაზღვრა;
2. გაუნაწილებელი მოგებისა და აქტივის თვითღირებულების შემცირება არარეალიზებული მოგების სიდიდით;
3. შიდაჯგუფური საანგარიშსწორებო ოპერაციების, გადასახდელი დივიდენდებისა და პროცენტების ანუღირება.

4. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

➤ **კონსოლიდაციის მიზანი**

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ასახავს ერთ საანგარიშგებო პერიოდში მშობელი და შვილობილი საწარმოს მიერ ერთობლივად შექმნილ მოგებას. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მიზანია ასახოს ჯგუფის რესურსების, ანუ კონსოლიდირებულ ბალანსში ასახული წმინდა აქტივების გამოყენებით შექმნილი მოგება.

ბასს 1-ის თანახმად გამოცხადებული და/ან გადახდილი დივიდენდები არ აისახება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ეს ინფორმაცია აისახება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.


➤ **კონსოლიდაციის მექანიზმი**

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ასახავს ჯგუფში შემავალი (მშობელი და შვილობილი) საწარმოების საქმიანობის შედეგებს ერთ ანგარიშგებაში. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება მზადდება მშობელი და შვილობილი საწარმოების კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის აგრეგირებით (გაერთიანებით) სათანადო

კორექტირებების შემდეგ. ამიტომ კონსოლიდაციის დროს აუცილებელია შემდეგი სტანდარტული გაანგარიშებების გაკეთება:

1. მშობელი და შვილობილი საწარმოების შემოსავლების და ხარჯების შეჯამება;
2. შიდაჯგუფური გაყიდვებისა და შესყიდვების ანულირება (გაბათილება);
3. შიდაჯგუფური ვაჭრობით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგების გამორიცხვა საბოლოო მარაგის ნაშთიდან;
4. არამაკონტროლებელი წილის კუთვნილი მოგების გაანგარიშება.

მოგება-ზარალის ანგარიშების კონსოლიდაციის ეტაპები



➤ არამაკონტროლებელი წილის გაანგარიშება

არამაკონტროლებელი წილი გაანგარიშება დაბეგვრის შემდგომი მოგებიდან, დივიდენდების გადახდამდე. ამიტომ ეს ციფრი მოიცავს შვილობილი საწარმოს დივიდენდებსა და გაუნაწილებელ მოგებაში არამაკონტროლებელი წილის კუთვნილ წილს.

მაგალითი 11. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

წარმოდგენილია მშობელი და შვილობილი საწარმოების მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება. მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს კაპიტალში შეადგენს 90%-ს.

მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ლარი)

მაჩვენებლები	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო
ამონაგები	145,000	79,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(65,000)	(50,000)
საერთო მოგება	80,000	29,000
სხვა ხარჯები	(10,000)	(5,000)
მოგება დაბეგვრამდე	70,000	24,000
მოგების გადასახადი	(10,500)	(3,600)
წმინდა მოგება	59,500	20,400

მოვამზადოთ მიმდინარე წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.

კონსოლიდაციის ცხრილი (ლარი)

მაჩვენებლები	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	სულ
ამონაგები	145,000	79,000	224,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(65,000)	(50,000)	(115,000)
საერთო მოგება	80,000	29,000	
სხვა ხარჯები	(10,000)	(5,000)	(15,000)
მოგების გადასახადი	(10,500)	(3,600)	(14,100)
წმინდა მოგება	59,500	20,400	79,900

არამაკონტროლებელი წილი: $20,400 * 10\% = 2,040$ ლარი.

მიმდინარე წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ლარი)

ამონაგები	224,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(115,000)
საერთო მოგება	109,000
სხვა ხარჯები	(15,000)
მოგება დაბეგვრამდე	94,000
მოგების გადასახადი	(14,100)
საანგარიშგებო წლის მოგება	79,900
მოგება მისაკუთვნიებული:	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	77,860
არამაკონტროლებელ წილზე	2,040
ამონაგები	224,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(115,000)
საერთო მოგება	109,000
სხვა ხარჯები	(15,000)
მოგება დაბეგვრამდე	94,000
მოგების გადასახადი	(14,100)
საანგარიშგებო წლის მოგება	79,900
მოგება მისაკუთვნიებული:	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	77,860
არამაკონტროლებელ წილზე	2,040

➤ დივიდენდები

ბასს 1-ის თანახმად გამოცხადებული და/ან გადახდილი დივიდენდები არ აისახება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. მშობელი საწარმოს მიერ თავისი აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები აისახება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება

მხოლოდ სხვა ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები და არ აისახება შვილობილი და/ან მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული.

მაგალითი 12. მიღებული დივიდენდები და კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

წარმოდგენილია მშობელი და შვილობილი საწარმოების მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება. მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს კაპიტალში შეადგენს 90%-ს.

მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ლარი)

მაჩვენებლები	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო
ამონაგები	145,000	79,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(50,000)	(41,000)
საერთო მოგება	95,000	38,000
შვილობილი საწარმოსაგან მიღებული დივიდენდები	10,000	
სხვა ხარჯები	(25,000)	(14,000)
მოგება დაბეგვრამდე	80,000	24,000
მოგების გადასახადი	(12,000)	(3,600)
წმინდა მოგება	68,000	20,400

მოვამზადოთ მიმდინარე წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.

კონსოლიდაციის ცხრილი (ლარი)

მაჩვენებლები	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	სულ
ამონაგები	145,000	79,000	224,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(50,000)	(41,000)	(91,000)
სხვა ხარჯები	(25,000)	(14,000)	(39,000)

მოგების გადასახადი	(12,000)	(3,600)	(15,600)
წმინდა მოგება	58,000	20,400	78,400

არამაკონტროლებელი წილი: $20,400 * 10\% = 2,040$ ლარი.

მიმდინარე წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

(ლარი)

ამონაგები	224,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(91,000)
საერთო მოგება	133,000
სხვა ხარჯები	(39,000)
მოგება დაბეგვრამდე	94,000
მოგების გადასახადი	(15,600)
საანგარიშგებო წლის მოგება	78,400
მოგება მისაკუთვნიებული:	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	76,360
არამაკონტროლებელ წილზე	2,040

მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა მოგება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემცირებულია მიღებული დივიდენდებით. მაგრამ ბალანსში ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება იქნება გაზრდილი ამ სიდიდით.

➤ **შიდაჯგუფური ვაჭრობა – მარაგის რეალიზაცია**

შიდაჯგუფური ვაჭრობის შედეგები უნდა გამოირიცხოს კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან. შიდაჯგუფური ვაჭრობა აისახება ერთ საწარმოსთან ამონაგებში, ხოლო მეორესთან – შესყიდვებში. ამიტომ უნდა მოხდეს ამ ოპერაციების კორექტირება (გაბათილება).

ამდენად, მარაგის შიდაჯგუფური რეალიზაციისას უნდა განხორციელდეს შემდეგი კორექტირებები:

- კონსოლიდირებული ამონაგები = მშობელი საწარმოს ამონაგები + შვილობილი საწარმოს ამონაგები - შიდაჯგუფური რეალიზაცია;
- კონსოლიდირებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = მშობელი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება + შვილობილი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - შიდაჯგუფური შესყიდვა

თუ ჯგუფში რეალიზებული საქონელი საანგარიშგებო თარიღისათვის არის მარაგში, მისი ღირებულება უნდა დაკორექტირდეს ჯგუფის მიმართ არსებულ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. კერძოდ, არარეალიზებული მოგების შესაბამისი კორექტირება როგორც რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ზრდა და მარაგის შემცირება, რაც გამოიწვევს მოგების შემცირებას:

- კონსოლიდირებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = მშობელი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება + შვილობილი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - შიდაჯგუფური რეალიზაცია + არარეალიზებული მოგება

მაგალითი 13. მარაგში არარეალიზებული მოგება, გუდვილის გაუფასურება და კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

წარმოდგენილია მშობელი და შვილობილი საწარმოების მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.

მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო
ამონაგები	1,200	800
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(500)	(400)
საერთო მოგება	700	400
კომერციული ხარჯები	(200)	(90)
ადმინისტრაციული ხარჯები	(100)	(50)
მოგება დაბეგვრამდე	400	260
მოგების გადასახადი	(60)	(40)
წმინდა მოგება	340	220

დამატებითი ინფორმაცია:

1. მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს კაპიტალში შეადგენს 90%;
2. მშობელმა საწარმომ შვილობილ საწარმოს მიჰყიდა საქონელი 180 ათას ლარად, წლის ბოლოსათვის ამ საქონლის ნახევარი მარაგშია;
3. მშობელი საწარმო ყიდის თავის საქონელს 20%-ნი ფასნამატით;
4. გუდვილის გაუფასურება შეფასდა 10 ათას ლარად. გაუფასურების ზარალი მიეკუთვნა ადმინისტრაციის ხარჯებს.

მოვამზადოთ მიმდინარე წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.

განგარიშება 1. მარაგში არარეალიზებული მოგება:

$$(180 * 1/2) * 20/120 = 15 \text{ ათასი ლარი}$$

განგარისება 2. არამაკონტროლებელი წილი:

$$220 * 10\% = 22 \text{ ათასი ლარი.}$$

მიმდინარე წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

(ათასი ლარი)

ამონაგები (1,200 + 800 - 180)	1,820
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(735)

(500 + 400 - 180 + 15)	
საერთო მოგება	1,085
კომერციული ხარჯები (200 + 90)	(290)
ადმინისტრაციული ხარჯები (100 + 50 + 10)	(160)
მოგება დაბეგვრამდე	<u>635</u>
მოგების გადასახადი (60 + 40)	<u>(100)</u>
საანგარიშგებო წლის მოგება	535
მოგება მისაკუთვნებელი:	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	513
არამაკონტროლებელ წილზე	22

მაგალითი 14. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მიმდინარე წლის დასაწყისში A საწარმომ შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 90%.
საწარმოთა მოგება-ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი):

წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

	A	B
ამონაგები	9,200	1,990
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	<u>(7,000)</u>	<u>(800)</u>
საერთო მოგება	2,200	1,190
შვილობილ საწარმოდან მიღებული დივიდენდები	250	
საოპერაციო ხარჯები	<u>(300)</u>	<u>(220)</u>
მოგება დაბეგვრამდე	2,150	<u>970</u>
მოგების გადასახადი	<u>(300)</u>	(120)
წმინდა მოგება დივიდენდების გადახდამდე	1,850	850
გადახდილი დივიდენდები		(250)
წმინდა მოგება დივიდენდების გადახდის შემდეგ		600

დამატებითი ინფორმაცია:

1. B საწარმოს აქტივების რეალური ღირებულების დადგენისას აღმოჩნდა, რომ ჩარხების რეალური ღირებულება 40 ათასი ლარით აღემატება საბალანსო ღირებულებას. გადაწყვიტეს, რომ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ

მოხდინათ ჩარხების აფასების ასახვა, რომელთა გამოყენების ვადა განისაზღვრა 8 წლით.

2. მშობელმა საწარმომ შვილობილ საწარმოზე გაყიდა 65,000 ლარის საქონელი 30%-იანი ფასნამატით. ამ საქონლის მეხუთედი ნაწილი გაუყიდავი დარჩა მარაგში.

3. წლის ბოლოს დადგინდა გუდვილის გაუფასურება 200 ათასი ლარის ოდენობით. გაუფასურება მიეკუთვნა საოპერაციო ხარჯებს.

მოვამზადოთ კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.

განგარიშება 1. ამონაგები (ათასი ლარი)

A საწარმო	9,200
B საწარმო	1,990
ამონაგები შიდაჯგუფური რეალიზაციიდან	(65)
	11,125

განგარიშება 2. ჩარხების ცვეთის კორექტირება (ათასი ლარი):

ჩარხის აფასებული ღირებულებიდან დამატებითი ცვეთის დარიცხვა შეადგენს 5 ათას ლარს (40/8წ.), რაც აისახება ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გატარებით:

დებეტი – რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (შვილობილი საწარმო)	5,000
კრედიტი – დაგროვილი ცვეთა	5,000

განგარიშება 3. შიდაჯგუფური ვაჭრობის ელიმინირება (ათასი ლარი):

მარაგის შიდაჯგუფურმა ვაჭრობამ შეადგინა 65 ათასი ლარი, მისი ანულირება ნიშნავს ამონაგებისა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულების შემცირებას და ჯგუფის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აისახება გატარებით:

დებეტი – ამონაგები (ჯგუფის)	65,000
კრედიტი – რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (ჯგუფის)	65,000

განგარიშება 4. მარაგში არარეალიზებული მოგების ელიმინირება (ათასი ლარი):

არარეალიზებული მოგება მარაგში შეადგენს 3 ათას ლარს $\{(65 * 1/5) * 30/130\}$, ამ თანხით უნდა შემცირდეს ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება და საბოლოო მარაგი. ეს კორექტირება ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება გატარებით:

დებეტი – რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (მშობელი საწარმო)	3,000
კრედიტი – მარაგი (ჯგუფის)	3,000

თავის მხრივ, მარაგის საბოლოო ნაშთის შემცირება გავლენას ახდენს რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაზე – **ზრდის მას და ამცირებს მოგებას.**

განგარიშება 5. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - ათასი ლარი:

A საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,000
B საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	800
ჩარხების აფასებული ღირებულებიდან დამატებითი ცვეთის დარიცხვა (გ.2)	5
მარაგის შიდაჯგუფური რეალიზაციის ელიმინირება (გ.3)	(65)
მარაგში არარეალიზებული მოგების ელიმინირება (გ.4)	<u>3</u>
კორექტირებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,743

განგარიშება 6. საოპერაციო ხარჯები (ათასი ლარი)

A საწარმო	300
B საწარმო	220
გუდვილის გაუფასურება	<u>200</u>
	720

განგარიშება 7. არამაკონტროლებელი წილი (ათასი ლარი)

B საწარმოს პერიოდის წმინდა მოგება	850
დამატებითი ცვეთა	(5)
	845
არამაკონტროლებელი წილი (845 * 10%)	84,5

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების კონსოლიდაცია (ათასი ლარი)

მუხლები	A	B	ჯგუფი
ამონაგები	9,200	1,990	11,125
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(7,000)	(800)	(7,735)
მარაგში არარეალიზებული მოგება	(3)		(3)
დამატებითი ცვეთა		(5)	(5)
საოპერაციო ხარჯები	(300)	(220)	(520)
გუდვილის გაუფასურება			<u>(200)</u>
მოგება დაბეგვრამდე	1,897	965	2,662
მოგების გადასახადი	<u>(300)</u>	(120)	(420)
წმინდა მოგება	1,597	845	2,242

წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

ამონაგები (გ.1)	11,125
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (გ.2)	<u>(7,743)</u>
საერთო მოგება	3,382
საოპერაციო ხარჯები (გ.6)	(720)
მოგება დაბეგვრამდე	<u>2,262</u>
მოგების გადასახადი (300 + 120)	(420)
პერიოდის მოგება	2,242
მოგება მისაკუთვნებელი:	
ამაკონტროლებელ წილზე (გ.7)	84,5
მშობელი საწარმოს აქციონერებზე (2,242 - 84,5)	2,157,5

თავი 5. მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები

1. მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვის პრინციპები
2. მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში
3. მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში

1. მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვის პრინციპები

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას³⁵.

თუ ინვესტორს, პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგალითად, შვილობილი საწარმოს მეშვეობით) ეკუთვნის მეკავშირე საწარმოში ხმის უფლების 20% ან მეტი, მაშინ ითვლება, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (თუკი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს). და პირიქით, თუ ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგალითად, შვილობილი საწარმოს მეშვეობით) ეკუთვნის 20%-ზე ნაკლები, მაშინ მიიჩნევა, რომ ინვესტორს არ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა, თუკი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. სხვა ინვესტორის მიერ ამავე საწარმოში მნიშვნელოვანი წილის, ან საკონტროლო პაკეტის ფლობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე საწარმოს არ შეიძლება გააჩნდეს მნიშვნელოვანი გავლენა მოცემულ საწარმოზე.

³⁵ ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. პ. 3.

ბასს 28-ის თანახმად ინვესტორის მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება დადასტურდეს ერთი ან რამდენიმე შემდეგი ფაქტით:

- ა) ინვესტორის წარმომადგენლის არსებობა ინვესტირებული საწარმოს დირექტორთა საბჭოში ან სხვა ანალოგიურ მმართველობით ორგანოში;
- ბ) მონაწილეობის მიღება პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, დივიდენდებისა და სხვა განაწილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ჩათვლით;
- გ) საწარმოსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის განხორციელებული არსებითი ოპერაციებით;
- დ) მმართველი პერსონალის ურთიერთგაცვლით; ან
- ე) მნიშვნელოვანი ტექნიკური ინფორმაციის მოწოდებით.

ერთობლივი საწარმო არის ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლის უფლება საქმიანობაზე, აქვთ უფლებები ამ საქმიანობის ნეტო/წმინდა აქტივებზე. **ერთობლივი საქმიანობა** არის საქმიანობა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. **ერთობლივი კონტროლი** არის ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლება ამა თუ იმ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

ერთობლივი მეწილე არის ერთობლივი საწარმოს მონაწილე მხარე, რომელსაც გააჩნია ერთობლივი კონტროლის უფლება ერთობლივ საწარმოზე.

ფასს 10 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ – თანახმად ორი ან რამდენიმე ინვესტორი კოლექტიურად აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს იმ შემთხვევაში, თუ მათ ერთად უნდა იმოქმედონ რელევანტური საქმიანობების მართვის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან არც ერთ ინვესტორს არ შეუძლია ამ

საქმიანობების მართვა სხვებთან თანამშრომლობის გარეშე, ცალ-ცალკე არც ერთი ინვესტორი არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს. თვითოეულმა ინვესტორმა თავისი მონაწილეობის წილი ინვესტირებულ საწარმოში უნდა აღრიცხოს შესაფერისი ფასს-ების მიხედვით, როგორცაა ფასს 11 – „ერთობლივი საქმიანობა“, ბასს 28 – „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“, ან ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბასს 27-ის თანახმად **ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება** არის ფინანსური ანგარიშგება, რომლის წარდგენა ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, ან იმ ინვესტორის ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, რომელსაც არ გააჩნია ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში, მაგრამ აქვს ინვესტიციები მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოებში. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებად არ მიიჩნევა იმ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც არ გააჩნია შვილობილი საწარმო, მეკავშირე საწარმო, ან ერთობლივი მეწილის წილი ერთობლივ საწარმოში.

საწარმომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციები უნდა ასახოს:

- ა) თვითღირებულებით;
- ბ) ფასს 9-ის შესაბამისად; ან
- გ) წილობრივი მეთოდით, როგორც აღწერილია ბასს 28-ში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგება

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ბასს 28 და ფასს 11-ის შესაბამისად უნდა შეფასდეს წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველად აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შექმნის შემ-

დგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად. ინვესტორის მოგება ან ზარალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში, ხოლო ინვესტორის სხვა სრული შემოსავალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრულ შემოსავალში.

წილობრივი მეთოდით მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შემენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის გასანაწილებელი თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას.

ინვესტიციის საბალანსო ღირებულების კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს აგრეთვე ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის კუთვნილი პროპორციული წილის ცვლილების გასათვალისწინებლად, რასაც იწვევს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრული შემოსავლის ცვლილებები, კერძოდ, ძირითადი საშუალებების გადაფასება და უცხოურ ვალუტაში მუხლების გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი განსხვავებები. ინვესტორის წილი ამ ცვლილებებში აისახება ინვესტორის სხვა სრულ შემოსავალში.

ბასს 28 ასაბუთებს თუ რატომ უნდა იქნეს გამოყენებული შეფასების წილობრივი მეთოდი (პ.11). კერძოდ, ინვესტირებული საწარმოდან მიღებული განაწილებული თანხების საფუძველზე აღიარებული შემოსავალი შესაძლებელია ადეკვატურად არ ასახავდეს შემოსავლის იმ ოდენობას, რომელიც ინვესტორმა მიიღო მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში კუთვნილი ინვესტიციიდან, რადგან მიღებული სახსრები შეიძლება უმნიშვნელოდ იყოს დაკავშირებული მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს საქმიანობის შედეგებთან. ვინაიდან ინვესტორს გააჩნია ერთობლივი კონტროლის უფლება, ან მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე, იგი დაინტერესებულია მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს საქმიანობის შედეგებით და, მაშასადამე, თავისი

ინვესტიციის უკუგებით (შემოსავლებით). ინვესტორი ამ ინტერესს ასახავს თავისი ფინანსური ანგარიშგების საზღვრების გაფართოებით, ითვალისწინებს რა მასში თავის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში. ამის გამო, **წილობრივი მეთოდის გამოყენება უფრო მეტ** (დეტალურ) ინფორმაციას იძლევა ინვესტორის წმინდა აქტივებისა და მოგების, ან ზარალის შესახებ.

საწარმოს არ ევალუა მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში კუთვნილი ინვესტიციის აღრიცხვა წილობრივი მეთოდით, თუ იგი წარმოადგენს მშობელ საწარმოს, რომელიც განთავისუფლებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მოთხოვნისგან იმის გამო, რომ არ განეკუთვნება ფასს 10-ის მოქმედების სფეროს, ან იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ინვესტორი თვითონ წარმოადგენს სხვა საწარმოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებაში მყოფ შვილობილ საწარმოს და მისი ყველა სხვა მესაკუთრე ინფორმირებულები იყვნენ იმის შესახებ, რომ საწარმო არ იყენებს წილობრივ მეთოდს და ამის წინააღმდეგ არ წასულან;
- ინვესტორის სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე;
- ინვესტორი თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის; და
- ინვესტორის საბოლოო **მშობელი** საწარმო, ან მისი რომელიმე შუალედური **მშობელი** საწარმო ადგენს საჯარო მოხმარებისათვის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებაში მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების შეფასებისა და ასახვის მეთოდი		
საერთო დანიშნულების	ინდივიდუალური	კონსოლიდირებული
წილობრივი მეთოდი	თვითღირებულებით	წილობრივი მეთოდი
	ფასს 9 შესაბამისად რეალური ღირებულებით	
	წილობრივი მეთოდით	
ფასს 11, პ.24.	ბასს 27, პ.10 ფასს 11, პ.26–27.	ბასს 28, პ.11

მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში დაბანდებული ინვესტიცია მშობელი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველად თვითღირებულების საფუძველზე აისახება, ხოლო შემდგომი ყოველ საანგარიშგებო პერიოდში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება მეკავშირე საწარმოს მოგებაში არსებული წილის მიხედვით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ამდენად, მეკავშირე საწარმოში დაბანდებული ინვესტიცია გამოითვლება ფორმულით:

ინვესტიციის თვითღირებულება + ჯგუფის წილი შეძენის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაში - ჩამოწერილი თანხები/გაუფასურების ზარალი - მიღებული დივიდენდები

მაგალითი 1. ინვესტიციის შეფასება წილობრივი მეთოდით

მიმდინარე წლის იანვარში საწარმომ განახორციელა ინვესტიცია _ შეიძინა სხვა საწარმოს კაპიტალის 25% და მოიპოვა მნიშვნელოვანი გავლენის უფლება. ინვესტიციის თვითღირებულება 450 ათასი ლარია. მეკავშირე საწარმოს გაუნაწილებელი მოგება

შემდგომის დროს შეადგენდა 200 ათას ლარს, ხოლო წლის ბოლოს _ 280 ათას ლარს. წლის განმავლობაში არანაირ გაუფასურებას არ ჰქონდა ადგილი.

გავიანგარიშოთ მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება (ათასი ლარი):

ინვესტიციის თვითღირებულება მიმდინარე წლის იანვარში	450
წილი შემდგომ მოგებაში $(280-200) * 25\%$	<u>20</u>
ინვესტიციის ღირებულება მიმდინარე წლის 31 დეკემბერს	470

მაგალითი 2. ინვესტიციის შეფასება წილობრივი მეთოდით

A საწარმომ ორი წლის წინ 150 ათას ლარად შეიძინა C საწარმოს კაპიტალის 30%. C საწარმოს კაპიტალის შემადგენლობა არის (ათასი ლარი): სააქციო კაპიტალი _ 100; გაუნაწილებელი მოგება შემდგომისას _ 180, საანგარიშგებო წლის ბოლოს 320.

გავიანგარიშოთ მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

გაანგარიშება 1. წმინდა აქტივების ღირებულება (ათასი ლარი)

	შემდგომისას	საანგარიშგებო წლის ბოლოს
სააქციო კაპიტალი	100	100
გაუნაწილებელი მოგება	<u>180</u>	<u>320</u>
	280	420

გაანგარიშება 2. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს

	(ათასი ლარი)
ინვესტიციის თვითღირებულება	150
წილი შემდგომ მოგებაში $(320-180) * 30\%$	<u>42</u>
	192

მაგალითი 3. მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის ასახვა

მიმდინარე წლის 1 იანვარს A საწარმომ 400 ათას ლარად იყიდა B საწარმოს კაპიტალის 30%. A საწარმო ინიშნება დირექტორად და უზრუნველყოფს აუცილებელ ტექნიკურ მხარდაჭერას. B საწარმოს მიმდინარე წლის მოგებამ შეადგინა 150 ათასი ლარი. ასევე, მიმდინარე წელს B საწარმომ ააფასა თავისი უძრავი ქონება 100 ათასი ლარით, საიდანაც A საწარმოს ეკუთვნის 30 ათასი ლარი.

ავსახოთ სათანადო ოპერაციები.

აღნიშნული ოპერაციები შემდეგნაირად აისახება (ლარი)

#	ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1.	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		400,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	400,000
	ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში			
2	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		45,000
	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		8190	45,000
	საწარმოს ეკუთვნის მეკავშირე საწარმოს მიმდინარე წლის მოგებიდან 45 ათასი ლარი (150,000 * 30%), რაც აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში			
3	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		30,000
	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		5420	30,000
	საწარმოს ეკუთვნის უძრავი ქონების აფასებიდან მიღებული შემოსულობა 30,000 ლარის ოდენობით (150,000 * 30%), რაც აისახება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში			

2. მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ ბალანსში

ფასს 10 -ით განსაზღვრული კონსოლიდაციის პროცედურები შემდეგია:

ა) გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები;

ბ) ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში (იხ ფასს 3, სადაც აღწერილია შესაბამისი გუდვილის აღრიცხვის წესი);

გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ან ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორცაა მარაგები და გრძელვადიანი აქტივები).

ამდენად, როდესაც მშობელ საწარმოს აქვს ინვესტიციები მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში, კონსოლიდირებული ბალანსის მომზადების დროს უნდა გაკეთდეს შემდეგი სტანდარტული გაანგარიშებები:

1. ჯგუფის სტრუქტურა (წილები);
2. შვილობილი და მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოების წმინდა აქტივების ღირებულება შეძენის და საანგარიშგებო თარიღებისათვის;
3. გუდვილი;
4. არამაკონტროლებელი წილი;
5. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება;
6. მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის ღირებულება.

ინვესტიციის შეძენის მომენტში სხვაობა ინვესტიციის თვითღირებულებასა და ინვესტირებული საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილს შორის, უნდა აისახოს შემდეგნაირად:

ა) გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოსთან, ჩაირთვება ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. ამ გუდვილის ამორტიზაცია ნებადართული არ არის;

ბ) ინვესტირებული საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის კუთვნილი წილის მეტობა ინვესტიციის თვითღირებულებაზე, გაითვალისწინება როგორც შემოსავალი მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში ინვესტორის წილის გაანგარიშებისას, რომელშიც ეს ინვესტიცია იყო შექმნილი.

მაგალითი 4. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მიმდინარე წლის იანვარში M საწარმომ შეიძინა B და C საწარმო. ქვემოთ წარმოდგენილია M ჯგუფის ბალანსი და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია:

მოვამზადოთ ჯგუფის კონსოლიდირებული ბალანსი მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

ბალანსი მიმდინარე წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი)			
	M მშობელი	B შვილობილი	C მეკავშირე
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	500	350	200
ინვესტიციები: B-ში 80,000 ცალი აქცია	330		
C-ში 27,500 ცალი აქცია	<u>80</u>		
სულ გრძელვადიანი აქტივები	910	350	200
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგი	280	100	85
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	25	40	28
მოთხოვნა B-ს მიმართ	10		
ფულადი სახსრები	<u>75</u>	<u>45</u>	<u>50</u>
სულ მოკლევადიანი აქტივები	390	185	163
სულ აქტივები	1,300	535	363
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			

საკუთარი კაპიტალი და რეზერვები			
ჩვეულებრივი აქციები (ნომინალი 1 ლარი)	400	100	110
გაუნაწილებელი მოგება	840	393	236
სულ საკუთარი კაპიტალი	1,240	493	346
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	15	20	10
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	45	12	7
ვალდებულება AA-ს მიმართ		10	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	60	42	17
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,300	535	363

დამატებითი ინფორმაცია:

1. შვილობილი და მეკავშირე საწარმოების გაუნაწილებელი მოგება შეძენის დღეს შეადგენდა: B - 250 ათას ლარს; C - 150 ათას ლარს;
2. B საწარმოს შენობის რეალური ღირებულება 30 ათასი ლარით აღემატება მის საბალანსო ღირებულებას. შენობის გამოყენების ვადა 10 წელია;
3. B საწარმომ 20%-იანი ფასნამატით მიჰყიდა M საწარმოს საქონელი 45,000 ლარად. საქონლის მესამედი მარაგშია.
4. შვილობილი საწარმოს წილის რეალური ღირებულება შეფასდა 85 ათას ლარად. კონსოლიდირებული ბალანსის მოსამზადებლად გავაკეთოთ სათანადო სტანდარტული გაანგარიშებები.

გაანგარიშება 1. ჯგუფის სტრუქტურა (წილები)

სტატუსი	წილი
მშობელი M	100 %
შვილობილი B	$80,000/100,000 = 80\%$
მეკავშირე C	$27,500/110,000 = 25\%$

გაანგარიშება 2. შვილობილი და მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივები (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	შემენის თარიღისათვის	საანგარიშგებო თარიღისათვის
1	2	3
	შვილობილი საწარმო	
სააქციო კაპიტალი	100	100
გაუნაწილებელი მოგება	250	393
შენობის რეალური ღირებულება	<u>30</u>	<u>27</u> **
	380	520
	მეკავშირე საწარმო	
სააქციო კაპიტალი	110	110
გაუნაწილებელი მოგება	<u>150</u>	<u>236</u>
	260	346

შენობის აფასება:

დებეტი - შენობა (ჯგუფის) 30,000

კრედიტი - გადაფასების რეზერვი (ჯგუფის) 30,000

შენობის ცვეთის ხარჯად აღიარება (30,000/10 წ.) 3,000 ლარი:

დებეტი - გაუნაწილებელი მოგება (ჯგუფის) 3,000

კრედიტი - შენობა (ჯგუფის) 3,000

გაანგარიშება 3. გუდვილი (ათასი ლარი)

ინვესტიციის თვითღირებულება	330
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	85
ჯამი	415
შემენილი წმინდა აქტივები რეალური ღირებულება	<u>(380)</u>

* ამ თანხის 80% მშობელი საწარმოს გუდვილის გაანგარიშებაში დებულობს მონაწილეობას, 20% – არამაკონტროლებელი წილის გუდვილის გაანგარიშებაში.

** შემცირებული ერთი წლის ცვეთის თანხით: $30,000 * 1/10 = 3,000$ ლარი; $30,000 - 3,000 = 27,000$ ლარი.

გუდვილი	35
---------	----

გაანგარიშება 4. მარაგში არარეალიზებული მოგება (ლარი)

არარეალიზებული მოგება: $(45,000 * 1/3) * 20/120$	2,500
მ.შ. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება $(2,500 * 80\%)$	2,000
არამაკონტროლებელი წილი $(2,500 * 20\%)$	500

დებეტი - გაუნაწილებელი მოგება (ჯგუფის)	2,000
დებეტი - არამაკონტროლებელი წილი	500
კრედიტი - მარაგი (ჯგუფის)	2,500

გაანგარიშება 5. არამაკონტროლებელი წილი (ათასი ლარი)

არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღით	85
არამაკონტროლებელი წილი შეძენის შემდგომ რეზერვებში $[(520-380) * 20\%]$	28
არარეალიზებული მოგება (გაანგ.4)	<u>(0,5)</u>
არამაკონტროლებელი წილი საანგარიშგებო თარიღისათვის	112,5

გაანგარიშება 6. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება

მაჩვენებლები	ათასი ლარი	ათასი ლარი
მშობელი საწარმო (100%)		840
შვილობილი საწარმო - ჯგუფის წილი შეძენის შემდგომ მოგებაში $(393 - 250) * 80\%$	114,4	
შენობის ცვეთა $(3 * 80\%)$	(2,4)	
მარაგში არარეალიზებული მოგება (გ.4)	<u>(2)</u>	110
მეკავშირე საწარმო - ჯგუფის წილი შეძენის		

შემდგომ მოგებაში: $(236 - 150) * 25\%$		<u>21,5</u>
ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება		971,5

გაანგარიშება 7. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში (ათასი ლარი)

ინვესტიციის თვითღირებულება	80
შემდგომი მოგება: $(236 - 150) * 25\%$	<u>21,5</u>
	101,5

10 ათასი ლარის ურთიერთ ანგარიშსწორება (მოთხოვნა და ვალდებულება) ანულირდება და არ აისახება კონსოლიდირებულ ბალანსში.

M ჯგუფის კონსოლიდირებული ბალანსი
მიმდინარე წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები $(500 + 350 + 27)$	877
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში (გ.7)	101,5
გუდვილი (გ.3)	<u>35</u>
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,013,5
მოკლევადიანი აქტივები	
მარაგი $(280 + 100 - 2,5)$	377,5
სავაჭრო დებიტორული დავალიანება $(25 + 40)$	65
ფულადი სახსრები $(75 + 45)$	<u>120</u>
სულ მოკლევადიანი აქტივები	<u>562,5</u>
სულ აქტივები	1,576
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა კაპიტალი	
ჩვეულებრივი აქციები	400

გაუნაწილებელი მოგება (გ.6)	971,5
	1,371,5
არამაკონტროლებელი წილი (გ.5)	112,5
სულ საკუთარი კაპიტალი	1,484
მიკლევადიანი ვალდებულებები	
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (45 + 12)	57
საგადასახადო ვალდებულებები (15 + 20)	35
სულ მიკლევადიანი ვალდებულებები	92
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,576

მეკავშირე საწარმოს შემენის დროს უნდა მოხდეს მისი წმინდა აქტივების ღირებულების კორექტირება, როგორც შვილობილი საწარმოს შემთხვევაში.

მეკავშირე საწარმო არ მიიჩნევა ჯგუფის წევრად და ამიტომ მეკავშირე საწარმოსა და ჯგუფის წევრს შორის სავაჭრო ურთიერთობებით წარმოქმნილი დებიტორ-კრედიტორული ნაშთები არ ანულირდება და რჩება კონსოლიდირებულ ბალანსში.

ხოლო არარეალიზებული მოგება ახდენს გავლენას ჯგუფის გაუნაწილებელ მოგებაზე, ამიტომ მარაგში არსებული არარეალიზებული მოგებით უნდა დაკორექტირდეს გამყიდვლის მოგება – მოგების ანულირება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში.

- თუ გამყიდველი მშობელი საწარმოა, ანულირება გაკეთდება გატარებით:
 დებეტი – გაუნაწილებელი მოგება (ჯგუფის)
 კრედიტი – ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში
- თუ გამყიდველი მეკავშირე საწარმოა, ანულირება გაკეთდება გატარებით:
 დებეტი – გაუნაწილებელი მოგება (ჯგუფის)
 კრედიტი – მარაგი (ჯგუფის)

3. მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში

წილობრივი მეთოდის თანახმად მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება არ უნდა მოიცავდეს მიღებულ დივიდენდებს, არამედ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ჯგუფის წილს მეკავშირე საწარმოს დაბეგვრის შემდგომ მოგებაში .

მაგალითი 5. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ქვემოთ წარმოდგენილია M ჯგუფის მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია:

მოვამზადოთ M ჯგუფის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.

(ათასი ლარი)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	M	B	C
	საწარმო	საწარმო	საწარმო
ამონაგები რეალიზაციიდან	400	310	290
რეალიზებული თვითღირებულება	<u>(150)</u>	<u>(120)</u>	<u>(190)</u>
საერთო მოგება	250	190	100
საოპერაციო ხარჯები	<u>(70)</u>	<u>(50)</u>	<u>(40)</u>
მოგება დაბეგვრამდე	180	140	60
მოგების გადასახადი	<u>(27)</u>	<u>(21)</u>	<u>(9)</u>
მოგება დაბეგვრის შემდეგ	153	119	51

დამატებითი ინფორმაცია:

1. მშობელი საწარმოს წილი შეადგენს: B-ს კაპიტალში 90%, C-ს კაპიტალში 30%;
2. გუდვილი გაუფასურდა 5 ათასი ლარით, გუდვილის გაუფასურება მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს;
3. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში გაუფასურდა 4 ათასი ლარით.

კონსოლიდაციის ცხრილი (ათასი ლარი):

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	M საწარმო	B საწარმო	კონსოლი- დაცია
ამონაგები რეალიზაციიდან	400	310	710 (400 + 310)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(150)	(120)	(270) (150 + 120)
საოპერაციო ხარჯები	(70)	(50)	(125) (70+50+5*)
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი [(51 * 30%) - 4**]			<u>11,3</u>
მოგების გადასახადი	<u>(27)</u>	<u>(21)</u>	(48) (27 + 21)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	153	119	278,3

არამაკონტროლებელი წილი: $119 * 10\% = 11,9$ ათასი ლარი.

მიმდინარე წლის M ჯგუფის კონსოლიდირებული

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

ამონაგები რეალიზაციიდან	710
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	<u>(270)</u>
საერთო მოგება	440
საოპერაციო ხარჯები	<u>(125)</u>
საოპერაციო მოგება	315
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი	<u>11,3</u>
მოგება დაბეგვრამდე	326,3
მოგების გადასახადი	<u>(48)</u>

* გუდვილის გაუფასურება.

** ინვესტიციის გაუფასურება.

საანგარიშგებო პერიოდის მოგება	278,3
თანხა მისაკუთვნებელი:	
მშობელი საწარმოს აქციონერებზე (278,3-11,9)	266,4
არამაკონტროლებელ წილზე	11,9

მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები გამოირიცხება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშებიდან და მის ნაცვლად აისახება ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში.

მაგალითი 6. მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები

ქვემოთ წარმოდგენილია M ჯგუფის და მისი მეკავშირე საწარმოს მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია.

მოვამზადოთ კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და ბალანსი.

მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

	M საწარმო	B საწარმო	C საწარმო
ამონაგები რეალიზაციიდან	400	250	100
საოპერაციო ხარჯები	(200)	(100)	(50)
საერთო მოგება	200	150	50
მიღებული დივიდენდები: B-დან	20		
C-დან	8		
სხვა საწარმოსაგან	3		
დასაბეგრი მოგება	231	150	50
მოგების გადასახადი	(24)	(23)	(8)
მიმდინარე წლის მოგება	207	127	42

ბალანსი მიმდინარე წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი)

	M საწარმო	B საწარმო	C საწარმო
ინვესტიცია B-ში 90%	400		
ინვესტიცია C-ში 30%	190		
სხვა აქტივები	<u>400</u>	<u>630</u>	<u>500</u>
სულ აქტივები	990	630	500
აქციები	400	280	200
გაუნაწილებელი მოგება	530	300	255
ვალდებულებები	<u>60</u>	<u>50</u>	<u>45</u>
კაპიტალი და ვალდებულებები	990	630	500

დამატებითი ინფორმაცია:

- არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეფასდა 43 ათას ლარად.
- გაუნაწილებელი მოგება შექმნის დღეს შეადგენდა:
B საწარმოში _ 150 ათას ლარს;
C საწარმოში _ 180 ათას ლარს.
- გუდვილი გაუფასურდა 5 ათასი ლარით, ხოლო ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში - 10 ათასი ლარით.

გავაკეთოთ სტანდარტული გაანგარიშებები:

გაანგარიშება 1. ჯგუფის სტრუქტურა _ წილი კაპიტალში

- B საწარმო _ შვილობილი საწარმოა, წილი - 90%;
C საწარმო _ მეკავშირე საწარმოა, წილი - 30%.

გაანგარიშება 2. წმინდა აქტივები (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	შექმნის თარიღისათვის	საანგარიშგებო თარიღისათვის
	შვილობილი საწარმო (B)	
ჩვეულებრივი აქციები	280	280

გაუნაწილებელი მოგება	<u>150</u>	<u>300</u>
	430	580
	მეკავშირე საწარმო (C)	
ჩვეულებრივი აქციები	200	200
გაუნაწილებელი მოგება	<u>180</u>	<u>255</u>
	380	455

განგარიშება 3. გუდვილი (ათასი ლარი)

ინვესტიციის თვითღირებულება B-ში	400
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	<u>43</u>
	443
შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	<u>(430)</u>
გუდვილი	<u>13</u>
გუდვილის გაუფასურება	<u>(5)</u>
გუდვილი (ბალანსში)	<u>8</u>

განგარიშება 4. არამაკონტროლებელი წილია (თასი ლარი)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში (127 * 10%)	12,7
ბალანსში (580 * 10%)	58

ან, ბალანსისათვის:

მაჩვენებლები	ათასი ლარი
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღით	43
არამაკონტროლებელი წილი შეძენის შემდგომ რეზერვებში [(430-580) * 10%]	<u>15</u>
არამაკონტროლებელი წილი საანგარიშგებო თარიღისათვის	58

განგარიშება 5. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება

წილი წმინდა აქტივებში	ათასი ლარი
-----------------------	------------

მშობელი საწარმო - M (100%)	530
შვილობილი საწარმო - B (300 - 150) * 90%	135
მეკავშირე საწარმო - C (255 - 180) * 30%	22,5
გუდვილის გაუფასურება	(5)
მეკავშირე საწარმოს გაუფასურება	<u>(10)</u>
ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება	672,5

განგარიშება 6. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში (ათასი ლარი)

ინვესტიციის თვითღირებულება	190
შემენის შემდგომი მოგება (255 - 180) * 30%	22,5
გაუფასურება	<u>(10)</u>
ინვესტიციის ღირებულება	202,5

განგარიშება 7. ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს მიმდინარე წლის მოგებაში (ათასი ლარი):

$$(42 * 30\%) - 10^{10} = 2,6$$

M ჯგუფი _ მიმდინარე წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებული ბალანსი (ათასი ლარი)

აქტივები	
გუდვილი (გ.3)	8
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში (გ. 6)	202,5
სხვა აქტივები (400 + 630)	<u>1,030</u>
სულ აქტივები	1,240,5
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	

¹⁰ გაუფასურება.

მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი	400
გაუნაწილებელი მოგება (გ.5)	<u>672,5</u>
	1,072,5
არამაკონტროლებელი წილი (გ.4)	<u>58</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	1,130,5
მოკლევადიანი ვალდებულებები (60 + 50)	<u>110</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,240,5

**M ჯგუფი – მიმდინარე წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის
კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
(ათასი ლარი)**

ამონაგები რეალიზაციიდან (400 + 250)	650
საოპერაციო ხარჯები (200 + 100)	<u>(300)</u>
საერთო მოგება	350
საინვესტიციო შემოსავალი (სხვა საწარმოსაგან)	3
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი (გ.7)	<u>2,6</u>
მოგება დაბეგვრამდე	355,6
მოგების გადასახადი (24 + 23)	<u>(47)</u>
საანგარიშგებო წლის მოგება	308,6
მოგება მისაკუთვნიებული:	
არამაკონტროლებელ წილზე (გ.4)	12,7
მოგება მისაკუთვნიებული M-ის აქციონერებზე	295,9

მაგალითი 7. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მიმდინარე წლის იანვარში M საწარმომ შეიძინა B და C საწარმო. ქვემოთ წარმოდგენილია M ჯგუფის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია: მოვამზადოთ ჯგუფის კონსოლიდირებული ბალანსი.

წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

	M	B	C
ამონაგები	800	505	410
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(500)	(220)	(270)
საერთო მოგება	300	285	140
შვილობილ საწარმოდან მიღებული დივიდენდები	7		
მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები	5		
საოპერაციო ხარჯები	(120)	(100)	(15)
მოგება დაბეგვრამდე	192	185	125
მოგების გადასახადი	(32)	(35)	(25)
წმინდა მოგება დივიდენდების გადახდამდე	160	150	100
გადახდილი დივიდენდები		(7)	(5)
წმინდა მოგება დივიდენდების გადახდის შემდეგ		143	95

დამატებითი ინფორმაცია:

1. M საწარმო ფლობს B საწარმოს კაპიტალის 80%-ს და C საწარმოს კაპიტალის 25%-ს.
2. B საწარმოს საამქროს შენობის რეალური ღირებულება 30 ათასი ლარით აღემატება მის საბალანსო ღირებულებას. შენობის გამოყენების ვადა 10 წელია.
3. B საწარმომ 20%-იანი ფასნამატით მიჰყიდა M საწარმოს საქონელი 45,000 ლარად. საქონლის მესამედი მარაგშია.
4. გუდვილი არ გაუფასურებულა.

კონსოლიდირებული ბალანსის მოსამზადებლად გავაკეთეთ სათანადო სტანდარტული გაანგარიშებები.

განგარიშება 1. ამონაგები (ათასი ლარი)

M საწარმო	800
B საწარმო	505
ამონაგები შიდაჯგუფური რეალიზაციიდან	(45)
	1,260

განგარიშება 2. საამქროს შენობის დამატებითი ცვეთა

შვილობილი საწარმოს საამქროს შენობის აფასებული ღირებულებიდან ცვეთის დარიცხვა - (30,000/10 წ.) 3,000 ლარი:

დებეტი _ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (შვილობილი საწარმო)	3,000
კრედიტი _ შენობის დაგროვილი ცვეთა	3,000

განგარიშება 3. მარაგის შიდაჯგუფური ვაჭრობის ელიმინირება (ათასი ლარი):

მარაგის შიდაჯგუფურმა ვაჭრობამ შეადგინა 45 ათასი ლარი, მისი ანულირება ნიშნავს ამონაგებისა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულების შემცირებას და ჯგუფის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აისახება გატარებით:

დებეტი - ამონაგები	45,000
კრედიტი - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	45,000

განგარიშება 4. მარაგში არარეალიზებული მოგების ანულირება (ათასი ლარი):

არარეალიზებული მოგება მარაგში შეადგენს 2,500 ლარს $\{(45,000 * 1/3) * 20/120\}$. ვინაიდან მოგება წარმოიქმნა შვილობილ საწარმოში, უნდა დაკორექტირდეს მისი რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.

ეს კორექტირება ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება გატარებით:

დებიტი - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (შვილობილი საწარმო)	2,500
კრედიტი - მარაგი (ჯგუფის)	2,500

თავის მხრივ, მარაგის საბოლოო ნაშთის შემცირება გავლენას ახდენს რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაზე - **ზრდის მას, რითაც ელიმინირდება მოგება.**

განგარიშება 5. ჯგუფის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

(რსთ) - ათასი ლარი:

M საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	500
B საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	220
შენობის აფასებული ღირებულებიდან დამატებითი ცვეთის დარიცხვა (გ.2)	3
მარაგის შიდაჯგუფური რეალიზაციის ელიმინირება (გ.3)	(45)
მარაგში არარეალიზებული მოგების ელიმინირება (გ.4)	<u>2,5</u>
კორექტირებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	680,5

განგარიშება 6. მეკავშირე საწარმოს მოგების წილი (ათასი ლარი)

$$100 * 25\% = 25$$

განგარიშება 7. არამაკონტროლებელი წილი (ათასი ლარი)

B საწარმოს პერიოდის წმინდა მოგება	150
დამატებითი ცვეთა	(3)
მარაგში არარეალიზებული მოგება	<u>(2,5)</u>
	<u>144,5</u>
არამაკონტროლებელი წილი (144,5 * 20%)	28,9

წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

ამონაგები (გ.1)	1,260
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (გ.5)	(680,5)
საერთო მოგება	579,5
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი (გ.6)	25
საოპერაციო ხარჯები (120 + 100)	(220)
მოგება დაბეგვრამდე	384,5
მოგების გადასახადი (32 + 35)	(67)
პერიოდის მოგება	317,5
მოგება მისაკუთვნიბელი:	
ამაკონტროლებელ წილზე (გ.7)	28,9
მშობელი საწარმოს აქციონერებზე (317,5 - 28,9)	288,6

თავი 6. ერთობლივი საქმიანობა

1. ერთობლივი საქმიანობის იდენტიფიცირება
2. ერთობლივი საწარმოს აღრიცხვა
3. ერთობლივი ოპერაციების აღრიცხვა

1. ერთობლივი საქმიანობის იდენტიფიცირება

ფასს 11 „ერთობლივი საქმიანობის“ (joint arrangements) თანახმად ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივ საქმიანობას გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

ა) მხარეები ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან სახელშეკრულებო შეთანხმებით;


ბ) სახელშეკრულებო შეთანხმება ორ ან მეტ მონაწილე მხარეს ამ საქმიანობის ერთობლივი კონტროლის უფლებას ანიჭებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია შეთანხმების იდენტიფიცირება, რათა დადასტურდეს ერთობლივი საქმიანობის არსებობა (იხ.ილუსტრაცია 1). შეთანხმების იდენტიფიცირებით დგინდება ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეთა ერთობლივი კონტროლის არსებობა და მათი ერთობლივ საქმიანობაში მონაწილედ კლასიფიკაციის (მიკუთვნების) შესაძლებლობა.

ერთობლივი კონტროლი არის ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლება ამა თუ იმ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

ილუსტრაცია 1.

ერთობლივი საქმიანობის შეთანხმების იდენტიფიცირება³⁶




ერთობლივი კონტროლის განსაზღვრაში მთავარია არა იურიდიული სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ერთობლივი საქმიანობა, არამედ უფლება-მოვალეობების განაწილება ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა შორის. მაგრამ, ერთობლივ კონტროლს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც არსებითი/რელევანტური საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ერთსულოვან თანხმობას მაკონტროლებელი მხარეების მიერ.

ერთობლივი კონტროლის არსებობის დასადგენად ერთობლივი საწარმოს მხარის მიერ შესასრულებელია შემდეგი პროცედურები:

³⁶ Ernst & Young. An overview of IFRS (IFRS) 10. "Consolidated Financial Statements ", IAS (IFRS) 11 "Agreement on joint activities "and IFRS (IFRS) 12 "Disclosures of Interests in Other companies " council. p.6.

- 1) არსებითი/რელევანტური საქმიანობის სახეების იდენტიფიცირება;
- 2) არსებითი საქმიანობის სახეების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხერხების იდენტიფიცირება;
- 3) ერთობლივ საქმიანობაზე კოლექტიური კონტროლის არსებობის იდენტიფიცირება (ერთობლივი საქმიანობის ყველა მხარისათვის იმ საქმიანობის მართვაში ერთობლივად მონაწილეობის აუცილებლობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ერთობლივი საქმიანობის შემოსავლებზე);
- 4) კოლექტიური კონტროლის განმახორციელებელ მხარეთა ერთობლივი თანხმობის აუცილებლობის შეფასება (მათ შორის ცალკეული მხარის მიერ კონტროლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის იდენტიფიკაცია).


ერთობლივი კონტროლის მახასიათებლები წარმოდგენილია ილუსტრაციის სახით:



ერთობლივი საქმიანობის სახეების დასადგენად ერთობლივი საქმიანობის მონაწილე მხარემ უნდა ჩაატაროს ანალიზი – გაერკვეს ერთობლივი საქმიანობის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებში; შეისწავლოს შეთანხმებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და სხვა პირობები.


ერთობლივი საქმიანობის შეთანხმების კლასიფიკაციის საფუძველზე დგინდება ერთობლივი საქმიანობის სახეები.

ერთობლივი საქმიანობის შეთანხმების კლასიფიკაცია³⁷
(ერთობლივი საქმიანობის სახეები)



³⁷ Ernst & Young. An overview of IFRS (IFRS) 10. „Consolidated Financial Statements“, IAS (IFRS) 11 „Agreement on joint activities“ and IFRS (IFRS) 12 „Disclosures of Interests in Other companies“ council. p.7.

ერთობლივი საქმიანობა ან ერთობლივი ოპერაციაა, ან ერთობლივი საწარმო. ამდენად, ერთობლივი საქმიანობის იდენტიფიცირების შემდეგ საწარმომ უნდა დაადგინოს იმ ერთობლივი საქმიანობის ტიპი, რომელშიც მონაწილეობს. ერთობლივი საქმიანობა ან ერთობლივი ოპერაციაა, ან ერთობლივი საწარმო



ერთობლივი საქმიანობის კლასიფიკაცია ერთობლივ ოპერაციად, ან ერთობლივ საწარმოდ დამოკიდებულია ამ საქმიანობის მონაწილე მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებზე.

ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე. ამგვარ მხარეებს ერთობლივ ოპერატორებს უწოდებენ.

ერთობლივი საწარმო აღნიშნავს ისეთ ერთობლივ საქმიანობას, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ამგვარ მხარეებს ერთობლივ მეწილეებს

უწოდებენ, ეს არის მხარე, რომელსაც გააჩნია ერთობლივი კონტროლის უფლება ერთობლივ საწარმოზე.

როდესაც ერთობლივი საქმიანობა არ არის სტრუქტურირებული იურიდიულ პირად, შეთანხმება ავტომატურად კლასიფიცირდება ერთობლივ ოპერაციად. მაგრამ, ერთობლივი კონტროლი და იურიდიულად დამოუკიდებელ პირად არსებობა არ არის საკმარისი ერთობლივად კონტროლირებადი საქმიანობად აღიარებისათვის. საქმიანობის მონაწილემ უნდა მოახდინოს ერთობლივი საქმიანობის აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ თავისი უფლებების იდენტიფიცირება.

2. ერთობლივი საწარმოს აღრიცხვა


ფასს 11-ით ერთობლივმა მეწილემ ერთობლივ საწარმოში კუთვნილი წილი უნდა აღიაროს, როგორც ინვესტიცია და ეს ინვესტიცია ასახოს წილობრივი მეთოდით, ბასს 28-ის – „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ – შესაბამისად, თუ საწარმო განთავისუფლებული არ არის წილობრივი მეთოდის გამოყენების მოთხოვნისაგან ამ სტანდარტის მიხედვით. ინვესტიციები ერთობლივად კონტროლირებად ოპერაციებში კი აისახება მონაწილეთა წილების პროპორციულად.

ინვესტიციების შეფასება ერთობლივ საქმიანობაში



ამავდროულად, მხარემ, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ საწარმოში, მაგრამ არ გააჩნია ერთობლივი კონტროლი მასზე, ამ საქმიანობაში ფლობილი წილი უნდა აისახოს ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ – შესაბამისად, თუ მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ამ ერთობლივ საწარმოზე, ხოლო თუ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ერთობლივ საწარმოზე, მან თავისი წილი უნდა ასახოს ბასს 28-ის შესაბამისად წილობრივი მეთოდით.

ინვესტიციების შეფასება კონტროლის შესაბამისად




ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

იმ შემთხვევაში, თუ მშობელი საწარმო კონსოლიდირებულ ანგარიშგებასთან ერთად ან მის გარეშე, ამზადებს ინდივიდუალურ ანგარიშგებას, ფასს 11-ით ერთობლივმა ოპერატორმა ან ერთობლივმა მეწილემ ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის წილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

ა) ერთობლივი ოპერაციის შემთხვევაში – 20-22 პუნქტების შესაბამისად, თავისი წილი ერთობლივ აქტივებში, ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში, ერთობლივად მიღებულ ამონაგებში და ერთობლივად გაწეულ ხარჯებში;

ბ) ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში – ბასს 27-ის მე-10 პუნქტის შესაბამისად თვითღირებულებით; ფასს 9-ის შესაბამისად; ან, წილობრივი მეთოდით ბასს 28-ის შესაბამისად.

ერთობლივ საქმიანობაში ინვესტიციების ასახვა საერთო დანიშნულების და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მე-7 ილუსტრაციით.



მაგალითი 1. ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო – სასტუმროს ერთობლივად შექმნა და ექსპლუატაცია

მიმდინარე წლის დასაწყისში A და B საწარმომ ბაკურიანში დააფუძნეს საწარმო C - სასტუმრო, რომელიც უწევს სტუმრებს სრულ სერვისს – სასტუმროში ცხოვრება, კვება, აუზით, სპორტდარბაზით და ინტერნეტით სარგებლობა. სასტუმროს ბიზნესის შექმნაში A საწარმომ გადაიხადა 495 ათასი ლარი, ხოლო B საწარმომ – 405 ათასი ლარი,

სულ 900 ათასი ლარი. A საწარმო ფლობს 55%, ხოლო B საწარმო – 45%. ხელშეკრულების თანახმად, არც ერთ მხარეს არ აქვს საქმიანობის უპირობო კონტროლის უფლება. კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად. შეთანხმება იდენტიფიცირებულია ერთობლივ კონტროლირებად საწარმოდ.

საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები C-ში შეფასებულია თვითღირებულებით და შეადგენს: A-თან – 495 ათას ლარს; B-თან – 405 ათას ლარს. მოვამზადოთ ინვესტორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში მონაწილეობა მეწილემ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში უნდა აღიაროს წილობრივი მეთოდით.

ზემოთ განხილულ მაგალითში ერთობლივ საწარმოში მონაწილეთა ფინანსური ანგარიშგება ასე გამოიყურება:

პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

მუხლები	A საწარმო	B საწარმო	C საწარმო
შემოსავალი	100	70	50
ხარჯები	<u>60</u>	<u>40</u>	<u>30</u>
მოგება	40	30	20

ბალანსი წლის ბოლოსათვის (ათასი ლარი)

მუხლები	A საწარმო	B საწარმო	C საწარმო
ძირითადი საშუალებები	250	220	787
ინვესტიცია C საწარმოში	495	405	–
მარაგები	105	75	145
მოთხოვნები	<u>45</u>	<u>15</u>	<u>18</u>
სულ აქტივები	895	715	950
სააქციო კაპიტალი	200	150	900
გაუნაწილებელი მოგება	<u>662</u>	<u>555</u>	<u>20</u>
საკუთარი კაპიტალი	862	705	920
ვალდებულებები	<u>33</u>	<u>10</u>	<u>30</u>

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	895	715	950
--	-----	-----	-----

მოვამზადოთ კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება და ბალანსი წილობრივი მეთოდით.

ინვესტორი საწარმოს წილი ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში არის მისი წილი შეძენის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაში.

პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ათასი ლარი)

მუხლები	A საწარმო	B საწარმო
შემოსავალი	100	70
ხარჯები	<u>60</u>	<u>40</u>
მოგება	40	30
ერთობლივ საწარმოში მოგების წილი	11 (20*55%)	9 (20*45%)
სულ მოგება	51	39

კონსოლიდირებული ბალანსის მოსამზადებლად გავიანგარიშოთ ინვესტიციის თვითღირებულება და გაუნაწილებელი მოგება.

ინვესტიციის თვითღირებულება (ათასი ლარი)

ჩაჩვენებლები	A საწარმო	B საწარმო
ინვესტიციის თვითღირებულება	495	405
წილი შეძენის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაში	11 (20*55%)	9 (20*45%)
სულ	506	414

ინვესტორის გაუნაწილებელი მოგება (ათასი ლარი)

ჩაჩვენებლები	A საწარმო	B საწარმო
გაუნაწილებელი მოგება	662	555

წილი შეძენის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაში	11 (20*55%)	9 (20*45%)
სულ	673	564

კონსოლიდირებული ბალანსი (ათასი ლარი)

მუხლები	A საწარმო	B საწარმო
ძირითადი საშუალებები	250	220
ინვესტიცია C საწარმოში	506	414
მარაგები	105	75
მოთხოვნები	<u>45</u>	<u>15</u>
სულ აქტივები	906	724
სააქციო კაპიტალი	200	150
გაუნაწილებელი მოგება	673	564
საკუთარი კაპიტალი	<u>873</u>	<u>714</u>
ვალდებულებები	<u>33</u>	<u>10</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	906	724

3. ერთობლივი ოპერაციების აღრიცხვა

ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციები ნიშნავს ორი ან მეტი ოპერატორის *მიერ* თავის ოპერაციებისა და რესურსების, გამოცდილებისა და ცოდნის გაერთიანებას, რათა ერთობლივად აწარმოონ, გაყიდონ და გაანაწილონ კონკრეტული პროდუქცია. ამისათვის არ არის საჭირო რაიმე ტიპის საწარმოს დაფუძნება. ერთობლივი საქმიანობა *მონაწილეების* აქტივებისა და სხვა რესურსების გამოყენებას უფრო გულისხმობს, ანუ თითოეული ერთობლივი საქმიანობის მონაწილე იყენებს თავის ძირითად საშუალებებს და გააჩნია საკუთარი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. იგი აგრეთვე გასწევს ხარჯებს და იღებს გარკვეულ ვალდებულებებს, მოიპოვებს საკუთარ ფინანსურ სახსრებს, რაც მის საკუთარ ვალდებულებას წარმოადგენს. საწარმოო პროცესის ცალკეული ოპერაციები ხორციელდება ცალკეული *მონაწილის*

(ოპერატორის) მიერ. თითოეული მონაწილე გასწევს საკუთარ ხარჯებს და პროდუქციის გაყიდვიდან მიიღებს შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია სახელშეკრულებო შეთანხმებით.

ერთობლივი ოპერაციების შეთანხმება, როგორც წესი, გულისხმობს ერთობლივი პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლისა და ერთობლივი საქმიანობის სფეროში გაწეული ხარჯების განაწილების წესის არსებობას, *მონაწილეებს* შორის. ერთობლივი საქმიანობის მეწილემ, ერთობლივად კონტროლირებად საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

- ა) აქტივები, რომლებსაც ის აკონტროლებს და ვალდებულებები, რომლებსაც თვითონ იღებს; და
- ბ) გაწეული საკუთარი ხარჯები და თავისი წილი ერთობლივი საქმიანობის საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებში.

შეიძლება ერთობლივი ოპერაციებისათვის აუცილებელი არ იყოს ცალკე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადება ერთობლივი საქმიანობისათვის. მიუხედავად ამისა, *სრულყოფილებიანმა მონაწილემ* მაინც უნდა მოამზადოს მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშები, რათა განსაზღვროს ერთობლივი საქმიანობის ფუნქციონირების ეფექტურობა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ერთობლივი ოპერაციებიდან ფინანსური შედეგების გასაანგარიშებლად მზადდება ერთობლივი საქმიანობის მემორანდუმი, რომელშიც ასახულია გაერთიანების შემოსავლები და ხარჯები, მიღებული მოგება ნაწილდება შეთანხმებით გათვალისწინებული პროპორციების შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ მონაწილეთა შორის საქონლის გადაადგილება არ მიიღება მხედველობაში, ვინაიდან გადაადგილება არ ახდენს გავლენას იმაზე, თუ ვინ გასწია ხარჯი (გადაიხადა მისი ღირებულება).

ერთობლივი ოპერაციები აღირიცხება ერთობლივი საქმიანობის *მონაწილის წილით ერთობლივ საქმიანობაში*. ამ მეთოდის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის მონაწილის წილი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს აქტივებში, ვალდებულე-

ბებში, შემოსავლებსა და ხარჯებში გაერთიანებულია სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსგავს მუხლში, ან წარდგენილია ცალკე მუხლად სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამიტომ, პროპორციული კონსოლიდაციის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს წარდგენის ორი ფორმიდან ერთ-ერთი. პროპორციული კონსოლიდაციის მეთოდის გამოყენება ნიშნავს, რომ **ერთობლივი ოპერაციების მეწილე** თავის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახავს **საკუთარ წილს ერთობლივად კონტროლირებად ოპერაციებში** ან აქტივებში და აგრეთვე ერთობლივი ვალდებულებების იმ წილს, რომლისთვისაც იგი არის პასუხისმგებელი. **ერთობლივი საქმიანობის ოპერაციების მეწილის** სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს მის წილს ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებში.

ერთობლივი საქმიანობის მონაწილემ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება **პირდაპირ შეკრიბოს ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში თავისი წილის შესაბამისი თანხები და თავისი ანალოგიური მუხლები**. მაგალითად, მას შეუძლია გააერთიანოს ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში თავისი წილი და საკუთარი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს ძირითად საშუალებებში დაბანდებული თავისი წილი და საკუთარი ანალოგიური მუხლების თანხები. ალტერნატიულად, **სრულუფლებიან მონაწილეს** შეუძლია ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს აქტივებში, ვალდებულებებში, შემოსავლებსა და ხარჯებში არსებული თავისი წილის შესაბამისი **ცალკეული მუხლი ჩართოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში**; მაგალითად, მას შეუძლია ასევე თავისი წილი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს მიმდინარე აქტივებში **ცალკე აჩვენოს**, საკუთარი მიმდინარე აქტივების შემადგენელი ნაწილის სახით; ასევე თავისი წილი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს ძირითად საშუალებებში, საკუთარი ძირითადი საშუალებების შემადგენელი ნაწილის სახით. ორივე საანგარიშგებო ფორმა შედეგად გვაძლევს

მოგების ან ზარალის და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ერთსა და იმავე რაოდენობას.

მაგალითი 2. ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციები - სასტუმროს ერთობლივად ექსპლუატაცია

A და B საწარმომ დადეს ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომელსაც განახორციელებენ C საწარმოს - სასტუმროს მეშვეობით. თითოეული მონაწილის წილია კაპიტალის 50%. A და B საწარმო თანაბრად ინაწილებენ ერთმანეთში C საწარმოს აქტივებზე უფლებებს და პასუხისმგებლობას ვალდებულებებზე. გამონაკლისს წარმოადგენს:

სცენარი 1: A საწარმო 100% ფლობს მიწის ნაკვეთზე უფლებას და პასუხისმგებლობას კრედიტორულ დავალიანებაზე;

სცენარი 2: A საწარმო 100% ფლობს მიწის ნაკვეთზე უფლებას, ხოლო B საწარმო - 100% პასუხისმგებლობას კრედიტორულ დავალიანებაზე;

სცენარი 3. A და B საწარმოს ყველა აქტივზე და ვალდებულებებზე აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები.

შეთანხმება იდენტიფიცირებულია ერთობლივ ოპერაციად.

ინვესტორისათვის ერთობლივი ოპერაციების შედეგი.

C საწარმოს ბალანსი (ათასი ლარი)

მიწის ნაკვეთი	200
შენობა	100
სხვა აქტივები	<u>500</u>
	800
კაპიტალი	600
კრედიტორული დავალიანება	<u>200</u>
	800

ინვესტორისათვის ერთობლივი ოპერაციების შედეგი (ათასი ლარი)

მუხლები	სცენარი 1		სცენარი 2		სცენარი 3	
	A	B	A	B	A	B
მიწის ნაკვეთი	200	0	200	0	100	100
შენობა	50	50	50	50	50	50
სხვა აქტივები	250	250	250	250	250	250
კრედიტორული დავალიანება	(200)	0	0	(200)	(100)	(100)

მაგალითი 3. ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციები – სასტუმროს ერთობლივად აშენება და გაყიდვა

A, B და C საწარმომ დადეს შეთანხმება დამკვეთთან ერთობლივად სასტუმროს აშენებისა და გაყიდვის შესახებ. A საწარმო აანაზღაურებს შენობისა და აუზების მშენებლობას, B საწარმო – შიდა ინტერიერის მოწყობას, ხოლო C საწარმო – ლიფტების, გათბობისა და კონდიციონირების სისტემების დამონტაჟებას. მოგება საწარმოთა მხარეებს შორის განაწილდება მათი დანახარჯების ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან დანახარჯებში.

შეთანხმება იდენტიფიცირებულია ერთობლივად კონტროლირებად ოპერაციად.

სასტუმროს მყიდველთან შეთანხმებით საკონტრაქტო ფასი განისაზღვრა ხარჯებზე 20%-იანი ფასნამატის სიდიდით. ამდენად, ერთობლივ საქმიანობაში ყველა მონაწილეს ეფექტიანობა განისაზღვრა 20%-ით.

შედგა ხარჯთანუსხა, განისაზღვრა საწარმოთა მიერ გასაწევი ხარჯები და ყოველი საწარმოს წილი მთლიან დანახარჯებში (იხ.ცხრილი):

საწარმო	ხარჯები (ლარი)	ხვედრითი წილი (%)
A	1,392,000	29
B	2,208,000	46
C	<u>1,200,000</u>	<u>25</u>
სულ	4,800,000	100,00

ამდენად, ერთობლივად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაა (კონტრაქტის ფასი): $4,800,000 * 120\% = 5,760,000$ ლარი, ხოლო მოგება შეადგენს 960,000 ლარს ($5,760,000 - 4,800,000$).

მემორანდუმი ერთობლივად კონტროლირებად ოპერაციებზე გასაწევი ხარჯები და მისაღები ფინანსური შედეგი (იხ.ცხრილი):

საწარმო	შემოსავალი	ხარჯები	მოგება
1	2	3	4
A	1,670,400 ($5,760,000 * 29\%$)	1,392,000	278,400
B	2,649,600 ($5,760,000 * 46\%$)	2,208,000	441,600
C	1,440,000 ($5,760,000 * 25\%$)	<u>1,200,000</u>	<u>240,000</u>
სულ	5,760,000	4,800,000	960,000

როგორც უკვე აღინიშნა, თითოეული *ოპერატორი* გასწევს საკუთარ ხარჯებს და პროდუქციის გაყიდვიდან მიიღებს შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია სახელშეკრულებო შეთანხმებით. მის მიერ შესრულებული სამუშაოები (ან გადაცემული პროდუქცია) არ აღიარდება შემოსავლად. შემოსავლად აღიარდება ერთობლივად შესრულებული სამუშაოებიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული წილი.

საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც წესი, ერთობლივი საქმიანობისათვის ცალკე ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება არ წარმოებს. ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეთა ოპერაციები აისახება მათ აღრიცხვაში შემოსავლებისა და ხარჯების მხოლოდ საკუთარი წილის პროპორციულად.

შესაძლებელია აისახოს შემდეგი გატარებებით A საწარმოს მაგალითზე, სადაც ასახულია მხოლოდ საკუთარი წილი ხარჯებისა და შემოსავლების:

№	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	დაუმთავრებელი წარმოება (ერთობლივ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები – საკუთარი წილი)	1630		1,392,000
	სხვადასხვა ხარჯები		1610,1620,3110, და სხვა	1,392,000
	ერთობლივ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების აღიარება			
2	მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	1410		1,670,400
	შემოსავალი რეალიზაციიდან		6110	1,670,400
	სამუშაოების ჩაბარება, მოთხოვნის აღიარება და შემოსავლების აღიარება			

ფინანსური შედეგის გამოვლენა ხდება ჩვეულებრივად, დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშისა და შემოსავლის ანგარიშის მოგება-ზარალის ანგარიშზე გადატანით. B და C საწარმოები საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებენ თავიანთ წილს ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობით მიღებულ შემოსავალს. ერთობლივი საქმიანობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება არ ხდება.

✓ ერთობლივად კონტროლირებადი აქტივები

ზოგიერთი ერთობლივი ოპერაციები გულისხმობს ერთობლივი საქმიანობის *მონაწილეების* მიერ ერთობლივი საქმიანობის მიზნებისათვის შექმნილი აქტივების ერთობლივ მფლობელობასაც. ეს აქტივები გამოიყენება ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციების შესრულების დროს, *მონაწილეების* მიერ ერთობლივი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. თითოეულმა *მონაწილემ* შეიძლება მიიღოს მოცემული აქტივების გამოყენებით გამოშვებული პროდუქციის გარკვეული წილი და გაიღოს ხარჯების შეთანხმებული წილი.

ამგვარი ერთობლივი საქმიანობა არ გულისხმობს კორპორაციის, ამხანაგობის, ან სხვა ტიპის საწარმოს დაფუძნებას, ან სრულუფლებიანი მონაწილე საწარმოებისაგან განსხვავებული ფინანსური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. თითოეულ სრულუფლებიან

მონაწილეს გააჩნია მომავალ ეკონომიკურ სარგებელში თავისი წილის კონტროლის უფლება, ერთობლივად კონტროლირებად აქტივში საკუთარი წილის მეშვეობით.

ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსების მომპოვებელი დარგების მრავალი საწარმოსათვის დამახასიათებელია ერთობლივად კონტროლირებადი აქტივები. მაგალითად, ნავთობის მწარმოებელ კომპანიებს უფლება აქვთ ერთობლივად გაუწიონ ექსპლუატაცია ნავთობსადენებს და ერთობლივი კონტროლი განახორციელონ მასზე. თითოეული მონაწილე ნავთობსადენს იყენებს საკუთარი პროდუქტის ტრანსპორტირებისათვის, რის საფასურადაც იგი გაიღებს ნავთობსადენის ექსპლუატაციის ხარჯების შეთანხმებულ წილს. ერთობლივად კონტროლირებადი აქტივების მეორე მაგალითია, როდესაც ორი საწარმო ერთობლივად აკონტროლებს რაიმე ქონებას; თითოეულმა მათგანს აქვს თავისი წილი მიღებულ საიჯარო ქირაში და გაწეულ ხარჯებში.

ერთობლივად კონტროლირებად აქტივებში საკუთარ წილთან მიმართებაში, თითოეულმა მონაწილემ თავის ბუღალტრულ რეგისტრებში და საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

ა) საკუთარი წილი ერთობლივად კონტროლირებად აქტივებში, აქტივების საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით და არა როგორც ინვესტიცია. მაგალითად, ერთობლივად კონტროლირებადი ნავთობსადენის წილი შემდეგნაირად ჯგუფდება: შენობა-ნაგებობა, მანქანები და მოწყობილობა;

ბ) ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკუთარი ვალდებულება. მაგალითად, აქტივების თავისი წილის დაფინანსებასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

გ) თავისი წილი ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით სხვა სრულუფლებიან მონაწილეებთან ერთად აღებულ ვალდებულებებში;

დ) ერთობლივი პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან ან გამოყენებიდან მიღებული შემოსავლები, ერთობლივი საქმიანობისათვის გაღებულ ხარჯებში საკუთარი წილის ჩვენებით; და

ე) ყველა ის ხარჯი, რომელიც მან გაიღო ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მაგალითად, აქტივების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ხარჯებში საკუთარი წილი და პროდუქციის კუთვნილი წილის გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

ვინაიდან აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები უკვე ასახულია მონაწილის საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში, არავითარი კორექტირება ან კონსოლიდაციის პროცედურები არ არის საჭირო .

მაგალითი 4. ერთობლივად კონტროლირებადი აქტივები – სასტუმროს ერთობლივად შეძენა და გაქირავება

A და B საწარმომ მიმდინარე წლის იანვარში ბაკურიანში ერთობლივად შეიძინეს 400,000 ლარად სასტუმრო. შემოსავალს აქტივის გაქირავებით ღებულობენ. სასტუმრო მოიცავს შემდეგ ძირითად საშუალებებს: შენობა, ლიფტი, საქვაბე, აუზი, ავეჯი და სამზარეულოს მოწყობილობები. ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგს: A საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს შენობისა და ლიფტის ექსპლუატაცია, პერიოდულად ავეჯის განახლება; B საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს საქვაბესა და აუზის ექსპლუატაცია, პერიოდულად განახლოს საძილე და სამზარეულო ინვენტარი. შემოსავალი ნაწილდება პროპორციით 60% და 40%, შესაბამისად. ასევე შეთანხმდნენ, რომ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში მონაწილეები ასახვენ იმ ძირითად საშუალებებს, რომელთა ექსპლუატაციაზე იღებენ ვალდებულებას.

შეთანხმება იდენტიფიცირებულია ერთობლივ კონტროლირებად აქტივებად.

თითოეული საწარმო ღებულობს შემოსავალს თავისი წილი სასტუმროს საიჯარო შემოსავლებიდან და გასწევს ხარჯების თავის წილს სასტუმროს ექსპლუატაციაზე.

საწარმოები ერთობლივად ახორციელებენ კონტროლს სასტუმროს აქტივებზე და მათ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ მათი წილი აქტივებისა და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

ერთობლივად კონტროლირებადი მონაცემები აქტივების შესახებ წლის ბოლოსათვის ასე ხასიათდება:

ძირითადი საშუალება	აქტივი	გამოყენების ვადა	ცვეთის ხარჯი	საბალანსო ღირებულება
A საწარმოს აქტივები				
შენობა	250,000	25	10,000	240,000
ლიფტი	100,000	10	10,000	90,000
ავეჯი	40,000	5	8,000	32,000
სამზარეულოს მოწყობილობა	<u>20,000</u>	5	<u>4,000</u>	<u>16,000</u>
	410,000	X	32,000	378,000
B საწარმოს აქტივები				
საქვაბე	20,000	5	4,000	16,000
აუზი	<u>120,000</u>	10	<u>12,000</u>	<u>108,000</u>
	140,000	X	16,000	124,000
სულ	550,000		48,000	502,000

შემოსავლები ნაწილდება შეთანხმებული პროპორციით, ხოლო ხარჯებს საწარმოები გასწევს საკუთარ წილად ხელშეკრულების შესაბამისად.

სრულფლებიან მონაწილეთა საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობით (ერთობლივად კონტროლირებადი აქტივებით) წარმოქმნილი შემოსავლები და ხარჯები, აქტივები და ვალდებულებები აისახება შემდეგნაირად:

მიმდინარე წლის მაჩვენებლები	A საწარმო	B საწარმო
საიჯარო შემოსავალი	60,000 (100,000*60%)	40,000 (100,000*40%)
ცვეთის ხარჯი	32,000	16,000
სხვა ხარჯები	<u>5,200</u>	<u>7,800</u>
მოგება	22,800	16,200
ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება	378,000	124,000
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,680	3,120

თავი 7. შემოსავალი ერთ აქციაზე

1. საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე
2. აქციების ბონუსური ემისია და შემოსავალი ერთ აქციაზე
3. აქციების უფლებითი ემისია და შემოსავალი ერთ აქციაზე
4. გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

1. საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე

საინვესტიციო საქმიანობის პროფესიონალი ანალიტიკოსები და ფინანსური ანგარიშგების არაპროფესიონალი მომხმარებლები ახდენენ ერთი საწარმოს სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდების ან სხვადასხვა საწარმოების ფინანსური შედეგების მაჩვენებლების შედარებას. ერთ-ერთ ასეთ მაჩვენებელად მიჩნეულია შემოსავალი ერთ აქციაზე. ერთ აქციაზე შემოსავლის მაჩვენებელი გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების დინამიკის შესაფასებლად, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მაჩვენებლის – აქციის საბაზრო ფასისა და ერთ აქციაზე შემოსავლის ფარდობის კოეფიციენტის გამოსათვლელად. ერთ აქციაზე შემოსავლის მაჩვენებლის ტენდენციის გამოკვლევა კომპანიის მომგებიანობის სურათს უფრო ზუსტად წარმოაჩენს, ვიდრე საანგარიშგებო მოგების მაჩვენებელი. ამ მაჩვენებლის ანალიზით მომხმარებელი ღებულობს გადაწყვეტილებას განახორციელოს თუ არა თავისი რესურსების ინვესტირება, რადგან ეს მაჩვენებელი გამოიყენება ინვესტიციის ეფექტიანობის შესაფასებლად. ასევე კოტირებული კომპანიების დირექტორების საქმიანობის შედეგებს აფასებენ ერთ აქციაზე შემოსავლის მონაცემებით, როგორც მათი უნარის შეფასების კრიტერიუმი (მოუტანონ საწარმოს მოგება) და იყენებენ მას როგორც პრემიალური სისტემის ნაწილს.

იმისათვის რომ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოიყენებოდეს სხვადასხვა საწარმოების ფინანსური შედეგების შესადარებლად, საჭიროა რომ ყველა საწარმომ

ერთნაირი წესებით გაიანგარიშოს ეს მაჩვენებელი, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობას და საიმედოობას. ამ მიზანს ემსახურება ბასს 33 „შემოსავალი აქციაზე“, რომელიც იძლევა ამ მაჩვენებლის განსაზღვრის წესებს.

სტანდარტი გამოყენებულ უნდა იქნეს იმ საწარმოთა მიერ, რომელთა ჩვეულებრივი აქციები ან პოტენციური ჩვეულებრივი აქციები საჯაროდ იყიდება, აგრეთვე იმ საწარმოთა მიერ, რომლებიც ჩვეულებრივი აქციების ან პოტენციური ჩვეულებრივი აქციების გამოშვების პროცესში არიან საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. **პოტენციური ჩვეულებრივი აქცია** არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა სახის ხელშეკრულება, რომელმაც შესაძლოა მის მფლობელს ჩვეულებრივი აქციების ფლობის უფლება მისცეს. პოტენციური ჩვეულებრივი აქციების მაგალითებია:

- ა) ფინანსური ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, პრივილეგიური აქციების ჩათვლით, რომლებიც კონვერტირებადია ჩვეულებრივ აქციებში;
- ბ) ვარანტები და ოფციონები აქციებზე;
- გ) აქციები, რომლებიც გამოშვებული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში, მაგალითად, საწარმოს ან სხვა აქტივების შესყიდვისას.

ბასს 33 განმარტავს, რომ ჩვეულებრივი აქცია არის ისეთი წილობრივი ინსტრუმენტი, რომელსაც ყველაზე უფრო დაბალი მდგომარეობა უკავია წილობრივი ინსტრუმენტების ყველა სხვა კლასთან მიმართებაში. ხოლო ოფციონები, ვარანტები და მათი ეკვივალენტები ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებია, რომლებიც მის მესაკუთრეს ჩვეულებრივი აქციების შესყიდვის უფლებას აძლევს.

ბასს-ი განასხვავებს ერთ აქციაზე შემოსავლის ორ მაჩვენებელს – საბაზისოს და გაზავებულს. **საბაზისო მაჩვენებელი** გაიანგარიშება მშობელო საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგებისა ან ზარალის (მრიცხველი) გაყოფით, მოცემულ პერიოდში მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობაზე (მნიშვნელი). მოგება გაიანგარიშება პრივილეგიურ აქციებზე

გასაცემი დივიდენდების გამოკლებით, როგორც კუმულაციურ, ასევე არაკუმულაციურ დივიდენდებზე.

$$\text{შემოსავალი ერთ აქციაზე (Earnings Per Share) = } \frac{\text{ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგება ან ზარალი}}{\text{მოცემულ პერიოდში მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა}}$$

ჩვეულებრივი ემისიის დროს, ანუ როდესაც აქციები გამოშვებულია სრული საბაზრო ფასით, შემოსავალი უნდა გადანაწილდეს საშუალო შეწონილ ჩვეულებრივ სააქციო კაპიტალზე, ე.ი. გაითვალისწინება მოცემულ წელს გამოშვებული აქციები.

მაგალითი 1. აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა და საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე

ცხრილში წარმოდგენილია საწარმოს მონაცემები მიმდინარე წლის განმავლობაში:

მაჩვენებლები	ცალი
1 იანვარი – ნაშთი	7,500
31 მარტი – ემისია	2,800
1 სექტემბერი - ემისია	3,300
1 ნოემბერი – ამოღება	(1,500)
31 დეკემბერი – ნაშთი	12,100

აქციების ემისიისა და ამოღების შესახებ. ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა წმინდა მოგება შეადგენს 75,550 ლარს.

განვსაზღვროთ აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა და საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე.

გავიანგარიშოთ აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა.

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა

მაჩვენებლები	ცალი
1 იანვარი – ნაშთი	7,500
31 მარტი – ემისია (2,800 * 9/12)	2,100
1 სექტემბერი - ემისია (3,300 * 4/12)	1,100
1 ნოემბერი – ამოღება (1,500 * 2/12)	(250)
31 დეკემბერი – ნაშთი	10,450

აქციების რაოდენობა შეწონილია დროის მიხედვით.

შემოსავალი ერთ აქციაზე შეადგენს: $75,550/10,450 = 7.23$ ლარი.

2. აქციების უფლებითი ემისია და შემოსავალი ერთ აქციაზე

შესაძლებელია განხორციელდეს აქციების ისეთი ემისია, რომლის დროს ხდება აქციების გამოშვება ან ამოღება, ანუ შედეგად იცვლება აქციების რაოდენობა, მაგრამ არ ხდება რესურსების შესაბამისი ცვლილება. ასეთ შემთხვევაში ხდება აქციების ემისია „უფასოდ“, ანუ ემისია კომპენსაციის გარეშე. ამის მაგალითს წარმოადგენს:

- ა) კაპიტალიზაცია ან პრემიალური აქციების გამოშვება (ზოგიერთ ქვეყანაში ცნობილია სახელწოდებით „აქციებით გადახდილი დივიდენდები“, ან „ბონუსური ემისია“);
- ბ) პრემიალური ელემენტი სხვა ნებისმიერი ემისიის დროს. მაგალითად, პრემიის ელემენტი არსებული მესაკუთრეებისათვის შეღავათიანი აქციების გამოშვებაში;
- გ) აქციების დანაწევრება; და
- დ) დანაწევრებული აქციების აღდგენა (აქციების კონსოლიდაცია).

პრემიალური ემისიის დროს ჩვეულებრივი აქციები არსებულ მესაკუთრეებზე გაიცემა დამატებითი კომპენსაციის გარეშე. შესაბამისად, მიმოქცევაში გაშვებული აქციების რაოდენობა იზრდება რესურსების ზრდის გარეშე. ამიტომ, ბასს-ი მოითხოვს, რომ საანგარიშგებო და ყველა წარდგენილ პერიოდში მიმოქცევაში გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა კორექტირებული უნდა იქნეს

ყველა იმ მოვლენის გათვალისწინებით, რომლის შედეგად მიმოქცევაში გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა იცვლება, რესურსების შესაბამისი ცვლილებების გარეშე. ბასს 33 მოითხოვს, რომ საანგარიშგებო პერიოდში და ყველა წარდგენილ პერიოდში მიმოქცევაში გაშვებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა კორექტირებული იქნეს ყველა იმ მოვლენის გათვალისწინებით, გარდა ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაციისა, რომლის შედეგად მიმოქცევაში გაშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა იცვლება, რესურსების შესაბამისი ცვლილებების გარეშე.

იმისათვის, რომ ბონუსური (უფასო) ემისიის შესაბამისი წლის შემოსავალი ერთ აქციაზე შესადარისი იყოს წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელთან, აქციების ზრდა ბონუსური ემისიის შედეგად მთელ წელზე იანგარიშება, მიუხედავად ბონუსური ემისიის თარიღისა. ასევე წინა წლების შესადარისი ციფრები კორექტირდება აქციების იმავე გაზრდილი რაოდენობის მიხედვით.

მაგალითი 2. საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე

2016 წლის 1 ნოემბერს საწარმომ განახორციელა უფლებითი (შელავათიანი) ემისია პირობით: ყოველ ფლობილ სამ აქციაზე ერთი ახალი აქცია. ემისია განხორციელდა გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე. ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები საწარმოს შესახებ:

მაჩვენებლები	2015წ.	2016 წ.
ჩვეულებრივ აქციონერთა მოგება (ლარი)	1,200,000	1,250,000
ბრუნვაში არსებული აქციები (ცალი)	600,000	800,000

გავიანგარიშოთ 2015 და 2016 წლების საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე.

ამ ემისიით საწარმომ გამოუშვა 200,000 ცალი აქცია ($600,000/3$) და აქციების რიცხვი გახდა 800,000 ცალი ($600,000 + 200,000$). ამდენად, უფასოდ, კომპენსაციის

გარეშე გამოშვებული აქციების რიცხვია 200,000 ცალი. იმის მიუხედავად, რომ ბონუსური ემისია განხორციელდა ნოემბერში, იგი განიხილება ისე, თითქოს გამოშვებული იყო წლის დასაწყისიდანვე. ხოლო წინა პერიოდის მაჩვენებელთან შესადარისობისათვის, გასული წლის აქციების რაოდენობა კორექტირდება ბონუსური (უფასო) აქციებით, ისე თითქოს ეს აქციები წინა წელსაც იყო:

შემოსავალი ერთ აქციაზე

მაჩვენებლები	2015წ.	2016 წ.
ჩვეულებრივ აქციონერთა მოგება (ლარი)	1,200,000	1,250,000
ბრუნვაში არსებული აქციები (ცალი)	600,000	600,000
2016წ. 01.10. ბონუსური ემისია (600,000/3)	–	200,000
შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარი):		
2015წ. – 1,200,000/600,000	2.00	
2015წ. შესადარისი: [1,200,000/(600,000 +200,000)]		1.50
2016წ. [1,250,000/(800,000)]	–	1.56

3. პრემიალური (შელავათიანი) აქციების ემისია და შემოსავალი ერთ აქციაზე

ზოგიერთი კონტრაქტი ითვალისწინებს აქციების ემისიას არა სრული საბაზრო ფასით, არამედ რეალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით, მაგალითად აქციებზე ოფციონის შემთხვევაში. ასეთი ოფციონის მფლობელს, ან საწარმოს თანამშრომელს, აქვს უფლება შეიძინოს აქციები განსაზღვრულ დროს განსაზღვრული, მაგრამ საბაზრო ფასზე ნაკლები, თანხით. ასეთი პირობით განხორციელებულ ემისიას ბასს-ი უწოდებს პრემიალური ელემენტების მქონე აქციების ემისიას. ასეთი პირობით განხორციელებულ ემისიას ეწოდება უფლებითი ემისია (rights issue), ხოლო გამოშვებულ აქციებს - შელავათიანი აქციები.

ვინაიდან უფლებით ემისიაში გაერთიანებულია სრული საბაზრო ფასით განხორციელებული ემისიისა და პრემიალური ემისიის ელემენტები, ბასს მოითხოვს

აღნიშნულ მოვლენამდე მიმოქცევაში გაშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის კორექტირებას ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის ცვლილების პროპორციულად ისე, რომ თითქოს ეს მოვლენა მოხდა წარდგენილი პერიოდების ყველაზე ადრინდელი პერიოდის დასაწყისში. მაგალითად, აქციების გამოშვებისას ორი ერთთან პრემიალური პირობებით, გამოშვების წინა პერიოდში მიმოქცევაში გაშვებული აქციების რაოდენობა მრავლდება სამზე, აქციების მთლიანი რაოდენობის მისაღებად, ან ორზე - დამატებითი აქციების რაოდენობის გამოსათვლელად. ამდენად, პრემიალური ემისია ისე აისახება, თითქოს ეს აქციები მთელი წლის მანძილზე მიმოქცევაში იმყოფებოდა და გათვალისწინებულია წინა წლის ერთ აქციაზე შემოსავლის გამოთვლებშიც.

მაგალითი 3. საშუალო შეწონილი რაოდენობა და საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე უფლებითი ემისიის დროს

საწარმოს აქციების რაოდენობა შეადგენს 600,000 ცალს, მიმდინარე წლის მოგებამ შეადგინა 3,000,000 ლარი. 1 აპრილს ოფციონით გამოუშვეს 90,000 ცალი ახალი აქცია, რომელიც გაიყიდა 10 ლარად, მაშინ როდესაც მათი საბაზრო ფასი იყო 15 ლარი.

განვსაზღვროთ აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა და საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე უფლებითი ემისიის დროს.

ამ ოპერაციის შედეგად საწარმოს წმინდა აქტივები გაიზარადა 900,000 ლარით (90,000 ცალი * 10 ლარი). ასეთი სიდიდის წმინდა აქტივების მოსაზიდად საწარმოს უნდა გამოეშვა 60,000 ცალი აქცია (900,000 ლარი/15ლარზე) და არა 90,000 ცალი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საწარმომ 60,000 ცალი აქცია გამოუშვა სრული საბაზრო ფასით, ხოლო 30,000 ცალი აქცია – უფასოდ. ბასს 33-ის თანახმად უფასო ემისია მიეკუთვნება პერიოდის დასაწყისს, ანუ კეთდება დაშვება, რომ ასეთი აქციები გამოშვებულ იქნა წლის დასაწყისში. შემოსავალი ერთ აქციაზე გაიანგარიშება შემდეგნაირად:

შემოსავალი ერთ აქციაზე

მაჩვენებლები	
აქციების რაოდენობა 1 იანვრიდან – 1 აპრილამდე (ცალი): კორექტირება პრემიალური ელემენტით: 600,000 + 30,000	630,000
აქციების რაოდენობა 1 აპრილიდან – 31 დეკემბრამდე (ცალი): [630,000 + 60,000]	690,000
აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა (ცალი): [(630,000 * 3/12) + (690,000 * 9/12)] = 157,500 + 517,500	675,000
შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარი): [3,000,000/675,000]	4.44

ერთ აქციაზე შემოსავლის მაჩვენებლის გამოყენება ფინანსური საქმიანობის ანალიზისათვის საჭიროებს მის შედარებას წინა პერიოდების შესაბამის მაჩვენებელთან. შესადარისობისათვის საჭიროა რეტროსპექტული კორექტირება – წინა პერიოდის მაჩვენებლის კორექტირება. კერძოდ, რადგან უფლებითი ემისია მოიცავს ემისიის ორ ელემენტს, ბასს-ი მოითხოვს ორივე ელემენტისათვის კორექტირებას:

- 1) უფლებით ემისიამდე არსებული აქციების რაოდენობის კორექტირებას უფლებითი ემისიის კოეფიციენტით (ბასს 33, დ2);
- 2) ახლად გამოშვებული აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობის დადგენას ისე, როგორც ფასიანი ემისიის დროს.

აქციების უფლებითი ემისიამდე მიმოქცევაში არსებული ყველა ჩვეულებრივი აქციის რაოდენობა კორექტირდება უფლებითი ემისიის კოეფიციენტით (უეკ):

$$\text{უფლებითი ემისიის კოეფიციენტი (უეკ)} = \frac{\text{აქციის რეალური ღირებულება უფლებითი ემისიის წინ}}{\text{აქციის თეორიული რეალური ღირებულება უფლების შემდეგ}}$$

ანუ, აქციების რაოდენობის კორექტირების კოეფიციენტი დგინდება უფლებით ემისიამდე აქციის ფასის ფარდობით თეორიულ ფასთან.

აქციის თეორიული რეალური ღირებულება, უფლებების გარეშე, გამოითვლება ამ უფლებების რეალიზების უშუალო წინა პერიოდის აქციების რეალური ღირებულებისა და უფლებების განხორციელებიდან მიღებული შემოსავლის ჯამის გაყოფით უფლებების განხორციელების შემდეგ მიმოქცევაში მყოფი აქციების რაოდენობაზე. როდესაც თვითონ ეს უფლებები მათი გამოყენების თარიღამდე თავისუფლად მიმოიქცევა საჯარო ბაზარზე, აქციებისაგან დამოუკიდებლად, მოცემული გაანგარიშების მიზნებისათვის რეალური ღირებულება განისაზღვრება იმ უკანასკნელი დღის დახურვის ფასის მიხედვით, როდესაც აქციები უფლებებთან ერთად იყიდებოდა.

აქციის თეორიული ფასი =

$$\frac{\text{უფლებითი ემისიამდე მიმოქცევაში მყოფი ყველა აქციის რეალური ღირებულება} + \text{უფლებითი ემისიით მიღებული საერთო თანხა}}{\text{უფლებითი ემისიის შემდეგ მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა}}$$

მაგალითი 4. უფლებითი ემისიის ელემენტებით კორექტირებული აქციების რაოდენობა

საწარმოს აქციების რაოდენობა შეადგენს 600,000 ცალს. მიმდინარე წლის 1 აპრილს ყოველ სამ აქციაზე ოფციონით გამოუშვა ერთი ახალი აქცია. ოფციონის ფასია 10 ლარი, საბაზრო – 15 ლარი.

განვსაზღვროთ უფლებითი ემისიის ელემენტებით კორექტირებული აქციების რაოდენობა.

1) უფლებითი ემისიის შემდეგ ერთი აქციის თეორიული ფასი იქნება:

$$\frac{(600,000 * 15) + (200,000 * 10)}{600,000 + 200,000} = \frac{9,000,000 + 2,000,000}{800,000} = 13.75 \text{ ლარი}$$

ან სხვაგვარად:

უფლებით ემისიამდე: 3 ცალი * 15 ლარი = 45 ლარი
 უფლებითი ემისია 1 ცალი * 10 ლარი = 10 ლარი
 უფლებითი ემისიის შემდეგ 4 ცალი 55 ლარი

უფლებით ემისიამდე 3 აქცია ღირდა 45 ლარი (3 ცალი * 15 ლარი), უფლებითი ემისიით ყოველ სამ აქციას დაემატა ერთი აქცია, რომელიც ღირს 10 ლარი, ამდენად 4 ცალ აქციაში მყიდველი გადაიხდის 55 ლარს (45 + 10) და ერთი აქციის თეორიული ფასი გახდება 13.75 ლარი (55 ლარი / 4 ცალი).

თუ უფლებით ემისიამდე ერთი აქცია ღირდა 15 ლარი, უფლებითი ემისიის შემდეგ მისი ღირებულება გახდა 13.75 ლარი.

2) აქციების კორექტირების კოეფიციენტი:

$$\frac{\text{აქციის ფასი უფლებითი ემისიამდე}}{\text{აქციის თეორიული ფასი უფლებითი ემისიის შემდეგ}} = \frac{15.00}{13.75} = 1.09 \text{ ლარი}$$

მიღებული კოეფიციენტით მოვახდინოთ აქციების რაოდენობის კორექტირება ბონუსური და უფლებითი ემისიით:

აქციების კორექტირება

მაჩვენებლები	ცალი აქცია
წინა წლის აქციები: 600,000 * 1.09	654,000
მიმდინარე წლის აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა: ემისიამდე 600,000 * 1.09 * 3/12 = 163,500	
ემისიის შემდეგ 800,000 * 9/12 = 600,000	763,500

მაგალითი 5. შემოსავალი ერთ აქციაზე

2015 წლის დასაწყისში საწარმოს ბრუნვაში ჰქონდა 7,500 ცალი ჩვეულებრივი აქცია. მიმდინარე წელს განხორციელდა აქციებზე ოფციონი, შესრულების ბოლო თარიღია 31 მაისი, პირობით: ყოველ ფლობილ ხუთ აქციაზე ერთი ახალი აქცია. ოფციონი განხორციელდა 50 ლარად. 31 მაისს აქციებზე დაფიქსირდა საბაზრო ფასი – 85 ლარი. წმინდა მოგებამ შეადგინა: 2014წ. – 36,000 ლარი; 2015 წ. – 40,000 ლარი; 2016 წ. – 45,000 ლარი. 2016 წელს აქციების ცვლილებას ადგილი არ ჰქონდა. განვსაზღვროთ 2014, 2015 და 2016 წლების შემოსავალი ერთ აქციაზე.

აღნიშნული ემისიით გამოშვებულია 1,500 ცალი (7,500/5) შეღავათიანი აქცია, რითაც აქციების საერთო რაოდენობა გახდა 9,000 ცალი. მოვახდინოთ აქციების საერთო რაოდენობის კორექტირება ბონუსური და უფლებითი ემისიის ელემენტებით და განვსაზღვროთ საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე:

შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარი)

	მაჩვენებლები	2014წ.	2015წ.	2016წ.
1	წმინდა მოგება	36,000	40,000	45,000
2	აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა უფლებითი ემისიით კორექტირებამდე	7,500	8,375*	9,000
3	საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე კორექტირებამდე (სტრ.1/სტრ.2)	4.80	4.78	4.74
4	აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა კორექტირებული უფლებითი ემისიით**	8,100	8,625	9,000
5	საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე კორექტირებული უფლებითი ემისიით (სტრ.1/სტრ.4)	4.45	4.64	5.00

*/უფლებითი ემისიით არაკორექტირებული აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა:

$$[(7,500 * 5/12) + (9,000 * 7/12)] = 3,125 + 5,250 = 8,375 \text{ ცალი.}$$

**/ უფლებითი ემისიის გათვალისწინებით, აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობის დასადგენად, საჭიროა აქციის თეორიული ფასის დადგენა (უფლებითი ემისიის შემდეგ მოსალოდნელი გასაყიდი ფასი) და აქციების კორექტირების კოეფიციენტი:

უფლებითი ემისიის შემდეგ აქციის თეორიული ფასი:

$$\frac{(7,500 \text{ ცალი} * 85 \text{ ლარი}) + (1,500 \text{ ცალი} * 50 \text{ ლარი})}{7,500 \text{ ცალი} + 1,500 \text{ ცალი}} = \frac{637,500 + 75,000}{9,000} = 79$$

კორექტირების კოეფიციენტი: 85 ლარი / 79 ლარზე = 1.08.

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა უფლებითი ემისიის გათვალისწინებით:

2010წ. – 7,500 * 1.08 = 8,100;

2011წ. – [(7,500 * 1.08 * 5/12) + (9,000 * 7/12)] = 3,375 + 5,250 = 8,625 ცალი.

4. გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

საწარმოს შესაძლებელია დადებული ჰქონდეს ისეთი ხელშეკრულებები, რომელიც ითვალისწინებს მომავალში ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაციას, ანუ მომავალში მოსალოდნელია აქციების რაოდენობის ზრდა. მაგალითად, პრივილეგიური აქციების, ობლიგაციების, სასესხო ვალდებულებების, ოფციონების, ვარანტების კონვერტაცია ჩვეულებრივ აქციებში. ასეთი ხელშეკრულებები შეიძლება ითვალისწინებდეს ემისიას საბაზრო ფასთან შედარებით დაბალ ფასად. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც აქციების ემისია ხორციელდება საბაზრო ფასზე დაბალ ფასად, ადგილი აქვს გაზავების ეფექტს, რადგან აქციების რაოდენობის ზრდის პროპორციულად არ ხდება შემოსავლების ზრდა, შედეგად მცირდება შემოსავალი აქციაზე. მოვლენები, რომელთა შედეგად იზრდება აქციების რაოდენობა და მცირდება შემოსავლების სიდიდე არის **გაზავების ფაქტორები**. ბასს-ის თანახმად **გაზავება** არის აქციაზე შემოსავლის შემცირება ან აქციაზე ზარალის ზრდა, რომელიც გამოწვეულია იმ დაშვებით, რომ კონვერტირებადი ინსტრუმენტები კონვერტირებუ-

ლია, ან ვარანტები და ოფციონები გამოყენებულ იქნა, ან მოხდა ჩვეულებრივი აქციების გამოშვება წინასწარ დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ. ოფციონები და ვარანტები გაზავების ეფექტის მქონედ ითვლება მაშინ, თუ ისინი გამოიწვევს ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას საანგარიშგებო პერიოდში საშუალო საბაზრო ფასზე ნაკლები ღირებულებით. ბასს-ით **გაზავების თანხა არის საშუალო საბაზრო ფასსა და გამოშვების ფასს შორის სხვაობა**. ამიტომ, ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის გაანგარიშებისათვის მიიჩნევა, რომ პოტენციური ჩვეულებრივი აქციები მოიცავს:

ა) ხელშეკრულებას ჩვეულებრივი აქციების გარკვეული რაოდენობის გამოშვებაზე, მათი საშუალო საბაზრო ფასით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ასეთნაირად გამოსაშვები აქციები წარმოადგენს რეალური ფასით შეფასებულ აქციებს და არ ითვლება არც გაზავების ეფექტის მქონედ და არც ანტიგაზავების ეფექტის მქონედ. ისინი არ მონაწილეობენ ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის გაანგარიშებაში; და

ბ) ხელშეკრულებას დარჩენილი ჩვეულებრივი აქციების გამოშვებაზე, მათი ღირებულების ანაზღაურების გარეშე. ამგვარი ჩვეულებრივი აქციები არავითარი შემოსავლების წყარო არ არის და გავლენას არ ახდენს მიმოქცევაში გაშვებული ჩვეულებრივი აქციების წილ მოგებაზე ან ზარალზე. ამიტომ ასეთი აქციები ითვლება გაზავების ეფექტის მქონე აქციებად და ისინი დაემატება მიმოქცევაში გაშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობას, ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის გაანგარიშების დროს.

ოფციონებსა და ვარანტებს გაზავების ეფექტი შეიძლება მხოლოდ მაშინ ჰქონდეს, როდესაც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, **ჩვეულებრივი აქციების საშუალო საბაზრო ფასი აჭარბებს ოფციონისა და ვარანტის გამოყენების ღირებულებას**. ანგარიშგებაში ადრე წარდგენილი შემოსავალი ერთ აქციაზე არ ექვემდებარება რეტროსპექტულად კორექტირებას ჩვეულებრივი აქციების ფასებში მომხდარი ცვლილებების ასახვისათვის.

მაგალითად, ოფციონით განხორციელდა 500 ცალი აქციის ემისია 35 ლარად, ამ

აქციების საბაზრო ფასია 55 ლარი. ამ ემისიით კაპიტალის დანაკარგები შეადგენს: $500 \text{ ცალი} * (55 - 35) = 10,000 \text{ ლარს}$. ეს კი ნიშნავს, რომ 182 აქცია გაიყიდა უფასოდ (10,000 ცალი/55 ლარი). აქციების ეს რაოდენობა ქმნის გაზავების ეფექტს, რადგან მათზე, სხვა აქციების მსგავსად, გაცემული იქნება დივიდენდები, მაშინ როდესაც მათ არ მიუღიათ მონაწილეობა კაპიტალის შექმნაში. გაზავების ეფექტი საბოლოოდ ამცირებს შემოსავალს ერთ აქციაზე.

მაგალითი 6. საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

საწარმოს აქვს 7,500 ცალი ჩვეულებრივი აქცია. მიმდინარე წელს მოსალოდნელია 2,000 ცალი ჩვეულებრივი აქციის ოფციონი 50 ლარად, რომელთა საბაზრო ფასია 85 ლარი. წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 32,600 ლარი.

განვსაზღვროთ საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე.

50 ლარად 2,000 ცალი აქციის გამოშვებით საწარმომ განიცადა 70,000 ლარის კაპიტალის დანაკარგი: $2,000 \text{ ცალი} * (85-50)$. ამ დანაკარგის გათვალისწინებით, საწარმომ მიიღო საბაზრო ფასით შეფასებული არა 2,000 ცალი აქცია, არამედ 824 აქციით ნაკლები: $70,000 \text{ ლარი} / 85 \text{ ლარი} = 824 \text{ ცალი}$. 824 აქცია არის გაზავების ეფექტი. სრული საბაზრო ფასით გაიყიდა 1,176 ცალი აქცია: $2,000 - 824$. სხვაგვარად, გამოშვებული 2,000 ცალი აქციიდან საბაზრო ფასით გამოშვებულია $2,000 \text{ ცალის} * 50 / 85$, ანუ 1,176 ცალი.

საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

მაჩვენებლები	საბაზისო შემოსავალი აქციაზე	გაზავებული შემოსავალი აქციაზე
წმინდა მოგება (ლარი)	32,600	32,600
აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა ოფციონამდე/გაზავებამდე (ცალი)	7,500	7,500

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე (ცალი): [32,600/7,500], ლარი	4.35	
გაზავების ეფექტის მქონე აქციების რაოდენობა (ცალი)		824
აქციების რაოდენობა გაზავების ეფექტის გათვალისწინებით (ცალი): [7,500 + 824]		8,324
შემოსავალი ერთ აქციაზე გაზავების ეფექტით (ლარი): [32,600/8,324]		3.92

ამავდროულად, ამ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შემთხვევაში, საწარმოს გარკვეულწილად შეუმცირდება ისეთი ხარჯები, როგორცაა გადასახდელი დივიდენდები და პროცენტები. ეს კი ნიშნავს შემოსავლების ზრდას. ასეთი მოვლენები არის ე.წ. ანტიგაზავების ფაქტორები. ბასს-ის თანახმად ანტიგაზავება არის აქციაზე შემოსავლის ზრდა ან აქციაზე ზარალის შემცირება, რომელიც გამოწვეულია იმ დაშვებით, რომ კონვერტირებადი ინსტრუმენტები კონვერტირებული ან ვარანტები და ოფციონები გამოყენებულ იქნა, ან მოხდა ჩვეულებრივი აქციების გამოშვება წინასწარ დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ.

ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის გასაანგარიშებლად, მშობელი საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მესაკუთრეთათვის განკუთვნილი მოგება ან ზარალი მიმოქცევაში გაშვებული აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა უნდა შესწორდეს გაზავების ეფექტიანი, ყველა პოტენციური ჩვეულებრივი აქციის ზეგავლენის გათვალისწინებით. მაგრამ, ანტიგაზავების ფაქტორები ხშირ შემთხვევებში მაინც ვერ გადაფარავენ აქციების ზრდით გამოწვეულ ეფექტს – მაჩვენებლის გაუარესებას.

მაგალითი 7. საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

საწარმოს აქვს 7,500 ცალი ჩვეულებრივი აქცია, მიმდინარე წლის 1 მარტს მოხდა ობლიგაციების კონვერტაცია 2,000 ცალ ჩვეულებრივ აქციაში. ამ ობლიგაციებზე ყოველწლიურად გადაიხდებოდა 400 ლარის პროცენტი. წლის მოგებამ შეადგინა 32,600 ლარი. მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

გავიანგარიშოთ საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე.

ობლიგაციის კონვერტაციით ჩვეულებრივ აქციებში, საწარმო შეწყვეტს პროცენტის გადახდას, რითაც შემცირდება საპროცენტო ხარჯი და შესამაბისად გაიზრდება მოგება 400 ლარით. ამავდროულად, მოგების გაზრდით, გაიზრდება მოგების გადასახადი 60 ლარით ($400 * 15\%$). ობლიგაციების კონვერტაციის გავლენის წმინდა შედეგია – მოგების ზრდა 340 ლარით ($400 - 60$). აქციების რაოდენობა არ კორექტირდება დროის პროპორციულად, რადგან ეს არის "უფასო", ანუ ემისია კომპენსაციის გარეშე.

საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

მაჩვენებლები	საბაზისო შემოსავალი აქციაზე	გაზავებული შემოსავალი აქციაზე
წმინდა მოგება (ლარი)	32,600	32,600
ჩვეულებრივი აციების რაოდენობა (ცალი)	7,500	
საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარი): [32,600/7,500]	4.35	
ობლიგაციების საპროცენტო ხარჯი (ლარი)		400
მოგების გადასახადი ($400 * 15\%$) (ლარი)		(60)
მიმდინარე წლის კორექტირებული მოგება (ლარი): [32,600 + 400 - 60]		32,940
აქციების რაოდენობა კორექტირების შემდეგ (ცალი): [7,500 + 2,000]		9,500
გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარი): [32,940/9,500]		3.47

იმის დასადგენად, აქვს თუ არა პოტენციურ ჩვეულებრივ აქციებს გაზავების ან ანტიგაზავების ეფექტი, პოტენციური აქციების თითოეული გამოშვება ან გამოშვების სერია განხილულ უნდა იქნეს ცალკე და არა სხვებთან აგრეგირებულად. პოტენციური ჩვეულებრივი აქციების განხილვის თანმიმდევრობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს

იმაზე, ექნება მათ გაზავების ეფექტი თუ არა. ამიტომ ერთ აქციაზე საბაზისო შემოსავლის გაზავების მაქსიმიზაციის მიზნით, პოტენციური ჩვეულებრივი აქციის თითოეული გამოშვება ან გამოშვების სერია, განხილულ უნდა იქნეს შებრუნებული თანმიმდევრობით – უფრო მეტად გაზავების ეფექტის მქონედან, შედარებით მცირე გაზავების ეფექტის მქონემდე.

მაგალითი 8. საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

ჩვეულებრივი აციების მფლობელთა მოგება შეადგენს 60,000,000 ლარს. წლის დასაწყისში ჩვეულებრივი აციების რიცხვი შეადგენდა 6,000,000 ცალს.

საწარმოს აქვს ჩვეულებრივ აქციებში კონვერტირებადი 300,000 ცალი პრივილეგიური აქცია. დივიდენდები ერთ ცალ პრივილეგიურ აქციაზე შეადგენს 5.10 ლარს. კონვერტაციის პირობაა: ერთი ჩვეულებრივი აქცია ერთ პრივილეგიურ აქციაში.

ასევე საწარმოს აქვს ჩვეულებრივ აქციებში კონვერტირებადი ობლიგაციები, რომელთა საბალანსო ღირებულება 1,000,000 ლარია და მათზე ყოველწლიურად გადასახდელი პროცენტი შეადგენს 132,353 ლარს. კონვერტაციის პირობაა: 1,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია ყოველ 2,000 ლარიან ობლიგაციაში. მოგების განაკვეთია 15%.

გავიანგარიშოთ საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე.

გავაკეთოთ სათანადო გათვლები:

1) გავიანგარიშოთ საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე:

$$60,000,000 \text{ ლარი} / 6,000,000 \text{ ცალი აქცია} = 10 \text{ ლარი ერთ აქციაზე}$$

2) გავიანგარიშოთ დამატებითი მოგება, რომელიც მიიღება პოტენციური კონვერტაციით და დავადგინოთ რომელ შემთხვევაში უფრო მეტია გაზავების ეფექტი:

- პრივილეგიური აციები კონვერტირდება იგივე რაოდენობის ჩვეულებრივ აქციებში და ამიტომ აქციების საერთო რაოდენობა გაიზრდება და გახდება 6,300,000 ცალი (6,000,000 + 300,000);

პრივილეგიური აქციების კონვერტაციის შემდეგ კომპანია მიიღებს დამატებით მოგებას პრივილეგიურ აქციებზე დივიდენდების გაცემის შეწყვეტით: 300,000 ცალი * 5.10 ლარი = 1,530,000 ლარი. ამის შემდეგ მოგება შეადგენს 61,530,000 ლარს (60,000,000 + 1,530,000);

- ობლიგაციების კონვერტაციით ჩვეულებრივ აქციებში კომპანია შეწყვეტს პროცენტების გადახდას და მიიღებს 112,500 ლარის ნეტო მოგებას (მოგების გადასახადის გათვალისწინებით) – [132,353 ლარი * (100% - 15%)] = 112,500 ლარი, ხოლო აქციების რაოდენობა გაიზრდება 500,000 ცალით: 1,000,000 ლარი/2,000 ლარი * 1,000 ცალი = 500,000 ცალი.

კონვერტაციის შედეგად მოგება გახდება 60,112,500 ლარი, (60,000,000 + 112,500), ხოლო აქციების რაოდენობა გახდება 6,500,000 ცალი (6,000,000 + 500,000);

- პრივილეგიური აქციების კონვერტაციის შედეგად მოგების ცვლილება შეადგენს: 1,530,000 ლარი/300,000 ცალი = 5.10 ლარი;

ობლიგაციების კონვერტაციის შედეგად მოგების ცვლილება შეადგენს: 112,500 ლარი/500,000 ცალი = 0.225 ლარი;

- ობლიგაციის კონვერტაციას მოაქვს მოგების უმნიშვნელო ზრდა ერთ აქციაზე. **წინდახედულების პრინციპიდან გამომდინარე, ინვესტორებს უნდა წარედგინოს ამ მაჩვენებლის უარესი ვარიანტი.** ამდენად, მოგება ერთ აქციაზე ობლიგაციის გაზავების ეფექტით შეადგენს:

$$(60,000,000 \text{ ლარი} + 112,500 \text{ ლარი}) / (6,000,000 \text{ ცალი} + 500,000 \text{ ცალი}) = 60,112,500 \text{ ლარი} / 6,500,000 \text{ ცალი} = 9.25 \text{ ლარი.}$$

- თუ დაუშვებთ, რომ უკვე განხორციელდა ობლიგაციების კონვერტაცია, მაშინ მოგება ერთ აქციაზე პრივილეგიური აქციების კონვერტაციის შემთხვევაში, შეადგენს:

$$(60,112,500 + 1,530,000 \text{ ლარი}) / (6,500,000 \text{ ცალი} + 300,000 \text{ ცალი}) = 61,642,500 \text{ ლარი} / 6,800,000 \text{ ცალი} = 9.07 \text{ ლარი.}$$

თუ განხორციელდება მხოლოდ პროვილგიური აქციების კონვერტაცია, მაშინ:
 $EPS = 61,530,000/6,300,000 = 9.76$ ლარი.

კონვერტაციის ორი შედეგიდან, წინდახედულების პრინციპის შესაბამისად, აირჩევა ერთ აქციაზე მოგების ყველაზე მცირე მნიშვნელი, ანუ უარესი მაჩვენებელი, კერძოდ, – 9.07 ლარი ერთ აქციაზე.

ინვესტორებს და ანალიტიკოსებს აინტერესებთ საწარმოს საქმიანობის პერსპექტივები – სამომავლო შედეგები. ამისათვის ისინი ხშირად მიმართავენ წარსული მოგების ერთ აქციაზე შემოსავლის ტენდენციების ანალიზს. საწარმოს შეიძლება ისეთი ვალდებულება ჰქონდეს, რომელიც მომავალში გამოიწვევს ერთ აქციაზე შემოსავლის გაზავებას. ასეთი ვალდებულება უარყოფითად იმოქმედებს არსებულ აქციონერებზე – მომავალში ერთ აქციაზე შემოსავლის შემცირების გამო. ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავალი გვიჩვენებს იმას, თუ რა მოუვა ერთ აქციაზე შემოსავალს, თუ ყველა შესაბამისი გაზავებადი ფაქტორის ვადა დადგება ან განხორციელდება. გაზავებული შემოსავლის მაჩვენებელი იძლევა ყველაზე გაუარესებულ სურათს შემოსავლების შესახებ. ინვესტორებს უნდა წარედგინოს ინფორმაცია მათთვის მთავარი მაჩვენებლის გაუარესების საშიშროების შესახებ.

განმარტებითი შენიშვნები

საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:

- ერთ აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის გაანგარიშებებში მრიცხველის სახით გამოყენებული თანხების ოდენობა და ამ თანხების შეჯერება საანგარიშგებო პერიოდში მშობელი საწარმოზე მისაკუთვრებელ მოგებასთან ან ზარალთან;
- აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის გაანგარიშებისას მნიშვნელის სახით გამოყენებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა და ამ მნიშვნელების ერთმანეთთან შესაბამისობა;

- ინსტრუმენტები (მათ შორის, პირობით გამოსაშვები აქციები), რომლებმაც მომავალში უნდა გააზავოს საბაზისო შემოსავალი აქციაზე, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღიათ აქციაზე გაზავებული შემოსავლის გაანგარიშებაში იმის გამო, რომ ანგარიშგებაში წარდგენილ პერიოდ(ებ)ში ანტიგაზავების ეფექტს ატარებდნენ;

- ჩვეულებრივი ან პოტენციური ჩვეულებრივი აქციების ოპერაციების აღწერა, რომლებსაც ადგილი აქვს ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ და მნიშვნელოვნად შეცვლიდნენ პერიოდის ბოლოს მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი ან პოტენციური ჩვეულებრივი აქციების რაოდენობას, თუ ეს ოპერაციები განხორციელდებოდა საანგარიშო პერიოდის დამთავრებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბასს და ფასს 2020 წლის მდგომარეობით. saras.gov.ge

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები
2. ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა
3. ბასს 8 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები
4. ბასს 27 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
1. ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში
2. ბასს 32 ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა
3. ბასს 33 შემოსავალი აქციაზე
4. ბასს 36 აქტივების გაუფასურება
5. ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება
6. ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება
7. ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები
8. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები
9. ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
10. ფასს 11 ერთობლივი საქმიანობა
11. ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასება
12. ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

სხვა ინტერნეტ-რესურსები

13. IFRS Bulletin Issue No. 13 2019. www.inform.pwc.com
14. PWC. IFRS Bulletin, 30 June 2019.
15. Ernst & Young. An overview of IFRS (IFRS) 10. "Consolidated Financial Statements ", IAS (IFRS) 11 "Agreement on joint activities "and IFRS (IFRS) 12 "Disclosures of Interests in Other companies " council.
16. Ernst&Young.https://assets.ey.com/content/dam/ey-sites/ey-com/ru_ru/topics/assurance/ifrs/ey-impairment-offinancial-instruments-under-ifrs9-rus.pdf

17. https://assets.ey.com/content/dam/ey-sites/ey-com/ru_ru/topics/assurance/ifrs/ey-impairment-offinancial-instruments-under-ifrs9-rus.pdf
18. Ernst & Young. An overview of IFRS (IFRS) 10. „Consolidated Financial Statements “, IAS (IFRS) 11 „Agreement on joint activities “ and IFRS (IFRS) 12 „Disclosures of Interests in Other companies“ council.
19. Grant Thornton. Insights into IFRS 3. Definition of a Business (Amendments to IFRS 3). 2020.
20. Grant Thornton. IFRS Viewpoint . Related party loans at below-market interest rates. 2018.
21. IFRS 3: A Business or an Asset? https://www.ifrsbox.com/ifrs-3-a-business-or-an-asset/?utm_source=mailpoet&utm_medium=email&utm_campaign=ifrs-3-a-business-or-an-asset_104
22. Deloitte.
https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ua/Documents/webinar/30_11_17_webinar_IFRS_9.pdf